

8A.

8-666



ბიზანტიური მწერლობის
ქრესტომათია

ბიზანტიური მწერლობის
ქრესტომათია
(IVს. – VIIს. პირველი ნახევარი)

I ტომი

თბილისი
1994 წ.

8372
3666

პასუხისმგებელი რედაქტორი

ლიანა კვირიკაშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი

რეცენზენტები

რისმაგ გორდუზიანი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

გულნარა ნინუა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი

მხატვარი



89281

კრებული ეძღვნება მოძღვართ-
მოძღვარს

აკად. სიმონ ყაუხჩიშვილს.

ჩუბრობად შენი, ღირსო, ხაკვრველ
არს და სიტყუად შენი – საშინელ
და ენად შენი – ბრწყინვალე
და პირი – ცეცხლისფერ“ ...

ჰიმნოგრაფი

(იერუსალიმური ქართული
ხელნაწერი № 71)

ქართულ კულტურას ბიზანტიურთან შეხების ისეთი მძლავრი ფე-
სკები აქვს, რომ ბიზანტინოლოგიითა და ქართველოლოგიით დაინტერესე-
ბული ფართო ქართული და უცხოური სწავლული საზოგადოებრიობის მო-
თხოვნილებით უნდა იზომებოდეს ბიზანტიური მწერლობის ქართულად
საკითხავი წიგნის ღონე. ამ წიგნის შედგენისას ჩვენ, ბუნებრივია, ვხელ-
მძღვანელობდით არა იმ პრინციპით, რომ ყველა დიდი ბიზანტიელი მწერ-
ლის თხზულებათა ფრაგმენტები შეგვერჩია; იქნებ მკითხველმა გაგვი-
ცხოს კიდევაც, როდესაც აქ ვერ შეხვდება ბასილი დიდის, იოანე ოქროპი-
რის, ათანასი ალექსანდრიელის, იოანე მოსხოვის, იოანე მალალას და სხვა
დიდი ბიზანტიელი მოღვაწეების სახელებს (ამიტომაც გრძელ ნაზიანზელის
პოეზიას და წერილებს შედარებით ვრცელი წინასიტყვა-ნარკვევი წაუშე-
მღვარეთ). ამით არა დაგვიშავებია რა: ხსენებულ ავტორთა ძველი ქართუ-
ლი თარგმანები ან გამოცემული გახლავთ, ან მათს სრულ ოპუსებს გამო-
საცემად ამზადებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის
სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი და სხვა სამეცნიერო ცენტრები.
ჩვენთვის მთავარი იყო უანრობრივი მრავალფეროვნების დაცვისა და რამ-
დენადმე დაჩრდილულ სამწერლობო ძეგლთა საშუალებით ეპოქის მხატვრულ
და ზოგად სოციალურ-ისტორიულ საიდუმლოთა წვდომის პრინციპები.
ამიტომ უანრობრივადაც აქ არ არის წარმოდგენილი, მაგალითად, ქრონი-
გრაფია საისტორიო მწერლობის სახეებდან, არც საეკლესიო ისტორია,
ხოლო მოძღვართაგან გადმოგვეცა რწმენა იმისა, რომ „ეკლესიური მწერ-
ლობის შეუსწავლელად ჩვენ არ გვეცოდინებოდა კულტურული ზრდის

პროცესი ქართველი ერისა¹, ასევე ბიზანტიის იმპერიაში შემაჯავლი სხვა ხალხებისა. ჟანრიც არის და ჟანრიც; კაკეელიძის სიტყვით, „ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, რომელნიც წმიდათა ცხოვრება-მარტვილობას შეიცავენ, ავტორებს ისეთი დეტალები და ცნობები დაუტოვებიათ, რაც ნაფიც ქრონიკტებსა და მემატიანეთ უყურადღებოდ რჩებოდათ ხოლმე“². თეოდორიტი კვირელის „საეკლესიო ისტორიის“ ფრაგმენტს წიგნში ვერ ნახავთ, სამაგიეროდ, იგი წარმოდგენილია ეგზეგეტიკური ძეგლით — „ქებაჲ ქებათაჲ“-ს განმარტებით“, რომელიც მხატვრული აზროვნების შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, და, თუ იმასაც გაეითვალისწინებთ, რომ „ქებაჲ ქებათაჲ“-ს ხდელი ეკლესიის სიმბოლოდ იქცა, ათასწლეულთა სარწმუნოებრივი ბრძოლების ისტორია თვალწინ ჩაივლის და ქრესტომათიის დანიშნულებაც უფრო ნათლად გამოიკვეთება.

IV-VI საუკუნეებში აღმოსავლეთი რომის იმპერიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა. აღმოსავლურობამ და ქრისტიანობამ განსაზღვრა პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შემდგომი განვითარება. ბიზანტინიზმის განმსაზღვრელი სხვა ორი საწყისი იყო ელინურობა და რომაელობა. სიმ. ყაუხჩიშვილი წერს: „ამ პერიოდში მხატვრული აღქმის ანტიკური ნორმები უკვე შერყეულია და საფუძველჩაყრილია ახალი ნორმები“³. ერთი სიტყვით, პირველი პერიოდი ბიზანტიური მწერლობისა (IV ს.-VII ს. პირველი ნახევარი) აღიბეჭდა არსებითად ანტიკურისა და ქრისტიანულის შერწყმით. წინამდებარე ქრესტომათიის I ტომი ამას საგნობრივად და სახეობრივად თვალსაჩინოს გახდის მკითხველისათვის, რომელმაც ეგების, შენიშვნების სიმცირის მიუხედავად, სარგებელი მაინც ნახოს თარგმანში, რამდენადაც თარგმანი თავისთავად განმარტებად ითვლება ძველთაგანვე.

„კვირიკეს და ივლიტას წამების“ შესახებ

ფ. ალკენი უთითებს მსოფლიო ეკლესიის წმინდანთა — კვირიკეს და

¹ კ. კაკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1923, გვ. 4.

² იქვე, გვ. 547.

³ სიმ. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1963, გვ. 37.

ივლიტას — „წამების“ რამდენიმე ბერძნულ რედაქციას¹. „*Analecta Bollandiana*“-ში² პირველად გამოქვეყნდა კვირიკეს და ივლიტას წამების ბერძნული კიმენური ან, როგორც წინასიტყვაში არის აღნიშნული, „ჭეშმარიტი“, „შეუკანაჲვი“ (*sincera*) ტექსტი ლიუდის აკადემიის ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერის (XI ს.) მიხედვით. უფრო ადრე „წამება“ ლათინურად გამოიცა „*Acta Sanctorum*“-ის მე-3 ტომში 16 ივნისის ხსენებაზე. ლათინურ გამოცემაში გასწორდა ტრადიციულად მომდინარე ტექსტის გადამწერთა უხეში შეცდომები და ამოღებულ იქნა სრულიად დაუჯერებელი სასწაულები. ამ შერყენილი ტექსტის მიხედვით უნდა გამოეცხადებინა პაპ გელასიოსს (V-VI სს.) აკრძალულად „კვირიკეს და ივლიტას წამება“, რომელიც ამრიგად აპოკრიფულ წიგნებში მოექცა. „*Analecta Bollandiana*“-ში რედაქტორებს, რომლებსაც ყველა ხელნაწერი შეუწამებიათ ტექსტის დასადგენად, მიუმართათ მხოლოდ აზრის გამოსატანად აუცილებელი გასწორებებისათვის. ხოლო კიდევ არის დარჩენილი, ვთქვამთ, ასეთი შეცდომები (ბუნებრივი — ბიზანტიური ხანის ბერძნულისათვის): *ძეჯე* ნაცვლად *ძეჯა* -სა (გვ. 199, სტრიქ. 7). ასეთ შეცდომებზე შენიშვნებს ვერთავთ მხოლოდ ერთ რედაქციაში. ისიც ვიფიქრეთ, ეგებბის ერთხანს მიღებულიც იყო, მსგავსი შეცდომები გარკვეული საენათმეცნიერო ინტერესებისათვის გამოცემებში არ გაესწორებინათ, როგორც, მაგალითად, ძველ ქართულ ტექსტებში 2-ს ვტოვებთ ზმნის პირიანი ფორმების ბოლოს და სხვ.

„*Analecta*“-ს წინათქმაში აღნიშნულია განსაკუთრებული ღირებულება თეოდორე ეპისკოპოსის ეპისტოლესი, რომლის ბერძნული ტექსტიც ვენეციის წმინდა მარკოზის ბიბლიოთეკიდან მოუპოვებიათ ბოლანდისტებს³. აღნიშნულია ისიც, რომ მათ მიერ გამოქვეყნებული ეპისტოლე საკმაოდ განსხვავდება პაპებროხიუსის რედაქციით გამოცემული ლათინური ვერსიისაგან.

ბოლანდისტები სვამენ კითხვას, „*Analecta*“-ში დასტამბული „კვირიკეს და ივლიტას წამების“ რედაქცია (წინამდებარე ქრესტომათიაში ორი პარალელურად წარმოდგენილი რედაქციიდან პირველი) თეოდორეს

¹ *Bibliotheca Hagiographica Graeca, troisieme edition mise a jour et considerablement augmentee par F. Halkin, t. I, Bruxelles, 1957: Cyricus et Julitta Iconienses mm. Tarsi in Cillicia sub Diocletiano. - Jul. 15, 313 y - 318 e.*

² *AB, t. I, fasc. II, 1882, გვ. 192-200.*

³ იქვე, გვ. 201-207.

ეპისტოლედან მომდინარეობს თუ ორივეს საერთო წყარო აქვს; საგნის გულმოდგინედ გასაზერის შემდეგ იმ აზრისაკენ იხრებიან, რომ თეოდორეს ეპისტოლე უფრო ახალია, თანაც იკვეთება მათი არქეტეპი .

ვლადიმევი „Menologium“-ში დასტავდა „კვირიკეს და იელიტას წამების“ სხვა რედაქცია¹. ერთი გადაკითხვითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ახლოს დგას ქვემოთ წარმოდგენილ პირველ რედაქციასთან (უკეთ, აქ პირველ ადგილზე მოთავსებული თარგმანის დედანთან).

ქრისტიანულმა სამყარომ კვირიკეს სახით „იგავად“ თუ ნიმუშად დაუხაზა შთამომავლობას „დიდი მარტვილი მცირე სხეულში“ სამი წლის ყრმისა : „*ο μικρὸς ἐν μικρῶ τῷ σώματι μαρτυρῶς*“. გასაკვირი არ არის, რომ საქართველოში ძალიან ადრე დამკვიდრებული თაყვანისცემა დედა-შვილისა - კვირიკის და იელიტასი - დიდხანს შემორჩა, მეტადრე კი მთას. ხალხურ კალენდარში თავისი ადგილი დაიღო კვირიკობისთვის. გ. ჩუბინაშვილი საგანგებო გამოკვლევაში, რომელსაც ეწოდება „Изображение святого Кирика в грузинской чеканке“², ვრცლად წერდება ამ წმინდანის კულტის ზოგად-ქართულ ხასიათზე, იწყებს რა ხვანეთში, კალას თქმში, შემონახული ლაგურკის სალოცავით, სადაც 1183 წლით დათარიღებული ფერწერული ხატია კვირიკისი. გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევაში ჩართული ტექსტი „წამებაჲ წმიდისა კვირიკისი და დედისა მისისა იელიტაჲსი“³ (თეოდორე ეპისკოპოსის ეპისტოლეს ერთ-ერთი რედაქცია) მშვენიერი საბუთია იმისა, რომ ქართული ჰაგიოგრაფიის მნიშვნელობა მსოფლიო კულტურის ისტორიისათვის „უთარგმანია“, რაც „აქსიომას“ უდრისო, წერდა კ. კეკელიძე ჯერ კიდევ 1923 წელს აპოკრიფებზე მსჯელობისას⁴.

აქ წარმოვადგენთ „კვირიკეს და იელიტას წამების“ ორი ბერძნული რედაქციის თარგმანს. დაინტერესებულ მკითხველს ხაშუალება აქვს შეადაროს ეს რედაქციები ძველ ქართულ ხელნაწერებში დაცულ თარგმანებს, აგრეთვე გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევაში დასტავებულ ტექსტს.

¹ Menologii anonymi Byzantini saeculi X quae supersunt; fasc. II (e codice Hierosolymitano S. Sepulcri 17), ed. B. Latysev, Petropoli, MCM XII, გვ. 173 - 176.

² იქვე, 175, 7.

³ ლიტერატურული ძიებანი, თბილისი, 1944, გვ. 97 - 126.

⁴ გვ. 100 - 104. გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ.

⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 491.

წმინდა კვირიკეს და ივლიტას წამება

თეოდორე ეპისკოპოსის ეპისტოლე

1. თეოდორე, ღვთის წყალობით ეპისკოპოსი, ქრისტეს სახელით მოიკითხავს თავის საყვარელ ძმას ზოსიმეს, რომელიც მასთან ერთად ემსახურება ღმერთს და არის აგრეთვე ეპისკოპოსი. სწორედ იმის გამო, რომ ადამიანური ბუნების მტერს – ეშმაკს¹ – სჩვევია, კეთილი თესლით გაანაყოფიეროს ღვარძლი, ეკლესიის მწყემსებს² მართებთ ფხიზლად იყვნენ და ყველა უწმინდურსა და მოუნანიებელ ჩანაფიქრთან შეურევენელად დაიცვან ღმერთის აღმსარებლობითი რწმენის თესლი, რათა აღმოცნდეს, ღმერთის ნებისამებრ³ იზარდოს და უფლისთვის გამოიღოს მდიდარი ნაყოფი, რომელიც საზრდოდ ექნებათ კეთილად აღმსარებელთა⁴ და წმინდანების კვალზე დადგომის მოწა-

¹ როგორც წესი, *εχθρος* ბიზანტიელ მწერლებთან „ეშმაკად“ კონკრეტდება.

² ბერძნულ ტექსტში დაშვებულია ბიზანტიური ხანის გადამწერებისათვის ჩვეულებრივი შეცდომა (აღრეულია *η* და *ι*) ; წერია *τροφιμους*, ნაცვლად *τροφίμους* - ისა.

³ უნდა იყოს: ღმერთის მიხედვით? დედანში არის : *κατα Θεου*.

⁴ დედნისეული *ευσεβουστων* ჩანასახ მნიშვნელოვად უკვე ვარაუდობს „მართლმადიდებლობას“, რომელიც მერე „ორთოდოქსულ აღმსარებლობას“ (*ορθοδοξια*) დაუკავშირდა.

დინეთა ხულებს. ხოლო ამას ვამბობ შენს. სიყვარულზე ღმერთისადმი, ძვირფასო ძმაო, — სიყვარულზე, რომელმაც წერილით მოგაძიებინა ჩემგან, კინინისაგან¹, დარჩენილი იყო თუ არა თვით იკონიელთა² ქალაქში (გადმოცემის თანახმად, წარმოშობით აქედან იყვნენ გამარჯვებით დამშვენებული მოწამე ივლიტა და მისი დიდებული ძე კვირიკე) იმ წამების ამბავი, რომელიც ბევრს შემოუნახავს, მეტადრე უბრალო სოფლელებს, და რომელშიც ბევრი რამ ჭეშმარიტებას მოკლებულია; არა აქვს შენარჩუნებული³ რამდენადმე მწყობრი ხასიათი ან აზრთა თუ თხრობის თანამიმდევრობა.

2. ამრიგად, ავიღე რა ასეთი გამოსაძერწი მასალა და უფრო დაწერილებით გაეშალე, ენახე, რომ შენ, ყოვლად პატივდებულო, მართალი ხარ. სწორედ ისე, როგორც ვინმე მამათაგანი თავის სიტყვაში სხვათა და სხვათა გულისხმობს, ზოგიერთ ბაყაყთა და ჩხიკეთა ხმიანობას უდრის ამგვარ თხზულებათა უმეტესობა და მაცთურობისა და ორპირობის შეგონებამდე მიდის.

1 ასლითი თარგმანით: ჩემი კინინისაგან; დელანში: *της εμης κινινοσιγαν*.

2 ლათინურ თარგმანში იკითხება: ლიკონიელთა ქალაქ-სახელმწიფოში. შდრ. აქვე, პირველ რედაქციაში გვ. 18.

3 დელანში აღბათ უნდა გასწორდეს *σασασασασα* ად, რამდენადაც სიტყვა *μαρτυρολογιον* - ს მიეპარება.

ეფიქრობ, ღმერთის მეტროფევ, მსგავსი მოძღვრება ეკუთვნით მანიკეელებს, როგორც ამას მოწმობს ასეთივე ზნეჩვეულებები[და]¹ თვით წერილის გადაკრული სიტყვები², ან [ეკუთვნით] სხვა სარწმუნოების აღმსარებლებს, ან, შესაძლებელია, წარმართებს³ და ამოღო დაშვრებიან, ვინც ჭეშმარიტების ქადაგებას დასციინის⁴ და დაგებულ მახედ და სისულელედ თელის ქრისტეს ჯვარს. ხოლო მე ძალიან ბევრი ვიფიქრე შენს დაუალებაზე და, ყოველ შემთხვევაში, ვცადე, მიმეგნო მათი კეთილშობილური ღვაწლის აღწერი-სათვის.

3. ეს [საქმე] კარგად ვერ შევასრულე. ხოლო ფრიად გულმოადგინედ ვეძიებდი [ყოველსავე] და ალგილობრივ მკვიდრ მოხელეებს ვეკითხებოდი, იქნებ რამე სკოლნოდათ და ეამბნათ. და ასე, ქრისტეს-მოყვარე მარკიანოსმა, ტრიბუნსმა მწიგნობარმა (რომელიც თესტინიანე კეისრის საქმისმწარმოებელი⁵ გახლდათ, როდესაც ლაშქრის დაბანაკების⁶ დროისათვის ეს თანამდე-

¹ και აღდგენილია დედანში.

² დედანში წერია: *αινειγματων*; აღრეულია *ει* და *ι*.

³ აღრეულია *η* და *ι*: *εμνηκων*, ნაცვლად *εμνηκων* - ისა.

⁴ აღრეულია *αι* და *ε*: *διαπεζοτων*, ნაცვლად *διαπαιζοτων* - ისა.

⁵ დედანში არის *καγκελλαριος*, ლათინურ თარგმანში - *cancellarius*.

⁶ აღრეულია *αι* და *ε*: *στρατοπαιδικης*, ნაცვლად *στρατοπεδικης* - ისა.

ბობა დაწესდა), და უბრძნესმა ტენონმა, მასთან (მარკიანოსთან) ერთად რომ ბჭობდა მაშინ, ეს მიამბეს წმინდანების შესახებ; თითქოს ვინმე კეთილშობილთაგან გაეგონათ, რომ წმინდანების სისხლით ნათესავეები არიან, რომ ლიკაონიაში აღმოცენებული ყვავილია მარადხსენებული მოწამე ივლიტა, რომელიც განუკიცხავ ცხოვრებას აღწევს და ქრისტეს დიდებული მხეველია; ასე რომ მის ხსენებას დღესასწაულებზე ყოველ წელიწადს და ამას სხვათაგან გამორჩეულად იქმან ჩამომავლობითი ერთობის გამო.

1. ყოვლად უკეთური და რჯულის მგმობელი დიოკლეტიანეს კეისრობის დროს იყო ქრისტიანთა დიდი დევნილობა. კეისარს ვინმე დომიტიანოსი, მთავარი (κομητα), დაუყენებინა ლიკაონიის წინამძღოლად (ηγεμωνα), — კაცი კვლური, მრუხეშავი და მოწამებრივი სისხლისღვრით მომეტებულად გალაღებული, როგორც ნადირი. და იყო ქალაქ ლიკაონიაში ქრისტეს მოწამე ივლიტა, კეთილშობილი, ქალაქის წარჩინებულთაგანი. მან უსწოთველ ცხოვრებას მიაღწია და, ბუნებით ქრისტეს მორჩილი და მსახური, ღოცულობდა და ცრემლი სდიოდა მწუხარებს, რადგან ხედავდა, რომ კეთილადმსარებლობა ძლეულ იქნა, ბოლო ურწმუნოების წვედიადს

4. თუად ივლიტას ძარღვებში ჭეშმარიტად მეფური სისხლი დიოდა. როდესაც ლიკაონიაში დადგა დომეტიანოსი, უკიდურესად მხეცური ბუნების კაცი, ფრიად მოზარული მოწამებრივი სისხლის ღვრისა, და ამას მოჰყვა ქრისტიანთა დევნილობის ქარტეზილი,

ეპყრა მთელი ქვეყნიერება; თუმცა აღრევე ნახა ტირანის სიველურე, რარიგ შეუბრალებლად ხოცავდა, ვისაც პოვებდა ქრისტიანს ლიკაონიაში. შიშით ატანილი, რომ თავადაც არ შეეპყროთ, რისხვას გაეცალა, როგორც იყო დაწერილი, და წამოვიდა ლიკაონიიდან თავისი ძითურთ, ჯერ კიდევ ჩვილით (ძღვევამოსილებით განთქმულ კვირიკეზე გამბობ), და ორი მსახური ქალითურთ; ქრისტეს სიყვარულის გამო დატოვა მთელი თავისი საცხოვრებელი და ყველაფერს დანარჩენს აფასებდა ნეტარი პავლეს მიხედვით, რათა ქრისტე ჰყოლოდა ნუფედ. მივიდა სელევკიაში და დასვდა უფრო მეტი შფოთი და უფრო დიდი ბრძოლა ქრისტიანთა წინააღმდეგ. კეისარ დიოკლეტიანეს იქ წინამძღოლად გავგზავნა ალექსანდრე, რომელსაც კეთილადმსარებლობის მიმართ მძაფრი რისხვა და ბორჯენა დაუფლებოდა, ყველა ქრისტიანს აიძულებდა მსხვერპლი შეეწირა კერპებისათვის, ყოველგვარი სასჯელით სჯიდა და აწამებდა ურჩებს და უმწარესი სიკვდილით უღებდა ბოლოს. იქიდან წამოსული ივლიტა ჩავიდა ტარსოსს,

ივლიტა ორ მხვეალთან და საში წლის შეილთან ერთად (კვირიკეზე გამბობ; — ძღვევამოსილ მოწამეზე), გაიქცა იკონიულთა ქალაქიდან, სადაურიც იყო წარმოშობით, თავისი საკმაოდ დიდი საცხოვრებელი დატოვა და [ქალაქ] სელევკიაში გადავიდა.

7. მაგრამ ნახა, რომ იქ ქრისტიანებს უფრო მეტად ავიწროებდნენ, როდესაც ყოველად უწმინდური დიოკლეტიანეს კეისრობის ხანაში ვინმე ალექსანდრე დადგა სელევკიელთა მთავრად. მან, მიიღო რა კეისრის ახალი განკარგულება, ყოველნაირად აქეზებდა [მოხელეებს] იმათ დასასჯელად, ვინც მსხვერპლს არ სწირავდა ღმერთებად შერაცხულ კერპებს. ნეტარი [ივლიტა] კი „საღვთო წერილის“ სიტყვებს იხსენებდა: „ადგილ ეც რისხვასა“¹; რომ

¹ რომაელთა მიმართ, 12, 19.

რომელიც კილიკიელთა პირველი ეპარქიის დედაქალაქია.

2. ხოლო სიავით დაუოკებელი, ყოველად დამძიმებული ალექსანდრე, თითქოს ბრძანებით, ხელეკვიდან ტარსოსს გადადის, შეიპყრობს ქრისტეს ძლევა მოხილ მოწამეს ივლიტას და ძეს მისას - ქრისტეს მოწამე კვირიკეს, რომელიც დედას ჰყავს მიკონებელი. ივლიტას მსახურნი უძალ საიდუმლოდ განერიდნენ და შორიანლო მდგომნი უწერებდნენ, რასაც იქმოდნენ მის მიმართ. და იდგა მოწამე ქალი ალექსანდრეს შემადლებულ საბრძანებელთან. მთავარი ჰკითხავდა სახელს, თავადასავალს, სამშობლოს. ო, ნეტარო ხულო, რომელსაც ღმერთის სიყვარული მთლად დაგვიფულა. ვერც მსაჯულის ველურმა სახემ, ვერც ნაირგვარმა საწამებელმა იარაღმა, რომლითაც თვალებს ეძჭურნენ, ვერავითარმა ძალამ, მოწამის დახადრეკად მიმართულმა, მისი დიდებული და ძლიერი ხული ვერ მოამლოვრა. არათუ ხმამაღლა გაცხადებულად იღადადა, რომ ქრისტე არის უფალი და ყოველთა

საფრთხეში არ ჩაიგდინო თავი. განერიდა იმ ადგილს და წავიდა ტარსოსს, ანუ კილიკიელთა პირველი ეპარქიის¹ დედაქალაქში, სადაც თითქოს [მის კვალს] გაფოლილი მრისხანე² და გულღრსო ალექსანდრეს რაღაც ხელშეკრულების თანახმად (ხოლო ალექსანდრე ბოროტებით ბევრად აღმატებოდა დომეტიანოსს), შეპყრობილ იქნა ძლევა მოხილი მოწამე, ივლიტა, რომელსაც გულზე მიკონებინა თავისი სრულიად ჩვილი ძე - ღმერთისგან კვირიკედ წოდებული მოწამე. ხანამ ივლიტა ჯალათების ხელთ იყო, თავისმა მხვევლებმა მიატოვეს, საიდუმლოდ განერიდნენ და წავიდნენ. მერე [მოწამე ქალი] დადგა მსაჯულის შემადლებულ საბრძანებელთან და, ჰკითხავდა³ რა ალექსანდრე სახელს, სამშობლოს, თავადასავალს, [ივლიტა] გულწრფელად და თამამად მიუგებდა მსაჯულს: სახელი უფლისა, ქრისტესი, ღმერთისა სვენის, თვითონ ამოიკაწრა და ამბობდა: „ქრისტეანი ვარ“.

¹ ლათინურ თარგმანში წერია: provinciae

² აღრეულა ეი და ე: წერია ἄσπετος, ხელეკვიდან ἄσπετος ἄσპ.

³ ლუკანის: Πρωτομάρτυ. მღრ. I რედაქციის Πρωτομάρτυ: ლათინურ თარგმანში იკითხება interrogante.

მბრძანებელი (*δυναστος*), არამედ წინამძღოლის უგუნურებაში ცხადლივ დაარწმუნა კიდევაც მთელი ხალხი მას შემდეგ, რაც ასე მიმართა: „თქვენ, რომელთაც ღმერთი ცისა და მიწისა დააგდეთ, დემონებსა და ხისგან ნათალ უგრძნობელ კერპებს მსხვერპლს სწირავთ და ღლეს ჩვენ გვაძულვით შეეწიროთ“. მაშინ ვეღარ მოითმინა წინამძღოლმა მოწამის სითამამე და, დაუმცხრალი რისხვით გზნებულმა, ბრძანა, დაუყოვნებლივ აეგლიჯათ დედის [გულიდან] ყრმა და მასთან მიეყვანათ, ხოლო ყრმა ჩეილი და სათუთი იყო და არ უწყოდა წამგერულთა ნება, მიწაზე განრობმული წმინდანი დედა კი [დაკლული ხარის¹] უმაღლე [ამოცლილი] ძარღვებით დაუზოგავად იგვემებოდა. როდესაც ჯალათებმა ყრმა ძალით ააცალეს მოწამეს უბიდან, ტიროდა, ყეხებს აფართხალებდა და, რაც შეეძლო, დედისკენ ივლტოდა უკან მიქცეული და ცრემლით აღვსებულნი თვალი მასზე კრჩებოდა. მიიყვანეს ყრმა მთავართან და აღასრულეს დედაზე ნაბრძანებიც. მოწამე ქალი როგორც უსულო რამ ქან-

ხოლო გამძვინვარებულმა აღექსანდრემ ბრძანა, აეგლიჯათ [დედის გულიდან] ყრმა და მისთვის მოეგვარნათ, რათა [მსგავს შემთხვევაში სხვახაც] მწყაზარს და მშვენიერს, ვერაფერი ეეჭქრა ისეთი, რაც [მსაჯულს] სასიკეთოდ განაწყობდა. [ივლიტა] გაამზადეს, რომ [დაკლული ხარის] უმაღლე [ამოცლილი] ძარღვებით ეგვემათ დაუზოგავად. როდესაც ჯალათებმა კეთილშობილ მოწამე [დედას] ყრმა ძალით ააცალეს უბიდან, [კვირიკე] ტიროდა, ეწადა თავის დედასთან დაბრუნება² და თვალი მასზე კრჩებოდა; მიიყვანეს იგი წინამძღოლთან და აღასრულეს მსახურებმა დედაზე

¹ აღუდგინეთ, როგორც მიღებულია „წამებათ“ ტექსტითი. დროის ძარღვებით აწამებდნენ წმინდა გიორგის (აღესრულა 303 წ.) და სხვ. „კვირიკეს და ივლიტას წამების“ სხვა რედაქციის ძველ ქართულ თარგმანში, რომელსაც შეიცავს გ. ნუბინაშვილის ზემოხსენებული გამოკლევა, იკითხება „უზღლული ღუღი“.

² დედანში წერია: *παινοσθησαι*.

დაკება წამებათათვის განეწყო და აუტანლად გვეშული უმოწყალოდ აკუნწეს ჯალათებმა. არა ჰქონდა რა სხვა სათქმელი, ოდენ ეღერდა: „ქრისტიანი ვარ და დემონებს უგუნურად არ მიუენდობი, როგორც თქვენ, მათთვის მსხვერპლის მწირველნი.“

3. როდესაც ვმანწვილმა ნახა, რომ დედას ასე საშინლად აწამებდნენ, მწუხარებით აღიესო და თითქოს თავად უფრო მეტად ეწამებოდა. წინამძღოლმა ხელში აიგვანა, პირფერობით ცდილობდა [თავისას] და სთხოვდა, რომ აღარ ეტირა; მუხლებზედაც დაისვა და ამბორიც ინება. მაგრამ ყრმა სულ დედას მისჩერებოდა, წუსილი მისი უფრო მატულობდა, წინამძღოლს ხელს ჰკრავდა, იშორებდა, თავს განზე სწევდა, სახეს ფრჩხილებით უკაწრავდა; როგორც გონიერი გერიტის მშვენიერი ბარტყი, [დედის] ხმის ბაძვით ხშიანებდა წმინდა კვირიკე, დედისგან ნაქადაგებს ღაღადებდა და იმეორებდა: „მე ქრისტიანი ვარ“. რაკი ყოველმხრივ გზა მოეჭრა და არ იცოდა, თავის დედას როგორ დაბრუნებოდა, რადგან მთავარი არ უშვებდა, ფეხი ჰკრა მსაჯულს ფერ-

ნაბრძანებით; უმოწყალოდ გვემეს იგი. სხვას არაფერს უკახუებდა, გარდა ამისა: „ქრისტიანი ვარ და დემონებს მსხვერპლს არ შეეწირავ“. იელიტა როგორც უსულო რამ ქანდაკება მამაცურად გაქცავდა, გვემით ნათალი, და ერთნაირი ხმით დაუცხრომლად ღაღადებდა.

მაშინ წინამძღოლმა ხელში აიგვანა ყრმა, პირფერობით ცდილობდა [თავისას] და სთხოვდა, რომ აღარ ეტირა; მუხლებზედაც დაისვა და ამბორიც ინება.

7. მაგრამ ყრმა დაქინებით გასცქეროდა დედას, წინამძღოლს ხელს ჰკრავდა, (ხელებით) იშორებდა, თავს განზე სწევდა, თავისი ფრჩხილებით (წინამძღოლს)¹ სახეს უკაწრავდა; როგორც გონიერი გერიტის ბარტყი, [დედის] ხმის ბაძვით ხშიანებდა წმინდა კვირიკე, დედის ნათქვამს [იმეორებდა]: „მეც ქრისტიანი ვარ“. ფეხი ჰკრა ფერდში მსაჯულს; ვმანწვილური ბუნებისათვის ზომ ჩვეულებრივია, რომ ასეთ ვითარებაში [ჩვილმა] ბევრი

¹ „ხელებით“ და „წინამძღოლს“ სტილისტურად ტექსტს აუშინებს, ზედმეტია, რის გამოც ფრჩხილებში მოკათავსეთ.

დში; ეწადა ყმაწვილურ ბუნებას, როგორმე მოეპოვებინა ასეთ დროს ჩვილთათვის საწადელი. მძვინვარებდა ნადირი; ადამიანად სახედლების ღირსი არ არის, ვინც არ იქმნა ასეყოლად მშვენიერი ყრმის საქმის თანამზრახველი. ჩვილზე განრისხებული, მას ფეხში სწვდა და აიტაცა. ო, უწმინდური ხელი, რომელმაც [კვირიკე] თავით ძირს დასცა. მსაჯულის საბრძანებელი ფრიად მაღალი იყო და ძლევა მოსილი [ყრმა] მოწამე, აგრერიგად აღმსარებელი, თავით მიანარცხა ნაწახნაგებ საფეხურებს; [თავი მოწამისა] დარტყმის სიმძაფრისაგან დაილეწა და იმ სავარძლის წინ სისხლი დატბორდა. ღმერთს ხელთ მიაბარა სული, როგორც ამბობს დიდი დავით წინასწარმეტყველი: „მართალთა სულნი ღმერთის ხელთ არიან“. ეს რომ წმინდა ივლიტამ იხილა, თითქოს გამოუთქმელად კიდევაც აღივსო სიხარულით, რომ ასეთი ძღვენი მიართვა ღმერთს. „მადლობთ, უფალო, — ეუბნებოდა, — რომ ღირსი გამხადე მეხილა ძე ჩემი ჩემ წინ აღსრულებული და შენი სახიერების

იმოდროს უნებურად (*ατακτως*). ხოლო ამის გამო განრისხდა ნადირი (ადამიანის სახელს ვერ დაეარქმევე, ვინც არ იქმნა უშიშო [ჩვილის] საქმის თანამოაზრე); ფეხში სწვდა ყრმას, აიტაცა და მიწაზე დასცა მაღალი საბრძანებელიდან; ძლევა მოსილი მოწამე [კვირიკე], აგრერიგად აღმსარებელი, თავით მიანარცხა ნაწახნაგებ საფეხურებს; [თავი მოწამისა] დარტყმის სიმძაფრისაგან დაილეწა² და იმ სავარძლის წინ სისხლი დატბორდა. ღმერთს ხელთ მიაბარა სული ღმერთისგან აღნაგმა, რადგან მართალთა სულნი ღმერთის ხელთ არიან.

8. იხილა რა ეს წმინდა ივლიტამ, თითქოს სიხარულითაც კი აღივსო.

„მადლობთ, უფალო, — ეუბნებოდა, — რომ ძე ჩემი, ჩემ წინ აღსრულებული, ღირსი გახადე შეუბღალავი გვირგვინისა“.

1 το ὄξει - ს ნაცვლად უნდა იყოს : τω ὄξει . შდრ. I რედ.
2 καταπρυψεντος შეცდომა ჩანს. შდრ. I რედ. : καταπρυψεντος .

შეუბღალავი გვირგვინის ღირსად ქმნილი“.

4. აღშფოთდა ამის გამო მსაჯული და ბრძანა, შებორკილი [მოწამე] ქალი წესისამებრ¹ სულ აეკუნწათ და მღუღარე კუპრი ქვაბიდან მისთვის ფეხებზე გადმოეღვარათ; ხოლო წინამძღოლის ბრძანებით მაუწყებელი მიმართავს მოწამეს: „ივლიტა, შეიწყალე შენი თავი, შესწირე მსხვერპლი ღმერთებს და განერიდე წამებას. აღარ მოგაკვდინებენ ბოროტი სიკვდილით, როგორითაც ძე შენი მოაშორეს ამ უტკბეს ქვეყანას“. ღვაწლმოსილი დედა მოსალოდნელს ჭკრეტდა გონების სახედველით, წამებას კეთილშობილების სიდიადით იტანდა და გაცხადებულად ღაღადებდა: „მე ხისგან ნათალ ჩლუნგსა და უტკვე დემონებს მსხვერპლს არ შევწირავ, რადგან მოსავი ვარ ღმერთისა, რომლისგანაც ყოველი იშუა, და მწადაა ჩემს ძეს მივეწიო, რომ მასთან ერთად ვეღირსო ცათა სასუფეველს“. როდესაც ტირანმა იხილა ქრისტეს მოწამე ივლიტას სიმტკიცე და კეთილშობილება, ვეღარ გაუძლო წმინდანის სიყვარულს და ბრძანა, მახვილით მოეკვეთათ თავი მისთვის,

აღშფოთდა ამაზედ მსაჯული და უბრძანა არმენტარიოსს, შებორკილი [მოწამე] ქალი სულ აეკუნწათ და მღუღარე კუპრი ქვაბიდან მისთვის ფეხებზე გადმოეღვარათ. ხოლო მსაჯულის ბრძანებით მაუწყებელი მიმართავს მოწამეს: „ივლიტა, შეიწყალე შენი თავი, შესწირე მსხვერპლი ღმერთებს და განერიდე წამებას. აღარასოდეს გაგიმეტებენ სიკვდილისათვის, რომლითაც შენი შვილი აღესრულა“. ღვაწლმოსილი დედა, შეუცვლელად კეთილშობილი, ღაღადებდა: „მე დემონებს მსხვერპლს არ შევწირავ; მოსავი ვარ ქრისტესი, ღმერთის მხოლოდშობილი ძისა, რომლისგანაც ყოველივე შექმნა მამა [ღმერთმა]. და ვეშურები, რომ ჩემს შვილს მივეწიო, რათა მასთან ერთად ვეღირსო ცათა სასუფეველს“. ველურმა მსაჯულმა, რომლის სიმამრმა ყოველგვარი საზღვარი გადალახა, იხილა რა მოწამე ქალის მტკიცე წინააღმდეგობა, ბრძანა განაჩენი მასზედ: თავი მოეკვეთათ მახვილით, ხოლო ნეშტი მისი შვილის [ნეშტთან] ერთად განეციხულთა და დასჯილთა ალაგას დაეგდოთ.

¹ „წესისამებრ“ ვიკარუდებუ ღელანსი არის *αγιασαστως* (?). შტრ. II რედ.

სხეულები კი დედა-შვილისა განკიცხულთა და დასჯილთა ალაგას დაყარნათ. ადათით დათქმულ აღსრულების ადგილს რა მიაშურა წმინდანმა, ევედრა ჯალათებს, რომლებსაც იგი მიჰყავდათ, სულ მცირედ დაეხანებინათ სალოცავად. ნება დართეს და მოიყარა მუხლი, ილოცა და თქვა: „მაღლობთ, უფალო იესო ქრისტე, რომელიც ჩემზე უწინ შეეწიე ძეს ჩემსას, ღირსი გამხადე შენი შემოუვლებლად დიადი და წმინდა სახელისათვის დავეტოვო ეს ამაო წუთისოფელი და შენს წმინდანებს შევეურთდე საუკუნო ცხოვრებისათვის. მეც შემეივრომე, მბრძანებელო, შენი უღირსი მხვეალი, და გონიერ ქალწულებს მიმათვალე შენს საუკუნო და უბრწუნელ საქორწინო სამყოფელში, რათა მათთან ერთად გადიდო და აღვიარო ყოვლისმპყრობელ ღმერთად ძესა და წმინდა სულთან ერთად სამარადისოდ. ამინ.“ როდესაც ლოცვა გაასრულა, ციხის მცველმა პატივით მოსილი თავი მყისვე მოჰკვეთა მახვილით და წმინდანეშტი ტირანის ბრძანებით ქალაქის გარეთ დაავდო, სადაც ძლევაშოსილი მოწამის კვირიკეს წმინდა სხეული ესვენა როგორც შეურაცხთაგანის.

5. ღმერთის მაღლით აღეს-

9. ჯალათებმა [წმინდანს] ალვირი ამოსდეს პირში და ბრძანების შესასრულებლად მიიყვანეს ადათით დათქმულ ადგილს. ხოლო ივლიტა ჯალათებს მცირედ დახანებას ევედრებოდა, რათა ელოცა თავისი ღმერთის წინაშე. როდესაც მათ გული იმდენად მოუღბათ, რომ ცოტა დრო მისცეს, მუხლი მოიყარა, ილოცა და თქვა: „მაღლობთ, უფალო, რომელიც ჩემზე უწინ შეეწიე ჩემს ძეს, ღირსი გამხადე, შენი სახელისათვის დავეტოვო აწმყო ესე და ამაო წუთისოფელი და საუკუნო ცხოვრებისათვის წმინდანებს შევეურთდე. მეც, შენს უღირს მხვეალს, ამ დიდი სიკეთისათვის მიმადწვევინე, რომ მივეთვალო გონიერ ქალწულებს, რომლებიც ღირსნი გახდნენ შესულიყვნენ შენს საუკუნო და უბრწუნელ საქორწინო სამყოფელში, და ჩემი სული ადიდებდეს მამას შენსას, ყოვლისმპყრობელ ღმერთს და ყოვლისავე შემოქმედს, და შენ, მის მხოლოდშობილ ძეს, და სულს წმინდას სამარადისოდ. ამინ“. რა გაასრულესა მახვილი, კეთილშობილი თავი მოჰკვეთა და მისი სხეული ქალაქის გარეთ დაავდო, სადაც ძლევაშოსილი მოწამის [კვირიკეს] ნეშტი ესვენა როგორც შეურაცხთაგანს.

12. ღმერთის მაღლით



რულნენ ქრისტეს მოწამე იელიტა და ძე მისი და ქრისტეს მოღვაწე კვირიკე ივლისის თვის თხუთმეტს; სანათესავო მათი იყო მშვენიერსა და საჩინო ქალაქს ლიკაონიას, ხოლო იკონიონში¹ ჰქონდათ მამული, ამაო წუთისოფლის სამოსახლო და სამკვიდრებელი, და წამების გზით თითქოს ჭეშმარიტად გაბრწყინებულნა და უხრწნელი ცხოვრების მომკოვებელნი, აწცაში მოქალაქობენ და მოწამეთა გუნდებთან ერთად გამოუთქმელი სიხარულით ხაუკუნოდ ზეგარდმო ტყებთან და იამებენ. წმინდანი დედის ორმა მხვევალმა ღამით წმინდა სხეულები წაასვენა და დაკრძალა პატოით. და ჰქონდათ თავისთან დაუწყვეტელი საიდუმლო წყარო იმათი კურნებისა, რომელნიც სიყვარულითა და რწმენით წმინდანებს უახლოვდებიან. ხოლო მხვევალთა შვილებიდან ერთ-ერთმა, წმინდანთაგანი კეისრის კონსტანტინეს დრომდე გადარჩენილმა, ყველასთვის ცხადყო ადგილი, სადაც წმინდანები დაიკრძალნენ; ცხადყო იქ მომბღარ აურაცხელ ხახწაულთა საშუალებით უფლისა ჩვენის იესო ქრისტეს, მისი დაუხაბამო მამისა და ყოვლად წმინდა და მაცოცხლებელი

ალესრულნენ ღვაწლმოსილი იელიტა და მისი ღიდებული ძე კვირიკე ივლისის თვის თხუთმეტს;

ხოლო მეორე ღამეს² მოწამე დედის ორთავე მხვევალთა წაასვენეს დედა-შვილის სხეულები, გამოქვაბულში შეაფარეს და დაკრძალეს მიწაში ტარსელთა საზღვრებს შიგნით. ხოლო როდესაც ჭეშმარიტება დღის სინათლეზე იქნა გამოტანილი და ეკლესიები ღმერთის მადლით განბრწყინდნენ, იელიტას მხვევალთა შვილებიდან ერთ-ერთმა, ლეთისმოსავი კონსტანტინე კეისრის დრომდე გადარჩენილმა, გაამხილა [საფლავის] ადგილი. ყველა მომსწრე ლეთისმოსავი ემურებოდა, მოწამეთა წმინდა ნაწილებიდან თავისთვის სიცოცხლის ძალის მიმცემი წილი

¹ შტრ. კ. ლატოშუის გამოც. Menolog., 174, სტრიქ. 10: *Iconian*.

² ღელანში არის : მეორე დღეს, ღამით.

ბელი სულის სადიდებლად, – განუყოფელი ერთისა, რომელსაც ჰმეუნის ყოველი დიდება, პატივი და თავანება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მიელო.

ამრიგად, ჭეშმარიტებით აღბეჭდილი და განსჯილი ეს [ამბავი] აღვწერე შენი ღმერთის-მეტრფე სულისათვის მისანიშნებლად. მიანდევ ეს მორწმუნეებს, რომლებიც შესაფერისი იქნებიან, სხვებსაც ასწავლონ და სრულად დაუცხრონ ინტერესი არა საიმისოდ, რომ აშკარად იგავით თხზული ნაწერი ყველას სათრეველად იქცეს, არამედ იმისათვის, რომ ჭეშმარიტება იწამონ. უფალს ჩვენსას – იესო ქრისტეს, მასთან მამას და წმინდა სულს დიდება, პატივი და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

კვირიკეს და ივლიტას გალობანი XI საუკუნის იადგარიდან

ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში დაცულია არაერთი (ნათარგმნი თუ ორიგინალური) საგალობელი კვირიკეს და ივლიტასადმი. „წამების“ ტექსტს ეურთავთ ერთს, ნაკლებად ვრცელს, არასრულ გალობანს, რომლის ქების საგანია კვირიკეს და ივლიტას მოწამებრივი ღვაწლი. ეს გალობანი მოთავსებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S-552 ხელნაწერში - XI საუკუნის იადგარში, სადაც წმინდა პროკოპის შეწვეტილ გალობანს (რომელიც სხვა ხელნაწერებში სრულადაც მოგვეპოვება) ებმის ივლიტას და კვირიკეს გალობანის VII-IX ოდები („კურთხეულხარსა“, „აკურთხევედითსა“, „ადიდებსა“) და დასდებულნი „აქებდითსა“ ერთიანი აკროსტიქით: „შუენიერსა ივლიტას უგალობდეთ“ (ფ.19r-21r)¹.

კურთხეულხარსა

ძლისპირი: უფრომსად ამ[აღლებულმან].

შესწირენ ვითარ საკუერთხნი / მსხუერპლთანი შენ-თანანი იგი /
ოთხას ოცდაათნი, რომელნი წარდგეს წინაშე უმჯულოთა მძლავრთასა /
და ღაღატყვეს: „აღვიარებთ / ყოველნი მადიდებელსა კვირიკესსა“.

უფლისა მიმართ ბეჭდითა / აღიბეჭდნენ შენ მიერ, / განვიდეს
მოსიკუდილად ქრისტესთვს / ჰერობილნი იგი შენ თანა, კვირიკე, / და
მოკუეთითა თავთაჲთა / მიიღეს გვრგვნი იგი მოწამეთაჲ.

ეჰა სახიერებაჲ / ღმრთისაჲ, / რომელი არუენა შენ ზედა, / რაჟამს
სატანჯველნი შენნი, / ღირხო, განეწონნეს მძლავრსა; / ხოლო მან ჯმა-ყო:
„დიდ არს ღმერთი, / რომელი შეეწვეის წმიდათა მისთა“.

ნათლითა საღმრთოთა ბრწყინვალე / ივლიტა გვედრებოდა შენ,
/ რაჲთა მიემსგავსო ქრისტესა / და ღოცვითა შენითა წმიდითა / განჰკუ-

¹ იხ. ლ. კვირიკაშვილი, ჰიმნოგრაფიული კანონის კოპიოზიცია, თბილისი, 1982, გვ. 56.

რნო მტანჯველი ჩუენი / და ჩუენ ვადიდებდეთ ღმერთსა ყოველთასა.

იხილე ტანჯეასა შინა / უშჯულოჲ იგი, მოწამეო, / ითხოვე მისთვის უფლისაგან, / ღირსო, რაჲთა წყალობა ყოს მის ზედა, / განჰკურნე და ადიდებდი / ღმერთსა, მომნიჭებელსა ცხოვრებისასა.

ესვეითართა სასწაულთა / ზედა კუალად ეგულება ტანჯეაჲ / და, რაჲჲამს ენება ცჳმაჲ შენი, / მიექცა მახვლი პირსა მისსა, / ხოლო შენ ჳმაჲ-ჳყავ: „კურთხეულ ხარ, მამათა [ჩუენთა ღმერთო]“.

რაჲჲამს ენება განხერხეაჲ / თქუენი, მოწამენო, რკინითა, / არამედ ქრისტეს შეწვენითა / არა შეგეხნეს იგინი ჳორცთა თქუენთა / და თქუენ ჳმაჲ-ჳყავთ: „კურთხეულ ხარ, / მამათა [ჩუენთა ღმერთო]“.

აკურთხევედითსა

ძლისპირი: მჳსნელო ყოველთაო.

საგესენო მადლითა, / განიხერხენით / ძელისა ხერხითა / ვითარცა პირველ ესაია / ჳმამაღალი / და აწ მის თანა ჳლაღადებთ: „აკურთხევედით დღეს / საქმენი უფლისანი უფალსა“.

არა დასცხრა ბილწი / იგი მსაჯული / ბოროტის ყოფითა / თქუენ თანა, ღირსნო, / და დაწუნა მან ჳორცნი თქუენნი / წმიდანი, ხოლო თქუენ სულითა იტყოდეთ: / „გაკურთხევთ, ქრისტე, უკუნისამდე“¹.

იხილნა რაჲ ღმერთმან / ასონი თქუენნი / ცეცხლითა დამწუარნი / უღმრთოთა მიერ, / შთაგებრა სული ცხოველი, / განგაცხოველნა ყოველითურთ, რაჲთა აჩუენოს, / ვითარმედ უფლებს ცხოველთა და მკუდართა.

ვითარცა გურიტსა რაჲ / ბეჳთა გეტჯრთა / მართუე იგი შენი, / ბრძენო იელიტა; / წარუდგინე იგი მსაჯულსა / და არქუ მას: „ჩუენ ცხოველ ვართ უფლისა მიერ, / რომელსა ვაკურთხევთ უკუნისამდე“.

ღირწად მოსისხლე იგი / უღმრთოჲ მსაჯული / განცხბრებულ იქმნა, / რაჲჲამს იხილნა / ქრისტეს მოწამენი ცხოველნი, / ჳმა-ყო ჳმითა: „დიდ არს ღმერთი კვრიკესი, / რომელი აცხოვენებს მოსაეთა მისთა“.

ადიდებსა

ძლისპირი: შენ შორის აღესრუ[ლა].

1 მითითებულთა : „მორწმუნეთა ერ.“

იხილეს რამ კრებულთა / საკვრველებად / ღმრთისა მალლისად,
ჴმა-ყვეს ერთითა ჴმითა: „არა არს სხუად ღმერთი დიდ, გარნა ღმერთი
კვრიკესი, / რომელი შეეწევის მოსავთა მისთა“.

ტამარსა ბრწყინვალესა / შემოკრებულნი, / ვდღესასწაულობთ
გალობით შესხმითა, / მოღუაწენო, / კვრიკე და ივლიტა, მოგვკესენენით
ჩუგნცა, / რომელნი სურვიელად პატივ-გვქმით თქვენ.

აღურინებულნი ზუცას, / მღვამარე ხართ თქვენ / განბრწყინებულნი
ცხოველითა მით ნათლითა; მეოხ გუგუგენით, / აღმასრულებელთა დღესას-
წაულისა / თქუენისათა, რაჟთა გალობით გადიდებდეთ.

სიმრავლე მორწმუნეთად / ტამარსა თქუენსა / უკორცოთა კრებულსა
/ თანა გადიდებენ / და უგალობენ / და უგალობენ / სამებასა, არსებით
მიუნდომელსა, / რომელმან სატსენებელი თქუენი აღიდა.

აქებლითსა

მლისპირი: რომელი იწოდა.

უნყას ღმერთმან პატივი მოჴუარეთა მისთად, / რაჟამს-იგი არა
პრწმენა / უღმრთობა მძღავრსა / ღმრთისა მიერ აღდგომად თქუენი, /
ითხოვდა იგი ხასწაულთა / დამტკიცებასა მას, / ხოლო შენ, ღირხო,
ჴმაუყავ საცხოვარსა / და აღადგინე ცხოველი / და უწუენე ქრისტეს ძალი,
რომელმან / გარდაართხნა ცანი ვითარცა კარავნი, მანვე დააფუძნა ქუეყანად
წყალთა ზუდა, / მისა მიმართ, კვრიკე, ნუ დასცხრები კუდრებად ჩუენთვხ.

განადიდა უფალმან სახელი შენი / და აღვისრულა მან ითხოვად /
განდიდებითა ტკბილითა მით, რომელ აკურთხე / და განამღიერუნ მსგავსად
მისსა / ჩუთ ათახნი, ღირხო, ზუარაკთაგან, რომელთა უწოდე ჴმითა / და
აღადგინენ; მაშინ ერთა ჴმა-ყვეს: „დიდ არს ღმერთი ქრისტესი და ივლიტამხი,
/ რომელი აცხოვნებს კაცთა და საცხოვართა, / განადიდებს მცირეთა / და
დაამდაბლებს დიდთა, - მას ყოვლადვე თავუყანივსცემდეთ“.

აღსრულებითა შენ მიერ ხასწაულთადთა / ვესებიახ და დემეტრეს /
პრწმენა უფალი / და ღირს იქმნეს ნაწილსა შენსა, / რამეთუ ყრმად ჩნვლი
წარუძღლე ათახულთა მათ / და მოუყერუნ იგინი ღმერთსა შენსა, / ვითარცა
ძღუენნი სამუეეონი ; / ამისთვხ განცხადებამან საღმრთოთა / სიტყუათამან,
ღირხო, გონიერ გყო და / მოიგე შენ ცხოვრებად იგი წარუეალი და /
გვრგვინ დაუჭნიობელი, ნეტარო კვრიკე ბრძენო.

ლამპრის სახელ მნათობნო, ქრისტეს მოწამენო, / აღივხო

გულისწერომითა / უღმრთოდ მსახურელი / თქვენთვის და უბრძანა ნტარვალთა,
/ რაჟთა აღადღულონ სიავე / ნავთითა და ფისითა, / განაძნონ, რომლისა
გრგვნიად მსგავს იყოს / ქუხილისა, რაჟთა მას შინა / შეგახინეს მსგავსად
აზარიელთა; / რომელი მათ შორის მეოთხედ გამოჩნდა, მანვე აჩუენა თქვენ
ზედა საკვრველებად. / იგი არს ღმერთი აბრაჰამ, ისაკ და იაკობისი.¹

ოზბიწომან ივლიტა ღმერთშემოსილმან / იხილა რად მფოფინარე /
სიავე იგი, / შეუძრწუნდა გონებაჲ მისი, / მოაუძღურა ბუნებაჲმან /
დედაკაცობრივმან, / ხოლო რტოდ შუენიერი განამტკიცებდა / ძირთა და
ეტყოდა: / „ნუ გეშინინ, / დედაო, ნუ მოუძღურდები შენ / ამის სიავესათვის;
ღმერთმან, რომელმან / ანანიად, აზარია და მისაეღლ იქსნა საკუმილისაგან /
ბაბილონს, მანვე განმარინეს ჩუენ“.

ბუნებითა უცვალეებულად გამოშნდი შენ / სინჩოებასა, კვრიკე, /
რამეთუ ექმენ / მამა ხელითა უბიწოსა / მშობელსა შენსა და ეტყოდე: / „რო-
შელმანცა იქსნა / სუსანა ხელკვიამს და აქიამსგან / და დანიელ პირთა
ლომთამსა, / მოვიდოთ ჩუენ ხანუ იობისი, / მის თანა ვიტყოდიოთ: / „კურთხეულ
არს ღმერთი; ვითარცა კნებაჲს, / ყვენ ჩუენ ზედა ნებაჲ მისი: / იგი არს
ღმერთი, რომელსა კნებაჲს ყოველთა კაცთა ცხოვრებაჲ“.

დიდებულნი ითქუნეს შენ ზედა, წმიდაო / ქალაქო, კვრიკე / მოვიდა
მაღლით, / ხული წმიდაჲ ცხოველს-მყოფელი, / განამტკიცა ნეტარი ივლიტა;
/ კმა-ყო შენდა მომართ: / „მოგუაღე, შეილო, მივისწრაფოთ სიავედ, /
(განმასორა ლოცვამან შენმან / მიშისა ბნელი და აღმავსო მე / ნათლითა),
შევიდეთ სიმკნით მას შინა, / ვითარცა ცუარსა, და გარცხვინოთ / მტყრსა
ჩუენსა / და მივემთხვნეთ განმზადებულსა დიდებისა გვრგვინსა“.

ერთობით შეითხინეს წმიდანი იგი / ხაშინელსა მას სიავესა /
მფოფინარესა, / ხოლო კვრიკე ილოცვიდა: / „ესე არს სიხარული ეზოთა /
უფლისა ღმრთისათაჲ, / რამეთუ დაწერა დედაჲმან ჩემმან / წიგნი იგი
მარგალიტითა, / დედად ჩემდა არს კელესიაჲ და / მარგალიტ არიან
ღმრთისა სიტყუანი, / არამედ წიგნ ჩემდა არს ხული წმიდაჲ / და გალობა
ქრისტე, მამისა თანა დიდებული“.

თავე სიბრძნისაჲ და თუალი იგი ხულისაჲ / შეიყუარეთ,
განბრძნობილნო / ლუაწლისა მძღენო, / ქრისტეს მკედარნო, კვრიკე და /

¹ მითითებულა : რომელსა ქდა.

იელიტა, სიმკნით მოილუაწეთ ღუაწლი, / სრბად აღასრულეთ თქუენ / და
სარწმუნოებად დაიძარხეთ და ღირს იქმნენით შესლვად / ბრძენთა მათ
თანა ქალწულთა / გვრგვნითა წამებისაძთა / შემკობილნი. მოგვკსენენით,
რომელნი ღირსად ყოლად წმიდასა კსენებასა თქუენსა ვადიდებთ.

გრიგოლ ნაზიანზელი

გრიგოლ ნაზიანზელი (დაახლოებით 329/330 - 389/390 წწ.) იყო
ის პიროვნება, რომელიც, მიუხედავად მისი საოცარი პოპულარობისა
(იგი ერთ-ერთი აღიარებული და სათაყვანო კაპადოკიელი მამა იყო
ბასილი კესარიელთან და იოანე ოქროპირთან ერთად და, ამასთან, იოანე
მახარებლის შემდეგ სვიმეონ ახალ ღვთისმეტყველამდე ერთადერთი იყო
ღვთისმეტყველის წოდების პატივით შემკული) და, მიუხედავად მისი საოცარო
ორატორული ნიჭისა, რაც ხალხთან, მრევლთან ურთიერთობას მოითხოვდა,
ცხოვრების ბოლომდე, შეძლებისდაგვარად, რამდენადაც გარეშე მიზეზები
აძლეუდა ამის საშუალებას, თავისი შინაგანი მრწამსის ერთგული დარჩა.
„დასვენილი, შთამბეჭდავი და თვითნაღრმავებული, სულით ხორცამდე
ლიტერატორი“ გრიგოლი (ს. ავერინ(ჯეი))¹ მუდამ განმარტოებულ ცხოვრებას
და ინტელექტუალურ თვითშემეცნებას ესწრაფოდა. შემოქმედება მისთვის
იყო „თვითგამოზატვის საშუალება“ და ქადაგებითს ხასიათთან ერთად
(რაც წმინდა მამებს სჩვეოდათ) მისი საუკეთესო ნაწერები აღსარებითი
და პოეტური ხასიათითაც გამოირჩეოდა. თვითნაღიზის კულტურის
მიხედვით მის პოეზიას ავეუსტინეს „აღსარებათა“ წინამორბედადაც
მიიჩნევენ.²

ღრმად განსწავლული, ელინურ ლიტერატურულ ტრადიციებზე
აღზრდილი გრიგოლი (განათლება მიიღო კაპადოკიაში, პალესტინის
კესარიაში, ალექსანდრიაში, ათენში), სწორუპოვარი რიტორი ქადაგებებში,
შეურიგებელი მებრძოლი ჭეშმარიტი ორთოდოქსული რწმენისათვის
ერეტიკოსებისა და ცრურწმენების წინააღმდეგ, ნიკეის საეკლესიო

¹ Памятники византийской литературы IV–IX веков. М., 1968. с. 70.

² G. Misch, A History of Autobiography in Antiquity, II, London, 1950, p. 600-667.

კრების დოკუმენტების დამცველი არიანებისაგან და ამ დოკუმენტების (უშთაერესად ხაშების და მისი ჰიპოსტასების) ერთ-ერთი პირველი განმამტკიცებელი და გამფორმებელი ბასილი კესარიელთან და გრიგოლ ნოსელთან ერთად, საოცარი მეგობრობისა და ერთგულების მცოდნე ეპისტოლეების მიხედვით (რომლებიც გრიგოლის პიროვნებასაც გვაცნობენ და მის მღელვარე გარდაშვალ ეპოქასაც), სულიერი თვითნაღიზით და თვითშემეცნებით დააკვებული პოეზიაში, იძულებულია პერიოდულად ეკლესიას ედგას სათავეში, წინააღმდეგ მისი სურვილისა, და უკომპრომისობის გამო (ეს შინაგანი სიმართლე მის შემოქმედებაშიც გაცხადდება) იძულებულია დატოვოს კონსტანტინეპოლის საკათედრო ტაძარი, ბოლომდე ერთგულია რწმენისა და დაუნდობელი განმსჯელი დაღატისა. გასაკვირი არაა, რომ ახალი ფორმების დამკვიდრებამდე ახალი, ქრისტიანული მსოფლშეგრძნება ჯერ კიდევ ტრადიციული ანტიკური ფორმით (ქანრი, ხაზომი, ენა, ზოგჯერ მხატვრული ხახები) გამოიხატება. გრიგოლი ქმნის მძაფრ სატირულ ლექსებსაც ვაიმთხზველების წინააღმდეგ, ყოველი ეპოქისათვის თანადროულს, მიუხედავად მათი პიროვნული ხასიათისა. ამიტომვე არ არის გასაკვირი, რომ გრიგოლი ეძებს განმარტოებულ ცხოვრებას,¹ თუმცა სწორედ განმარტოებისას დაწერილი ლექსები არანაკლები მოქალაქეობრივი პათოსითაა შექმნილი: გრიგოლის როგორც აუტობიოგრაფიულ პოემებში, ისე ჰიმნებსა და ლირიკულ აღსარებებში პიროვნული განცდები ზოგადსაკაცობრიო შინაარსს და ჟღერას იძენს. იმასაც დაძებნთ, რომ იგი ახალგაზრდობისთვისაც წერდა (იხ. მისი „ხაკუთარი ლექსების შესახებ“ – PG 37, carmen II, 1, n. 39). აი, მაგ., ლექსი „ხაკუთარი სულისადმი“: „ცანთაი თვისი: ვინ ხარ და სადა მიხუალ, ვინამ მოხუედ შენ და სადა დგომა

1 იგი ვერ ძლებს იმ სასულიერო პირთა და პრეველ შორის, რომელნიც „არა უძიებენ მღელვთა, არამედ მტკუელთა რიტორთა, არც მნეთა სულისათა, არამედ მცუელთა საფასისათა, არცა შემწირველთა წმიდათა, არამედ შემწეთა ძლიერთა“, და, რადგან ერისთავთა და მთავართა ბაძუ არ შეეძლო გრიგოლს (მათერ მუკლის აღმოვება და სივლახაის შეურაცხებად მიწნევა), დატოვა სამწესო: „უკუეთო ამის ყოვლისა არა ქნა ბოროტ იყო, წარჯდა. აწ შემინდვეთო ესე უსამართლოებად და სხუად დადგიინეთ, რომელი სათნო-ვეფოდის მრავალთა. ზილო მე მომვეციო უღაბნოდ და მუედროებად და ღმერთი, რომელსაცა მზილოსა სივლახაისა და უნდობისა მიერ სათნო-ვეფო“ (ასურვასისთა მიმართ ეპისტოქოსთა, რომელი შეკრბეს კონსტანტინეპოლს, რაცამს იჯმინდა მატრიარქობისაგან. ექვთიმე ათონელის თარგმანი, P - 3, 217r. PG 36, or. 42, § X XIV).

გიღირს" (ძველქართული თარგმანი, S – 2568, 53 v. PG 37, carmen II, 1, 0.79).

გაეიხსენოთ გურამიშვილი:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო,
ვინ არის, სიღამ მოხულა, სად არის, წაეა სადაო“

ან ილია: „ღიღი სიბრძნეა კაცისა ცნობა თავისის თავისა“.

თვითშემეცნება, საკუთარი თავის ცნობა არანაკლებ მოქალაქეობრივია. სწორედ აქედან იწყება ღვაწლიც და თავდადებაც კაცთათვის.

გრიგოლი – მშვენიერი მქადაგებელი, ორატორული და ეპისტოლარული ხელოვნების ბრწყინვალე მცოდნე, რომლის აზრი თავისთავად პოეტურ ნაკადად წარმოდინდებოდა (შდრ.ოვიდიუსი: „რასაც მე პროზით ვწერდი, ლექსად იქცეოდა თავად“ Trist. IV. შდრ. აქვე, II, 1, 41, ტ. 56). ასეთად იყო და არის იგი ცნობილი. ცხადი და ნათელია მისი დამსახურება ორატორულ და ეპისტოლარულ ჟანრში, აღიარებულია მისი პოეზიაც¹, მაგრამ „მანაც, როგორც ღიღი პოეტი ლირიკოსი გრიგოლი ჯერ კიდევ არაა ჯეროვნად შესწავლილი და შეფასებული“ (ლ. ფრეიბერგი)².

გრიგოლის პოეზია არის სრულიად თავისებური და გამორჩეული მოვლენა ბერძნული პოეზიის ისტორიაში, რომლის მსგავსი არც ფორმით და არც შინაარსით არ ჩანს, არამცთუ მის თანამედროვეთა, არამედ არც წინამორბედთა და არც შემდგომდროინდელ პოეტთა შორის. ვგულისხმობთ არა ანტიკურ მეტრს და კომპოზიციას, რაც შემდგომშიც ჩანს ბიზანტიურ პოეზიაში, ან ახალ ქრისტიანულ შინაარსს, რაც, ბუნებრივია, არსებითია ბიზანტიური პოეზიისათვის, არამედ ვგულისხმობთ ორისავე ამის თავისებურ, მხოლოდ გრიგოლისეულ შერწყმას, ანუ იმას, რომ ამგვარი ღრმა ლირიზმი ანტიკურ ფორმაში მხოლოდ გრიგოლთანაა გამოხატული, თორემ იგი (ლირიზმი) საერთოდ გასდევს მთელ ბიზანტიურ ე.წ. რიტმიულ პოეზიას. სწორედ ანტიკური ფორმით (თითქოსდა თვითმიზნურადაც) არის გრიგოლის პოეზია პიროვნული და არა ლიტურგიკული, მედიტაციური და არა საჯაროდ შესასრულებელი და განკუთვნილია მხოლოდ საკუთარი სულის და

¹ შეტად პრავლარიცხოვნა მისი ქადაგებებიც (45), ეპისტოლეებიც (250) და ლექსებიც (400).

² Л. А. Фрейберг, Византийская поэзия IV–X вв. и аггичные традиции. — Византийская литература, М., 1974, с. 28, 34.

ადამიანური ცხოვრების მრავალი მხარის გამოკვლევით დაკავებულთათვის. გრიგოლის მიერ დაწვებულმა გზამ ქრისტიანულ პოეზიაში (მოტივები, განწყობილება, ახალ მხატვრულ სახეთა სისტემა და სხვ.) განვითარებას და სრულყოფას მიაღწია შემდგომდროინდელ ლიტურგიკულ პოეზიაში, რომელმაც, გრიგოლის პოეზიისაგან განსხვავებით, პიროვნულამდე ჩამოიშინა ზოგადადამიანური, ხოლო, პირიქით, პიროვნულის საკაცობრიოდ აუღერება გრიგოლმა მშვენივრად შეძლო ანტიკური მეტრით და ძველი ენით დაწერილ ჰიმნებშიც და ლირიკულ აღსარებებშიც (ამათგან განსხვავდებოდა გრიგოლისავე სასაუბრო ცოცხალი თანამედროვე ენით შექმნილი პოშილიები, რომელთა მთელი პასაჟებიც, პოეტური რიტმის გამო, თავის მხრივ, წყარო გახდა შემდგომში რიტმიული ლიტურგიკული პოეზიისათვის¹). ეს გზა ფსალმუნური ლირიკული მიმართებისა და ღმერთის წინაშე გოდებისა, ბიბლიიდან მომდინარე, თანდათან გამღიერებული და გაღრმავებული, გრიგოლის პოეზიის გავლით გასდევს მთელ ქრისტიანულ კიმნოგრაფიას.

გრიგოლს, როგორც ორიგინალურ პოეტს, მცირე ფორმის კიმნი-აღსარებები წარმოაჩენს უპირველესად. პირველად სწორედ გრიგოლთან ვხვდებით საკუთარი სულისადმი მიმართულ გადაუჭრელი მარადიული კითხვებით აღსავსე ლექსებს („ხადა ზუალ, სულო, ვინაჲ ზუალ, უბადრუკო“ და სხვ.), პიროვნულ მიმართებას ქრისტესადმი („ქრისტეო ჩემო“...). მას აქვს აგრეთვე მთელი ციკლი ლექსებისა ბოროტთან შინაგანი სულიერი ბრძოლის შესახებ, რომლებშიც ზნეობრივი სრულყოფილების მაძიებელი პიროვნება ჩანს („წარვედ, ზ სულო, ბოროტთამცა შეაშობ“; „მეველტე, ზ მკვეცო, ბოროტო, კაცისმკვლელო“... და სხვ.). ამგვარმა მარადიულმა ბიბლიურმა სახეებმა და განწყობილებებმა, პიროვნულად და შინაგანად ნაგრძნობმა, ახაზრდოეს შემდგომდროინდელი პოეზია და განსაკუთრებით რომანტიზმი², სადაც ეს უკვე ახალ რომანტიკულ შინაარსს იძენს (წინააღმდეგობა უფრო სინამდვილესა და პიროვნებას, ოცნებასა და რწმენას შორის). მართალია, რომანტიკოსთა შემოქმედებისათვის საერთოდ ნიშანდობლივია სატანის, ლუციფერის, ბოროტი სულის პერსონიფიციკრებული სახე, მაგრამ გრიგოლის ლექსების აღნიშნული ძველქართული თა-

¹ J. Scjidak, *De Gregorio Nazianzeno postarum christianorum fonto*, Krakau, 1917.

² E. Dubedout, *Le sentiment chrétien dans la poésie romantico*, Paris, 1901.

რგმანები მოტივაციით, ტიპოლოგიურად და ფრაზეოლოგიურად უპირველესად ნ. ბარათაშვილს გაგვახსენებს: „განუდი ჩემგან, პოი, მაცდურო სულო ბოროტო“ (მისი „ბოროტი სული“ უფრო ტრადიციულ ქრისტიანულ გაგებასთანაა ახლოს).

გრიგოლის შემოქმედება მეტად პოპულარული ყოფილა ქართულ მწერლობაში. მისი ჰომილიები რამდენჯერმეა თარგმნილი (ანონიმნი, გრიგოლ ოშკელი, დავით ტბელი, ეფთვიმე ათონელი, ეფრემ მცირე). გრიგოლის ჰომილიებისათვის დამახასიათებელი თეოლოგიური სიღრმე, სტილის ლაკონურობა, ტერმინოლოგიური სიზუსტე და რიტორიკული ინტონაცია ეფრემის თარგმანებშია დაცული, ხოლო ამ ჰომილიათა მეორე თავისებურება – ქადაგების უშუალობა, პოეტური შინაარსი – უფრო ექვთიმეს თარგმანებშია შენარჩუნებული, გრიგოლის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, უმრავლესობისათვის (ე.ი. განუსწავლელთათვის) გასაგებიც და უმრავლესობის გაგებაზე ამაღლებულაც (იხ. ქვემოთ ეპისტოლე 51. ნიკოპოლისისადმი) ლაკონური და გამომსახველია წერილების ეფრემ მცირესეული თარგმანიც (დავით ტბელსაც აქვს ერთი). ხოლო გრიგოლის პოეზიის ანონიმურ თარგმანებში (XII-XIV სს. არსებობდა ეფრემ მცირის თარგმანიც) შენარჩუნებულია ლოცვითი, ინტიმური ინტონაცია და ღირნიში. დავით აღმაშენებლის მემკვიდრის თქმით, დავითს მეტად ყვარებია გრიგოლის თეოლოგიური ნაწერები. გრიგოლის თხზულებებს თავისი კვალი დაუწინვეია მთელ ძველ ქართულ მწერლობაში, რაც ჯერ კიდევ შესასწავლია¹

¹ ადგილები გრიგოლის შემოქმედებიდან შეიძლება მრავალ დიძებნოს ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ საგულისხმოა უფრო ის, თუ აზრობივად, ინტონაციურად რაგორ ესადაგება ქართული მწერლის სიტყვა თავის ე.წ. „წყაროს“. ანა, შესაძლოა, გრიგოლ ნაზიანზელი ამ შემთხვევაში უშუალო წყარო არ იყოს, მაგრამ იგრძნობილეს ავტორის ასოციაციური მიმართება ლიტერატურასთან, რომლითაც იგი იზრდებოდა ასეთია, მაგ., სოკრატედიან მომდინარე, ქრისტიანულ მწერლობაში ფართოდ გავრცელებული ზენტენია: „შეიცან თავი შენი“ (γρησιν σεμασεν) იგი გვხვდება გრიგოლ ნაზიანზელის ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნაზიანზელის შრომებში, მაგრამ ფრაზეოლოგიურად და ასოციაციურად დ. გურამიშვილის ცნობილი გამოანთქვაში უფრო გრიგოლის ზემოთ წარმოღვენილი ლექსის ანონიმურ ქართულ თარგმანს ეხმაურება (იხ. ზემოთ). შესაძლოა, დ. გურამიშვილი ამ თარგმანების შემოცნელ XVIII ს. კრებულს, იცნობდა ვახტანგ VI-ის მწიგნობრული წრიდან, მაგრამ დასაშვებია ტიპოლოგიური თანხვედრაც, დ. გურამიშვილიც ზომ თვითშემეცნებით დაყუბული პოეტია. გრიგოლის პოეზიას თავისი ფსალმუნურ-აღსარებითი ღირნიშით და ინტიმური ინტონაციებით, პიროვნულისა და ზოგადკაცობრიულის სიმბოლური გამოხატვით ბევრი რამ აქვს საერთო დ. გურამიშვილის პოეზიასთან. ამგვარად, გრიგოლის პოეზიის, მთელი მისი შემოქმედების მნიშვნელობა ქართული მწერლობისათვის უსაზღვროდ დიდია.

გრიგოლის შემოქმედება დღესაც თანადროულია როგორც მხატვრულ-ესთეტიკური, ისე იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, რადგან ადამიანის სულის, ბუნების და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეა მასში წარმოჩენილი. გრიგოლის კომილიებში ფსიქოლოგიური ნიუანსებიც ნაგრძნობია. ის, რაც მხატვრულ ლიტერატურაში მხატვრულ სახეებშია გახსნილი, გრიგოლთან უკვე არის ადამიანის საოცრად ზუსტი ცოდნით შენიშნული.

ენიიდან არსებობს გრიგოლის კომილიების შესანიშნავი ძველქართული თარგმანები (რომლებსაც კრიტიკულ-სამეცნიერო აპარატით გამოცემს ხელნაწერთა ინსტიტუტი), ამიტომ მათ ნიშნებს აღარ წარმოუადგენს ამ კრებულში. მათ შესახებ იხ. G.Lafontaine, H.Metreveli, *Les versions copte, armenienna et georgiennes de st.Gregoire le Theologien. II Symposium Nazianzenum, Louvain 1981. Studien zur Geschichte und Kultur des Altertums. N. F.2 Reiche: Forschungen zu Gregor von Nazianz... Bd.2,1983, p. 70.* თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1988.

პოეზიიდან და ეპისტოლეებიდან მოგვყავს იმ ნიმუშების თარგმანები, რომლებიც არ ყოფილა ძველქართულად თარგმნილი. ეპისტოლეთა შესახებ იხ. ნ. ქაჯაია, გრიგოლ ნაზიანზელის ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანები. მრავალთავი XII, თბ., 1986, გვ. 114-140; ხოლო გრიგოლის პოეზიისა და, საერთოდ, გრიგოლის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის სახისმეტყველება. თსუ შრომები 261 (ლიტერატურათმცოდნეობა), 1986, გვ. 122-142; გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში. შაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1986, №3, გვ. 87-112; გრიგოლ ნაზიანზელის ერთი ჰიმნის ძველი ქართული თარგმანის ინტერპრეტაციისათვის. შაცნე, ელს, 1982, №4, გვ.68-79; ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული შემკვიდრობიდან. თსუ შრომები 269 (ლიტერატურათმცოდნეობა), 1987, გვ. 80-95 და სხვ.

თარგმანები შესრულებულია G.P.Migne-ს გამოცემის მიხედვით: *Patrologiae cursus completus serie Graeca, t. 37, 38, Paris, 1860.*

ჰიმნი ღმრთისადმი¹

რად ვიუბნო შენს წინაშე, ყოვლის მიღმურო, რაღა გითხრა შენი საშვენი?
ვითარ გამოთქვას სიტყვამ გალობა, რამეთუ შენ ხარ სიტყვისაგან

გამოუთქმელი,

ვითარ შეგებდოს გონმა მოხილვა, რამეთუ შენ ხარ გონისაგან მოუხილველი.

ოღენ შენ ჰგიე იღუმალქმნილი, გარნა შენგან არს ყოველივე განცხადებული,

5 ოღენ შენ ჰგიე უცნაურქმნილი, გარნა შენგან არს ყოველივე

შემეცნებული.

ქვეყნად ყოველი გიგალობებს: მღუმარედ მყოფიც და სიტყვებით

ღაღადყოფელიც,

ქვეყნად ყოველი განგაღიღებს: საცნობელთაგან მიდრევილიც და ცნობიერიც.

წინაშე შენსა შეკრებიან საღმრთიერნი, სულთ ღმობილნი და სურვილით

თანაზიარნი,

შენ შემოგვედრებს, შენდამი იელტის მთელი სოფელი და ნიშნად შენი

შეცნობისა, შეუცნობელო,

10 მღუმარება-მოძალებულ ჰიმნს ადავლენენ და უხმო სათქმელს ღაღადყოფენ

მოახლებულნი.

შენსავე წიაღში დაიუნჯებს არსი ყოველი² და, ღმრთუებრივად

ყოვლისმომცველი,

სასრულ ყოველთა ხარ და კუალად ერთი მთლიანი – ყოველივე და

არცა ყოველი.

არც ერთი ხარ და არც მრავალი, ნაირგვარად სახელდებულო, ვითარ

გიწოდო?

ან ზენაარი სახილველი მიუწვდომელი, ციურ საბურველს მიღმურს იქით

დავანებული,

ვითარმა გონმა მოიხილოს, ვით საცნაურ-ყოს?... მგვავე უპოიბიერ!

რად ვიუბნო შენს წინაშე, ყოვლის მიღმურო, რაღა გითხრა შენი საშვენი?!

¹ ამ ჰიმნს (PG 37, carm. I, 1, n. 29) პროკლესაც მაწერენ. ნუკანასკნელი სანის სამეცნიერო ლიტერატურაში დამტკიცებულია ვრიგოლის აჯტარობა. საკითხის ისტორიის შესახებ იხ. ქ. ბენარამული, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული შემოქმედრობიდან. თსუ შრომები, 269 (ლიტერატურათმცოდნეობა), 1987, გვ. 85-89.

² მღრ. პავლე, რომ. 11, 38.

მწუხრის გოდება¹

ვეცრუვე შენსა მე სიწრფოებას, ო, სიტყვაო²,
და შენთვის ესრეთ განწყენდილი დღისა დასავალს
არ შემიწყნარა მე წყვდიადმა, სრულ ნათელ-ქმნილი,
თუმცა ვესევდი წრფელის ზრახვით და სასოდ ვრაცხდი;
ო, არ აღმიჩნდა იგი არსად და გზაშეცდომილს
ბნელი მომადგა გარს, მოშურნე მაცხოვარების.
ქრისტეო, კუალად გარდმომეველინე,
გამომიბრწყინე, ვითარცა უწინ, ციაგი ნათლის.

გოდება ქრისტესადმი³

რა მეშართება, ღმრთის სიტყვაო, მითხარ, რა მომდის.
სულში წყვდიადი ჩამომიდგა და მადლიც ტყბილი
აზრთა კეთილთა, გონიერთა განქარდა უმაღ.
და თუმცა ილტვის ჩემგან სწრაფვით ბოროტი სული,
გული ეული, ცარიელქმნილი მაინც მზად არის
სამყოფლად ექმნას მეუფებას ბიწიერების.
ნუღარ მომაგებ, ღმერთო, უარესს,
შენის წყალობით აღმომივსე სიღრმე სულისა.

გოდება⁴

ხატება ღმრთისა განქარდება, უქმია განსჯა,
ხატება ქრება ჩემსა შორის, უხრწნელის ღმრთისა

¹ PG 37, Carmen II, 1, n. 25, 382 წ.

² Λυγος – ღოგობი, სიტყვა, მე ღმრთისა, ქრისტე.

³ იქვე, n. 66; 383 წლის შემდეგ.

⁴ PG 37, Carm. II, 1, n. 61. 383 წლის შემდეგ.

შეგინებული საბოძვარი. ჰოჲ, უბადრუკო,
უცხო მოძღვრებით ტყვედ პერობილ ვარ, ხულო ბოროტო!
ო, ნეტავ დაწყდეს წყარო შურის, ამაო აზრის,
შუებილწავი რომ მეხმარა ოდესმე ენა,
არ შევხებოდი ცოდვილ ხელით ცოდვას უარესს,
შევირაცხოდი კუალად სახედ და ხატად ღმრთისა¹.

გოდება და ვედრება ქრისტესადმი თავისა თვისისათვის²

მოვტყუედი, ქრისტე³, ფრიად-მაღლა ვისწრაფე
გარდარეულად მინდობითა შენითა.
უფსკრულს შთავკარდი, კუალად აღმომიყვანე,
რამეთუ თავით თვისით ვარ შეცთომილი.
და თუ მიხილო მეტად აღზევებული,
კუალად დავეცე დაცემით უმძიმესით.
თუ შემინყვალე და დამიხსნი, ცხოველ ვარ,
ხოლო თუ არა – მარადის წარწყმედილი.
დაიშრიტება ნუთუ წყალობა შენი
მართ ოდენ ჩემთვის – ღელვა-გვემულისათვის?

გოდება თავისა თვისისათვის⁴

მოყვასნო, მტერნო, მთავარნო და თანამცხოვრებნო!
ტანჯულ ვარ თქვენგან. ისიც ვუწყვი, არ მეთანხმებით.

¹ სახე და ხატი ღმრთისა – *εικων ... θεου*. შდრ. დაბადება 1, 27.

² PG 37, Carmen II, 1, n. 67. 383 წლის შემდგომ.

³ ღელანშია: *Χριστε μου* – ქრისტეო ჩემო.

⁴ PG 37, Carm. II, 1, n. 53. 383 წლის შემდგომ.

დამარხულია ეს წიგნებში. კერ დაიმაღლით.

თავისა მიმართ თავისისა¹

კოცნობ და კვდები, დამემოწმოს, ვინაც არს ბრძენი.
ხელით მომკედარ ვარ, უკეთუ ხორცი მზვაობრობს,
ხელით ცხოველი მიჯობს ვიყო, დე, მოკვდეს ხორცი.

ადამიანური ბუნების შესახებ² (ნაწყვეტი)

ვინ ვარ, ხაიდან მოვდივარ და ხაით მივდივარ? –
არა უწვი და არც არვინ არს მაუწყებელი.

დედის – ნონნას ეპიტაფია³

ნონნა, ასული ფილტატკისი. ხად მიიცვალა? – ტამარში ღმრთისა.
როგორ? – ლოკვისას. რამდენი ხნისა? – ხანმოთეული.
აჰა, ხიცოცხლე მშუგნიერი და აღსახრულიც ღმრთივ სახურველი.

მაქსიმეს⁴

კერც კი ვიჯერებ, შენ წერაც კი გაბეღე?

¹ PG 37, Carm. II, 1, n. 48. 383 წლის შემდგომ.

² PG 37, Carm. I, 2, n. 14. 381 წ.

³ PG 38, II, 2, n. 99. 374 წ.

⁴ PG 37, Carm. II, 1, n. 41. 383 წ. მაქსიმე კინიკოსი – პოეტის პირადი მტერი,

სველსიო ანატორისტი, ლიტერატურულ პაქრობას უმართულად ვრეოდს. ლექსში შთაბეჭდილია ანტიკური რიტორიკული დინამიკა.

მაქსიმ-მწერალი? საოცარია მეტად!
 ურცხვინოება ძალღთა¹ ახლოს ვერ მოვა.
 ეჰა, დროებაე, ყოვლის ნების დამრთველო!
 5 ვით ნაწვიმარზე სოკომ, ისე იმრავლეს
 ეპისკოპოსთა, ბრძენთა მხედართმთავართა,
 თვინიერ გარჯის და ქმნის კეთილ საქმეთა.
 ამას რას ვხედავთ? სიბრძნე და სათნოება
 მიუჩქმალავთ და ფეხით გაუთელიათ,
 10 ყბადაღებული სითავხედე ბატონობს,
 უგუნურება კი ზვიმობს და ზვაობს.
 განუსწავლელად ვითარ გამოვიდოდა
 მუშაითი ან მოისარი? ან იქნებ
 საქმისთვის ცოდნა აღარცაა საჭირო?²
 15 იქნებ მუზებმა ძველი დროის უეცრად
 სიბრძნით აღგავსეს, ვითარ უწინ სჩვეოდათ?
 ან გაგახელა წმინდა დაფნით შემოსვამ?
 ან იქნებ წყარომ გრძნეულ ძალით აღგავსო,
 რომ უწიგნური მაქსიმე წერად დაჯექი,
 19 ა თხზვად ლექსებისა თვინიერ საზომისა?
 20 პოე, გიკვირდეთ საქმე განსაკვირველი:
 საულ – წინასწარმეტყველ³, ხოლო ბრძენ – მაქსიმ!
 ამის შემდგომად წერას ვინ არ დაიწყებს?
 ყველას აქვს სახლში საწერელი, ქაღალდი,
 მოხუცსაც შესწევს ძალი წერის, აზრი თქმის.
 25 მიდი, გაბედე, ნუღარც შენ დააყოვნებ!
 25 ა ბრბო შეიკრიბე, ტაში გაიძლიერე!
 ნუ შიშობ, მცირედ არიან გონიერნი,

¹ აქ და ქვემოთაც სადაც ზიტყვა ძალი (ძალა) გვხვდება, ზიტყვათა თამაშია: ეს ზიტყვა ბერძნულად „კანიკოსსაც“ ნიშნავს.

² შტრ. პორაციუსი, პოეტური ზელოვნებისათვის 379 ... 412 ... (ა. ურუშაძის თარგმანი, თბილისი, 1981).

³ საულ - თუღველთა მეფე (მკ. წ. XI ს.), უმადურობისა და არაშორსმკვირვტელობის განახიერება (I მუუთა, თ. 8-31).

ბრბო აწინდელი მაქსიმთაგან შედგება.
ბრბოს მოაწონე თავი, ხოლო წიგნიერთ
დაცინების შემდგომ მშვიდობის გზა უხსურვე!
საქმე რომ სწორედ სასაცილოდ გაგვიხდა,
მაგრამ როდესაც გარე-მოიცავს მტერი,
გამბედაობა ბრძენსაც მართებს, ჰოდა, შენც,
კადნიერებით გაგიცნობენ, მაქსიმე!
(მართლაც რომ ბორგავეს ბრიფვი მაგინებელი)
ჩვენ კი, ნეტავი, აღარც უნდა ვიცინოთ?
რამდენი რამ არს ამქვეყნად საცინელი!
იყავ მქვერმეტყველ, ხოლო მტერთათვის – ძალღი!
ამგვარ საქმეში ხომ ვერც ვერვინ გაჯობებს.
კვლავაც შევძახებ, ათასჯერაც: სიტყვანო!¹
თუმც ამით ნაღველს სრულად ვერ განვიქარვებ.
წერაც გაბედე? სად და როდის ისწაუდე?
ვისგან გებოდა, ნეტავ, ეს საბოძვარი?
ჯერ კიდევ გუშინ ხულ სხვა იყო: ცხოვრება
ბორგნეული და მასთან ზნეც ბორგნეული
ღარიბულ ლუკმას გაჭმედა, გახარებდა.
ხოლო სიტყვები შენთვის იყო იგივე,
რაც არის ღირა სახედრისთვის და ტალღა –
ხარისთვის, ხოლო ზღვის მხეცთათვის – უღელი.
ახლა გაგვიხდი ყოვლის მძერელი ორფევისიც
და ამფიონიც, კედელთა აღმმართველი
თვისი სიმებით.² დაჩეთ ძალღთა საქციელს!
ურცხვინოება ესე აღბათ გიბოძეს
თანამოღვაწეთ ძველთა და თანამთხზველთა.

1 *Λογία* – ორატორთა მტყვევლება იგულისხმება.

2 ო რ ფ ე ვ ს ი – ლეგენდარული თრაკიელი მომღერალი, აპოლონისა და კალიობეს ვაჟი, მუსიკისა და პოეზიის გამომგონებელი, რომლის მუსიკის ძალა ხეებს ტოტებს ახრევინებდა, ქვებს ამოძრავებდა, მხეცებს ათვინიერებდა. ა მ ფ ი ო ნ ი – ზეუსისა და თებეს შვილის ქალიშვილის ვაჟი, კითარაზე საუკებოდა და მტყველი, რომლის სამთა სამზე ქება თავისით ლაგებდნენ წითამორეზე თებეს ვარმეძო კედლის მშენებლობისას. შტრ. პორაკოუსა, პოეტური ბელოკნებისათვის, 371.

მათთვის შენ გედიც იქნებოდი და, ალბათ,
 ზეფირის ფრთათა სინარნარით ფენილი¹
 მუსიკალურად მოესმოდათ ხმაც შენი.
 გარნა რასა წერ, ძაღლო, ვის წინააღმდეგ?
 ნუთუ შენა ხარ წინააღმდეგომ იმ კაცის,
 ვისთვისაც წერა ისე ბუნებრივია,
 ვით წყლისთვის დენა, სიმხურვალე ცუცხლისთვის.
 მხლომ ხარ იმისთვის, ვინაც არის ყვედრებულ
 შენგან და არა შენი მავკედრებელი.
 ჰომ, უგუნურებაე, მასთან კადნიერებაე!
 ძვირფასო, ცხენთან გაჯიბრებას ინებებ²,
 ლომის დაკოდას უუძღურესი ხელით.
 ერთია მხოლოდ, რასაც ალბათ ფიქრობდი:
 არ მოელოდი პასუხს მაგინებელი.
 ჭკვიანურს მხოლოდ ამას ეხედაე მე შენში,
 ვინ შეგებმოდა, აბა, ძაღლს გონიერი?³

ფერიღები

ნიკობულოს⁴

(ლაკონურად წერის შესახებ)

ლაკონურად წერა ის არ არის, შენ რომ გგონია. ეს სიტყვათა
 სიმცირეს კი არ ნიშნავს, არამედ ცოტა სიტყვებით დიდი სათქმელის
 გადმოცემას. ამისდა მიხედვით, ჰომეროსს ყველაზე მოკლედმეტყველ

1 ძ ე ფ ი რ ი ს ი - დასავლეთის სუსტი სამო ქარი (სიო).

2 მელექსობის ცხენსა რბოლაში შეჯიბრთან შედარებისათვის იხ. რ უ ს თ ა ე ე ლ ი ც : „ეთა
 ცხენსა შარა ვრბელი...“ იხ. აგრეთვე Ovidius, Amores, III, 15.

3 დედანშია: εὐφροσύνη - ეთილფონიურაჟანი.

4 PG 37, epist. 54. 372 წ. ნ ი კ ი ბ უ ლ ო ს ი - ვრდოლის ხბე.

მწერალს ეუწოდებ, ანტიმაქოსს¹ კი — მრავალმეტყველს. რატომ? იმიტომ, რომ სათქმელის სიგრძეზე შინაარსის მიხედვით ემსჯელობ, ასოთა სიმრავლით კი არა.²

მასვე³

(მასზედ, თუ როგორ უნდა იწერებოდეს წერილი)

წერილის მწერალთაგან (შენ ამასაც მეკითხები) ზოგი ხასურველზე უფრო გრძლად წერს, ზოგი — ძალზე შემოკლებულად. მათგან ვერცერთი ზომიერებას⁴ ვერ იცავს ისრის მსროლელთა დარად⁵, რომელთაგან ერთნი ვერ უწვდენენ მიზანს, მეორენი კი გადააცდენენ მას, ორსავე შემთხვევაში ერთნაირად თანაწარხდებიან სამიზნეს, თუმცა მარცხი ურთიერთსაწინააღმდეგო მიზეზებით წარმოიშობა. წერილის ზომას საჭიროება განსაზღვრავს. არ ეგების გრძელი წერილის წერა, როცა სათქმელი არა გაქვს, და არც შემოკლება ეგების, როცა სათქმელი ბევრია. რაღა გამოდის? საჭიროა განა სიბრძნის გაზომვა სპარსული ვერსით ანდა ბავშვის წყრით⁶ და ისე არასრულყოფილად წერა, რომ ნაწერი წერილს კი არა, შუადღის ჩრდილებს ან იმგვარ ხაზებს დაემსგავსოს, რომელთა სიგრძე გარეგნულად, წარმოსახვითაა თანაბარი და არა სინამდვილეში და, შეიძლება ითქვას, მსგავსის მსგავსია? ზომიერების დახატვაად აუცილებელია ორსავე შემთხვევაში ვერიდოთ არათანაშეზომილებას. აი, რაც ვიცი სიმოკლის შესახებ.

1 ანტიმაქოს კი დიოგენის ელვების (ძვ.წ. V-IV სს.), მიმწერებს მცირე ფორმის ელვებთან შედარებით გრძლად წერის ნიმუშად ასახელებს „მიზეზში“ კალიმაქეს ანტიმაქოსის გრძელ პოემებსაც წერდა. ამ თვალსაზრისითაა იგი დაპირისპირებული პომპროსთან.

2 შტრ. რუსთაველი: „გრძელი ხიტყვა მოკლე ითქმის“. ასოთა სიმრავლეში ელვებთან შედარებით ნაწერის სიგრძე იგულისხმება. შტრ. ქორაყისი, პოეტური ზელოვნებისათვის, 24.

3 PG 37, epist. 51. 372 წ.

4 შტრ. Aristot. Eth. Nic. I, 6. Rhet. III 1414 a 27.

5 ეს ტროაი პოეტურ ოსტატობასთან დაკავშირებით სხვა კონტექსტში იხ. რუსთაველთან: „ამსგავსე მშვილდი ბედიით...“. შტრ. აქვე ნაკისი „მაქსიმეს“ — ტაბი 13.

6 ზომის ერთეულება.

რაც შეეხება სიცხადეს¹, ცნობილია, რომ ხამს შეძლებისდაგვარად თავი აკარიდოთ წიგნების ენას და უფრო დაუეხბლოვდეთ სასაუბრო მეტყველებას. მოკლედ რომ ვთქვათ, ის წერილია სრულყოფილი და მშვენიერი, რომელიც განუსწავლელისთვისაც და განსწავლულისთვისაც ერთნაირად სასურველი იქნება: პირველისთვის იმით, რომ მიესადაგება უმრავლესობის გაგებას, მეორისთვის კი იმით, რომ უმრავლესობის გაგებაზე ამალღებულა და თავდაპირველი სახითვე გასაგებია, რადგან უკარგისია წერილი, რომელიც ამოსახსნელ გამოცანასავეთ საჭიროებს ამოხსნასა და განმარტებას. წერილის შესაძენ თავისებურება ისაა, რომ სასიამოვნო² უნდა იყოს. ამას კი დაეიცავთ, თუ დაეწერთ არა მშრალად და ტლანქად, არა მოუკაზმველად, არა ხელოვანების გარეშე და მოუწესრიგებლად, არამედ დაეწერთ ისე, რომ ნაწერს არ აკლდეს სენტენციები, ანდაზები, აპოფთეგმები, ასევე მახვილგონივრულობა (სიტყვათა თამაში), იგაჯები, რითაც ყველა შეივრსნობს სიტყვის სიტყობებს. თუმცა არ ეგების ამ სამკაულების მოჭარბებული გამოყენებაც. უმაგათოდ წერილი მდარეა, მათი სიჭარბით კი - მეტისმეტად გადაპრანჭული³. ისინი ისეთი ზომით უნდა ჩაერთოს ნაწერში, როგორც შეწამული ფერი ქსოვილში. დასაშვებია ქარაგმული გამონათქვამებიც, მაგრამ არა დიდი რაოდენობით და მასთან უხამსობებისაგან თავისუფალი. ხოლო დაპირისპირება, სიტყვათა შეთანხმება და ნაწილთა თანაშეზომილება სოფისტებისათვის მიგვიჩნდება. და თუ საღმე მათიც მიემართავთ ამას, ისე უნდა გავაკეთოთ, თითქოს ვთამაშობთო და არა საგანგებოდ მოვიძიებთ მათ. და ბოლოს, რაც შეეხება იმავე დახვეწილობას, არწივზე გამიგონია, რომ, როცა ფრინველები სამეფო ძალაუფლებაზე ბჭობდნენ და თავყრილობაზე ნაირგვარად მორთულ-მოკაზმულნი გამოცხადდნენ, არწივს დიდი ღირსება იმით გამოუჩენია, რომ ლამაზად თავის ივენება არც უფიქრია. ასევე უნდა მოვიქცეთ წერილებშიც ძირითადად. ვგულახხმობ იმას, რომ წერილს არ უნდა გააჩნდეს ზედმეტი სამკაულები და ბუნებრიობისაგან უნდა იხრებოდეს უმეტესად. აი, რას გაუწევს წერილთა შესახებ წერილითვე. შესაძლოა, ჩემს

¹ შტრ. Arist. Rhet. III 1404 b; Poet. § 22 init.

² შტრ. Arist. Poet. 1448 b 8-10; 1453 d; Rhet. I 1366 a 33.

³ შტრ. ფ ს ე ვ დ ო - ლ ო ნ გ ი ნ ე ამაღლებულისათვის, თ. VIII და შემდეგი (ბ. ბრეჯვანიძის თარგმანი, თბილისი, 1975). ა რ ი ს ტ ო ტ ვ ე ჯ პოეტის, § 22, § 24.—(ზ. დანელიას თარგმანი, თბილისი, 1979).

საქმეს არ მოეკიდე ხელი, რადგან არსებითს შევეხე. დანარჩენს თვით შეიტყობ საკუთარი შრომისმოყვარეობით, როგორც შეგნებული კაცი. ამასვე გასწავლიან აგრეთვე ამ საქმეში გამოცდილი სხვა ადამიანებიც.

მასვე¹

(აუწყებს ბასილისადმი თავის პატივისცემას)

მუდამ ჩემზე პატივსაცემ პიროვნებად მივიჩნევიდი დიდ ბასილს, თუმცა იგი საწინააღმდეგო აზრისაა. ასევე ვფიქრობ ახლაც როგორც მეგობრობის გამო, ისე ქვეშარიტების გულისთვისაც. ამიტომ ვათავსებ მის წერილებს წინ, ჩემსას კი ბოლოს დავეურთავ, რამეთუ ძლიერ მწადია და მსურს სხვებს ეუწყენო ნიმუში თავმდაბლობისა და მორჩილებისა.

მასვე²

(პასუხად იმისა, რომ თავის ცოლს აღიპიანეს, გრიგოლის დის, გორგონიას ასულს, პატარა ტანის გამო დასცინოდა)

დასცინი ჩვენს აღიპიანეს, რომ პატარაა და არა ღირს არს შენი სიდიადისა, დიდო და უზომოდ გოლიათო ტანითაც და ძლიერებითაც! ახლა გავიგე მხოლოდ, რომ წონით იზომება სული და მითვე ფასდება სათნოება, რომ უბრალო ქვები მარგალიტზე ძვირფასია და ყვავნი უმჯობეს ბუღბუღლთა არიან. მიიმატე კიდევ რამდენიმე წყრთა სიდიდეში და არაფრით ჩამორჩე ალოადებს³. შენ რომ ცხენზე ამხედრებულხარ, შენ რომ ისარს ტყორცნი

¹ PG 37, Epist. 53, 372წ. ნიკობულოს თხოვნით გრიგოლმა შეკრბა თაზის წერილები, რომელთა წინ ბასილის წერილები მოათავსა.

² PG 37, Epist. 12. დაბლოებით 365 წ.

³ ალოადები – ალიუვის ძენი ოტოსი და უფიატე. გამოირჩეოდნენ დიდი ძაღლიანთ. მთების ურთიანეთზე შეღება და ზეცამდე ამაღლება განზრახვს, რისთვისაც აპილონმა ისრით განეპირა. აქ გრიგოლი მიანიშნებს ნიკობულოს კანდიდურებაზე.

და გაქვს იხეთი საზრუნავი, როგორცაა მხეცებზე ნადირობა, მას ახეთი საქმე არა აქვს. ხოლო მაქოს ჭერას, ხართავი ჯარის მოვლას და ქსლის საბეჭველთან ჯდომას დიდი ძალა არ უნდა. „ქალთა მოვალეობაც ეს არის“.¹ და თუ იმასაც დაემენტ, თუ როგორაა იგი დადრეკილი ლოცვისას და გონების მაღალი მოძრაობით მუდამ ღმერთს ესაუბრება, რაღა იქნება ამასთან შენი სიმაღლე და სიდიდე სხეულისა? იხილე მისი დროული ღუმილი, უსმინე, როცა ხაუბრობს, თავად განსჯე, თუ რაოდენ ნაკლებად ემონება მორთულობას, რა ქალურად ვაკაცურია, როგორ ზრუნავს ოჯახზე, როგორ უყვარს ქმარი, და მაშინ გაიმეორებ ლაკელემონელის სიტყვებს: „ჭეშმარიტად, ხელი არ იზომება. გარეგანი კაცი უნდა გულისხმობდეს შინაგანსაც“². თუ ამას ჩასწვლები, აღარ აიგდებ მას საცინრად, აღარ იხუმრებ მის ტანმორჩილობაზე და თავს ბედნიერად ჩათვლი, რომ წილად გხვდა მისი მეუღლეობა.

რიტორ ველოქსიოსს³

(მასზედ, რომ საკუთარი სიბრძნისმოყვარეობის დაფარვა უმაღლესი სიბრძნისმოყვარეობაა)

შენ, ჩემო საყვარელო შვილო, რამდენადაც ვუწვი, კარგი მაძა გვაქვს. გამხნეული მხოლოდ, სწავლობდე და სუფუვედე⁴. ჩვენ კი მზადა ვართ შენად საქებად, თუმცა ჯერ კიდევ არ შეგვიცნია შენი სიბრძნისმოყვარეობა, რადგან შენს ნათქვამს კი არ მივაპყრობთ ხშირად გულისხურს ჩვენსას, არამედ იმას, რასაცა იქმ. არ ცნობა საკუთარი სიბრძნისმოყვარეობისა ფრიად

¹ ნწვეტი თავად გრიგოლის ღეჰსიდან „მორთულობათა მოყვარულ ქალებზე“. PG 37, c. 1,2, n. 29, v. 267. შდრ. ილიადა, IV, 323; XVI, 457.

² შდრ. პავლენი, რომ. 7, 22; 2 კორ. 4, 16; ეფეს. 3, 16.

³ PG 37, Epist 180, 383წ. მეორე ველოქსიოსია ადრესატი, - სახელგანთქმული რიტორის ველოქსიოსის ვაჟი, თავადაც რიტორი.

⁴ შდრ. უსაღ. 44, 5.

სიბრძნისმოყვარულია. კრიტიკოსი დიონისე ამბობს რიტორ ლისიაზე: მისი სისადავეც ფრიად მაღალმხატვრულია¹.

ველალიოსს²

(ლაპისიდან გამგზავრებისას, სადაც აღასრულა ღუბილის აღთქმა, ხურს ველალიოსთან გასაუბრება)

რალაც უჩვეულო ხდება ჩემს თავს: როცა შენთან ვდუმვარ, გული მთხოვს უხილავთან გასაუბრებას, რათა კიდევ გითხრა სიტყვა და კიდევ ვისმინო შენგან. რადგან სასურველია, საწყისი ყოველივესი და სიტყვისაც პირველად სიტყვასვე³ მიუუძღვნათ, ხოლო ამის შემდეგ – ღმრთისმოსიშთა.

კლიდონიოსს⁴

(წყბას რთავს ეწვიოს ღუბილის შემდეგ)

არ ვეწინააღმდეგები შეყრას ჩვენსას და, თუმცა ენა მდუმარებს, ყური ნეტარებით განმზადებულ არიან შენი სიტყვების სასმენლად. რამეთუ სასარგებლო საუბრის გაგონება ისევე მარგებელია, როგორც რაიმე სასარგებლოს თქმა.

¹ სიტყვათა თამაში: *αρετων* (უხელოვნო) და *ορειων* (ბელადანებით შექმნილი). იგულისხმება დიონისე კლიდონიოსის (ძვ.წ. I ს.) *De Lysis*, §. *λελια* (ძვ.წ. V-IV სს.) ატიკურ დიალექტზე წერდა სადაღ, ვახვებად, არქაიზმების გარეშე.

² PG 37, Epist. 117, 382 წ.

³ იგულისხმება ღმერთი – *Λογος*.

⁴ PG 37, Epist. 109, 382 წ.

ბოსპორიოსს, კოლონიას ეპისკოპოსს¹

(აქვეებს კონსტანტინეპოლის კელესიის დატოვების შესახებ მიღებულ მტკიცე
გადაწყვეტილებას)

უკვე მეორედ ვებმები თქვენს მიერ დაგებულ მახეში და ვრჩები გაც-
რუებული. თქვენ უწყით, რასაც კველისხმობთ, და, თუ სამართლიანად ვა-
მბობ, „იფნოსოს უფალმან ღმერთმან“ თქვენმან „სული სულნელებისა“²,
ხოლო, თუ უსამართლოდ განესჯი, უფალმანვე მომიტყევოს. ასე ხამს
თქვენს შესახებ საუბარი, რამეთუ ბრძანებულ არს ჩვენთვის გულისწვრომათა
დათმენაც. თუმცა დამოუკიდებელი აზრი თქვენსაკვით გამაჩნია. აწ აღარ
შეგაწუხებთ მძიმე გრიგოლი. განუპარტოვლები ღმერთთან, რომელიც ერთადე-
რთია უმზაკერო და წმინდა. ჩავღრმავებები საკუთარ თავში. აი, რა გადაუე-
წყვიტე ჩემს თავს, რადგან ნათქვამია: მხოლოდ უგუესური თუ წამო-პკრავს
ფეხს ორჯერ ერთსადაიმავე ქვას.

ფილაგრიოსს³

(ესარიოსის და თავის მკვლარს ანდობს ესარიოსის ხიკვდილით გამოწვეულ მწუხარებას)

აღარა მყავს ესარიოსა⁴ და, თუმცა ტანჯვა არაკეთილგონიერულია,
მანინც ვიტყვი: ყოველივე ესარიოსისეული ძველებურად მიყვარს და ვებჯვი
და ვკოცნი, რასაცარ უნდა ვხედავდე მის მოსაგონარს. წარმოვიდგენ, რომ
მას უეშერ, მასთან ვიმყოფები და ვესაუბრები კიდეც ახლაც ასე დამეპართა
შენი წერილის მიღებისას. ვერც კი მოვასწარი ზედწარწერილის წაკითხვა
— ფილაგრიოსის, ჩემთვის ეხოლენ საყვარელი ხახელისა, რომ ყოველივე,
რაც ოდესმე ასე ხასურველი იყო, უმაღლესაღწინ წარმომიდგა: ცხოვრება

¹ PG 37, Epist. 153, 381/382 წ.

² დაბალება, 8, 21.

³ PG 37, Epist. 30. 368/369 წ.

⁴ ესარიოსი — გრიგოლის ძმა.

ჩვენი, საუბრები, საერთო ტაბლა, ხილარიბე და, როგორც ჰომეროსი ამბობს, კეთილი მეგობრობა,¹ ზუმრობანი და საქმენი, მეცნიერული შრომა, საერთო მოძღვარნი, დიდი იმედები და ყოველივე მაშინდელი, რაც წრფელი და მართალია და მეტად მახარებს მოგონებისას. გული რომ ვიჯეროთ ამაზე საუბრით, გვედრები, ნუ გადაღებ კალამს და მომწერე, გეთაყვა. ეჭვი არ გაპარებოდეს, ეს ჩემთვის არც ისე უმნიშვნელოა. თუმცა შურმა, რომელმაც ასე უნუგეშოდ მოაქცია საქმენი ჩემნი, მომაკლო უმთავრებს – შენთან ყოფნას.

რიტორ ვედოქსიოსს²

(განღობს ბახილის სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებას)

იკითხავ, თუ როგორ შიდის ჩვენი საქმე. – ძალზე ცუდად. აღარა შევას ჩემი ბახილი, აღარც კესარიოსი – მმა ჩემი სულიერი და სორციელი. „მამამან ჩემმან და დედამან ჩემმან დამაგღეს მე“,³ – ვღაღადებ დავითთან ერთად. მეღმის სორცი, კარს მომადგა სიბერე. ირგვლივ საზრუნავია, დამიმონეს საქმეებმა. მეგობარნი უნდონი, ეკლესია უმწყემსო. განქარდა მშვენიერი, დაშთა ბოროტი. მივცურავთ ბნელში და სხივიც არსითა ჩანს. ქრისტემ მიიძინა.⁴ მოველოდე აწ რაღას? ბოროტებათაგან თავდაღწევის ერთადერთი გზა სიკვდილია, მაგრამ მაშინებს იმქვეყნიურიც, თუ გავისხენებ ჩემს ამქვეყნიურ საქმეებსაც.

¹ ჰომეროსი, ილიადა, III, 175.

² PG 37, Epist. 80, 375 შ. ზღუნწურთა უპრავესობის მიხედვით წერილის აღრესატი ფილაგრიოსია.

³ ფსალმუნნი, 26, 10.

⁴ მღრ. მათე, 8, 24.

სვინესიოს კვირენელი

სვინესიოს კვირენელი გარდამავალი ეპოქის ტრაგიზმით გამსჭვალული პოეტია. მისი ცხოვრების ხანა (370—413 წწ.) თანხვედბა ქრისტიანობის მიერ წარმართობის ძლევას; ყოველ შემთხვევაში, მის დროს ქრისტიანობა უკვე ოფიციალურ ხარწმუნოებად არის გამოცხადებული, ხოლო იგი წარმართულ ოჯახში იზრდება. სვინესიოსის ლირიკაში ფსალჰუნთა ხმოვანებაზე მეტად მძლავრობს ფილოსოფიური ნაკადი. შეიძლება ითქვას, იგი უფრო დიდი მოაზროვნეა, ვიდრე დიდი პოეტი. ალექსანდრიაში ჰიპატიასთან დაუფლა ნეოპლატონიკურ ფილოსოფიას. არც პოლიტიკური ასპარეზიდან ყოფილა შორს.¹ ეპისკოპოსადაც აურჩევიათ, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ.

ჩვენამდე შემონახულია სვინესიოს კვირენელის ათი საგალობელი² (მის ეპისტოლეებთან ერთად). არსებითად ისინი მიემართებიან საიდუმლო თავგანებების წმინდა ტაძარში შესავედრებელ სულს (და ცოცხლებიან წარმართული მისტერიები და ეზავებიან ქრისტიანულ ღმრთისმსახურებას), მიემართებიან მამას ან ძეს ღმრთისას — ქრისტეს, რომელიც არ არის, და არც იყო მოსალოდნელი, რომ ყოფილიყო, დოკმატური ძე — ღმერთი. სვინესიოსის „მონადა“ რთულია არა მხოლოდ ფილოსოფიურად, არამედ სახეობრივადაც; იგი უთარგმნელად დაეტოვებოდა და „მონადას“ ეწერო.

სვინესიოსის ჰიმნები აღბეჭდილია წარმართულ სახეთა სიუხვით. მგალობელი ჯერ კიდევ ტეიურ ქებას და ღვთისებურ გალობას მიაყურადებს. მიწიერი ტრფობა მისთვის თაფლისებრი ცთომაა, რომელსაც მისტირის თითქოს (I, 14-15). მართალია, სვინესიოსი პომეროსულად კი არ უბნობს: *Κλυσι-ο*, არამედ ახალ მონაკვეთს *Κλυε-თი* იწყებს (I, 45), მაგრამ იტყვის: *Αγε μοι* (III, 1), ხოლო რიგი პომეროსული ფორმულის უგულვებელყოფის მიუხედავად, ბიზანტიულ პოეტში ცოცხალია და მძაფრი შეგრძნება იმისა, რომ პომერიდების გვარს განაგრძობს. „ამონხმირი ფორმინგია“ მისი

¹ იხ. სვინესიოსის „*Περὶ βασιλείας*“ სიტყვის ანალიზი სიმ. ყუზნიშვილის „ბიზანტ. ლიტ. ისტორიაში“, თბ., 1963, გვ. 51-52. ტექსტი სრულად არის გამოცემული: *Synoesii Cyrenensis Opuscula*, N. Terzaghi recensuit, Romae, 1944, ბმ. 5-62.

² მეათე საგალობლის ავთენტურობა სვეკოვდ მიიჩნია უ. ველამოვიცმა 1907 წ.

სახვეწარი საკრავი. ამოხშიერი ფორმინგისადმი მიმართვით იწყება პირველი საგალობელი.¹

სვინესიოსის საგალობლები დორიულ დიალექტზეა დაწერილი, ხოლო ეპიკური, მასთან დრამატულ-პოეტური ფორმები აქ ახალ სიცოცხლეს იწყებენ. პოეტი თხზავს სიტყვებს და ბიზანტიური სულის გამოძეგველი მისი კომპოზიტები უპირველესი დასტურია იმისა, რომ ანტიკური პოეზიის გაქვეყნებული ფორმების ხმარებით ავტორი არ სწყდება ცოცხალ გარემოს. სვინესიოსის ახალწარმოქმნილ კომპოზიტებს, – ნაწილობრივ სათქმელის სინატიფისათვის, ნაწილობრივ პოეტური გაუცხოებისათვის, ნაწილობრივ ახალი შინაარსის გადმოსაცემად შექმნილს – ზოგჯერ სხვადასხვაგვარად განმარტავენ, მით უფრო, თუ საქმე გვაქვს *semel dicta*-სთან (ხელთ გვაქვს ძველათაძველი ლექსიკოგრაფების იშვიათი აკრიბით შედგენილი ლექსიკონები). სვინესიოსის ფილოსოფიურ-პოეტური სახეები სათანადოდ არ არის შესწავლილი, მაშინ როდესაც იგი შუა საუკუნეების პოეტური მეტყველების სათავეებთან დგას და, თუ მეტრად არ ჩაითვლება, მაინც აუცილებლად გასათვალისწინებელი წყაროა. (სტრიქონ-სტრიქონ უტყბინან პარალელებს ძველ ავტორებთან, მაგრამ ტექსტოლოგიური კვლევის მიღმა ბევრი რჩება სვინესიოსის პოეტურ სისტემაში გასაკვალაუი. იქნებ ტექსტის სიღრმისეული პლასტების წაკითხვისას ზოგჯერ ვაჭარბებდეთ, მაგრამ გვეჩვენება, რომ რუსთაველის ერთი პწყარის („შენ შექქმენ სახე ყოვლისა ტანისა“) მსოფლმხედველობრივად ანტიკური სამყაროდან მომდინარეობას აშუალებს სვინესიოსის მეექვსე საგალობლის მე-15 სტრიქონი.

ცალკე საკვლევია სვინესიოსის განუკვეთელი კვეთა (II, 24; III, 208...). ჩანს, იგი „უჟამო ჟამის“, „უსძლოო სძლის“ და მსგავსი ანტითეზების სიბრტყეზე უნდა განიხილებოდეს (შდრ. ცნობილი ძლისპირი: „განუკვეთელი განიკვეთა“). ცალკე საკვლევია „გულის ბუდეთაგან სამსხვერპლო მცერევა“ (III, 103) და სხვ. აქ პირველად არის ლაპარაკი ადრე ქრისტიანობისათვის ნიშანდობლივ „შრომის ახსნაზე“ (III, 419); ამას გარდა, ლაპარაკია „დედა სამშობლოს მხრებით ზიდვაზე“ (III, 439-440). აქ, ეფიქრობთ, ერთგვარად ტენდენციურია ნ. ტერცაგი (N. Terzaghi), როდესაც სვინესიოსის გმირში ატლანტს კითხულობს.

¹ საგალობელთა რიგი სხვა ნ. ტერცაგის გამოცემაში: *Synœsi Cyrenensis Hymni et opuscula*, v. I, N. Terzaghi recensuit, Romae, 1939.

რაც შეეხება ლექსთწიწობას, სიმ. ყაუზნიშვილი სავსებით მართებულად ბრძანებს: „სვინესიოსის ჰიმნების ლექსთწიწობის მკვლევარი (ვილამოვიცი, შაახი) მსჯელობენ უპირატესად ანტიკური მეტრიკის კანონთა მიხედვით, იმ დროს როდესაც სვინესიოსის ჰიმნებში პირველ რიგში უნდა ვეძებოთ ახალ სალექსთწიწობო კრიტერიუმზე აჯებული მეტრი“¹. მით უფრო, შეცდომად მიგვაჩნია ტექსტის გასწორება თუნდაც ე.წ. კრიტიკულ აპარატში იმის მიხედვით, ამა თუ იმ ადგილას ქორიამბი უნდა იყოს თუ სხვ. (მხედველობაში გვაქვს ნ. ტერცაგის შენიშვნები). ჰიმნები აშკარად სილაბურია. ჩვენ ვცადეთ გვეთარგმნა პოეტური პროზით.

ვთარგმნეთ აგრეთვე ე.ა. პემოპულოსის მიერ 1938 წ. სვინესიოსისადმი მიწერილი ჰიმნები, თუმცა, ჩვენი აზრით, სვინესიოსის ავტორობის სახარგებლოდ მოფანაილი არგუმენტები საკმარისი არ არის და თვით წესი დასაბუთებისა საერთო ადგილების, მით უფრო, ცალკეული საერთო სიტყვების (SIC!) მიხედვით გაუმართლებელია ძველი ჰიერატული პოეზიის ფორმულების არსებობის ძალით და თუნდაც იმ მიზეზით, რომ შუა საუკუნეების მსატკრული აზროვნების კოლოსი – იოვანე დამასკელი – აცხადებდა, არაფერი მაქვსო ჩემი.

ვემყარებით მინის გამოცემას (PG, I, 66, 1587-1615) და კრისტ-პარანიკასის ანთოლოგიას (გვ.3-23). ხელთ გვაქვს აგრეთვე ნ. ტერცაგის და ე.ა. პემოპულოსის ზემოხსენებული გამოცემები.

პირველი საგალობელი

ამონშიერო ფორმინგო, ტიური ქებისა და ლესბიური გალობის შემდეგ უფრო დარბაისლური საგალობლებით ამისმიანე ღორიული ოდა, -- არც სატრფიალოდ მოკისკისე სალუქი ნიმფებისათვის, არც ჭაბუკთა
10 ფავილობის ეამის ყოელად სანდომო დასებისათვის; /რადგან ღმერთისგან სიბრძნის წმინდად და უხრწნელად შობის ტკივილი გალობას ღვთაებრივისაკენ წარზიდავს, რომ ქნარს ჩამოჰკრან ძალთსაცემელი, ხოლო მიწიერი ტრფობის თაფლისებრი ცთომისაგან განარიდებს. ქეშმარიტად, რა არის

¹ სიმ. ყაუზნიშვილი, ბიზნტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1963, გვ. 55.

20 სიამამაცე, ანუ სილამაზე, ანუ ოქრო, ანუ სახელი და სამეფო პატივი —
საღმრთო საზრუნავთან? / იქნებ ერთი ცხენს ლამაზად მოაგელვებდეს,
მეორე მძლავრად მშვილდს მოზიდავდეს, სხვა მონაგებს დიდძალს იცავდეს,
- განძს ოქროულის, სხვას კი ქედზე სამკაულად ვყარნენ თმანი; სხვაც
ვინმე მრავალსაგალობელი იქმნეს ჭაბუკთა და ქალწულთა შორის,
პირისახის ბრწყინვალეობით გამორჩეული.

30 მე ნეტარ წყნარად/ წარმზიდავდეს უჩინარი ცხოვრება, სხვათათვის
უჩინარი, ღმერთისთვის საცოდნელი.¹ ხოლო სიბრძნე თან მსდევდეს —
სიყრმეშიც დასაჭიროებული და სიბერეშიც სასიკეთოდ წარსატანი; კეთილია
სიმღიდრის ხელმწიფე მდებრი, უპოვარებასაც ადვილად დაითმენს სიბრძნე,
40 შორით (*αβατον*) რომ უღიმის ცხოვრების სამძიმო საზრუნავთა. / თუნდაც
მხოლოდ იმდენი მქონდეს, რაოდენიც საკმარისია მეზობელთაგან ქონში
თავის შესაფარავად, რათა გაჭირვებამ არ მიმდრიკოს შავი და მძიმე
საფიქრალისკენ.

ყური მიაპყარ გალობასაც ჭირჭინობელის, რომელი შესვამს ცვარს
დიღეულს. ნახე, ხმობენ ჩემი ძარღვები ისე, რომ არვის უნებებია, და
50 რადაც ხმა სულ თრთის ჩემ ირგვლივ. / ო, რა გალობა დამებადება
საკვირველი შობის ტკივილით?

თვით-მოდრავი საწყისი იგი, გამრიგე და მამა არსთა, დაუსარეცლებელი
და დაუბადებელი, ცის მწვერვალებზე დადგმულ მაღალ ტახტზედ
აღუფხვრელი პატივით ხარებული ღმერთი უძრავად ზის, — ერთობათაგანი
60 წმინდა ერთი, მონადათაგანი მონადა პირველი, / რომელმან მწვერვალთა
სიმარტივენი შეაერთა და შვა ზესთა-არსული შობით; მონადა რა გამოსხლტა
პირველად დათესილი, მან, გამოუთქმელად განფენილმა, სამმწვერვალისანი
ძალი მოიღო. ზესთა-არსულ წყაროს აგვირგვინებს მშვენიერება ყრმათა,
70 რომელნიც საშუეალი წერტილიდან გამოსხლტებიან/ და მას (საშუეალ
წერტილს) გარს ევლებიან. დეგ, ჩემო კადნიერო ფორმინგო, დეგ, ნუ
განუცხადებ ხალხს უორგიებო საიდუმლოებას. მო, ქვეყნის საქმეებზე
იწკრიბლე, ხოლო ზესთა [საქმეებს] მდუმარება ფარავს. გონება იტვირთავს
გონებითი სამყაროს საზრუნავს. მოკვდავი სულის კეთილი საწყისი /
80 დაუნაწილებლად დანაწილდა, — ნივთში დამავალი უხრწნელი გონება,

¹ V. I. სახილველი.

- ღმრთივ მშობელთა ნატამალი, თუშცალა მცირე, მაგრამ მათი [წილი]. მთელი ესე და ერთი [ძვეს] ყოველში, მთელი – მთელში დასული. ცათა სიმრგვლეს ატრიალებს, ზოლო ამა [ნივთიერ] მთელს იცავს და, სხვადასხვა
- 90 სახით / დანაწევრებული, თანავე სუფევს; ანუ ვარსკვლავთა ვტლით [იბოლოს], ანუ ანგლოზთა დასებს [ერთვის], ანუ დაზიდული კაეშირითვე პოვეს მიწიერ სახეს. მშობელთაგან განყენებულმა, პოვა ბნელი დავიწყება და ბრმა საზრუნავით [შეპყრობილი] უხარებელი მიწა უკვირს ღმერთს,
- 100 მოკვდავთა მზირალს / შიგ ნათელი აქვთ დაწუხულ თვალებს; არის აგრეთვე დაცემულთა აღმგვანებული და განმამბრძნობელი რამ ძალმოსილება, ოდეს ცხოვრების ტალღებს განრიდებულნი უზრუნველად წარემართებიან წმინდა სავალით მშობლის ტაძრისაგან. ნეტარია, ვინც განერიდა ნივთის ხარბ
- 110 ყუფას, და მიწისაგან / ამოზიდული – მსუბუქ ახსლექტით, ღმერთისაკენ იკვალავს გზას. ნეტარია, ვინც ბედისწერის, ტანჯვისა და მწარე მიწიერი წუხილის წიად გონების გზას დაადგა და ღმრთივ ნათელი სიღრმე იხილა. სამძიმოა მთელ გულს გასწვდევ განმამბრძნობელი ტრფობის მთელი
- 120 ფრთებითაც / განიმტკიცე წადილი მხოლო – გონებითი სწრაფობით და ნდომით; ზოლო იგი განცხადდება შენ მახლობელად; დამბადებელი ხელს გამოგიწვდის; რადგან სხივი რამ წინ მსხლდომელი განანათლებს ბილიკებს და გადაგიშლის საცნაურ კელს, რომელი საწყისია მშვენიერების.
- 130 ეპა, სულო ჩემო, სვი კეთილად შედინი წყაროდან, / ევედრე მშობელს და აღვედ, ნულარ აყოვნებს; მიწას დაუგდევ მიწისანი და მოსწრაფებით მამას შეერთე, – ღმერთი, ღმერთში აღლალებული.

მეორე საგალობელი

- კვალად ნათელი, კვალად ცისკარი, კვალად დღე მოანათებს ღამით დატრიალებული წყვდიადის შემდეგ. კვალად საცისკრო საგალობლებით ჩემთვის უკალობე, სულო, ღმერთს, რომელმან მისცა ცისკარს ნათელი, რომელმან დაუსსნა ღამეს ვარსკვლავნი, საფერხულოდ ქვეყნიერებას
- 10 შემოვლებულნი. ზვირთმრავალ ნივთებას / ზურგი აითერმა დაუფარა, ცეცხლის სილამაზეზე აღმხედრებულმა; იქ დიდებული მთოვარე კვეთს უქვემოეს სიმრგვლეს; ზოლო ვარსკვლავებიან მრუდთა მერვე წრის ზემოთ ვარსკვლავთ-უდაბური [წრის] მდინარება მორბედთა საპირისპიროდ დასთა

20 მიარეკს [თავის] წიაღში და ფერხულს უკლის დიდი გონების ირგვლივ/
რომელმაც (გონებამ) ზეციური სამყაროს მწვერვალს კერცხლისფერი
ფრთები გადააფარა. შემდგომს ნეტარი მდუმარება ფარავს, – გონებითა
და ხაცნაურთა კვეთას განუკვეთელს.

ერთი წყარო, ერთი ძირი სამნათელ სახედ გამობრწყინდა; სადაც
30 ხილრმეა მამისეული, იქვე დიდებული ძე, გულიდან შობილი, / სიბრძნე –
სამყაროს შემოქმედი, და წმინდა სულის. ერთებისმიერი ნათელი გამო-
ბრწყინდა. ერთმა წყარომ, ერთმა ძირმა ხიკეთეთა აღიღო სიუხვე და
ზესთა-არსული რტო, გზნებით მოსწარაფე სიცოცხლისათვის, და ნეტართა
არსთაგან ნატვირთები ნათელი გამოანათა. მერმე კი უხრწწელთა ზეგარდმო

40 არსთა სამყაროულმა / დასმა მშობლის დიდება და პირველად დათესილი
სახე გონებითი (ზესთა) საგალობლებით შეამკო. კეთილის-მნდომელ
მშობელთა ახლოს ანგელოზთა უბერებელი მზედრობა, ერთი მხრივ,
გონებისკენ მზირალი აღკრებს მშვენიერების საწყისს და, მეორე მხრივ,
სიმრგვლეთა მზირალი მართავს და განაწყობს სამყაროს სიღრმეებს; /

50 ზესთა სამყაროს სჭიმავს უმაღლეს სიმამლის და ნიეთებადმდის, სადაც
დაკლებული ბუნება შობს დაიმონთა გუნდს, მეტად ხმაურიანს და მეტად
ხერხიანს. მას მერე ტრფობა (ეროსი), მას მერე დედამიწის ირგვლივ
დათესილი სული მიწის წილხვედრთა აცოცხლებს ნაირგვარად

60 ნახელოვანები სახეებით; ხოლო ყოველი შენი ნებათარს. / თავად ხარ ძირი
აწ მყოფთა და უწინ მყოფთა და მოსლვად მყოფთა და შორის-მყოფთა; შენ
მამა ხარ, შენვე – დედა, შენვე – მამრი, შენვე – დედრი, შენვე – ხმოვანება,
შენვე – მდუმარება, ბუნების ბუნება ნაყოფიერი, შენვე – ზეგარდმო არსი,
ხაუკუნის ხაუკუნე. სჯულიერების ღაღადისი ხარ.

70 სრულ გიხაროდენ, ძირო სამყაროსაო, / სრულ გიხაროდენ, რომელი
ხარ საშუალი მყოფთა, არსების სრულიად არმქონებელ ზეგარდმო არსთა
უკვდავი რიცხვების მონადაო. სრულ იხარებდე, სრულ იხარებდე, რადგან
ეს ღმერთთან ხარებაა. ჩემთა თანამოღასეთა სასმენელნი საგალობლებს
მოწყალედ მონადვე. სიბრძნის გარდახსენ ნათელი, განავრცე სვე დიდებული,

80 განავრცე / წყნარი ცხოვრების დაშთენილი მადლი; შორს განავრცე უპოვარება
და სიმდიდრის მიწიერი სიაცე; წინა-აღუდეგ მძიმე სნებათა; ენებების
ურიგო აზავთებას და დამღონებელთა საზრუნავთა ჩემი ცხოვრებიდან
აოტებდე, რომ გონების ფრთა არ დაეშეას მიწიერ სატივირამდე. ოღონდ

90 დახსნილი ფრთა აეწიოს/და შენს რტოს ყოვლად გამოუთქმელი და საიდუმლოდ

აღლადებული ფერხულით გარს შემოველო.

მესამე საგალობელი

ესა, ხულო, წმინდა საგალობლებით მოწვეწული ჩემდა, მომიმდოვრე
შფოთვა, რომელს ბაღებს ნიეთება; ექმენ თოროსანად გონების სასტიკ
10 აღზავებას. ღმერთთა მუფყს უუთხზათ გვირგვინს/ [და ესე არის] მსხვერპლი
უსისხლო, [ქების] სიტყვათა სამსხვერპლო მცვერვა. მე რომ შენ ზღვაზე,
კენძულებზე, ხმელეთზე, ქალაქებში, უღალ-კლდეებიან მთებზე და დიდებულ
20 ველებზე დაგაყრდნო/ ორთავ მკლავთა ფრთოვანებას, შენ გიგალობდი,
ნეტარო, მაშინ, ღამბაღებულო სამყაროისა. მბრძანებულო, ღამეს მოვეყვარ
შენთან მგალობელად. შენთვის აღვაველენ საგალობლებს, შენთვის –
დღისიერს, შენთვის – ცისკრიასა, შენთვის – მწუხრისას.

30 / [არს] ვერცხლისფერად ნათელ ვარსკვლავთა მოწამებრივი
ელვარება, მთოვარის სრბოლა და დიდი მოწამე მზე. უმანკო ვარსკვლავთა
მთავარი, ღირსი ხულების წმინდა მსაჯული, ამაო ნიეთებისაგან შენი
40 სასახლისაკენ, შენი წიაღისაკენ მოქცეული / ფრთას აღისუბეჭებს ხარებუელი,
რათა შენს კარს მოაღწიოს.

აწ საიდუმლო თავყვანების წმინდა ტაძარს ვედრებით ვეახელ; აწ
50 დიდებული მთების მწვერვალს / ვედრებით ვეახელ. აწ უდაბური ღიბიის
დიდ ველს ვეახელ, სამხრეთის მხარეს, რომელს არც უღმერთო ხული
ართმევს უმწიკვლოებას, არც ნაფეხური ისახება ციხე-ქალაქზე შხრუნველთა
60 კაცთა./ [ვეახელ,] რათა ხულს, ვნებათაგან განწმენდილს, სატრფიალო
ღატოლვითაგან დახსნილს, შრომათაგან განაპირებულს, გულიანი ტირილის,
რისხებისა და პაექრობისაგან განაპირებულს, განწმენდილი ენით და
70 ღირსი ცნობით [ყოვლისა ამის] განმამხვევლს, / ვარგი გალობა მოერთმია
შენთვის.

იკეთილხმოვანონ აითერმა და დედამიწამ; იდგეს ზღვა და იდგეს
პერი; შეწყდი, ფშვინვაო სხვადასხვა ქართა; შეწყდი, სიმრგვლეთა შხივილის
80 სიმძაფრე; / [დადექით,] ადიდებულო მღინარებო, კლდეთა ნაკადნო.
მღუმარებდეს სამყაროს ქებაული, სანამ ღვთაებრივად ხმოვანებენ წმინდა
საგალობლები. მიწის ქვეშ ხოხავდნენ გველები, შთახდეს მიწის ქვეშ
90 ფრთოსანი გველიც, / დაიმონი ნიეთების, ღრუბელი ხულის, კერპებით

ხარებული, ლოცვების წილ ძაღლებს რომ უხმობს. შენ, მამაო, შენ, ნეტარო, შენ განაფრთხვე სულით უმაძღარნი ძაღლნი სულისაგან ჩემის, ლოცვისაგან
100 ჩემის, / სიცოცხლისაგან ჩემის, საქმეთაგან ჩემთა; ხოლო საგულეთაგან (παυσιδαια) ჩვენნი [სამხსვერებლო] მცერვეა იყოს საზრუნავი დიად პატივსუ- მოხილი შენი ბრძენი მონების და მხვეკალების, რომელთ შენდამო მოაქვთ წმინდა საგალობლები.

110 ეჰა, წარმიტანეს შემოსაზღვრულად / წმინდა სიტყვებმა; ეჰა, წინამოსწავეების მკვნესარე ბგერა გონების ირგვლივ. მიწყალე, ნეტარო, მამაო, მიწყალე, თუ გარეშე მორთულებისა¹, ან თუ გარეშე განგებისა — [საქმეთა] შენთა შევეხე. ვის აქვს [ისეთი] ბრძენი სახედველი, ვის აქვს

120 [ისეთი] ვრცელი სახედველი, / შენი ელვარებით ძლეული რომ არ დაიწუხოს? ჩირაღთა შენთა დამაბებით მზერა არც ღმერთებს ძაღუსთ. ხოლო გონება, დაცემული შენი სიმაღლიდან, მახლობელთა ეაღერება — მოსწრაფე
130 წვდომისათვის მოუწვდომლისა/ მზერისათვის ნათლისა, რომელი ელვარებს განუზომელ სიღრმეში; მოუკარებელი [სიწმინდისაგან] დაზიდულს, პირველ- ნათელი სახე წარსტაცებს თვალს; რის შემდეგაც აღკრებს შენი

140 საგალობლებისთვის/ ნათლის ფეაილებს, რომ კვეთება დააცხროს აწყვეტილ ქართა და შენი კვალად შენ მოგაგოს. თუმცა რა არ არის შენი. მბრძანებელი? მამათა ყოველთა მამაო², თვით — მამაო, მამათმოთავარო, უმამოო, შენივე

150 თავის ძეო, ერთო, ერთის უწინარესო, / არსთა თესლო, ყოველთა საშუალო [წურტილო], გონებაო სრულიად უარსებოო, დასაბამებრივ სამყაროთა ძირო, მრგვლიად მნასობო ნათელი, ბრძნული ჭეშმარიტებაო, სიბრძნის

160 წყაროო, საკუყარი ელვარებით დაფარული გონებაო/ შენავ თავის თვალთ, ელვისა და გრავინის მყოფეო, საუკუნოდ მობილო, საუკუნოდ მყოფო, ღმერთთა ზესთაო, გონებათა ზესთაო, [ბუნებისითა] შჯულთა ზესთაო, გონებითის მშობელი გონებაო, ღმერთთა მედანიობის [დასაბამ-] მქმნელიო,
170 სულთა ოსტატო/ და საუშვეინველთა საზრდელის გამოძღვებელიო; წყაროო წყაროთაო, საწყისთა საწყისო, ძირთა ძირო; მონადა ხარ მონადათაგანი, რიცხვთა რიცხეო, მონადა და რიცხევი, გონება და გონებითი და საცნაური

1 *κισμωσι* მხოლოდ აქ არის ლათინურად *ლარგზილი* *decorum*-ით.
2 აქედან დანუხული, ნ. ტერციუსი შენიშვნით, პოეტო მ. ა. დევს ორვიციოსთ ალათს (ცვმ) ჩამოთვლის წე¹ ზეა მსჯელობა.

180 და უწინარესი საცნაურისა; / ერთი და ყოველი, ერთი ყოველობით და ერთი, უწინარესი ყოველთა, თესლი ყოველთა, ძირი და რტო, ბუნება გონებითთა შინა დედრი და მამრი; ხოლო საიდუმლო გონება ამასაც ამბობს და სხვასაც

190 და გამოუთქმელ სიღრმეს / ფერხულით ევლება.

შენ მშობელი იქმენ, შენ, რომელი იშვები, შენ – მანათლებელი, შენ – ნათლიერი, შენ – გამოჩინებული, შენ – დაფარული, ნათელი დაფარული

200 საკუთარი ელვარებით; ერთი და ყოველი/ ერთი თავისთავად და ყოველობით, რადგან შენ გარდამოედინე, გამოუთქმელად შობილო, რათა ყრმა გეშვა, – დიდებული სიბრძნე დამბადებელი; ხოლო გარდამოედინილი მიითვლება

210 განუკვეთელ კვეთათაგან./ გიგალობ, მონადაო, გიგალობ, სამებაო; მონადა ხარ – სამება; სამება ხარ – მონადა; და გონებით განიკვეთა და განაწილდა ჯერ განუყოფელი.

ყრმაში დადენილხარ ბრძნული მიზეზით, თავად მიზეზი კი/

220 აღმომცენარდა ვითარცა საშუალო ბუნება არა ბგერადი, არსების უწინარესი არსი. არ ეგების თქმა მეორისა შენ გარეშე; არ ეგების თქმა მესამისა პირველის გარეშე. წმინდა საშობაო ტკივილის [მიზეზო], გამოუთქმელო

230 ნაშობო, ზღვარი ხარ/ მშობელისა და შობილის ბუნებათა. კეთაფვანები გონებითთა დასხ დაფარულს; ითავსებს რაღაც საშუალოს, გარდამოედინებულს. გამოუთქმელი მამის გამოუთქმელო ნაშობო, შენ

240 გამოა საშობაო ტკივილი, საშობაო ტკივილის გამო/ თავად აღხწინდი, მამითურთ ჩენილო მამის მიზეზით; ხოლო მიზეზი შენ ხარ მარადლე

შენსაე მამასთან ერთად. არც ღრმად შედინმა ღრომ უწყის შობა გამოუთქმელი და ძველმა საუკუნემაც დაუგრანგველი და [ღროით]

250 დაუნაწევრებელი / შთამოება ვერ შეიცნო. მამასთან ერთად გამოჩნდა მარადლე შობილი, რომელი შემდგომ იშვება. გამოუთქმელთა შინა ვინ

განსაჯა კადნიერება? ბრმა მოკვდავთა, ნატიფ-ენოვანთა, აქეთ უღმერთო

260 ამპარტაუნება. ხოლო შენ/ გონებითი ნათლის ნათელ-მომღებელი, უმართებულო შხაკვარებისაგან იხსნი ღირს მოკვდავთა საგულეებს (გულის ბუდეებს), რომ ბნელ ნივთებაში არ შთაცვივდნენ.

შენდა, მამაო სამყაროთაო, მამაო საუკუნეთაო, თვითშემოქმედო

270 ღმერთთაო, არა არს ბრალი ქების შეწირვა./ შენ გონებითი [არსნი] გიგალობენ, მბრძანებელო; შენ სამყაროს მთავარნი, თვალმნათობნი, გონებანი ვარსკვლავნი გიგალობენ, ნეტარო, რომელთა ირგვლივ დიდებული სხეული

280 როკავს. გაქებს ყოველი გვარტომი ნეტართა, სამყაროს გარეშემონი,

- სამყაროს შინანი, არა სარტყელთანი; სამყაროს ნაწილებს მიყვებიან ბრძენნი, ირგვლივ მსრბოლნი¹; ისინი გარემო [ველებიან] დიდებულთა
- 290 საჭეთმკყრობელთა, რომელთაც ანგელოზური / ხირა გარდმოადენს. გმირთა მბრწყინვალე გვარი კაცთა საქმეებში დაფარული გზებით შეაღწევს,
- 300 ხოლო სული მოუდრეკელი მოდრეკილია შავად ელვარე/ სიმძიმეში მიწის. - შენ ნეტარი ბუნება და ბუნებითი შთამოება გიგალობს, ნეტარო, რომელთაც მაცოცხლებელი ნიავეთ მიყვები, შენთა ნაკადულთაგან
- 310 მონაბერით; ვინათგან, უხრწნელთა/ სამყაროთა წინამძღვარო, ბუნება ხარ ბუნებათა; შენ ბუნებას ესათუთები, მოკვდავთა შესაქმეს, ზატს სამარადლეოსას, რათა ხრულ უკანასკნელ ნაწილსაც სამყაროში ჰხედომოდეს შეცვლილი სიცოცხლისაგან.
- 320 / არ იყო უბრალო მოხთვლა სამყაროს [უქვემოესი ნაწილისა], რომელიც მწვერვლებს ედავებოდა, ხოლო სრულად არსთა ფერხულში დამყარებული, აღარაფერი დაიღუპება; ერთმანეთის ხაშუალებით
- 330 ერთიმეორისაგან ყოველი განსცდის; მათგან, რომელნი იღუპებიან/ შენი ფშვინებით კვალად გათბება სიმრგვლე სამარადისო. შენთვის ყოველს ნახელოვანებს მეფერხულედ შეიქმს დედა ბუნება თავისი ფერებით, თავისი
- 340 საქმეებით; ხოლო ცოცხალთაგან/ სხვადასხვარიგად ბგერადთა, ერთ თანახმიერ ჰარმონიას შეიქმს. შენთვის ყოველს მოაქვს ქება დაუძველებელი:
- 350 ცისკარს და ღამეს, ელვას, თოვლს, ცას, აითერს და დედამიწის ფეხებს, წყალს, ჰაერს/ სხეულს ყოველს, სულს ყოველს, თესლს, ნაყოფს, რტოსა და ბალახს, ძირებს, მცენარეებს, ხეასტაგს და ფრინველს და გუნდს მცურავთა.
- 360 ნახე, ხულსაც, ხუსტს/ და დაუძღურებულს, შენს ღიბიაში, შენს სათაყვანებელ საწმინდარში (?) ღირსი ღოცვებით მზრუნველს და მოწუხარს, გარს ადგას ნივთიერი ღრუბელი; ხოლო შენი სახედველი, მამაო, განაბნევს
- 370 ნივთებას./ აწ გულმა, შენი საგალობლებით ხარებულმა, გამიმახვილა გონება ცეცხლოვანი კვეთებით. შენ ნათლად მოილე, მბრძანებელო, მესაიდუმლოეობის ნათელი. მანიშნე, მამაო, რომ ანასხლეტი სხეული
- 380 აღარ ჩაიძირება/ მიწიერ ცთომაში. ოღონდ სანამ ნივთიერი სიცოცხლის საკრველებში ვრჩები, ნეტარო, წყნარი ბედით მქმნა დაჰურებული, [ისეთ] ქარს ნუ მომბერავს [ბედი], ცხოვრებას რომ ჰაობს გონების ნაღვლიანი

¹ შტრ. Sophocles, s. v. *αυριφανηρ* უღრის ანგელოზების მზედრიონს.

180 და უწინარესი საცნაურისა; / ერთი და ყოველი, ერთი ყოველობით და ერთი, უწინარესი ყოველთა, თესლი ყოველთა, ძირი და რტო, ბუნება გონებითთა შინა დედრი და მამრი; ხოლო საიდუმლო გონება ამასაც ამბობს და სხვასაც

190 და გამოუთქმელ ხილრმეს / ფერხულით ევლება.

შენ მშობელი იქმენ, შენ, რომელი იშვები, შენ – მანათლებელი, შენ – ნათლიერი, შენ – გამოჩინებული, შენ – დაფარული, ნათელი დაფარული

200 საკუთარი ელვარებით; ერთი და ყოველი / ერთი თავისთავად და ყოველობით, რადგან შენ გარდამოედინე, გამოუთქმელად შობილო, რათა ყრმა გეშვა, – დიდებული სიბრძნე დამბადებელი; ხოლო გარდამოდენილი მითვლები

210 განუკვეთელ კვეთათაგან. / გიგალობ, მონადაო, გიგალობ, სამებაო; მონადა ხარ – სამება; სამება ხარ – მონადა; და გონებით განიკვეთა და განაწილდა ჯერ განუყოფელი.

ყრმაში დადენილხარ ბრძნული მიზეზით, თავად მიზეზი კი /

220 აღმომცნარდა ვითარცა საშუალო ბუნება არა ბევრადი, არსების უწინარესი არსი. არ ეგების თქმა მეორისა შენ გარეშე; არ ეგების თქმა მესამისა პირველის გარეშე. წმინდა საშობაო ტკივილის [მიზეზო], გამოუთქმელო

230 ნაშობო, ზღვარი ხარ / მშობელისა და შობილის ბუნებათა. ვეთაყვანები გონებითთა დასს დაფარულს; ითაყვებს რაღაც საშუალოს, გარდამოედინებულს. გამოუთქმელი მამის გამოუთქმელო ნაშობო, შენ

240 გამოა საშობაო ტკივილი, საშობაო ტკივილის გამო / თავად აღსწნდი, მამითურთ ჩენილო მამის მიზეზით; ხოლო მიზეზი შენ ხარ მარადლე შენსავ მამასთან ერთად. არც ღრმად შედინმა დრომ უწყის შობა

გამოუთქმელი და ძველმა საუკუნემაც დაუგრაგნველი და [დროით] 250 დაუნაწევრებელი / შთამოება ვერ შეიცნო. მამასთან ერთად გამოჩნდა მარადლე შობილი, რომელი შემდგომ იშვება. გამოუთქმელთა შინა ვინ

განსაჯა კადნიერება? ბრმა მოკვდავთა, ნატიფ-ენოვანთა, აქვთ უღმერთო 260 ამპარტყენება. ხოლო შენ / გონებითი ნათლის ნათელ-მომღებელი, უმართებულო შზაკვარებისაგან იხსნი ღირს მოკვდავთა საგულეებს (გულის ბუდეებს), რომ ბნელ ნივთებაში არ შთაცვივდნენ.

შენდა, მამაო სამყაროთაო, მამაო საუკუნეთაო, თვითშემოქმელო 270 ღმერთთაო, არა არს ბრალი ქების შეწირვა. / შენ გონებითი [არსნი] გიგალობენ, მბრძანებულო; შენ სამყაროს მთავარი, თვალმნათობნი, გონებანი ვარსკვლავნი გიგალობენ, ნეტარო, რომელთა ირგვლივ დიდებული სხეული

280 როკავს. გაქებს ყოველი გვარტომი ნეტართა, / სამყაროს გარეშემონი,

სამყაროს შინანი, არა სარტყელთანი; სამყაროს ნაწილებს მიჰყვებიან
 ბრძენნი, ირგვლივ მსობოლნი¹; ისინი გარემო [ეკლებიან] დიდებულთა
 290 საჭუთამყრობელთა, რომელთაც ანგელოზური / სირა გარდმოადენს. გმირთა
 მბრწყინვალე გვარი კაცთა საქმეებში დაფარული გზებით შეაღწევს,
 300 ხოლო სული მოუდრეკელი მოდრეკილია შავად ელვარე/ სიმძიმეში მიწის.
 - შენ ნეტარი ბუნება და ბუნებითი შთამოება გიგალობს, ნეტარო,
 რომელთაც მაცოცხლებელი ნიავეთ მიჰყვები, შენთა ნაკადულთაგან
 310 მონაბერიით; ვინათგან, უხრწნელთა/ სამყაროთა წინამძღვარო, ბუნება ხარ
 ბუნებათა; შენ ბუნებას ესათუები, მოკდავთა შესაქმეს, ზატს სამარადელსას,
 რათა სრულ უკანასკნელ ნაწილსაც სამყაროში ჰხვდომოდეს შეცვლილი
 სიცოცხლისაგან.
 320 / არ იყო უბრალო მოსთვლა სამყაროს [უქვემოესი ნაწილისა],
 რომელიც მწვერვალებს ედავებოდა, ხოლო სრულად არსთა ფერხულში
 დამყარებული, აღარაფერი დაიღუპება; ერთმანეთის საშუალებით
 330 ერთიმეორისაგან ყოველი განსცდის; მათგან, რომელნი იღუპებიან,/ შენი
 ფშვინვით კვალად გათბება სიმრგვლე სამარადისო. შენთვის ყოველს
 ნახელოვანებს შეფერხულედ შეიქმს დედა ბუნება თავისი ფერებით, თავისი
 340 საქმეებით; ხოლო ცოცხალთაგან/ სხვადასხვარიგად ბგერადთა, ერთ
 თანახმიერ ჰარმონიას შეიქმს. შენთვის ყოველს მოაქვს ქება დაუძველებელი:
 350 ცისკარს და ღამეს, ელვას, თოვლს, ცას, აითერს და დედამიწის ფესვებს,
 წყალს, ჰაერს/ სხეულს ყოველს, სულს ყოველს, თესლს, ნაყოფს, რტოსა და
 ბალახს, ძირებს, მცენარეებს, ხეასტაგს და ფრინველს და გუნდს მცურავთა.
 360 ნახე, სულსაც, ხუსტს/ და დაუძღურებულს, შენს ლიბიაში, შენს
 სათავეანებელ საწმინდარში (?) ღირსი ლოცვებით მზრუნველს და მოწუხარს,
 გარს ადგას ნივთიერი ღრუბელი; ხოლო შენი სახედველი, მამაო, განაბნევს
 370 ნივთებას./ აწ გულმა, შენი საგალობლებით ხარებულმა, გამიმახვილა
 გონება ცეცხლოვანი კვეთებით. შენ ნათლად მოიღე, მბრძანებელო,
 მესაიდუმლოების ნათელი. მანიშნე, მამაო, რომ ანახსლგები სხეული
 380 აღარ ჩაიძირება/ მიწიერ ცთომაში. ოღონდ სანამ ნივთიერი სიცოცხლის
 საკრველებში ვრჩები, ნეტარო, წყნარი ბედით მქმნა დაპურებული, [ისეთ]
 ქარს ნუ მომბერავს [ბედი], ცხოვრებას რომ ჰპობს გონების ნაღვლიანი

¹ შლრ. Sophocles, s. v. ἀσφραγιστοῦ უღრის ანგელოზების მხედრიონს.

- 390 საფიქრალით/ რათა საღმრთო საქმეთათვის მქონდეს მოცალეზა და
 აღარც იმათში ვტრიალებდე, ვისგანაც ლტოლვილი, შენი საბოძკარით ამ
 გვირგვინს გითხზავ უმწიკლო მღვლოთაგან.
- 400 ეს ქება შენთვის მომაქვს/ უხრწნელთა სამყაროთა წინამძღვარო,
 და ბრძენი ყრმისთვის, თავად სიბრძნისთვის, ხოლო [ყრმა] იგი გამოუთ-
 ქმელთა წიაღთაგან გარდამოღვარე და შენშივე რჩება, შენგან გამოძსხლტარო,
 410 რათა ყოველი მიჰყვეს ბრძნულ ფშეინვას / და, ღირსი გულთა ბუღეებით
 გამონათებულმა, შეაზავოს ძველ საუკუნეთა სიღრმე, შეაზავოს (მყარი)
 სამყაროს ფრთები მიწის ხვედრ არსთა უკიდურეს საფუძვლამდის, ახსნას
 420 შრომა/ და საზრუნაი მხნეთა მოკვდავთა, - კეთილთ მთავარმა, წუხილთა
 მღვწელმა. და რად [არის] საკვირველი, რომ ღმერთი, სამყაროს შემოქმედი,
 თავის საქმეებს სიაკვს არიდებს?
- 430 დიდი სამყაროს მეუფეო, შენთვის ამ ვალის/ გადასახდელად მოველ-
 თრაკიიდან, სადაც სამი წელი ესახლობდი ველზე, ღუდამიწის სამეუფო
 სასახლის ახლოს. დავითმინე შრომა, დავითმინე ტკივილნი სატირალ-
 440 სშირნი, მხრებით ვზიდე / ღუდა სამშობლო. ემცრევა მიწას დამაშვრალეზის
 ასო-ნახსმანთა ოფლი დღითიდღე; ემცრევა სარეველს ცრემლი მოტირა-
 450 ლთა თვალეზიდან ღამითი-ღამე. ხოლო ტამარნი რარიგ ღიადნი / აღმართე-
 ლან, მბრძანებელო, შენთა წმინდათა საიდუმლო თავგანებისთვის; ყოველ
 [ტამარს] ვეახულ მე, თავდარბილი მავდრეხელი, რომელმან მიწას დაეასურე
 თვალთა სისველე არა იმად, რომ წემთვის ამო გზაზედ შემცვრია; ვეჯდრე
 460 ღმერთებს/ მსახურებელთა, რაოდენთ თრაკიის მდიდრად მშობი მიწა
 უპყრიათ და რომელნი მოპირდაპირე ქალკედონიის ვანებს იცავენ და
 რომელნი, მბრძანებელო, ანგელოზური ელვარებით დაავირგვინე, - შენი
 470 წმინდა ხატისკაცები. / ნეტართა შეიწყნარეს წემი ლოცვანი და მწიფ მტკ-
 ნენ დიდ შრომაში. აღარ მიფვარდა მაშინ სიცოცხლე სამშობლო მიწის გა-
 480 რეშე; მბრძანებელო, შენ გაამაგრე იგი ჭირში, / თავად უბერებელმა, სამყა-
 როს მეუფეო. სანამ სული იწრიტებოდა, სანამ ასო-ნახსმანნი დამშლიდ-
 ნენ, ძალი წემთა ნახსმანთა დაიყრდნე და გაჭირვებულ სულს სიმწნე
 490 შთაჰბერე; / დამაშვრალეზის ტკილი ბოლო მაპოვნინე წემს სულზედ
 ზეგარდამოსვლით და დაამშვენე საქმეებით, ხანგრძლივ შრომათაგან
 განსვენება.
- 500 ნეტარო, ლიბიელთათვის ყოველი დაიცავ ხანგრძლივად და ჟამიერად
 შენი კეთილ-მოქმედების ხსოვნისა და საზარლად ენებული სულის

გამოისობით. მოიღე მკვედრებლისად ცხოვრება უენებელი; დამხსენ
 დაშვრომანი, დამხსენ სნებანი, დამხსენ გულის შემკმეული საზრუნავი/
 510 [შენს] მსახურს – გონებითი ცხოვრებისთვის მომეც დასტური. ნუ მანვიმებ
 მიწიერი სიმდიდრის ნაკადს, მბრძანებელი, რომ მქონდეს საღმრთო
 520 მიწისაკენ არ დაზიდოს/ საფიქრალი. ორნივე [სიმდიდრე და სილატაკე]
 სულს მიწამღე ხრიან; ორნივე გონებას დამავეიწყებდნენ, ნეტარო, შენ რომ
 530 მწე არ მკეძნებოდე. დიად, მამაო, უმანკო სიბრძნის წყაროო, / გამოუბრწყინვე
 გულთა ბუდეებს გონებითი ნათელი შენი წიაღიდან; შენი ძლიერება [კვიჩენე]
 და გულით გამოაელვე სიბრძნის ელვარება, [გაანათე] შენკენ [მომავალი]
 540 წმინდა ბილიკი; ნიშნად მოიღე შენი ბეჭედი/ გულის მჭამელნი დაიმონნი
 ნიეთებისანი განაშორე ცხოვრებისაგან ლოცვითა ჩემით; სხეული შემინახე
 უენებელად და მტრულ ვნებათათვის შეუკვალად და სული შემინახე
 550 უმწიკვლოდ, მბრძანებელი. ჭეშმარიტად, უკვე / ნიეთების მრუმე ბიწს
 ვზიდავ; ეუპერივარ ვნებათა, მიწიერ საკრველთა. ხოლო შენ გადამჩენელი
 ხარ, შენ განმწმინდანებელი ხარ. დამხსენ ბოროტთაგან, დამხსენ სნებათაგან,
 560 განმიხსენ ფერხნი. შენს თესლს ვატარებ, / კეთილშობილი გონების
 ნაპერწყალს, ნიეთების სიღრმეში საიდუმლოდ დამარბულს, ვინათგან შენ
 სამყაროში დაიმყარე სული, ხოლო სულის საშუალებით გონება
 570 სხეულში დასთესე, მბრძანებელი. შენი ასული/ შეიწყალე, ნეტარო.
 შენგან თაგვე დავეში მიწის მსახურად და მონა ვიქმენ: ნიეთებამ მე
 მოგვეურ ზელოვანებას მიმაჯატვა. კვლავ [არის] ჩემში მცირე ძალი
 580 დაფარული თვალისჩინისა./ ჯერ სრულად აზოვანება არ დამშრეცია.
 ტალღათ სიმრავლე დაღვრილია ზეგარდამო, უსინათლოს შეიქმს ღმერთის
 მომხერად. შეიწყალე, მამაო, მკვედრებელი ასული, რომელი ბშირად
 590 გონებითი ზეალსავალით/ მალღღება, ხარბი და მაცთუნებელი ნიეთების
 სურვა კი სულს უზუთავს. შენ გამოანათე, მბრძანებელი, მესაიდუმლოების
 ნათელი. აღანთე ელევა და ცეცხლი, მცირე თესლი ზარდე ჩემს თავში./
 600 მაკურთხე და დამამკვიდრე, მამაო, ცხოველყოფელი ნათლის ძალს შიგან,
 რათა ბუნებამ ხელი არ დამრიოს; მერე აღარც ღედამიწა, არც გარღვევა-
 610 ლობის წერის თითისტარი უკან აღარ დამაბრუნებენ. განველტოს, განეშოროს/
 მზაკვარი მოდგმა შენს მსახურებელს. მამაო, ჩემსა და მიწიერ ბრბოს შუა
 ცეცხლი ვგზებოდეს. მანიშნე დასტური, მეშვეო, მანიშნე მზვეალს – გონებითნი
 620 ფრთენი განემარტო. დე, ატარებდეს/ მამეულ ბეჭედს მკვედრებელი სული

შიშის მოსაგვრელად მემტერე დაიმონთათვის; ესენი, დედამიწის ღრმა
 ქვაბულებიდან ამოთხეულნი, მოჰბერენ კაცთა უღმერთო სურვილებს და
 630 [აე] ნიშანს აძლევენ შენს უმანკო მსახურთ, / რომელთაც სამყაროს
 დიდებული სიმაღლეებით ცეცხლოვანი ზეაღვლის გასაღები უყვრიათ,
 რომ შე ნათლის ბჭენი განმიხსნან; ჯერეთ ურგებ მიწაზე მხოზავი, ნუმც
 640 მქმნა მიწისა; ცეცხლოვან და აითუროვან საქმეთა/ მოწამე ნაყოფი აქაც
 მოაღე, – ხმა ჭეშმარიტი და ის, რაც სულეებს უკედავ იმედს უღვივებს.
 მიწიერი ცხოვრების მონანული ვარ. განმშორდი, თვალთა
 650 ბიწიერებაე უღმერთო კაცთა;/[განმშორდით,] ქალაქთა მძლავრნი;
 განმშორდეს გონებაზე ყოველგვარი ბინდის გადაკერის სიტბო, უმაღლო
 მაღლი, რომელთა გამოც დედამიწას ნააღერსები სული ჰყავს მხვევალად;
 ამან (მხვევალმა), დიად მხდალმა და საბრალომ, თავის სიკეთეთა ღვთა
 660 შესვა, სანამ/ შესაშურ წილს მიემთხვეოდა; ვინათგან გაორებულა მაცდური
 ნიუთება. ხოლო ვინ თაფლის სიტკბოებით ხავსე ტრაპეზისკენ ხელი
 გააწოდა და შეეხო, ცხარედ დაიტირებს და შეინანებს [მის] თანწარმზიდველ
 670 მოწინააღმდეგეთა მწარე ხვედრს;/ ვინათგან მიწიერი გარდუკალობას ეს
 აღათი ორი მხრივ სიცოცხლის ღვინის მწლე არს მოკვდავთათვის, წმინდა
 და შეუმღვრეველი სიკეთე კი – [ანუ] ღმერთი, ანუ [აქქენი] ღმერთისანი.
 680 ტბალი კრატერით დამთვრალი, / მივეკარე მიწის (?) სიავეთა,
 წავაწყდი წყაროს და შევიცან ეპიმეთეური უბედურება. ვეშიშვი წესებს
 ცვალებადს, მამის სანებიერო მღელღოსაკენ მოსწრაფემ, განვმარტე სარბოლი
 690 ფრთენა, / ნიუთების ორკეც საბოძვართაგან სარბოლი. მომხედე, გონებითი
 ცხოვრების მეურნეო; მოჰხედე შენს მკვედრებულ სულს, გონებითი
 ზეაღვალეებით მიწაზე გადმოტყორცნილს, შენ გამოანათე, მბრძანებლო,
 700 შესაიდუმლოედ დამსხმელი ნათელი, / სუბუქ ფრთეთა მომღებელი; განისვენ
 საკრელი, შემიმსუბუქე ბორკილები ორკეც ვნებათა, რომლებითაც
 გერაგი ბუნება სულეებს დრეკს დედამიწაზე; მომეც [ძალი], რომ სხეულიდან
 710 დევნილი ავბედითი სნება სწრაფად გამოვტყორცნო/ შენს ხასახლეში,
 შენს წიაღში, საიდანაც სულის წყარო მოედინება. ცის სიხოველ დღვრილია
 დედამიწაზე; მიმეც წყაროს, საიდანაც გამოვედინე – ოტებული ცთომილი.
 720 მანიშნე, რომ მეშვე წინაპარ / ნათელს შეკერთე; მანიშნე, რომ შენდა
 შევრდომილი მეურნე მბრძანებელისა დახისა თანა ღირსეულად გწირავს
 გონებითს საგალობლებს. მანიშნე, მამაო, რომ, ნათელს შერთული, მიწიერ
 730 სნებას შინა დაუვალი ვარ/ ხოლო სანამ ნიუთიერი სიცოცხლის საკრეულებში

ვრჩები, ნეტარო, წყნარი ბედით მქმნა დაპურებული.

შეოთზე საგალობელი

შენ, ამომაველისას, შენ, განძლიერებულისას, შენ, მყარისას, შენ, განმცხრალისას, წმინდა ცისკრისას, დიად ლეთაებრივი ღამისას, გიგალობებ, მეშვეო, მკურნებელო სულთაო, მკურნებელო მუხლთაო/
10 მოძლებელო სიბრძნისაო, განმდევნელო სნებათაო, მოძლებელო სულთათვის უზრუნველი ცხოვრებისაო, რომელს ვერ გაქვლავს მიწიერი საფიქრალი – დედა მწუსარებისა, დედა დაშვრომისა და სიმძიმილისა; ამათგან ჩემი
20 ცხოვრება წმინდად დაშთეს/ რათა ყოველთა დაფარული ძირი, მგალობელმან, წარვთქვა და ნურც განშამხოლოროს ღმერთმან, ტყვე უბედურებათა.

შენ გიგალობებ, ნეტარო, სამყაროს მყუფეო. დეღამიწა მღუმარებდეს;
30 შენი საგალობლებით, / შენი ღოცვებით კეთილსმოვანებდეს ყოველი, რაიც სამყაროში კვიეს: [ესე არიან] საქმენი შენნი, მამაო. მიმცხრალ იქმნეს ქართა ქროლის ხმა, ხეების ხმა, ფრინველთ გალობა; წყნარი
40 აითერი, წყნარი პაერი/ ყურს მიაპყრობდეს საგალობელს; ხოლო წყალთა გარდამოღერა დეღამიწაზე უხმოდ დამდგარიყოს. წმინდა საგალობელთა შემფერხებელი, ბუნაგებში ზარებული და სამარეთმაყრობელი დაიმონები
50 განეკლტნენ ჩემს/ ღირსეულ ღოცვას; ხოლო კეთილთ რაოდენთა, გონებითი მეშვის ნეტარ მსახურთ და მხეგალთ, უპყრიათ სამყაროს სიღრმენი და სიმწვერვალენი, ნეტარ მამის შემწყნარებლობა მიანდობდეს საგალობლებს,
60 შემწყნარებლობით ნეტარ ჩემს კედრებას აღიტაცებდნენ.

მონაღაო მონაღათაო, მამაო მამათაო, საწყისთა საწყისო, წყაროთა წყაროო, ძირთა ძირო, სიკეთეთა სიკეთეო, ვარსკვლავთა
70 ვარსკვლავო, სამყაროთა სამყაროო, გვართა გვარო, ღრმა მშვენითრებაო/ დაფარულთ თესლო, მამაო საუკუნეთაო, მამაო გამოუთქმელთა გონებითთა სამყაროთაო, საიდანაც [უკედავთ ხსსმელი] ამბროსთა მწთოლვარებბ ბუნთქვად, სხეულის სიმძიმის შემდგომ შობილად, და მეორე სამყაროს აღავსნებს.

80 /შენ გიგალობებ, ნეტარო, ბმიერებით და შენვე გიგალობებ, ნეტარო, მღუმარებით; ვინათგან რამდენადაც ბმიერებას, იმდენადვე მღუმარებას კვრძნობ ვონებითს.

- 90 ეუგალობებ შთამოებას, პირმშოს და პირველნათელს. / ნაშობო დიდებულო გამოუთქმელი მამისაო, შენ, ნეტარო, დიადისა მამისა თანა გიგალობებ და [ვაქებ] შენგნით წაშებას მამეულს, დასაბადებლის ზრახვას, შუალედ საწყისს, წმინდა ხელს, მეშვის საშუაალ [წერტილს], / ძის 100 საშუაალს.
- თავად დედამან, თავად ღვიძლმან დამან, თავად ასულმან, მიირქვა დაფარული ძირი, რათა მამა ყრმაზედ გარდმოღვრილიყო, და 110 თავად გარდმოღვრა პოვებს რტოს აღმცენარეს. / დადგა შუაში ღმერთი ღმერთისაგან. [ყრმისა და უკედავი მამის დიდებული გარდამოღვრის (ზეშთა-თესვის) მეშვეობით ძე პოვნილ იქმნა რტოდ აღმცენარედ¹.]
- მონადა ხარ, მყოფი ხამებად, – მონადა, რომელიც რჩები, და სამება 120 ხარ ჭეშმარიტად / ხოლო გონებითა კეთამ აქამომდე დაუნაწვერებელი დაანაწილა.
- გამომსხლტარი ნაშობი მეშვეში რჩება და კვალად გარემოს მამისას განაგებს, წარმოუძღვება სიცოცხლის სიკეთეს სამყაროთაგან, საითგანაც თავად აქვს [სიკეთე].
- 130 / სიტყვა, რომელს დიადის მამისა თანა ეუგალობებ, გონება გამოუთქმელი მამისა – გშობს და შენ მუცლად-ღებული სიტყვა ხარ მეშვისა, პირველი – პირველისა ძირისაგან გამომსხლტარი, და ძირი 140 ყოველთა, / შენი დიდებული შობის შემდგომთა, – მონადა გამოუთქმელი, თესლი ყოველთა, თესლი შენ ყოველთა – დათესილი; ვინათგან ყოველთა შინა ხარ და შენი მეშვეობით უზეშთაესმა, საშუალომ და უქვემოესმა 150 ბუნებამ ღმერთისამან იგემა მამეულ / კეთილი საბოძვარი – დასაბადებლად მოწიფული სიცოცხლე შენთვის დაუბერებელი სიმრგვლე სუბუქი ბორბლის კვლობაზე ბრუნავს; შენ [შეჰქმენ] წყობა დიად ამონაზნევი სიმრგვლისა და ვარსკვლავთა შვიდეული გამუდმებული ბრუნვით საპირისპიროდ როკავს / 160 ხოლო მრავალი სანთელი სამყაროისა შენი ნებით ერთკვც ფენას ამშვენებს, შთამოებაო დიდებულო; შენ, ცის ამონაზნეუქუ მორბედი, საუკუნეთა სრბოლას 170 უსასრულოდ აკავებს. ნეტარო, შენი / წმინდა ადათ-წესებით უსაზღვროდ ღრმა ცაწმინდის ნაკეცებში (ღრმულებში) ვერცხლისფერ ვარსკვლავთა 180 ფარები იმწყისებიან. შენ – ცისიერთა, შენ – ჰაეროანთა, შენ – მიწიერთა,

¹ ღვინისული კონიექტურა.

- შენ – ქვესკნელისათა საქმეს უნაწილებ და სიცოცხლეს ჰმწყსი. შენ გონების მთავარი [ხარ], კლიტომპყრობელი ღმერთთა და მოკვდაეთა, რაოდენთ გონებითად წილმიმხვდარი წვიმები შეუსრუტავთ. შენ – მომღებელი სულისა მათთვის რომელთა სულისაგან გამოიწვდება სიცოცხლე და
- 190 ბუნება უმწვერვალესი ფავილობისა / სულის ბრმა აღმცენარე დამოკიდებულ არს შენს სირაზედ და რაოდენიც შენს სულს (თუ საფუძვინველს: *πυλιν*) მოაკლდება, შენი წიაღიდან იკრებს დასაკავებელ ძალას, რომელი ეძლევა
- 200 შენი ახოვანების მეშვეობით გამოუთქმელი / მამეული წიაღიდან დაფარული მონადისა (მხოლოობისა), ხაიდანაც სიცოცხლის მდინარე მოედინება დედამიწამდე შენი ახოვანების მეშვეობით, განუსაზღვრელი გონებითი სამყაროების გზით; მით შეიწყნარებს / სიკეთეთა შთამომდინარე წყაროს
- 210 გონებითი სახე, სამყარო ხილული.

ამას (სამყაროს) მეორე მზე ჰქონდა, შემდგომ ხანათებელი ნათელის

220 მეშვე, თვალის სინათლე იმისი, ენც იბადება და წარჩხდება, / მზე ნიეთიერისა (ნიეთებისა), გონებითი ძის სახე შეგრძნებადი, სამყაროში შობადთა სიკეთეთა მომნიჭებელი შენი ნებით, ნაშიერო დიდებულო.

მამაო შეუცნობელო, მამაო გამოუთქმელო, შეუცნობელო გონებით,

230 / გამოუთქმელო სიტყვით, გონება ხარ გონებისა, სულთა სული, ბუნება ხარ ბუნებათა.

შენ წინ მუხლი მაქვს მოღრგვილი, იხილე ესე, [მე,] მსახური, განვერთხმი მიწას – ბრმა მოღალადე; ხოლო შენ, გონებითი ნათელის

240 მომღებელო, / ნეტარო, შეიწყალე მკვედრებელი სული; განმარიდე სნებანი, განმარიდე გულის შემტყმელი საზრუნავი; მოურიდებელი ძალი ქვენათა, დაიმონი მიწის – განარიდე სულისაგან ჩემის, ლოცვისაგან ჩემის /

250 სიცოცხლისაგან ჩემის, საქმეთაგან ჩემთა. დე, დაშთეს დაიმონი გარეშე სხეულის, გარეშე სულის, გარეშე ყოველთა ჩვენთა. დამაგდოს და ოტებულ იქმნეს [ჩემგან] დაიმონი ნიეთიერის (ნიეთების), ვნებათა ძალი,

260 მესაიდუმლოების (აღმყვანებელი) გზის დამხშეელი და მომკვეთელი, საღმრთო სურვილის წინააღმდეგო; ხოლო მეგობარი მომეც, წილხვედრის ზიარი, მბრძანებელო, წმიდათა წმიდა ანგელოზი სიმხნის, ანგელოზი

270 ღმერთს მინდობილი ლოცვის / მოყვასი სიკეთის მომღებელი, მცველი და მეუნჯე სულის, მცველი და მეუნჯე სიცოცხლის, ლოცვათა ებგური, საქმეთა ებგური.

ნეტარ სხეული წმინდად ინახებოდეს სნებათაგან, ნეტარძი სული

- 260 წმინდად ინახებოდეს შეურაცხებისაგან, მიჰხვდომოდეს სულს / ვნებათა დაეინწყება, რომ თვით სიცოცხლე, მიწისაგან ნასაზრდოები, შენი საგალობლებია დააპუროს ფრთამან სულისამ; რომ ის სიცოცხლეთ, ბედისწერის
- 290 შემდგომი, მიწაერთ დამძიებულ საკრეველთა შემდგომი, / ნივთიერისაგან წმინდად გაეასრულო, რაოდენ [შესაძლებელ არს], შენს სასახლეში, შენს წიაღში, საიდანაც სულის წყარო მოედინება. შენ ზელი მთეთ, შენ გიდალადებს, შენ, ნეტარო, ნივთიერისაგან აღამაღლე მკვედრებელი სული.

მესუთე საგალობელი

გუგალობით ძეს სძალისას, სძალისას უსძლოისას და მოკვდავის საქორწინო სარეცელზე მამრთან შეურთველისას. გამოუთქმელი [იყო] ნება მამისა: დათესულ იქმნა ქრისტე შობად: ქალწული სძალის თაყვანების ღირს საშობაო ტკივილთა გამოთ იხილვა სასვე კაცისა, რომელი მოკვდავთათვის წინამძღვრად მოვიდა – ნათლის წყაროსეული.

- 10 / გამოუთქმელმან რტომან შენმან ცნა საუკუნეთა ძირი. თავად წყაროსეული ხარ ნათელი, რომელმან მამისა თანა სხივად გამოანათე, შეჰმუსრე ბხელი ნივთება და ქნათობ უმანკო სულთა შინა – თავად სამყაროს შემოქმედი, დიდებულ ვარსკვლავთა სიმრგვლის ოსტატი, დედამიწის საშუეალის შესაძირკველ და დამაყრდნობელი, თავადვე კაცთა მაცნოვარი.
- 20 / [მზე –] ტიტანი შენთვის ამხედრდა რაშზე, ცისკრის დაუშრეტელი წყარო, შენთვის ხარისთვალება მთოვარე განახნევს ღამეების წყვლიადს, შენთვის იბადებიან წყოფნი, შენთვის იმწყებებიან ფარები; შენი გამოუთქმელი წყაროდან მოიღებ ნათელს, რომელი გვაპურებს, სამყაროთა ფრთებს აძლევ საზრდელს. წიაღთაგან შენთა აღმომცენარდა / ნათელი და გონება და სული.

შეიბრალე შენი ასული¹, ბედისწერის ნივთიერი საზომელით ხორციელ ზღვებშეკრული; დაიხსნიდე დამლუკველ სნებათაგან, მუხლში ღონეს ნუ გამოულევ. თქვი სიტყვათა დაჯერების დასტური, თქვი საქმეთა

¹ „ასული“ აკაც და სხვაგანაც ნ. ტრცაგის აზრით, პოეტი თავის სულს გულისხმობს (ცვ. 214 et passim).

- განთქმის დასტური, რათა ძველი ღიღება დაქშენდეს კვირენეს და ხპარტას.
- 40 / ნეტარძი წყნარ ცხოვრებას შეუდგებოდეს მწუსარებით გაუქქლავი ხული, [წყნარი ცხოვრება ექმნეს] გამღელაღ, ორი თვალთ შენი ნათელის შემომყურეს, რომ ნითთიერისაგან განწმინდავებული და მიწიერ ხატანჯველთაგან განრიღებული, შეუპყველაღ გამოვეშურო ხულის წყაროსთან შესართველაღ. ესრეთ უმწიკვლო ცხოვრება განველო [შე],
- 50 შენმან მეშუსიკემან, / რომ აღვაგო გალობა შენდა, რომ განგადიდო ძირი შენი, ხოლო მეტადრე [ვიგალობო] მამის ღიღება თანამოსაყდრე ხულის, რომელი საშუვალთა ძირისა და რტოისა, და ვუვალობო მამის ახოვანებას და შენი საგალობლებით დაეაამო განთქმული ტკივილი ხულის.
- 60 იხარებდე, ყრმის წყარო; იხარებდე, მამის სახეო; / იხარებდე, ყრმის საყდარო; იხარებდე, მამის ბეჭედო; იხარებდე, ყრმის ძალო; იხარებდე, მამის საჩიერებაო; იხარებდე, ხულო უმწიკვლო, ხაშუვალო ძისა და ნამისაო. [ხული] ესე ნეტარძი მამისა თანა მოშოვლინო, ხადმთო საბოძვართა ძალს რომ ამცერვეს ფრთეებს ხულისას.

მეექვსე საგალობელი

- წმინდა თვითშობილ წყაროსთან ერთად, გამოუთქმელ ერთებათა უწინარებად, ღმერთს უხრწნელს, ღმერთის ღიღებულ ძეს, მხოლოისა მამისაგან ნაშობ ყრმას მხოლოს – შეუუთხზავთ გვირგვინს საგალობლების სიბრძნისსურნელიანი ყვაილებით. იგი ყრმა მამეული ნებით გამოაჩინა შეუცნობელი წიაღიდან გამოუთქმელმა ხატკიერიანმა შობამ, რომელმან მამისგან შობის ნაყოფნი გამოაცხადა, და ხილულ იქმნენ ცხადად გონებანი
- 10 შუად ნამსჭვალნი, / რომელნი იღვრებიან და წყაროშივე რჩებიან.
- მამეული გონების სიბრძნევ და შვენიერების ათინათო, შენდა შობად მამამ ანიშნა. შენ მამის დაფარული თესლი ხარ, წინათვე მნათობი¹, ეინათგან შენ საწყისი [ხარ, ხოლო საწყისი] მეშვემ მისცა სამყარობეს, რათა გონებითაგან [არსთა] სახეები ზეგარდმო მოეყვანა ტანთათვის. შენ სძრავ ბრძნულ ცარგვალს და ვარსკვლავების ქმნისი ფარას მარადეამეულად; შენ, მბრძანებელი, ანგელოზთა ქორიების და დაიმონთა მწყობრის მთავარი

¹ იხ. U. V. Wilamowitz-Moellendorff, Griechische Verakunst, Berlin, 1921, გვ. 144: *προλαμπον*.

ხარ;/ შენ ხრწნადს ბუნებასაც გარე-ველები როკით, შენ ანაწილებ სულს, რომელი დედამიწის ირგვლივ დაუნაწილებლად (სუფევს), და წყაროს კვალად უბრუნებ მონალებს; სიკვდილის უცილობლობისაგან დაქხსნი მოკვდავთა.

შეგვეწუოდე გალობათა შენთა შარავანდის წილ; ცხოვრების სიწყნარე გალობის ოსტატის კერძია შენ გამო, რომელმან ზღვის წყალთა საშინელი მოვარდნა დააცხრე, მომაკვდინებლად აღზეავებული ნივთება მოაკრძალე და სულისა და ასო-ნასხმანთა აოტე სნებანი და ენებათა დამლუპველი მომძლავრება დააბრკოლე/ და სიმდიდრისა და სიგლაზაკის სიაყენი უკაქციე; საქმეთა [ჩვენთა] შენ გამოთ დიდებული სახელი სდევდეს, და ხალხთა შორის გექმენ განთქმული; შენ აგვირგვინებ რწმენის მდაბალი და სიტყვანყვარი მშვენიერებით, რათა. ჩემი უშფოთველი გონება იგემებდეს შუბას; ნურც მიწიერი საზრუნავი დამაკენესებს, არამედ ციდან მოვარდნილ ღვართაგან შენთა გონებას ვამცვრევი სიბრძნის საშობაო ტყვიილებს.

მეშვიდე ხაგალობელი

უპირველესმან ადამი ვაოვე შენთვის, ნეტარო, უკვდავო, დიდებულო ნაშობო ქალწულის, იესო სოლიმველო, ახლად წყობილი თანახმიერებით აახმიანე კითარის სიმები. ნეტარ კეთილმწყალობელად გვექმნებოდე, მბრძანებელო, და შეიწყნარებდე მუსიკობას გალობათა შეუბღალავთა.

- 10 / ეუგალობებთ უხრწნელ ღმერთს, ძეს ღმრთისას დიადს, საუკუნოდ მეშვისა მამის წულს სამყაროს შემოქმედს, ყოვლად შეზავებულ ბუნებას, სიბრძნეს უკიდევანოს, ცათა მკვიდრთათვის ღმერთს და ქვესკნელს მყოფთათვის მომკვდარს. როდესაც მოკვდავის საშოდან მიწაზე
- 20 გადმოიღვარე, / ვარსკვლავის აღმოსავალითგან მოგვერი ყოლად გონებთერი ხელოვანება უღონოდ განკვირდა: ვინ არს ყრმა, რომელი იშვება; ვინ არს დაფარული ღმერთი; ღმერთი, ანუ მომკვდარი, ანუ მეუფე.

- ეჰა, მოგქონდეთ საბოძვარი, ნელსაცხებელი, [კითარ] წმინდა შე-
საწირავი, საკურთხეველზე დასაღებელი ოქროვანი [ყოველი] და ღიბანოსის
- 30 უცხო საკმეველი. / ღმერთი ხარ, ღიბანოსი შეიწყნარე; ოქროს მეუფეს მივართმევ; ნელსაცხებელით ცხებულ იქმნეს საფლაავი. და განწმინდე დედამიწა და ზღვის ტალღები და დაიმონთა გზანი, ქაერის სალუქი დენა და

ქვესკნელის სიღრმენი; ხრწნადთა მეოხი ღმერთი ჰადესს ჩაესვენე.

40 / ნეტარ კეთილმწყალობელად გვექმნებოდე, მბრძანებელო, და შეიწყნარებდე მუსიკობას გალობათა შეუბღალავთა.

მერვე საგალობელი

სპილოს ძელისაგან ნათხზენი ქნარის სიმებს დორიულ კილოზედ აეახმიანებ საამებულად შენდა, ნეტარო და უკვდავო, განთქმულს მეშვედ რომ გყავს ქალწული. ხოლო შენ ცხოვრებას ჩემსას დაიცავდე სრულ უვნებელად; ო, მეუფეო, მწუხარებისგან შეულაზავი და უვალი მომეც

10 დღეცა და ღამეც. / ნეტარძი გულს მინათებდე გონებითი წყაროს ნათელით; ასო-ნასხმანთა სიმრთელის ძალს და მუშაკობის სიდიადეს უნაწილებდე ჩემს სიჭაბუკეს. ნეტარ მოგქონდეს შვენიერი წელიწადები ტყბილ სიბერემდე.

20 პატეის ღირსი მიმატე სიბრძნე და საღი ჯანი. / შენ, უხრწნელო, დაიფარავდე ღვიძლ ძმას ჩემსას, რომელი ქვესკნელის ბჭეს უკვე გასცდა და უკან რომელი დააბრუნე. საზრუნავი და მოსათქმელი ჩემი, ცრემლი ჩემი და გულის დამწველი ცეცხლი დამიშრიტე; ვედრებით შენით, მამაო, განაცოცხლე

30 მოშკვდარი. ნეტარ ღვიძლ დას და უღლად / ნაშობთ დაიცავდე; მრთულ სახლს ჰესიხილებიხას შენი ხელით დაიფარავდე. ჩემი თანამეცხედროების უღლის გამწვევი, მბრძანებელო, შემინახე სნებათაგან დახსნილი, უვნებელი, სანატრელი, თანამზრახველი, დაფარულთა [მზაკვარებათა] უცოდნელი,

40 რომელს შევერთე ვითარ მეუღლეს. ღირსი სარეცელი დაიცავს / ყოვლად უმანკოდ და წმინდად, ცოდვიანთა ვნებათაგან შეუვალად. ხოლო სულს, დახსნილს მიწიერი ცხოვრების ბორკილთაგან, აშორე წამება და ცოდვანი სანაღვლეულნი; ქვენ წმინდათა თანამოდასედე, რომ აღაგლინოს საგალობელი

50 ქებად მამისა შენის ძალითა შენით, ნეტარო. / მე კვალად გიგალობებ, კვალად შენთვის შევთხზავ აზმას, კვალად კითარას ყოვლად უმწიკველოს აეახმიანებ.

მეცხრე საგალობელი

საამებელო ფრიად, განთქმულო, გიგალობებ, ნეტარო, ნაშობო

ქალწულ სოლიმეელის, — შენ, რომელმან წყარო მზაკვარებისა, მიწაზედ [მცურავი] გველი, განაგდე შამის ვრცელი ბაღნარებიდან; [მან ნაყოფი აღკრძალული, სიკვდილის მძიმე წილის მისახვედომი, პირველშობილს 10 მიაგო. / შარავანდედო და დიდებულო, შენ, ყრმაო ქალწულ სოლიმეელის, გიგალობებ]¹.

მიწადმდე გარდამოხვედ და [სტრიალებ] აღურევნელად წარმავალთა შორის, მოკვდავად ხორცშესხმული. გარდამოხვედ ტარტაროსს ქვეშე, 20 სადაც სულთა აღურაცხელ ტომზედ სიკვდილი სუფევდა. მაშინ ბებერი / ჰადესი ზარდაცემული იყო შენგან; აღამიანთა შთამნთქმელი ქოფაკი ზღურბლს განეშორა. ხოლო შენ განსაცდელთაგან დაძსხენ სულთა წმინდა და ღირსი დასები და აღუკლუნ მამას საგალობლებს შეუბღალავთა მოდღუსას-წაულეთა თანა. [შარავანდედო და დიდებულო, შენ, ყრმაო ქალწულ სოლიმეელის, გიგალობებ]².

30 / შე აღმავალმან, მბრძანებელო, ჰაერსა შინა გამოუთქმელნი ტომნი დაიმონთა შეაშფოთე და შეკრთა წმინდა ვარსკვლავების უკვდავი დასი; ხოლო აითურმა, ბრძენმა შემოქმედმა ჰარმონიის და შენაწევრების, გაიღიმა 40 და შეიღძალი ქნარის მუსიკობით შეაზავა გალობა ძლევის. / გაიღიმა ცისკრის ვარსკვლავმა, მაცნემან დღისამ, და კითხრეიას ვარსკვლავმა, ოქროღანმა ჰესპეროსმა. რქის ნათელი წინ მოჰქონდა ცეცხლის მღიმართ აღვსილ მთოვარეს, მწვემსს ღამეული ღმერთებისას. ხოლო ტიტანმა 50 ნათელერცელი თმა გაიშალა / გამოუთქმელ ნაკვალევზე; ცნა ღმრთის ნაშობი, ურჩეულესი ზელოვანებით [ქმნული] გონება, საკუთარი ცეცხლის საწყისი.

და როდესაც შენ განამარტე ფრთენი, აჰხედ მრუმე ლურჯფერი 60 ცარველის ზურგზედ. გარდართხმულ იქმენ გონებითთა და შეურევნელთა ცათა სიმრგვლეზედ, სად სიკეთეთა არის წყარო — / მდუმარე ზეცა. იქ არც ღრმად და მუხლჩაუსრელად შეღინი ეამი მიერეკება თან მიწის შვილთა, არც ზვირთმაღალი ნივთიერის ურცხვე კერები [ერეკებიან], არამედ თავად უბერებელი ეონი, ძველად რომელ შობილა და რომელი ჭაბუკია და თან 70 ბებერი, სამარადღეო სავანეთა / მუნჯედ ჰგვიეს ღმერთებისათვის.

1 ეს ჰქარები აღღვნილა კრისტ-პარანიკის ანთოლოგიაში.

2 აღღვნილა იტუ.

მეათე საგალობელი

გახსოვდეს, ქრისტე, ძეო ღმრთისა, ნებიერად შემნახველისა და ზესთა მეუფისაო, მონა და სამთავრო შენი, ცოდვა-ხედომილი დამწერი ამის. დამხსენ ვნებანი, რომელნი სასიკვდილოდ გამწირავენ, / შთანერგილნი ჩემს უწმინდურ სულში. მაცხოვარო იესო, მომმადლე ხილვა შენი ღვთიური ნათლის; მაშინ საჩინოქმნილი შეგითხზავ გალობას [შენ], სულის მკურნებელს, ასო-ნასხმანთა მკურნებელს – მაშისა თანა დიადისა
20 / და სულისა წმიდისა თანა.

საგალობლები, რომლებიც ხვინესიოხს მიეწერება

1. ბუნებისადმი¹

საწყისო და ყოველთა აღმოსავალო, სრულად კატივით შემოსილო დედაო სამყაროსაო და ღამეო და ნათელო და მღუპარებო, რომელი მსცავ ყოველ სიტყვას ანუ ამცნებ ზევსის ყრმა წულთა, ყოლად განთქმულო რემა, ვინათგან შეიწყნარებ ყოველ სიტყვას, მამაცთა საქმეების დასაშვენს, რათა
10 ჯერ სული / მომეახლოს მართლად საწერად სიტყვის უმცთარი მდინარებით; მერმე კი ასო-ნასხმანნი შეერთდნენ მრთელად და ტერფნი შეეზომნენ ცხოვრებას ამას.

ხოლო შენ, რომელმან ელვარედ სხივიერებით ცეცხლოვან ჰყავ მრთელი ღუდამიწა, ეონო, დაუწყვედეუ ცეცხლ-[ჩამდგარი] თვალის გუგებით
20 მომხედე და გადმომაღვარე შეუბღალაე ბედნიერება, – / შენს [თავაწყვეტოლ მოდღესასწაულეს], ბაკქელს, კეანო. [მე] ზომ შენთვის განვაგრობ სიცოცხლეს, მედინთა ასონასხმანთა შინა დავანებული. შეიწყნარე, ტიტანო, საწყალობელი ადამიანის საკრველი ესე.

¹ შეიძლება აქ უფრო გამართლებელი იყოს „სახსადმი“, – „სახე“, როგორც „სახისმეტყველებას“ კომპონენტი.

2. იხიდახადმი

ერთი გაღობა იგაღობება დედამიწაზეც, ზღვის ახალ წიაღსაგა-
ლებზედაც; მრავალსახე ორგანიზმებიც ერთადერთია ხაიდუმლო, - იხიდა,
მაღალ-რქებდასხმული, რომელს გაზაფხულის ახლად მოყვანის ხელთ
აქვს სადავე; რომელს ზაფხულის, რომელს ზამთარის [მოყვანა ძალუც].
<ესე> მსმობელთათვის ცეცხლი [არს]¹.

- 10 <ცის და> ჰადესის და მიწის საქორწინო ჰიმენეოსი, ტკივილები
მცენარეთა გამოკვირტვის, წადილნი კვიპრიისის, შობა ყრმის², ცეცხლი
სრულქმნილი, გამოუთქმელი, რეას ყრმაწული კურეტები და კრონიოსი,
20 მკად დამდგარი³, ვარსკვლავთ მეეტლე - მეუფის მეოხებით/ იხიდასთვის
უკლის ფერხულს ყოველი.

10-20 პწკარები უფრო გასაგები იქნებოდა ასე (ზემთ დედანთან სი-
ახლოვე ვარჩიეთ): მეუფის მეოხებით იხიდასთვის უკლის ფერხულს ყოველი;
ცის და ჰადესის და მიწის საქორწინო ჰიმენეოსი - იხიდასთვის, ტკი-
ვილები მცენარეთა გამოკვირტვის - იხიდასთვის, წადილნი კვიპრიისის
- იხიდასთვის, შობა ყრმის - იხიდასთვის, ცეცხლი სრულქმნილი,
გამოუთქმელი - იხიდასთვის, რეას ყრმა-წული კურეტები - იხიდასთვის
და კრონიოსიც, მკად დამდგარი, ვარსკვლავთ მეეტლე - მეუფის მეო-
ხებით იხიდასთვის უკლის ფერხულს ყოველი.

3. პელიოხისადმი⁴

კრძალვით იფუჩოს მრთელმა აითერმა. დედამიწამ და ზღვამ და
ქართა საყშენიველმა; მდუმარებდნენ მთები, მინდვრები [და მიილიოს]
ხმა ფრინველების, ბგერა ყოველი; რათგან განმზადებულ არს მოხლვად
ჩვენდა ფებოსი თმაუკვეცილი⁵, თმამშვენიერი.

მამავე ეოხის, რომელს თოვლივით [უელვარებს] ქუთუთოები, შენ

¹ შდრ. სვიცილიოსის ნათქვამი ვევატემი ანთებულ წმინდა ცეცხლზე.

² გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ ეროხის შობა იგულისხმება.

³ თუ მკათათუნა (?).

⁴ პელიოხისათვის იხ. Musici scriptores Graeci (Teubner, 1905), გვ. 462-469.

⁵ უელოველი (სქოლიასტი).

10 კვიცებშებშულს კარდისფერ ეტლს ფრთეულთა ნაბიჯებით მიერეკები/ოქროუანი თმით განბრწყინებულნი, ცის ზურგს უნაპიროს აწნავ ნანარ სხივს, მემსხვერპლვებად მრავალთა დამსხმელ წყაროს ნათლისხას მრთიულს დედამიწას შემოავლებ.

შენგან ციცხლის დაუწვევედელის მდინარენი ჰბადებენ დღეებს ხაამებელს. მბრძანებელი ოლიმპოს ირგვლივ ვარსკვლავების წყნარი დახი შენთვის შეთხზულ არს საფერჩულოდ და აღლალებულ ქებას მარადლე გა-
20 ლობს/ნაამები ფებოსის ქნართ. წინ კი ქათქათა ხელენე უძღვის [- მოთვარე], რა მოიწვევა ჟამი, ნელად მავალ თუთორ ხაზარეებს და შემოგზარის ხასიკეთოდ შენ გონება, მრავალნაკეც (?) სამყაროს რომელ შემოვლებ.

4. ჟამისაღმი

ვინ გამოკვთა არესისათვის ქიანი მღვიმე? ვინ შესაყერად საშუკალი ქმნა ხამზერი და პოვა პელიოხის¹ თანამავალი და მოაქცია დღის ხასრბოლში/საითგანაც მოაქრის ეტლი აითურის²? ო, [რარიგ] წმინდად და ნატიფად იღლებ³ [და ესე არს] ხელოვანება. მცირე თვალი პატიოსანი მპოხიეს ცახ, რომელი ატლანტის ვინმემ იტვირთა და შეახუბუქა.

5. სხვა[ნი საგალობენი] ჟამისაღმი

ნეტარ ვინ შექმნა სპილენძის ქედურ ხელოვანებით ნეტარი სასრბოლო ხაზომელად დღის? ვინ განაწყო სასრბოლო [ესე] ვარსკვლავთა ირგვლივ სამყაროს სრულ სპილენძის ხატად? [ვინ] ანაწილებს კეთილად სრბის განწესებათ გვარს? [ვინ] დაუსაზღვრებს იწრო გზა-ხავალს, წმინდად გასაღებს არსთაგან, რიცხვით სამგზის ოთხთა?.

სიმრგვლე არს მტყიეფ ნაქანდაცი, [მიც] მოხვეწილი ვარსკვლავები
10 ოქროუანი: /ვერძი მძიმე, ხშირმატყლიანი, ხარი რქიანი, პლეიადების თანი

¹ ვიღამოვიცი კითხვობს: პოვა პელიოხი თანამავალი.

² „აითურის ეტლი“ ყველგან მხის ეტლია (პელიოქლისი).

³ მზე ბერძენულ მითოლოგიაში დაუღლელა. დღლილს იცნობს ქართული ეთოსი.

მსრბოლი, მძლავრ ტყუპის ცალთა ზიარი სახე, კირჩხიბი, შემართებული ფერხთა [სიმრავლით], ლომი ძლიერი და საშიში, ქალწული ფერად ნათელი, პირშვენიერი, სასწორი, კაცთა სიმართლის ასაწონელი და ღრიანკალი აღჭურვილი, ჯაგრიანი, კენტავროსი —
20 მშვილდოსანი უკდემელი, თხის რქა ორბუნება, შვენიერი/მერწყული წვიმის თავსხმა ძრიელი, თევზები ზღვის ზვირთთა მორევის.

განწესებათა შუაში ჰგეოს პატიოსანი თვალი, რომელს თვისთა საზომელთა აქვს განწყოება, რომელს უვალი გზა აქვს ნათელი; შეთხზა ფერხული უხრწნელთ საზომელად და განუცხადა ყველას ბრძნული ხელოვანება; ცის უსასრულო ბრძოლის მიზეზით ბრძანა სპილენძის საამებელი, რომელ ნათელჰყოფს მოკვდავთათვის საზომელს დღისას.

6. გედისადმი¹

გედი მდინარეში/იყრა, ვითარ ბადემ,
შეყინულმა წყალმა/უბირმა იხილა,
სოფლად თხას მწყემსავდა/გედის დასალუჰად
10 თავი, მაღლად მელერი/მსუროდა თაველთა
სამკელით მოემკო/და შეყინულ წყალზედ
გზად წარმოემართა/სუბუქი ნაბიჯით.
გედის თანამდგომად/ცეცხლიან კვეთებით
ტიტანი იხილვა/იქმნება მედინად
20 კვლავ წყალი მდინარის/და მეხრე ეცემა,
გედი ასხლეტილი/უებრად იხარებს.

რომანოზ მელოდოსი

რომანოზ მელოდოსი ანუ რომანოზ მაგლობელი V-VI საუკუნეების

¹ კადმოილეთ ექვს-მარცვლიანი ხილბური უკუთელი ლექსით მარცვალთა თანაბრობა ზუსტად არის დაცული.

დიდი ბიზანტიელი საეკლესიო პოეტი. დაიბადა სირიაში, წარმოშობით იყო ებრაელი. კონსტანტინეპოლში ჩავიდა ანასტასი მეფის დროს და ლეთისმშობლის ტაძარში ეკურთხა მღვდლად. სიცოცხლის ბოლოს აღიკვეცა ბერად. შერაცხილია წმინდანად.

რომანოზი ერთ-ერთი ფუძემდებელია წმინდა ბიზანტიური რიტმიული პოეზიისა, რომლის მეტრული წყობა სრულიად განსხვავდება ანტიკური ლექსთწყობის პრინციპებისაგან. რომანოზი არაჩვეულებრივად გრძნობს ბიზანტიური ბერძნული ენის ბუნებას და ლექსის რიტმს უქვემდებარებს ენის შინაგან, მხოლოდ რჩეული ნიჭის პოეტისთვის ამოსაცნობ თვისებებს. ამიტომ არის მისი პოეზია იშვიათად კეთილზმოვანი, რისთვისაც მას ეწოდა კიდევ ტყბილმგალობელი. საუკუნეებს შემორჩა რომანოზის შესახებ ერთი გადმოცემა: თავდაპირველად კონსტანტინეპოლის ეკლესიაში მოღვაწე რომანოზი არ გამოირჩეოდა თურმე შესაფერი ხმით, რისთვისაც თანამოღვაწენი დასცინოდნენ. ერთხელ მას სიზმრად გამოეცხადა ლეთისმშობელი, რომელმაც უბოძა გრაგნილი და უბრძანა, გადაეყლაპა ის. მას შემდეგ რომანოზი აღიესო უდიდესი შთაგონებით და მისმა გალობამ ყველა მოხიბლა. რომანოზს დაუწერია ათასამდე საგალობელი, მათგან ჩვენამდე მოუღწევია მხოლოდ 85-ს. ეს საგალობლები სტროფულ სისტემაზე აგებული აქცენტური და ხილაბური ლექსებია, რომელთა საწყისი ასოები ქმნიან აკროსტიქს, თვითუღლ სტროფს ერთვის რეფრენი. ლეთისმსახურების დროს ცალკეულ სტროფებს გალობდა თვითონ პოეტი, მრევლი კი აღიტაცებდა რეფრენს. რომანოზი იყო აგრეთვე ავტორი მუსიკალური კომპოზიციისა, რომლის ჰანგზე იმღერებოდა პოეტური ტექსტი.

ადრებიზანტიურ პოეზიას ახასიათებდა ბიბლიური წიგნებისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, რაც მღვთმარეობდა ცნობილი სიუჟეტის გაღრმავებასა და ინტერპრეტაციაში. აქ უნდა გამოვლავნებულყო პოეტის წარმოსახვის მასშტაბები, სულიერი ამაღლება და, რა თქმა უნდა, თეოლოგიური ცოდნა. ბიზანტიურ ტექსტში რაიმე კორექტივის შეტანა გამორიცხული იყო, პოეტს უნდა ეგრძნო ეს ტექსტი და თავისი წარმოდგენით გაეღრმავებინა და განეგრცო ის. ეს შემოქმედებითი მიზანი კარგად მოერგო პოეტურ ფანრს — კონტაკიონს, რომელიც სრულყოფილებამდე აღიყვანა რომანოზმა. რომანოზის შემდგომ უფრო დიდი ოსტატი კონტაკიონისა არც გამოჩენილა ბიზანტიურ პოეზიაში. კონტაკიონში გამოამჟღავნა რომანოზმა თავისი პოეტური შესაძლებლობები: ფსიქიკურ პროცესებზე და-

კვირებისა და განცდების გადმოცემის უნარი, ხასიათის სულ რამდენიმე, მაგრამ ზუსტი შტრიხებით ჩვენების იშვიათი ნიჭი. ამ თავისებურებით გამოირჩევა რომანოვის პოემა „იუდას გამცემლობა“. პოემა აგებულია ანტითეზური სახეების პოეტიკაზე. პოეტი ქმნის მდაბალი პიროვნების კრებით სახეს, რომელიც ამაზრზენად მოსჩანს ქრისტეს სიდიადის ფონზე. რომანოვის ტონი ბევრად მძაფრია სახარებასთან შედარებით, კიდევ უფრო მეტად დრამატული. რომანოვი ძირითადად მისდევს იოანეს სახარებას და ყველა დეტალს ანიჭებს ფსიქოლოგიურ დატვირთვას. სახარებით მოწოდებული ცნობები მის მიერ შემოქმედებითად ღრმავდება და ზნეობრივ ინტერპრეტაციას იძენს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პოემის ეფეონიური მხარე. პოემა გვხიბლავს ახონანისა და ალიტერაციის უჩვეულო ამღერებით. კ.ჭიჭინაძე წერს: „პოეტი ლექსის წერის დროს ფიქრობს რითმაზე, მეტრზე, სახეებზე, მაგრამ ალიტერაცია შედეგია პოეტის შინაგანი მუსიკალური ბუნებისა“-ო. მართლაც, რომანოვის პოეზიაში საოცრად წარმოჩინდა მისი არაჩვეულებრივი შინაგანი მუსიკალობა, მუსიკალობა მუსიკოსის.

საგანგებოდ აღენიშნავთ აგრეთვე, რომ რითმა, რომელიც საერთოდ ბიზანტიურ პოეზიაში არასისტემური და იშვიათია, ამ პოემაში თითქმის სისტემურ სახეს ღებულობს.

იუდას გამცემლობა

1

ვით არ აღიძრას მსმენელი,
 ვით არ შეძრწუნდეს მხედველი?
 ზაკული ბაგით ამბორყოფილო,
 უფალო, იესო, ბორკილპერობილო,
 სული მოშურნე, გულძვირებული,
 სულს აღარისხებს.
 ვითარ დაიტიოს რისხვა დედამიწამ,
 გულმა წუხილი მოიწუნაო,
 ხმელი ხმელობდეს,
 ზღვაჲ ზღვაობდეს.

მზემ ნათელი სხივმფინარობდეს?
აძთერ როგორ იტყვედეს წუხილს?
ცათა უფალი განიცემარ?
ყოვლისმპყრობელო,
ყოვლისმომცველო,
გვიწყალებნ!

2

მზაკერობა გულს განიგულა,
მზე სიკვდილს განგამზადაო,
გულით ითვისე – გულს არ გიკარა,
კურთხევა მიჰმადლე – ვერცხლზე გაგცვალა,
სათნო იჩინე – მსაჯულს გადაგცა,
გულძვირი გექმნა.
ყოვლადმოწყალებამან მოისულგრძელე,
კაცთმოყვარება გულს ასურვილე,
კონქი აღავსე,
ქელი იდრიკე,
მონას უდარესს მსახური ექმენ,
და წარმოგიყრა იუდამ ფერხნი
განსაბანელად!
ყოვლისმპყრობელო,
ყოვლისმომცველო,
გვიწყალებნ!

3

ფერხნი, რომელთაც შენ განუბანდი,
შენს განსაცემად გარეწარივლტენ,
ვინც მოწყალებას შენსას ვგანა,
ვინც საიდუმლო სერს მივახლა,
პირი იქცია, გარეგანგიდგა,
უფალო ჩემო.

თუმც მოწყალემან გლაზაკს აზარე,
უპოვარება განამდიდარე,
გული უზარე,
ემშა უგარე,
დემონთქვეშემყოფს ენება უქარვე,
მაგრამ უწყალომ ენა იმწარა,
მაგრამ უწყალომ გულს არ გიკარა,
ყოვლისმპყრობელო,
ყოვლისმომცველო,
გვიწყალენ!

4

განაღა ვინმეს უზილაეს,
განაღა ვინმეს სმენია,
უფალი მონას კირთებრ ფეხს ბანდეს,
მონა სანაცვლოდ ფეხით თელავდეს,
აღუწერელი სიყვარულისთვის,
გაუგონარი უმადურება?!
უფალო მძლეთამძლეველო,
უფალო მადლთამფენელო,
გულღრძომ სერობის პური ვერ იტკბო,
ქედი უდრიკა ეშმას.
ფიცხლად ჰბორგნიდა გულღრძო იუდა,
ეჰა, რა ფიცხელ როკდაო,
კბილთა იღრჭუნდა,
მხეცებრ იზრზუნდა,
სატანა სულში შეიმკვიდრაო.
ყოვლისმპყრობელო,
ყოვლისმომცველო,
გვიწყალენ!

5

რას ფიქრობ, ქვეყნის დამქცეო,

რას ფიქრობ, უფლის გამცემო?
რა ძალამ აგაფრთიანა,
რა ძალამ მოგცა სავალი?
აეხელოვნებით აეად-მრებელო,
ქრისტეს გამცემელო, უფლის მდევენელო,
უსიყვარულო, უგულისხმოო,
უფლის მოძაგე.

რა გამოქმედებდა, რა გაბოროტებდა,
გული აეგული ვით აგულფიცზე,
ვითარ რბიოდი,
ვითარ ცბიოდი,
ასე ურიდად ვითარ შლილობდი,
განა უფალმა ძმა არ გიწოდა,
განა მოყვსობით არ მოგიწოდა?
(თუმცა განზრახვა შენი იცოდა,)
ყოვლისმპყრობელო,
ყოვლისმომცველო,
გვიწყალენ!

6

ერნი-ცათანი ზარგანხდილ,
ერნი ცათანი მთრთოლვარ!
მხოლოდ-შობილმა წყალი აღავსო,
სარტყელი ირტყა წელზე,
და განემზადა ძალთამპყრობელი
მონის სამოსში ფერხთ-განსაბანად.
პეტრემ შეჰყვირა, პეტრე გულწყებულ,
განკრთომით განიკრთო ზეცა!
„უფალო მზეო,
უფალო მძლეო,
ვითარ განბანო შენ ფერხნი ჩემნი?“
ანგელოზები თვალდახრით მზირენი
ცრემლთა მდინარეს ამცვრევენ.

ყოელისმპყრობელო,
ყოელისმომცველო,
გვიწყალენ!

7

ძალნი უხილაენი განკვირდებიან,
ძალნი ცეცხლოვანნი შემრწუნდებიან,
ეჰა, მოსაჯული ძალთამძლეველი,
ეჰა, უფალი მიუწვდენელი,
უწინარესი მთიებისაჲ
მიწას კმსახურობს.

გაბრიილ, გაბრიილ ცას შექალაღდებს,
გაბრიილ ცის ერს უხმობს:

„ცათა ანგელოზნო,
ნათელანგელოზნო,
თანამომშენო, განკვირდით,
მრწოდეთ!

პეტრე ფებს უწვდენს,
უფალი განბანს,
იუდას პეტრეს შემდგომ მოუხმობს.
ყოელისმპყრობელო,
ყოელისმომცველო,
გვიწყალენ!

8

„აჰა, განბანს ზღუად თიხას,
აჰა განბანს სიღრმე მიწას,
მაგრამ სიშყარეჲ მისი არ იშლება,
მაგრამ უფროჲს შეკავშირდება,
თავისუფალი ნებელობაჲ დაეწმინდება.
იხილეთ, იხილეთ, ვითარ იღვაწაო,
იხილეთ, იხილეთ, ვითარ იჯვარაო

თვისი შექმნულნი დამბადებელმან,
ქოფ, საქმენი უფლისანიო!
ფეხზე დგას თავადი – ტაბლას უსხედან,
სტამენ, პურს აწვდის ცათა მუუფუ,
განიბანებიან – სულთა განუბანს,
ცეცხლოვან ხელთა ფერხნი უპყრიეს,
მაგრამ თიხაჲ არ იფერფლება,
ცეცხლმან თიხაჲ არ დაშრიტაო“.
ყოვლისმპყრობელო,
ყოვლისმომცველო,
გვიწყალენ!

9

ანგელოზი ესრეთ ხმობდა,
ანგელოზი ესრეთ ძრწოდა,
კენახს ჭეშმარიტს ოდეს გხედვიდა,
ოდეს გხედვიდა, მნათო ზენაო.
რტოთა თვისთა განმფენელო,
რტოთა თვისთა აღმზეველო,
გამომზრდელოო, ნაყოფმწყაზარო, იესო.
და ვით გიხილა სარტყელშერტყმული
ცათა უფალი,
თვით მოციქულთა უნარჩევსმა,
პეტრემ შეპყვირა გულანანთებით:
„მაცხოვარ, ფერხთა შენ უნდა მბანდე,
საგულისთქმოო?
არა განბანე შენ ფერხნი ჩემნი
უკუნისამდე“.
ყოვლისმპყრობელო,
ყოვლისმომცველო,
გვიწყალენ!

„ძილი სიკვდილად შექცეს და
 ქვესკნელს ტყვედ შევემწუხარო,
 შენ – უკვდავმა, რომ ჩემს – მოკვდავის წინ,
 ქედი იდრიკო, მზეო დაუვალო,
 ო, ვითარ რიგად განიხარებდა
 მოძულე ჩემი.

მარადეამეულ ქედი მოკვდავის წინ გსურს იდრიკო!
 განა უაღრეს ჩემდა არ არის.
 თვისი გამხადე?
 განა კმა ჩემდა არ არის,
 ღმერთმა მომხადე?
 შენს მოყვასთაგან უნარჩევსი მიწოდე, ღმერთო!
 თიხას განჰბანდე?!
 ო, ვით შემრაცხენ!“
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალენ!

ახე უხმოხდა მოძღვარს მოციქული,
 მაგრამ მან პრქვა:

„ნაწილი ჩემთან არა გაქუნდეს,
 უკეთუ არა დაგბანნე ფერხნი,
 უკეთუ არა, მტერი გიწოდო,
 გარეგანმღრეკელ ჩემი!“

პეტრე სულით შეიერთო,
 პეტრე აღმო გრძნობამან,
 „მოძღუარ,
 მოძღუარ,
 ყოვლით განმბანნე,
 ნუ ხოლო ფერხთა ჩემთა, მოძღუარ!
 რომე ნაწილთა შენთა შევერთო!

სუფევას შენსას შემისართო“.
ყოელისმპყრობელო,
ყოელისმომცველო,
გვიწყალენ!

12

ვითარ სიტყვათა ნთებაა,
ვითარ გრძნობათა ხლებაა!
მაგრამ უგრძნობი შეუძრავია,
მაგრამ უღმობი შეუვალია,
ღვთის მეგობრობა განა არჩია,
ქვაგული განა დაიცხრო?!
სერობის პურის უღვთოდ მღებელი,
სერობის ღვინის ჯერად მთნებელი,
უფალს აღუდგა,
ცხოვარს განუდგა,
ცად ანგელოზნი გლოვენ!
მწარე ძუძუთა მიექცა,
უტყბილეს ძუძუთმღებელი.
ყოელისმპყრობელო,
ყოელისმომცველო,
გვიწყალენ!

13

ამაოდ რბიოდა,
ამაოდ იელტოდა,
მძვინვარ იუდასგან აღრე ხატანა.
აწ თვით იუდა გარბის ეშმასთან,
იქმნა ხატანა
მისით შიშობდნენ?
ჰოჲ, ამაო! ის ხომ მოუცავს შურს მოუღრეკელს,
შური აღიდგა,

77

შური აღიღო,
თვალით ეშურა თვისსავე შემოქმედს!
ამაოდ, ამაოდ, ამაოდ ჰკურნებდა
სიტყვად მისი სენთა მრავალთა,
ო, თვით სწეულ არს, უმსახურებელ!
ვერცხლმოყვარება სულს დაუფატრავს.
ჰა, თაეად წყლული გაეხსნა გულში,
ვერცხლმოყვარებით დაიწყლულაო.
ყოვლისმპყრობელო,
ყოვლისმომცველო,
გვიწყალენ!

14

საუკუნეთა მფლობელი,
უცვალებელი იესო,
მკვლევებს სურს ხელში უგდოს უზავმა,
ვაჭრობის საგნად უნდა აქციოს.
„რამ გხურთ მომცეთ?“ შემოელიქნა,
დაჰხარბდა, ფასისმოსაეობს.
ხისხლი სწყურიათ იესოს,
იესოს ხისხლით მთერალობა,
ზღვარ, შეიქეც, შეთქმულებაა,
შეუფასებელს ფასი დაედო,
ცხოვრების მომცემს სიკვდილი დახდევს,
ქვეყანაჲ, ძრწოდე,
შეითქუნესო!
ყოვლისმპყრობელო,
ყოვლისმომცველო,
გვიწყალენ!

15

აწ წარმოჩინდა,

აწ გამოჩინდა
გულის სიხარბემ შენი.
გემოთმოყვარეო, უბადრუკოო, მოურიგებელ,
სულო ურცხვინოო, უანგაპრესო, ვერცხლისმოყვარე!
„რამ გსურთ მომცეთ?“ - შემოვლიქნე,
იესოს სისხლდანატრულებს.
ვითარ რა გაკლდა,
„რამ მოგაკლდა,
რისი შეიქმენ გულნამტყინარე?
ქვეყანიერის და ზეციერის მადლი გუფინა,
შენვე მას გასცემ?
ყოვლისმპყრობელო,
ყოვლისმომცველო,
გეიწყალენ!

16

სიმდიდრე, ყოვლად უბრწნელი,
საუნჯე, ყოვლად უღვევი,
ხელთ გეყრა; გულში ქრისტეზე,
ქრისტეზე ფიქრი გლაღაედა,
ახლა კი გულაჩქარებით,
ახლა კი გულგაშმაგებით,
გარბიხარ მათთან, ვინც ვერარამ,
ვინც ვერაფერი გაძლიოს.
ან რას მოგცემენ უფლის სანაცლოდ,
ან რას შეგწირვენ ქრისტეს საბადლოდ,
მზეს, ვარსკვლავებს და სრულად ცისქვეშეთს
მათგან მოელი გაძლევენ?
ცუდად დაშვრები,
ცუდად მაშვრალხარ,
ამაოება ამაოთაო!
ყოვლისმპყრობელო,
ყოვლისმომცველო,

გვიწყალებს!

17

ჰოჲ უცნობო,
ჰოჲ უგონო,
უგულისხმო უგონობით.
თავმოთნეობით განლაღებულო,
აღლაღებულხარ –

ცნობას მოდექი.

მოდექ, მოიქეც, ცნობავენებულო,
გონს გადასულო, გონზე მოდექი.
ენება იოკე! აჰ, შენ არ ძალგამს
ცათამყრობელის მართლ შეფასება,
დაღათუ ნება არ იქნა მისი,
ვის ხელთუყრია ყოველი არსება.
ვინ შემობედავს, ვინ ხელს აღიღებს
არსთა მყრობელზე, ჰოჲ უგნურნო!
მოყიდვა უფლის გულად დაიდევთ,
მოყიდვა უფლის მოიგულეთო.
ყოველისმყრობელო,
ყოველისმომცველო,
გვიწყალებს!

18

ცხოვრობდა უპოვარებით,
ცხოვრობდა ნაკლოვანებით.
ელია მაღლითმოსილი,
ელია ღმერთშემოსილი.
ერგასისთაეთა ცეცხლით ზარავდა,
მდიდარი იყო ღმერთით.
აწ კი რა ხდება, ცარი, შეიქეც!
არად შურაცხეს ფლიას ღმერთი

80

და, ვისი მონაც იყო ელია,
აწ იგი ღმერთი უწყალოდ განსცხს.
წინასწარმეტყველად,
წინასწარმხედველად –
ამ ღირსებითაც კი არ შერაცხა.
არად იჩინა იუდამ ღმერთი,
ზელთამპყრობელი ზეცის დაქკარგა.
ყოველისმპყრობელო,
ყოველისმომცველო,
გვიწყალებნ!

19

ისე აღივსე,
ისე განივსე,
ისე დათვერი ხაკუთარ თაუით,
უფალს ვერა სცნობ, თავის ტრფიאלო,
ცათამპყრობელი ვერ შეიცანი.
ოქროს აღიღებ,
ოქროს დასწუღებ,
ოცდაათ ოქროს ჩაიჩხრიაღებ,
აჰა, დათვალე და გაიხსენე,
რომ იოსებიც ასე გაყიდეს.
იმავ საბელით, შენ რომ მოგაშთო,
ქვესკნელს ჩადიხარ, ბნელეთის ტყვეო,
ეს რა უდროოდ გონზე მოხვედი,
ეს რა უდროოდ, როს განსყიდეო.
ყოველისმპყრობელო,
ყოველისმომცველო,
გვიწყალებნ!

20

ვითარ დგრიალით,

81

ვითარ ზრიალით,
 ძირს დაგვეთა, მოსწყდა მოწაფე.
 აჰ, რა განცემით,
 აჰ, რა დაცემით,
 დაეცა უფლის მოძაგე!
 და ასე იყო ოდესღაც მაშინ,
 თავად ბელიარ ელვისებრ გაჰკრთა,
 და ჩამოიქცა,
 ქვე ჩამოირღვა,
 სახედ ელვისა ეშმა განჰკარდა.
 აწ კი იუდა მოძღვარს აღუდგა,
 კვალს შთაერგო ფეხი,
 კვალს ჩაუარდა,
 ქვესკნელს შთაუარდა,
 ბჭენი განეღო ქვესკნელისანი.
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გეიწყალებნ!

21

ენებათა აღმღებელიო,
 ენებათა თავსმღებელიო
 როგორ გასწირე ასე, იუდა,
 როგორ უღმერთოდ რბი.
 ზაკვით ამბორს-ყოფ, სიკვიდილს გადახცემ,
 დაიმზაკვარებ ფიქრს.
 ქრისტე გმომღვრიდა: მდაბლად იარ და
 გზაჲ განლიე ცხოვარისაო.
 მგლურად ყმუოდი
 ამის ხანაცულოდ,
 ფიქრი არ გიჩნდა არარისაო,
 ამბორი-უყაე,
 ამბორი-ეცი,

82

ცაო, შეკლოვენ,
ღალატისაო,
ყოვლისმპყრობელო,
ყოვლისმომცველო,
გვიწყალენ!

22

შეჩერდი, შეჩერდი, შეჩერდი,
უამნი დაგიდგა გლოვისანიო.
სინდისი ბქეჯნის,
სინდისი,
საკქმენი ბნელისანიო.
და ჰა, აღსრულდა,
უამმა გიწია,
უამმა მოგიზლო მოსაგებელი,
ოქროს განაბნევე,
ოქროს განანქრევე,
სიკედელს თავს მისცემ ფასისმოყვარე.
მაგრამ ამაოდ,
ჰომ, რა ამაოდ,
აწლა მოდიხარ გონზე, იუდა,
უკვე გაეცი, იუდა, ღმერთი,
უამი სინანულის აწ გარდავიდა.
ო, შენ გაეცი დიდი საუნჯე,
დიდი საუნჯე სულის,
ყოვლისმპყრობელო,
ყოვლისმომცველო,
გვიწყალენ!

23

წმიდაო, გვიწყალენ,

83

წმიდაო, გვიფარენ,
 წმიდაო, გვინათენ
 გზანი საეალნი,
 შენდა ძაეალნი ნათლისანიო,
 და აღადგინენ ქმნულნი შენნი,
 და განგვარიდენ
 გზათაგან ბილწთა, ყოვლადუღიერსთა
 ცოდვისათაო.
 აჰა ესერა, ძმანო, მხილველნი
 ქრისტეს გაცემის,
 აჰა ესერა, ძმანო, მკიცხველნი
 ფიცხელ დაცემის,
 საქმეთა ბნელთა ღალატისათა
 მოვიძაგებდეთ.
 განვიმტკიცებდეთ ფერხთა ჩვენთა.
 განვიმტკიცებდეთ,
 სლვად გზასა ნათელს, ყოვლადბრწყინვალეს
 უფლისათაო.
 ო, საუკუნო საწამებელი, ღმერთო, გვარიდენ.
 ყოვლისმკყობელი,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალენ!

გიორგი პისიდიელი

გიორგი პისიდიელი ირაკლი კეისრის (610-641) ხანის განთქმული ბიზანტიელი პოეტი მემატიანე და თეოლოგიურ-დოგმატიკური ძეგლების ავტორია. მის პოეზიას მიმართავენ, როგორც ისტორიულსა და ლიტერატურულ წყაროს. იამბური ტრიმეტრით არის თხზული გიორგი პისიდიელის „ირაკლიადა, ანუ სპარსელთა მეფის ზოსროს საბოლოო დაცემა“. ამას გარდა, იგი ავტორია ისტორიული თხზულებებისა: „ირაკლი კეისრის ლაშქრობა სპარსელების წინააღმდეგ“, „ხოემა ავართა შემოსევაზე“. საისტორიო ნაწარმოებებს პოეტი ენკომიონის ფორმით წერს, რის გამოც

ისინი დაახლოებით „აზმანი შარავანდედთანის“ სახით უნდა წარმოვიდგინოთ.

„ირაკლიადა, ანუ სპარსელთა მეფის ხოსროს საბოლოო დაცემა“

ახაროს მთელმა ვარსკვლავთა დასმა, რომელმაც ცხადყო დამხობილი მონა ვარსკვლავთა, საკუთარ დამხობაში დაეჭვებული; არ იფარაუდა მას 5 შექმნილი, მისგან ნათაყვანები, რომ შემოქმედი უპატიოდ არ ყოფილიყო. ხოსრო მოაკვდინეს და აწ ბრწყინავედეს. საესე მთვარე, თავდები იმის, რომ ამიერიდან სპარსელები აღარ გააღმერთებენ შექმნილს, [ნაცვლად შემოქ- 10 მედისა]. და აწ სამგზის დიადი სახრბოლო მზისა/განბანილი და განწმენდილი ხისხლისღერისაგან, გილაღადებს და გაუწყებს შენ ხოსროს აღსასრულს. ღმერთი განერიდა მის უწმინდურმოფულ ეჭვებს, ეპა, როკვიდე, აითერ: სპარსთა მპყრობელის ტირან ხოსროს ცეცხლთაყვანება წველიადით 15 შეიმოსა/კვლავ სპარსთა სახმილი აღეგზნა და ცვარად ექცეოდა მეორე დანიელს მეორე ცეცხლი, რომელიც ზევით მიიწვედა თვისი ბუნების შესაფერისად, თანაც [ცეცხლში შევრილებზე] ცვარად იღვრებოდა და 20 დევნიდა და წვაუდა მათვე, ვინც ბოროტი ცეცხლი დაანთო./კვლავ გამოაჩინეს სპარსთა მიწაზე პირნი გამძვინვარებულ ლომთა. კვლავ ბობოქრობდა ურჯულო ხოსრო და კვლავ თაყვანს სცემდა ცეცხლს და თავისც ღმერთად მოქპონდა, სანამ ცეცხლის დაშრეტასთან ერთად ისიც არ და- 25 ინთქა/ვინც მას ვითარცა ღმერთს მსახურობდა. კვლავ ბობოქრობდა და შექმნილს უქმად განმარტაუდა, უწინდელი ქსერქსესი შურდა და ეწადა, უფსკრული გვაგებით აღევსო, ხოლო დედამიწა მტკვერში აზელილი სის- 30 ხლის მდინარეებით დაეფარა./ვიგანტობით სურდა ტირანად გაზდომაც და უპირველესად საზავდა ბალთაზარს, შეურაცხყოფდა ღვთიურს თრობის ბიწიერებით, სანამ მის წინააღმდეგ [შიმართულ] ღვთისმეტყველის 35 თითს, რომელიც მოქმედებდა შენი მარჯვენით [შედგენილი] წერილით/გაშაგების განაჩენი არ გამოატანინა. წყდება შემდგომ სისხლის წვიმები, სრულდება მუღძივ მკვლულობათა რიგი, აღარ წუხს დედამიწა ნამაღადკად გათხრილი საფლაკებით და ზღვა აღარ იბიღწება მტკვერში აზელილი სის- 40 ხლის მდინარით./ტყუთა ცრემლი აღარ იღვრება, უქმდება შემდგომ

- წამების სასჯელი. არავის კანი აღარ იშურება ნაცრით სიმწრის სასმისის
- 45 გამოცლის შემდეგ. ხეები აღარ მძიმდება გვამების ტვირთით./სრული რჩება ყოველი ასოს შეზავება. ხელფეხწართმეულნი აღარ ამძიმებენ [სხვის] კისერს. შებრუნებული აღსასრულის წილ მისაზღველად აღარაინ ხელს აღარ შეუბრუნებს ფერხთა [ცემით მოძალადეს]. არამედ ცა, დედამიწა,
- 50 ცეცხლი, წყალი, კაცი, ღრუბლები/და მთელი სამყარო, ზესკნელი და ქვესკნელი, ქუხს ჩვენთან ერთად ძლევის გამო ღმერთისა, რომელმაც დაამხო და მით ცხოვრება მოიპოვა ყველამ. აწ ხოსროს ცეცხლოვანი ცისკრის ვარსკვლავი შეცნობილ იქნა ბნელით მოსილად. და, როგორც
- 55 ამბობენ, ცთომილნი აღარ არიან/შვიდნი, არამედ [ცთომილია] ყველა ვარსკვლავი. აწ ყოველთა მათ ტარტაროსში შთამამხოებელი, ჭკრეტს აუცილებლობის გამო ბნელით მოცულ მწუხრის ვარსკვლავებს და, მათზე იმედგაცრუებული, ვისაც სიცოცხლეში პატივს მიაგებდა, პატივს ჰყრის –
- 60 საფლავეში მდებარე./რა იქნა მარადის მაცთუნებელ მოგვთა სისულელე? რა იქნენ სასრბოლონი, სადაც ვარსკვლავთა ორგიები იმართებოდა? რა ვარსკვლავზე იყო დაბადებული დამხობილი ხოსრო? ყველა ფიქრობდა, რომ კრონოსი იყო მისი დამხობის დღის ვარსკვლავი, და, ჭეშმარიტად,
- 65 შვილის მკვლეელი მოკვდინებულ იქნა./ო, ჰომეროსო, უწინ ვერაფრით მიხედებოდი, რომ ირაკლი ღმერთად უნდა დაგესახა. ცხოვრების საზიარო ბაღს რა სარგებელი მოუტანა მოკლულმა, ანუ მოშთობილმა ღომმა?
- 70 უფრო მეტად უნდა განგაცვიფროს კაცთაგანის – ირაკლის/მიერ ქვეყნის ხსნამ და მაცხოვარებამ. დაეშვა იგი ჰადესის კარამდე, დააცხრო ყოვლის შთაშთქმული ძაღლის სიმშაგე, გამოაღვიძა იქ დასახლებული ალკესტიდა,
- 75 მოსპო სისხლისმსმელი ურჩხული/ბოლო მოუღო მირიადი თავით [მებრძოლი] ჰიდრას ბოროტებას, მის უწინდელ ბინიერსა და ნეხვით შესვარულ ყოფას, მოაშთო ქვეყნის გამხრწნელი ღომი და უწინამძღვრა ირაკლიმ საქმეს, მოისთვლო რა ოქროს ვაშლები და აიღო
- 80 ყველა ქალაქი. /და მწუხრს უნათლოს განერიდა დედამიწა. ჩამოდგა ნათელი, განიბნა ბნელი. და აღორძინდა აწ შესაქმე სამყაროსი მეორე სიცოცხლის [ძალით] – ახალი სამყარო და ქმნილი ახალი. და აწ ნოემ
- 85 ახალი ქვეყნიერების/კიდობნად პოვა თავისი გული, ყოველი ბუნება შიგ დაამკვიდრა და ხოსროს წარღვნის მოღარაჯე თოროსანთა მწყობრს მისცა
- 90 იგი; რადგანაც, მე აქვე ვიტყოდი, ხორცი სულძთლად განიხრწნა/ყველ- გან მოღებული ცოდვის ღვარისგან, სანამ ხელთ აიღებდა ზეთისხილის

რტოს შეწყალების და ნატამალს სიცოცხლისას გადაარჩენდა.

აწ სად არის აქელესი, სად მრავალსიტყვაობს დემოსთენე, კკვირობ, [სიტყვით] შენს ჯაფას რომ ხორცი შეეკახი და შეეკაზავე ფიქრთა
95 ძარღვები/გარნა არა შთავაგონებდი ხატისა შენის აღდგინებას.

ჰოჲ, იყურე, სკეპიონო, განწესებულ იქმნა, რომ ირაკლიონნი
სკეპიონებად იწოდებოდნენ. საზოგადოა კანონი ესე. აწ სრულ უსაფრთხოდ/
100 დაშვებულია მონებისათვის – თავის მბრძანებლებს რჯული დაუღონ.

ყოვლად ძლიერო, ამ კანონს ბეჭდით დასტური დაეც, გაქვს ხმა
უფლისა, ეჭვს განერიდე, განუზომელი გაქვს ისარი საწამებელი, გაქვს

105 ჭრილობები თანდაყოლილ თანამდგომების/მონებდ უდგანან შენს
უნატიფეს ასპარეზობებს, მალედ იწერენ შენს კეთილშობილ ასპარეზობებს,
რომელნიც ადათს აღნუსხავენ, არა ყალბი და ფუჭი წერილით, სინ-

გურით ნაწერ სიგელ-გუჯრებით, ვითარ გადაწყდა, ვინათგან მწერალთათვის
110 შენი სისხლი კმა არის./ო, პლუტარქე, დაადუმე შეწონილნი ნაწერნი
შენნი, რად დამაშვრალხარ ფრიად და სარდალნი შეგეიკრებია, დაასახელე
მბრძანებელი და დაწერ ყოველს. რადგან პლუტარქეს უკვე ეწადა აღზევება

115 ფილიპეს ძისა და სულ მალლა აღტაცება/ეშურებოდა – ეჩვენებინა
ყველასთვის, თუ როგორ დაიმორჩილა საწინააღმდეგოდ მოქმედმა ბედ-
მა, რადგან უწყოდა, რომ საშინელი იქნებოდა, მეისტორიებს იგი სვიანად
დაესახა და მით ძლევა მიენიჭებინა მისთვის ბედის წინააღმდეგ./ო, პლუ-

120 ტარქე, შენს მხედართმთავარს ბედისწერის უპირატესად ჰყავდა მძლავრი
და ერთგული თანამებრძოლები. ვინ [უწინამძღვრა] სპარსელთა შიშით
მოცულ ლაშქარს, რომელთან ერთად ლტოლვილობაც უხიფათო ბრძოლას
უდრიდა, ხოლო ბუნება ზნე და ხასიათმა დაიმორჩილა/მიენდო საჭურველს

125 და სიტყვით თოროსიანი შეიქმნა, მოლაშქრეებში სძლია სიმხდალეს და
სიმაჰაცედ გამოაჩინა სულმოკლეობა. გონიერებას შენსას და ძალას რომ
არ შეექმნა მღვიძარეებად, ემსგავსებოდნენ ქვათა უძრავთა, რომ ამძიმებენ

130 დედამიწას, ვით უქმნი ტვირთნი?
სად გაქრნენ უწინდელი ათენელი ფერმწერები, რომელნიც ბრძო-
ლაში მიძინებულ სარდალ ტიმოთეს გამოსახავენ, შემდეგ – ბედისგან

135 მინიჭებულთ მისთვის ქალაქებს?/აწ საჭიროა ამის საპირისპიროდ აღწერონ
ბედი, შენთვის ყოველგნით შეცვალებული, რომელი უფრო შრომათა
შენთა წინა-აღუდგებოდა. და შენ, მხედართმთავარი, დაშვრებოდი ორმხრივ

140 სახიფათო ბრძოლაში ბედისა და ბარბაროსების წინააღმდეგ/საიდან მოხდა

- საპირისპირო ფერისცვალება თმათა შენთა ოქროს შემსგავსებული წნულია? იგი ფიქრთა თოვამ შელება. ვით შეიცვალა ნაკვთთა სითეთრე? მზის
- 145 სიცხოველემ წაართვა ფერი./ბუნებრივია, თუმცა მაინც მისახვედრია, დამაშერალობის ოფლისღვრით რომ ჩამოდგა გულში სისპეტაკე. არ იკმარე შენ ბრძოლები თვითმპყრობელებთან, რომელნიც ყოველად განუხრელმა
- 150 განაჩენმა აღმოფხვრა/ფიქრზე უსწრაფესად და პირველი შემთხვევის დარად, თვითმპყრობელობის თუკი იყო მსგავსი შემთხვევა. არ იკმარე შენ მრავალნაცადთა შენივე ტომისაგანთა და უცხოთა და ბარბაროსთა
- 155 ზრახვების ერთურთ-შენაწევრება და შეზავება/არ იკმარე შენ ხალაშქრო საქმე, არამედ კეთილმოსაუკურად მომურნე და მოსწრაფე იქმენ, რომ ურ-ჯულო სპარსთა ქვეყნის შუაგულში შეჭრილიყავი. ვითარი გყავდნენ
- 160 სარდალნი, ანუ სტაგირიტები, ოდეს/შიადექ ბარბაროსთა სუანთა მიწას? კი არ ითვლიდი და ამოკლებდი მანძილს გონებით, უმეტესად ჭკრეტდი
- 165 საბრძოლო ძალებს, სიმდიდრეს, შემოსავალს ბარბაროსების./ვერ დაგაოკა ვერც ლედის მოთქმამ და ჩივილმა, აღმომხდარმა ბუნებითი ცუცხლოვანებით. მაშინ ვერც შეილნი, მარგალიტები სიცოცხლისა, რომელნი სულელებ უწი-ნამძღვრებენ, გაკაუბდნენ შენ, რომელმან ტრფობა ბუნებითი მო-
- 170 ინაკლისე. არ უფრთხოდი მტანჯველ სნებათა/არცაღა ცოდვებს, ჩვენი მიზეზით შენდა მოძართჩადენილებს, თუ საჭიროა ვუწოდო ცოდვის შემ-თხვევები; რადგან ვითარცა უხორცო და მხოლოდ ჩანხარ, რომელსაც გაქვს ანუ სხეული სპილენძისა, ან რკინის გული, გამოხვედ ბრძოლად და
- 175 აღიჭურვე კვალად/ერთი - ბევრის პირისპირ, - კაცთმოყვარების გზნებაე, რომელი აღმატები ყოველსა მძლავრს უცილობლობას. სარდალო, რარიგ განმართე ხელი, რარიგად მისწვდი თავად ღრუბლებს, რარიგ გა-
- 180 ნივრცე, რომ წინაუსწარ და დაამხე მიღწეული/მწვერვალამდის ბედი ხოსროსი, ცუცხლის მსახურის. ნათელია, რომ ლეთისმოსავობის სიციხოველემ
- 185 ხელი სურვიელად გაგაშლევირა და კლდე, ზეცათა უზეშთაესი, -/ქრისტე მახლობელად დაემყარა, რათა ველო შენთანავე. მისი შეწვევით მტერი, ბოროტი საქმეებით მოქადული, ღრუბლებიდან შთაამხე ტარტაროსს. რა ბილიკებით გამოჰკლე ნეტარ მთელი ქვეყანა, ურწმუნოებით გადამწვარი,
- 190 და თავად დაპრიი შეუიწრებლად/ცუცხლი კი, ხოსრო თავყვანს რომ სცემდა განუკითხვად, ჰქონდა არა დახსნისათვის, არამედ წვისთვის. და უდაბნოებს ქალაქებად ვით გამოჰკელიდი, თუ არა იმ გასაგონო ბჭეთა გამოვლით, რი-
- 195 თაც იხილვე უცთომელ მგზავრად./ან ჭეშმარიტად საჩინო-ჰყავ პორფირი

შენი და სისხლის პორფირს ხაუკუნო ფერი მისცა შენმა ოფლმა აღმსარებლურმა; სპეტაკად რჩება, მასთანავე არს შეწამული, თეთრად მოქათქათე ახალი საქმის მშვენიერებით; რაც ხანიერად იმოსება, მით უფრო ბრწყინავს.

- ო, გიხაროდენ, მხედართმთავარო კოსმიური [ხელახლა] შობის, ვინათგან შენი ღვაწლი მთელმა ქალაქმა და ქვეყანამ შეიმეცნა ღვაწლად ცხოვრების დაბადებისა. შენ გაასრულე მწვერვალისაკენ სუთმაგი სარბოლა/
- 205 ოფლისღვრით, ღვენილობით, ამხედრებით, — საბრძოლო ვტლით შეჭიდებულს შენთან ხოსროს სანამ აღფხვრიდი. ცხებულ იქმნენ საბრძოლო ვტლზე შემდგარნი შენთვის ეგზომ გრძელ გზაზე, რომელნი ჰვრეტდნენ
- 210 თქვენი [ბედის] ბორბალის ტრიალს./მთელმა ქვეყანამ ოთხივე მხრიდან სოტბა მიუძღვნა თქვენი ცხოვრების სანახაობას და ყველა ამკობს ქალაქს შენსას, ჩინებულისას, და გრილ ყვავილებს გიწნავენ და ღოცვებით,
- 215 ვითარ ვარდებით, გვირგვინს გადგამენ./რადგან განვიხსნა შენ სამყაროს კარი ასპარეზობის გამრიგემ და მბრძანებელმა; ოდეს შემოხველ ამ კარიბჭით, მთელი თაობის ძლევეთ შემოსეა გამოაჩინე; უხრწნულად იცავ ხატს სიმაღლიდან. ესრეთ წყურვილის მოუკლავად დაღვრილი ვარ თავად
- 220 სიტყვად დავეტრფი მშვენიერ წყურვილს თქვენ გამო. რა ვთქვა პირველად? ანუ შუაში რა დაწვერო? შესავლის ბოლოდ რა შევარჩიო? ჩაქსოვილია
- 225 ამ თხრობაში შეზავებულად ბრძოლა და ასპარეზობანი შენნი/თუ ვითარ იქმნა აღრევა და ვით მყარად დგომა. ვითარ წვიმათა ნაღვარევი მდინარებანი შევრივნენ წყალთა ზღვისათა, ვინათგან ერთი წიაღსავალით
- 230 მოჩქეფდნენ შენი ოფლის ღვარები/მოლეღავენ და თითქოს ძალის დატანებით ერთიმეორეს ეხეთქებოდნენ, მოსწრაფენი გამოსხლტომისა და სიტყვათა უფსკრულებში ჩაღწევისათვის. თუ სადმე ერთი სიტყვათაგანი
- 235 მალედ მეორეს გამოერჩევა/გონება მყისვე შეიმართება და სიამეს გაუნაწილებს, რათა სხვების მაიწრებელს უცილობლობით — თავისთვისაც აღარ ჰქონდეს გამოსავალი, სანამ შენი გონება და ბავენი წყაროსეულნი
- 240 დახსნიან სიტყვის მრავალ ზღუდეს./და გონების განმავრცობელი, განწირული სითამამით და კადნიერებით მე დაცურავ ამავე სიტყვებში.

გრიგოლ ნოსელი

ჩვენში ძველადვე განთქმული იყო გრიგოლ ნოსელის ქრისტიანულ.

ფილოსოფიური ძეგლი „კაცისა შესაქმისათჳს“, არაერთი ეგზეგეტიკური, დოგმატიკური, ასკეტიკური თხზულება, ასევე წერილები და სიტყვები. რიტორთა წერილები ასახავენ ეპოქის აზროვნების მიმართულებას და საზოგადოების ინტერესების სფეროს. „სქოლასტიკოს ადელფიოსისადმი“ გრიგოლ ნოსელის მეოცე „ეპისტოლეა“. მისი მიზანია, ამცნოს საზოგადოებას ერთი მშვენიერი დაძვირებული ადგილის არსებობა; თუმცა, როგორც თვითონ ნოსელი აღნიშნავს, ადგილი მის ცნობიერებაში სიზმარულივით არის; საგარაუდოა, რომ ალაგის სახელწოდება უანოტაც გამოგონილია. თხზულების სტილი ამაღლებულია, შესაბამისად მისი შინაარსისა, პეიზაჟების აღწერას ენაცვლება ავტორისეული სუბიექტური განწყობის გამომხატველი ფრაზები და ზოგჯერ ირეალური სურათებიც. თხრობის ამგვარი სტილითა და ზღაპრული პეიზაჟების აღწერით ავტორი აღწევს მიზანს და წარმოგვიდგენს მართლაც რომ დაუეციყარ სურათს.

ეპისტოლე სქოლასტიკოს ადელფიოსისადმი

უანოტის საწმინდარიდან, თუ მართლაც უსამართლობა არ იქნება ჩემი მხრივ აქაური წესით ამ ადგილის მოხსენიება, აი, ასეთი წერილი მოგწერე: უმართებულოდ მიმაჩნია, რომ არა აქვს მოხდენილი ზედწოდება ალაგს, რომლის მშვენებას და მადლს არ ასახავს სახელწოდება „გალაქტიკოსი“. ეს სილამაზე თვალსაჩინოდ უნდა განიმარტოს. მრავლისმხილველი ვარ მრავალი დროის განმავლობაში და ბევრიც გამოვიცა წინაპართა მონათხრობი წერილობითი ძეგლების მეშვეობით. გადაჭარბებულ ლაყობად მივიჩნევ ყველაფერს, რაც მინახავს და რაც მსმენია, აქაურ მშვენიერებასთან შედარებით: არაფერია ის ქელიკონი, მონაგონია ნეტართა კუნძულები, ნაკლებად სახსენებელია სიკიონიის დაბლობი, გარდა ამისა, ფუჭია რაღაც საჩოტბო მოთხრობები კენიეოსის შესახებ, რომლის წყალუხვი დინებაც, გაღმოსცემით, მადლობებიდან მეღმინ წყლებს იერთებს და მრავალგზის ნაჭებ თეხალიელთა დაბლობს განაშვენებს. ნეტავ ყველა მონათხრობიდან რომელი არის, სადაც უანოტა განსაკუთრებული მშვენებით წარმოგვიდგა? ან ნეტავ ვინმეს მოუძიებინა ბუნებრივი მადლი ადგილისა, [ვინაიდან იგი] გამოუსადეგარი დარჩენილა ხელოვნების სიკეთეთათვის; ან ნეტავ ვინ ნახა [ბუნებრივთან] შერწყმული

გამონაგონი; ასე და ამრიგად ხდება, რომ ბუნების შესაძლებლობა და-
 ჯახნილია უიღბლობით. სწორედ ქვეყნის მომრთველი ბუნება შე-
 ულამაზებლად ჰყენს მადლს ამ ადგილს; ამგვარად, ზემოდან მდინარე
 პალისი ამშვენებს მადლობს; როგორც რაიმე ოქროს ზოლი გა-
 მობრწყინდება მეწამული ტანსაცმლის ქსოვილიდან, [ისე] წითლდება
 შლამში კალაპოტი. ქვემო მხრიდან ვრცელი ქედი დიდ კლდოვან ნაპირზე
 სშირ, უკალ მუხნარად გაშლილა, ღირსი ვინმე მაქებლის პომეროსის მი-
 მოთხვევისა¹, უფრო მეტად, ვიდრე ის ნერიტონი ითაკიური, რომელზეც პო-
 ეტი ამბობს, რომ არის შესანიშნავი და ხშირტყვანი. ქვემოთ ჩაყოლებული
 ბუნებრივი ტყე სახნავიდან ქვემოქედს უერთდება. ვაზები მწკრივებად გა-
 ნიჟინილა დამრეც და ვრცელ ქვემოქედზე, როგორც მოფითალო-მომწვანო
 ყერის ქსოვილი; ყველაყერი ეს კი გარს ერტყმის ქვევით განფენილ ად-
 გილს. დრო მიდიოდა და ჟამი დადგა, რომელმაც აჩვენა ყურძნის
 მტყვანისა რაღაც საკვირველი საჭიროება, რომელსაც უფრო მეტი გოცება
 მოჰყვა, რადგანაც მეზობელი ქვეყნის ნაყოფი მჭავე აღმოჩნდა. მასინ შე-
 ხამლებელი განდა ყურძნით ტებობა და უნებურად დროის ბოროტად გა-
 მოყენება. შემდეგ ჩვენგან მოშორებით, როგორც ხანიშენ ჩირაღდნებიდან
 ცეცხლმა, ისე გამოანათა ნაგებობების ხილამაზემ, მარცხნივ აიზიდა მო-
 წამეთაგან განმზადებული სამლოცველო, რომელიც დამთავრებული ჯერ
 არ იყო, სახურავი აკლდა. თუმცა მაინც გამოირჩეოდა. ჭეშმარიტად
 განსაკუთრებულად ლამაზი იყო გზა; ერთიმეორის მონაცვლეობით მო-
 გონებათაგან სიტყობება გამოიყოფა: კოშკების შვერილები და ლხინისათვის
 სამზადისი სახლები, ჭიშკართა წინ, შესახველთან, გარშემორტყმულ
 ჭადართა ვრცელ და მაღალ მწკრივებში, შემდეგ სახლების ირგვლივ —
 ფეაკური ბალები. მეტად არ გამედიდურდეს [ამ ბალთა მეხობზე], როდესაც
 მათ შეერწყმის უანოტის ხილამაზე; პომეროსს აქ არ უნახავს მწიფე
 ვაშლებით დახუნძლული ხეები, ასევე ვვაილების უცნაური ფერი, რო-
 მელსაც იღებენ ვვაილობის განახლების ჟამს, არ უნახავს მსხლები, უყ-
 რო თეთრი, ვიდრე ახლად თლილი სპილოსძეალი. რისთვის შეაქებდა
 სპარსულ შემოსდგომას, ჭრელსა და მრავალყეროვანს და მრავალგვარად
 აღრეულსა და შერწყმულს? როგორც, მაგალითად, ჯიხვებისა და პიო-

¹ შდრ. ალექსანდრე მაკედონელის განთქმული სიტყვა ქართული მატანიდან: „არა დიდ იყავ
 აქილვეი, არამედ დიდას მივთხოვე მაქებელსა უპიროსი“.

კენტავრების და სხვა ამგვართა სახეობების შერწყმულ ბუნებას აღწერენ ისინი, რომლებიც მეტ სიბრძნეს დაიჩემებენ; შემოდგომაზე ნუშისა, კაკლისა, ასევე ატმის სახელისა და გემოს შერწყმის მიხედვით მბრძანებლად ქცეულმა ბუნებამ ხელოვნების დარად შექმნა [ყველაფერი]. ამას გარდა, თითოეულს სიმრავლე [საკუთარ] სილამაზეზე აღმატებულად წარმოაჩენდა. თუმცა არ ვგულისხმობ, რომ შესაძლებელია სიტყვით გადმოცემა ნარგავთა განლაგებისა და იმ მშვენიერად მედინი ფერწყერისა (ჭეშმარიტად უფრო ფერმწერის, ვიდრე მიწათმოქმედის სახწაულია), ასე რომ ამათ განმწყობელთა წადილით ბუნებრივი დაუბრკოლებლივ იზღუდება. ყოქმის ხეივანების ქვეშ გზა არის და მტვევანთა ის სახიამოვნო ჩრდილი და გვერდებზე აღმართული საოცარი კედლები, ვარდის ყლორტები და ვაზების ლერწყები ერთმანეთში გადახლართულან და კედლების აყოლებზე შესასვლელის ზღუდემდე გადაჭიმულან. ამ სასიერო ადგილის თავში აუზია წყლისა და მახში მოხინადრე თევზები. ნეტავ გამოხატავს ვინმე შესაფერისი სიტყვით [ამას]? ყოველივე ამით თავისუფლებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების [გაცხადების] შემდეგ სახლის ზედამხედველნი შენი კეთილშობილების შესახებ გულმოდგინებით მოგვითხრობდნენ, შენტვის ქმნილს ყოველსავე გვაჩვენებდნენ, თითქოს თავად შენ გამო ჩვენგან გახარებულნი. აქაც ვინმე ყრმათაგან ზუსტად ისე, როგორც ვინმე სახწაულმოქმედი, გვიჩვენებს ჩვენ ღირსშესანიშნაობას, არც ისე ხშირად არსებულს ბუნებაში; სიღრმეში ჩასული თავისუფლად ლებულობს თევზებისაგან ცოდნას; ისინი შეხების შედეგად არ მოთვინიერდებიან მეთევზისაგან, როგორც რაღაც გაწვრთნილი ძაღლები, რომლებიც მოშინაურებულნი არიან მომთვინიერებელის ხელით და დამორჩილებულნი. შემდეგ მე მიმიყვანეს რაღაც სახლში, სწორედ რომ განცხრომისათვის; სახლს ჩვენ წარმოგვიდგენს შესასვლელი, ხოლო კარს იქით რომ აღმოვჩნდით, სახლი კი არა, სტოვა¹ წარმოგვიდგა. მაღლა აზიდული სტოვა იყო ღრმა ტბაზე მრავალი სიმაღლიდან დაკიდებული. ამას გარდა სამკუთხა მოხაზულობის საფუძველი, რასაც სტოვა ეკავა, ერთბაშად ეშვებოდა წყალზე, ისე, როგორც შინაგანი ფუფუნების შესავეალი. სწორი გზის გაყოლებით ლელიანს ენაცვლება რაღაც მაღალი სახლი სამკუთხა

¹ სტოვა - ეზო, აივანი, გალერეა.

პონტონით¹. ყოველი მხრიდან მზის სხივებით განათებული ჭრელი გამოხახულება ჭრელი ყვაილებით მორთული ნახატია.

ჩვენ გეშარებდა ამ ადგილის მცირედ მაინც ღაღიწყებისაგან გამოტაცება: სახლი თავისკენ გვიზიდავდა, არაჩვეულებრივი სანახაი იყო ტბასთან გაშენებული სტოვა, ხოლო უღამაზესი თევზები თითქოს განზრახ სიღრმისაკენ გვიტაცებდნენ სათამაშოდ. სიღრმეებიდან ზედაპირზე ამოცურებულნი, როგორც რაღაც ფრთოსანნი, ჰაერიდან ჩამოსხლტებიან, ნახევრად ჩნდებიან; ჰაერში კუბის ფორმას შემოწერენ და ხელახლა წყლის სიღრმეში იძირებიან; სხვები, ჯგუფებად ერთმანეთს მიღვევებულნი, შეუჩვეველთათვის სანახაობას ქმნიან, მეორე მხრიდან თევზების სხვა ჯგუფი გამხმარი პურის ნატეხებით ყურძენს წარმოხახავდა, სხვა და სხვანი სხლტებოდნენ და სხვა კიდე ყვინთავდა. სხვები კი ამათგან უინარღებოდნენ ტოტებში და ჩვენთვის მოქპონდათ კალათებით ყურძენი და შემოდგომის ჭრელი ღოვლათი... საუკეთესო სამზადისი და თევზის კერძები, რჩეული სადილები და ნამცხვრები, სადღევრძელუები და ხასმისები.

შემდეგ კი, მართლაც უკვე მოყირჭებულობის შემდეგ, ძილის მოგვრის საპირისპიროდ, წერისათვის განწყობილმა, შენ ეს მჭვერძეჭველებით სწორედ სიზმრის მსგავსი წერილი მოგწერე. გვედრები, არა ქალღღღითა და მელნით, არამედ ჩემივე ხმითა და ენით (შენივე ხიკყუი იყოს შენთან) შენს მოყვასთ ყველაფერი მოუყვი.

პავლე სილენციაროსი

პავლე სილენციაროსი მეექვსე საუკუნის, იმპერატორ იუსტინიანე I (527-565 წწ.) ეპოქის, მეტად საინტერესო მწერალია. პავლე სილენციაროსის შესახებ მოღწეული მწირი ბიოგრაფიული ცნობები თითქმის მთლიანად ამოკრებილია მეექვსე საუკუნის პოეტისა და ისტორიკოსის, სილენციაროსის მეგობრის აგათია მირინელის (სქოლასტიკოსის) ისტორიული თხზულებიდან: იგი იყო შვილი კიროსის, შვილიშვილი

¹ „პონტონი“ განიშრტება ზაკიდულ ზილად.

ფლოროსის და ხასახლის კარზე ეკავა მალაღლი თანამდებობა ხამეფო ხილენციარიოსთა პრიმიკიარიოსის, ე.ი. იყო გამგებელი კარის მხარურთა იმ ჯგუფისა, რომელსაც ევალებოდა იმპერატორის გამოსვლათა დროს ხილენციარის (silentio) უხრუნველყოფა. კეთილმოხილური გვარისა და დიდი ხიმლიდრის მემკვიდრემ, მიიღო აგრეთვე ბრწყინვალე განათლება და შექმნა ხამეფო კარზე ლიტერატორთა ხაკუთარი წრე.

პავლე ხილენციარიოსის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ცნობილია ოთხმოცამდე ეპიგრამა, წმინდა ხოციას და მისი ხაფხალმუნის ეფერასისი, „ქება ჰითიის აბანისა“, რომლის რუსული თარგმანი გამოქვეყნებულია წიგნში: „Памятники политическo-античного поэзии II-V века“, М., 1964, გვ. 110-114; ხამეციხურა ლიტერატურაში ეჭვია გამოთქმული, ეკუთვნის თუ არა ეს უკანასკნელი პავლე ხილენციარიოსს.

იმპერატორ იუსტინიანეს ეპოქა წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქა და ქრისტიანი ავტორები თავიანთ ნაწერებში თავს იწინებენ წარმართული ჟანრებისათვის დამახასიათებელი ხაზებითა და ტოპიკით. პავლე ხილენციარიოსი, მწერალი ქრისტიანული ეფერასისისა წმ.ხოციას ტომარზე, „ბიზანტიური ქრისტიანობის ამ ხიმლილსა და პალადიუმზე“, ქმნის ეფელაზე უფრო ეროტიკულ ეპიგრამებს „ცეკლის“¹ პოეტთა შორის.

ბუნებრივია, რომ მოვლენები, რომლებიც განვითარდნენ იმ პერატორ იუსტინიანეს დროს, შთააგონებდა პროზაიკოსებსა და პოეტებს იმპერატორის მოღვაწეობის განდიდებას. თუმცა ჰქმნიდა იუსტინიანეს განონმდებლობა, აქტიური მშენებლობითი მოღვაწეობა და ეფელაზე მეტად მისი საბრძოლო წარმატებები. 533-34 წლებში აფრიკა კვლავ დაიბრუნეს ვანდალებისაგან, 535-554 წწ. გამოსტაცეს ოსტროთებს და 554 წ. ესპანეთის ნაწილი — ვესტგოთებს, 562 წ. ხანგრძლივი მოღალატეობის შემდეგ მშვიდობიანი კავშირი სპარსეთთან, იმპერიის უძველეს მტერთან, იქნა მიღწეული. იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარზე მშვიდობიანი ცხოვრება

¹ ასეთი სახელწოდებით დარჩა VI საუკუნეში აგათია მირინელის მიერ შედგენილ ეპიგრამათა კრებული. ამ კრებულს ხელსაღვე არ მოუღწევია და ცნობილია უფრო გვიანი პერიოდების კრებულებიდან პირველი შედგენილია კონსტანტინე ეფელას მიერ (X ს.) და ცნობილია როგორც „ანთოლოგია პალატინა“, მეორე — მაქსიმე პლანელის მიერ (XIV ს.), რომელიც იცავს აგათია მირინელისეულ ეპიგრამათა განლაგების თემატურ პრინციპს.

გარანტირებული იყო. აღწერა ამ დიდი მოქმედებებისა წარმოადგენს აგათიას ანთოლოგიის შესავლისა და პავლე ხილენციაროზის მთავარ თემას.

წმ. ხოფიას ტაძარი, აშენებული კონსტანტინე დიდის მიერ, 532 წ. „ნიკაას“ აჯანყების დროს დაინგრა, – ცირკის პარტიათა შუღლის დროს; მალე ოქტინიანემ დაავალა ანთიმოს ტრალელს, ცნობილ არქიტექტორს, აეშენებინა კიდევ უფრო დიდი ეკლესია იმავე ადგილას. შენობა 537 წ. დაამთავრეს, მაგრამ იგი ნაწილობრივ დაინგრა 558 წ. მიწისძვრის შედეგად. ეკლესია შეაკეთეს და 562 წ. ლაახრულუს კიდევ განახლების ცერე მონიადღზე, წლის დასაწყისში, პავლე ხილენციაროზმა წარმოადგინა თავისი პანეგირიკული ეპიგრამისი - პოეტური აღწერა ეკლესიისა და მიხა ხაფხალმუნისა.

ორივე პეიქას უძველესი იამბიკური პროლოგი, მიმართული იმპერატორის, პატრიარქისა და მსმენელებისადმი. წმ. ხოფიას ტაძრის აღწერის პეგზამეტრული ნაწილის განლაგება არის შემდეგნაირი: 1. პროიმოიონი - თემის წარმოადგენა და მშვიდობისადმი პიმნი (135-144), იმპერატორის ქება (145-185), ნაწევრები, ხადაც აღწერილია მიწისძვრით გამოწვეული სამონგრევა და რეკონსტრუქციის დაწყება (186-278) და კვლავ გახსენება მთავარი თემისა და დღეხასწაულის აღწერა (279-353); 2. ხაეუთრივ აღწერა (354-920); 3. ეპილოგი: იმპერატორისა და პატრიარქის ქება, ბედნიერების სურვილები და დალოცვა (921-1029). ამბონის აღწერის გეგმა ასეთია: 1. მიმართვა წინასწარმეტყველების, მოციქულებისა და წმინდანებისადმი (30-49); 2. აღწერა ხაფხალმუნის (50-296) და 3. იმპერიის, ქალაქისა და ეკლესიის დალოცვა (296-304).

პავლე ხილენციაროზის აღწერა არის მნიშვნელოვანი წყარო არა მარტო ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის, არამედ აგრეთვე ზოგადად ბიზანტიური კულტურის ისტორიისათვის. ამ ნაწარმოებში ანტიკური რიტორიკიდან შეთვისებული ხტილისტურ-მიხატვრული საშუალებანი (ელემენტები) გამოყენებულია პოლიტიკური მიზნებისათვის, ყრისოდ, აღწერა გადაიქცევა იმპერატორისადმი მიმართულ ქებით ხტყვად, ენკომიონად, და იმპერიის პოლიტიკის პროპაგანდის უტყუარ ხარეოად გვევლინება.

ეპიგრამისი არის აზრის გამოხატვის ერთ-ერთი უძველესი ფორმა და, აქედან გამომდინარე, იგი ძველთაგანვე გვხვდება სხვადასხვა ეპიგრამის

ლიტერატურულ თხზულებებში. ელიოს თეონი, აღექსანდრიელი პლატონიკოსი, რომელსაც ეკუთვნის ქსენოფონტის, ისოკრატესა და დემოსთენეს ნაწარმოებების კომენტარები, თავის არასრულად მოღწეულ „Τεχνη περι προσημνασμάτων“-ში ეფერასისს განსაზღვრავს, როგორც „ზუსტ აღწერითს სიტყვას, რომელიც თვალწინ წარმოდგენით ნათელს ხდის საგანს“. ეფერასისის, ე.ი. აღწერის ობიექტებად დასახელებულია ადგილები, პიროვნებები, დრო, დღესასწაულები, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, ქანდაკებები, ნაზატები. ეფერასისთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და შეადგენს მის განუყოფელ ნაწილს *χαρακτηρισμοί*, ე.ი. ამა თუ იმ პიროვნების ხასიათის გამოვლენის აღწერა.

ანტიკურ ხანაში ეფერასისი, როგორც ბუნებრივი ლიტერატურული ხერხი, გამოიყენება უკვე ჰომეროსთან „ილიადაში“ აქილევსის ფარის აღწერისას (18,467), ხოლო „ოდისეაში“ აღკინოუს მტკიცედ ნაგები სასახლის აღწერა (7,81) არის შენობების ზოგიერთი შემდგომი აღწერის წინამორბედი.

კლასიკურ ტრადიციებს ნაზიარებმა და ამ ტრადიციების შემკვიდრე ქრისტიანმა მწერლებმა ანტიკური რიტორიკული ჟანრი ეფერასისისა ახალი თემებისათვის გამოიყენეს. ფართოდ იხმარება ეფერასისი პირველად ქრისტიან მწერალთა შორის ვესევი კესარიელთან. მის „საეკლესიო ისტორიაში“ ეხედებით ეფერასისებს ქრისტეს ქანდაკების შესახებ, ტვრეს ახალი ეკლესიის შესახებ. ბერია ეფერასისები „კონსტანტინეს ცხოვრებაში“, მაგ. კონსტანტინეს მიერ ჯვრის ხილვა და სიზმრის ახსნა, კონსტანტინესა და მისი ვაჟების სურათის აღწერა, კონსტანტინეპოლის მოციქულთა სახელობის ეკლესიის ეფერასისი, ანტიოქიის დიდი რვაკუთხა ეკლესიის, ბეთლემის შობის ეკლესიის, იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესიის აღწერა.

დიდ კაპადოკიელთა შორის ეფერასისის ჟანრს იყენებენ ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი; უხვად იყენებს მას იოანე ოქროპირი.

IV საუკუნეში განვითარებულმა პაგიოგრაფიულმა ლიტერატურამ ფართოდ გამოიყენა ეფერასისის ჟანრი დიდაქტიკური მოტივებისათვის. პაგიოგრაფიულ ლიტერატურაში დამონშებული მრავალი აღწერიდან მეცნიერებმა გააკეთეს საინტერესო დასკვნა იმის შესახებ, რომ ეკლესიაში ფრესკებს აღმზრდელიობითი მნიშვნელობა ჰქონდა და ტაძარში მოსული

მრველი ამ სურათებით ეცნობოდა ბიბლიური და ახალი აღთქმის სიუჟეტებს.

V საუკუნის დასასრულისათვის და VI ს.-ში აღმოსავლეთში, ლაზის რიტორიკულ სკოლაში, რამდენიმე ავტორია, რომლებიც საუკეთესო ეკფრასისებს წერენ. ლაზის სკოლიდან აღსანიშნავია პროკოპის, ცნობილი თეოლოგის, ძველი აღთქმის ერთ-ერთი კომენტარის შემდგენელის, ფერწერული ტილოს ეკფრასისი. მასში აღწერილია სურათი, დაცული მის მშობლიურ ქალაქში. პროკოპის ეკუთვნის აგრეთვე ლაზის საათის ლიტურგიული აღწერა.

პროკოპის მოსწავლე და მემკვიდრე, ლაზის სკოლის ზღვამდევანელი იყო სოფისტი ქორიკიოსი. მან დატოვა ორი პანეგირიკი ეპისკოპოს მარკიანეს შესახებ, რომლებშიც აღწერილია ლაზაში ეპისკოპოსის მიერ აღმართული ეკლესიები და ერთ-ერთ მათგანში — კედლის მხატვრობა იესო ქრისტეს ცხოვრების სცენებით. იოანე ლაზელი, ამავე სკოლის წარმომადგენელი, გვიტოვებს ეკფრასისის ნახატზე, რომელიც აღწერს ბუნების სურათებს მითოლოგიური პერსონაჟებით; საინტერესოა, რომ მითოლოგიურ სცენებს შორის მოჩანს ჯვარი.

და ბოლოს, განსაკუთრებით განვითარდა ეკფრასისის ჟანრი იმპერატორ იუსტინიანეს დროს. იუსტინიანე ბევრს აშენებდა და მისმა აღმშენებლობითმა მოღვაწეობამ კიდევ კპოვა ასახვა იმ პერიოდის ნაწარმოებებში. მათ ზოტბა უნდა შეესხათ იმპერატორის მოღვაწეობისათვის. ამდენად, ეკფრასისი მჭიდროდ დაუკავშირდა ენკომიონს, ქებით სიტყვას და ხშირად ჭირს კიდევ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

VI ს.-ის კონსტანტინეპოლში ერთგვარი ლიტერატურული მოდა იყო, მოკლე ეკფრასისტული ეპიგრამები შეექმნათ სურათებსა და ქანდაკებებზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აგათიასა და ქრისტელოროსის აღწერითი ეპიგრამები.

ყველაზე უფრო ვრცლად იუსტინიანეს მიერ აგებულ არქიტექტურულ ძეგლებზე გვიყვება პროკოპი კესარიელი თხზულებაში „შენობათა შესახებ“ და პავლე ხილენციარისი თაყვის „წმინდა სოფიას ტაძრის ეკფრასისში“.

ეკფრასისი წმინდა სოფიას ტაძრისა

განა მოიძებნება დღევანდელზე უფრო ამაღლებული დღე, როცა

ღმერთი და მეფეც აღივსებიან პატივით? დანამდვილებით არავის
 შეუძლია თქმა. ქრისტეს შევიმეცნებთ მეუფეს, შევიცნობთ ყოველმხრივ:
 5 ეს შენი სიტყვებით/პქმენ ცნობილნი ბარბაროსნიც კი, რამეთუ ღმერთი
 თანაგიდგას და ყოველგვარ საქმეში თანაშემწვედ გვავს - ხკულმდებელს,
 აღმშენებელს ქალაქთა, ეკლესიათა აღმმართველს, მახვილთა აღმძვრელს
 10 და საჭიროების ეამს მშვიდობის მყოფელს, ჩამგებს მახვილთა/ამიტომ
 გამარჯვება თანსდევს შენს ღვაწლს, როგორც სიმბოლო. განა დასაველეთის
 საზღვარზე, ოკეანესა და ხმელეთზე, არ გააერცყელე შენი ძალაუფლება?
 ხოლო აღმოსავლეთში განა უკვეყველა არ მოაქციე? - ერთნი მახვილით/
 15 მეორენი კი მანამდე შემოგიერთდნენ, სანამ თავად მიხვიდოდი. განა
 ძველთაგანვე არა გვავს დამორჩილებული მთელი ლიბია?¹ რამეთუ
 უძლურებას ადვილად დევნი და იმედის გარეშე არავის ტოვებ, რამეთუ,
 20 უძლველო, საფრთხეთა დაფარულთა მუდამ/იგებ და შლი. არა მახვილით,
 არცა ფარით, თვით ღვთის ხელით ხარ დაცული.

გვაკვირვებს შენი, ყოველადმღიერო, სულგრძელობა. გვაკვირვებს
 25 შენი გონება და რწმენა. მახე დაგებულია და ნაშიშველები/მახვილი მზად
 გაქვს, გარნა უფალი გმფარველობს. შეთქმულები უკვე შესულან შიდა
 სამეფო პალატში და ხურთ, რომ წარგტაცონ ტახტი; ესე ყოველი იცოდი და
 30 თავიდანვე შეიტყვე/და მტკიცედ იღებ -- ერთადერთისა გჯეროდა,
 მფარველის შენის; ღმერთს ვგულისხმობ, რომლითაც ყოველივეს სძლევ-
 მიზანი შენი ურყევია. სხვა რაღა უნდა ითქვას ამის შესახებ? თავად
 35 მოგვახლა, ვინც ხელმძღვანელობდა ალქას. განა არ სურდა დიკეს/მისი
 გადარჩენა; ხომ გაცხადებულად უწყოდა, რომ დამჩობილი ტირანის
 შეწყალებისა და ღმობიერებისაკენ მოიქცეოდი იმავე წამს, გინდ ცოცხალი
 40 დაგმხო. ამით აღუმატები ყოველგვარ კაცებრივ ბუნებას./ცხოვრების
 ცდუნებათა მიმართ შემწყალე, იტანჯები ჩვენი ცოდვებისათვის ხშირად,
 უძლველო, და მრავალგზის დაუნამავს მიუფურად მშვიდი მხერა
 45 ცრემლებს, ჩვენგან გამოწვეულ ტკივილთა გამო/ცხოვრებაში თანამკვიდრ
 უზომოებათა აღმატებულად მომსწრე, მიუტყვებ ყველას თანანადებს უფლის
 წესისამებრ და ჩქარობ, რომ შეგვინდო. მოითხოვ საკუთარი თავისაგან,
 რომ შესმენილს მცირე არ მიუზღა სასჯელი, რომ დანაშაულის სიმძიმე

¹ ე. ა. აფრიკა.

- 50 სხვას საფრთხედ ექმნას და შენ მოგმართონ ვედრებით./არ დაუშვებ
 ოდესმე, რომ გამორჩეული უნარი წყალობისა სხვამ იტვირთოს. მათგან კი,
 ვინც კვადნიერდებით და ვცოდავთ, პოულობ საბაბს გაცხადებულად
 გვამიილო და ზეგარდამო მოგვიტყუო. განა თვით უფლის მიმართ არ აღი-
 55 ტურვება /ის, რომელსაც არ სურს, რომ ეს მეფე მბრძანებლობდეს? მშვიდი,
 სასურველი და ზომიერად ქველმოქმედია მეგობრებისადმი და არა
 მეგობრებისადმიც. გიხსნის ეს შენ, ეს ქმნის მეფურ სულს, უძლეველო,
 60 სულს ბედნიერების/ყოველგვარი სიქველის, სილამაზისა და ფრიად გო-
 ნიერების. გაცხადებულად ფლობ სიტყვას ღვთისადმი. და მოიპოვე იგი
 კეთილმორწმუნეობრივი თანაშემწევნით – მას შემდეგ, რაც მოვიდა და
 მორწმუნეთა შორის სუფევს ფიცი დამცველი, ფიცი განუკვეთელი/
 65 რომელიც არ წარხდება და არც საკუთარი ნებით დაიმორჩილებს ვინმეს.
 ხოლო ამაზე საკმარისად ითქვა. რადგან უკვე ტადრისკენ მივემართებით,
 მხურველებს სითამამისკენ მოუწოდებ. შენს საკვირველ ქმნილებათაგან
 ყველაზე საოცარი ქმნილების გამოჩენაზე ილაღადებენ კადნიერი
 70 სიტყვები/იგი ყველა საოცარ მიღწევას გარდაემატება, სიმბოლო შენი
 ყოვლადმღიერების, დიდი სიყვარულის, რაც ყველა ქალაქს კვებავს შენით
 და შენი ტადრით, უძლიერესო მეფე; მას შემდეგ, რაც დადგა დღესას-
 75 წაული, წესისამებრ/მთელი ხალხი უმაღლე, კრებული უზუცესთა, ისინი,
 ვინც ცხოვრების შუაგულისაკენ ისწრაფიან, მოითხოვდნენ, რომ
 გაგრძელებულიყო დღესასწაულის დღეები, ეთანხმებოდნენ, გრძელდებოდა,
 80 კვლავ მოითხოვდნენ, კვლავ ეთანხმებოდნენ და ამგვარად მყოვარ უამ/
 ხანგრძლივდებოდა უხვებით დღესასწაული¹.

- მოვედი თქვენთან, მეუფისო, მეფის პალატიდან ყოველთაგან საცნაურ,
 ყოვლად დიდ მეფის პალატში, რომლის მიერ გამარჯვება თანადანერვილია
 85 ხელმწიფესთან/იქ ჩვენ უზუცესთა წინამდგომმა, დამსწრემ თეატრონიდან
 სიტყვის წარმოთქმის, მოწვევლე გონებით გვისმინა, აქ კი მოსხანს
 90 წმინდანთა წინამდგომი. იყოს იგიც კეთილმოწყალებ. ხოლო მათგან/ვინც
 გვისმენს, ნურავინ დაგვემოხბოს სიტყვათათვის. იქნებ ამბობდეს ვინმე:
 „მეგობარო, რა ძალიან უჯეროდ ნამეტნაობ. იმისთვის წარმოთქმულ

¹ გამოთქმულა მოსახრება, რომ პირველი მონაცეთა იამბური მესაგლისა წარმოითქვა
 მეფის სახალღესი, მუროვ ნაწილი კი ეპისკოპოსის თანხლებით უშუალოდ ტადრში, და იგა
 მამართულა კალექ პატრიარქისადმი.

- სიტყვებზე მოითხოვ კეთილმოწყალებას, რაც სიქველეთა სახლია, რაც
- 95 ყოველგვარი სახიერებით არის შემოსილი?/ამას ხომ იგრძნობ და უნდა იგრძნოს ჭეშმარიტად ყოველმა, თუ ვინმე ვედრებით დადგრომილი მოისურვებს, რომ აღმოაჩნდეს შუადღის მზე და ნათელი გაბრწყინდეს; სიტყვები დარჩებიან სიტყვებად". მე კი ყოველივე ამას, როცა ასეთი
- 100 საშუალება იქნება/განა უარყოფ. მაგრამ მიზანს რომ ვხედავ, რომელიც უდიდესია და არა აქვს გარდამტეხა, მეშინია პაექრობის. ხოლო მსგავსადვე ის, რაც უწინ შიშს იწვევდა, გაბედულებას კვლავ მანიჭებს და, თუ იმედს
- 105 გამოეთქვამდი, რომ რაიმე გაბედული სიტყვა/გაუტოლდებოდა ტაძრის ყოვლად მშვენიერებას, ცთომით შეედგომივარ აღჭურვას ბრძოლისათვის, რომელშიც გამარჯვება სათუოა. და ყველამ ხომ ვიცით, რომ არ
- 110 აღმოთქმულა ოდესმე სიტყვა, მეფის ნაღვანის/შესაფერისი. ხოლო ნამოღვაწართაგან უშესანიშნავესია შენობა შენი. ტაძრის, არ არის საჭირო წინასწარი მოსაზრებით შეშინებული დარჩეს გაუბედავი, არამედ
- 115 სწრაფვა ამოძრავებს ყველას, თუ შესწევს ვინმეს ძალა/და აქვს კადნიერება, ვინც არის ქველი კაცი, და თუ არა კადნიერებამ და დიდმა გონიერებამ, სხვამ რამ აღამართინა ხელმწიფეს ტაძარი, რომლის ხილვამ
- 120 გარდამტეხა მოლოდინს და ხომ ვერ მიადწევდა ქალაქი/ესოდენ სიხარულსა და ფუფუნებით კეთილდღეობას. რა არის საკვირველი, თუ შართალი სიტყვებით მოხერხებულა და გაბედულება გამოჩნდება? ხოლო თუ სილაძაზე უძლურების გამო მიიჩქმალა, დაე, თვალები დაეხმარონ კაცს დანახვაში/
- 125 განსაზღვრონ ეს ყველაფერი წმინდა და მიმტკეპებელმა კაცებმა (და არა ცერცთა შთამნთქმელმა ათენელმა). მათთვის ღმერთიც და მეფეც ილხენენ, ისინი ქალაქებს განაგებენ, მათ მართვის აღვირი უპყრიათ საქმითაც და
- 130 სიტყვითაც/ამგვარად საჭიროა, რომ მათ მივმართო ლექსებით, ვინც მოიპოვა გამბედაობა. საჭიროა ამის გაკეთება, მე განვაცხადებ, და ჩემი სიტყვების ექო გახშიანდება. ამისთვის კვლავ დიდ იმპერატორს მიემართავ.
- 135 დღეს არ მესმის ფართა ხმაური, არც გასამარჯვებლად მივისწრაფი დასაუღეთისაკენ ან ლიბიისაკენ, არც ტირანთა მოკვდინების გამო აღმართულ ქანდაკებებს დაეუკრავ წკრიალატერფება რიტმებს. მიდიელთა ძლევის საქმეთა დიდება დღეს განთქმის გარეშე დარჩება. მშვიდობას ნეტარს, ქალაქთა გამდელს, რომელიც მოიპოვა
- 140 მეუფემ, მუზარადმშვენიერი ნიკეს უმეტესად მპყრობელმა, მოდით, ქალაქის დამცველთა ღვაწლით შთაგონებულებმა,

- ყველა ცნობილ ნაგებობათაგან უმჯობესში შეკრებილებმა,
 განსაკუთრებით წმინდა საგალობლებით ეუგალობოთ;
 იგი ხომ ერთადერთია, რომელიც ყველა განთქმულ მაღლად აზიდულ
- 145 საოცარ ქმნილებას აღემატება. ხოლო შენ, ჩემი სამეფოს საზრდოვ,
 უზარმაზარო რომო, შეგამკობთ უხვად მაღიდებელი უკვდავი ჰიმნებით.
 თუმცა შენი აპური აასხი დედაძინის ხალხებს,
 შენი სამეფო ტახტის საბრძანებელი უსაზღვროდ განავრცე
 და მიხი მიჯნა გასწიე ოკეანის ნაპირებამდე;
- 150 მაგრამ შენ სიდიდით განუზომელი ტაძარი რომ ააგე,
 შენი მშობელი თიმბრიადა უფრო სახელოვანი გახადე.
 შეისმინე ჩემი, რომის კაპიტოლიუმო, შეისმინე დიდებანი,
 ჩემმა იმპერატორმა ისეთი შიში დასცა მას ზემოდან,
 რამდენადაც მაღალი ღმერთი არის აღმატებული კერპზე.
- 155 ამიტომაც მსურს ტკბილხმოვანი ტროქეებით ეუგალობო
 ოქროსქიტონიან კარიბჭეებს, შენს კვერთხისმპყრობელობას.
 ხოლო მეფემ, არა მარტო ფართა დამღეწი იარაღით
 აღჭურვილმა, დაუმონა ბრძოლით სამეფოს უამრავი ბარბაროსნი,
 რათა შენი უღლის ქვეშ მოდრკეს მოუღრგველი ქელი და
- 160 შენს კანონს დამორჩილებულნი ძრწოდნენ, არამედ თვით
 ზვიადი მოშულეობა დააცხრო ქალაქთა დამცველი მეფის ზუზუნა
 ისარმა, ერთ ტყორცნას მერე მოსდევდა, განგმირულნი
 ეცემოდნენ და დაცემისაგან მიწა ღრმადებოდა;
 ხოლო შენ, უძველესო ლათინთა წინაპარო რომო,
- 165 მრავალძალით გიგალობოს სიმღერამ – ახლად აფეკვებულს.
 იგი კვლავ გახარებულა და შენ, როგორც პირმშო, შეჰხარი
 აღმდგარ ღედას, რადგან მშობლის სიყვარულით ტყები.
 ღუთის კანონების განდიდება ვისი ზრუნვის საგანსაც
 წარმოადგენს, მოდით, ბნელი ნაღველი განაგდეთ და გამხიარულებულებმა
- 170 უსპეტაკესი კრეტსაბმელებით შემოსეთ თალები.
 ხუთწლიანი ცრემლი კი მოიწურეთ თვალიდან და
 ვიგალობოთ ბაგეზე ღიმილით ტერფ-მშენიერი ჰიმნები.
 ავსონიის მბრძანებელმა ციური კარიბჭეების
 განახუნა კარები მიწაზე, საყოველთაო დღესასწაულის
- 175 კეთილგონიერებით წარმართვა ბრძანა. ყოველი შფოთი დაცხრა;

- 210 როდესაც დაშრა მთის ურიცხვი მდინარეები, როცა ნაკადულები
 დუღდნენ, ან როცა ნაყოფისმოცემ ღრმად დახუთქილ მიწაზე
 უხვი და დამლუპველი თავსხმა გადმოიღვარა და ხქელი
 მიწის ბელტები ზღვის ტალღებს შეერია. მსწრაფლვე
 შეიტყო საშინელი მწუხარება ჩემმა იმპერატორმა,
- 215 მაგრამ დიდხანს არ დაიბინდა ნათელი გონება, არც
 სახონარკვეთილებას მისცემია, თუმცა განიცდიდა. უნაით
 უმოქმედობას შეებროლა, ხანმოკლე დარდი გადაიგლო
 და უმაღ ტაძარი კვლავ აღსადგენად მზად იყო.
 გვერდითმდგომი მფარველი რომი მიმართავეს სიტყვით:
- 220 „ყოვლად-ძლიერო, ხვედრბედნიერო, სამართლიანობის ხაყდარო,
 ხაყრდენო ქალაქთა,
 მოცოცავს ჩემში რაღაც აღმყოფება: ხსიარული რა არის მკვერახი.
 იგი შენითვე არსებობს, როცა ახლოსაა ხსნა.
 ჩვენს გულებს ყოველი მზრიდან წყლული უჩნდება.
 მაგრამ, ნეტარო, ძალგიმს ჭრილობაზე ძალამოს დადება,
- 225 შენი ხელი, კეთილად მომდინარე ბედნიერების საზრდო, განკვინე,
 რადგან ყველაფრის შესაჭე და სადავის მკურთხეული ხარ
 და ყველას იმორჩილებ შენი სახელოვანი გამარჯვებებით.
 ჩაცხრა სპარსთა მეფე და გალთა საბრძოლო კიჟინი აღარ იხმის,
 მახვილი ნებით დაუმორჩილა შენს ტახტს ინდოელმა კაცმა,
- 230 სპილოები ჩამოიყვანა და ზღვის მარგალიტი მოგვიტანა.
 კართაგენის მუხლი მონური დაჩოქილია ჩემი წარმატებების წინაშე.
 ჩემკენ იმედის მომნიჭებელი სამხედრო ხომალდები მოემართაებიან.
 ირგვლივ გზას ხომ ხედავ ტყუი დათეთა თანავარსკვლავედისას,
 ყველგან ვავრცელებ უხე კეთილდღეობას ჩემს პირმშოთათვის.
- 235 ვინც სავაჭროდ ზღვაში არის გახული, ხელს უწყობს ზურგის ქარი.
 ეს ყველაფერი შენი ღვაწლით იქმნა. მაგრამ ნუ დაუშვებ,
 კვერთხის მკურთხელო, რომ ასეთი საყოველთაო სიმრავლე
 მშვენიერებისა დაეწყებას მისცეს ღუთას მდინარებამ.
 და მართალია, მეფევე, გიფრთხის ავსონიის უძველესი კანონების
- 240 წინაშე ქედდადრეკილი მსოფლიოს უთვაღავი ხალხი,
 თუნდაც მთელი ქალაქი ააშენონ,
 კურახოდეს მიიღებ შენს სიმბოლოზე უფრო ნათელ სხვა საბრძანებელს!“

- ასე ამბობდა განრთხმული მეუფის ფეხებთან და სურდა ბაგეს ტბილად მეტყველება. ხოლო მან კეთილმოსურნე
- 245 მარჯვენა განჰფინა უძველეს რომს და დანგრეული აღადგინა. და სათნოდ მღიმიარი, რამეთუ ურიცხვი ტყივილი სძლია, მრავალმხრივი კეთილგონიერებით საეხე სიტყვებს წარმოთქვამდა. „განაგდე ნალველი, სამეფო ქალაქო, სულს ნუ იშფოთებ, რათა ისარმა არ დაღწეოს შენი ფარი, და არც ბარბაროსთა სხვა
- 250 რაიმე ბრძოლამ შეუშფოთველი შეარყიოს სული შენი. ნურც ღრმად გამიზნული ჩაქრება ფიქრი. მოითმინე, განუსაზღვრელი სამეფო ძალაუფლების ქალაქო, სულით ნუ იტანჯები და ჩემი ღვაწლით უფრო მეტად განდიდდები შენ. კვლავ აღდგება მშვენიერთალებიანი ტაძრის მწვერვალი“.
- 255 ასე ამბობდა, ტაძრისაკენ მიეშურებოდა და სიტყვაზე უფრო სწრაფი იყო საქმე. რადგან ჩქარობდა, ჩვეულებისამებრ არ ელოდებოდა თანმხლებ ფარისმტარებელს, ოქროს განუშორებელ ყელსაბამს კისერზე მოირგებდა, უბრალო ხელჯოხი მეფეს მუდამ თან ჰქონდა საყრდენად,
- 260 არ ახლდა გზად გაწვრთნილი ჯარი ფეხმარდი, შავწაღებიანი, კარგად შეიარაღებული ახალგაზრდებისა. მოულოდნელად ყოველი მხრიდან მოგროვდებოდნენ ხოლმე და წინ მოუძლოდნენ მეფეს. გარს შემოკრებილი კაცები ურტყამდნენ გადაჭიმულ ხარის ტყავს და გაისმოდა ყრუ ექო.
- 265 ხოლო როდესაც ტაძარში შეაღწია და მტკიცე საფუძველი იხილა შენობისა, მთელი ფიქრი მიმართა უზარმაზარი მრგვალი მწვერვალისაკენ, დიდად განადიდა ხელოვნება და ჯეროვანი განბრჭობით განთქმული გონება ანთიმოსის, – ამ კაცმა პირველმა დაუდო საფუძველი ტაძარს,
- 270 მეფის გონიერულ რჩევას დამორჩილებულმა, დახელოვნებულმა შენობის ცენტრის შერჩევაში და გეგმის შედგენაში. მან კედლებს გადასცა ისეთი სიმტკიცე, რომ უძლებდნენ უძძიმეს ღემონურ დამწოლ ძალას. მართალია, დაირღვა და დაიწია მალაღმა მწვერვალმა,
- 275 მაგრამ ურყევად დაებჯინა მტკიცე საფუძველით ქვედა ნაწილს და წინა კედლებზე აკსონიის

ტაქტის დიდმა მმართველმა კვლავ უზადო
ხილამაზით ამოაშენა მწვერვალი ტაძრისა.

მაგრამ ვინ შესძლებს, რომ შეაქოს ასე ამაყად აღერილი

280 განლაგებით კვლავ აღდგენილი ტაძარი? რა შეედრება სკიპტრამლიერი
მეფის კეთილშობილურ გადაწყვეტილებათა გონიერებას?

ხოლო ის, კვერთხის მკვრობელო, რაც ხუროთა ოსტატის ნამუშავეია,
დავტოვოთ და მიემართოთ შენი ფრიადი ღვაწლისა და ჯაფის
საბოლოო მიზანს, ახლად დასრულებულ ღვთაებრივ სასწაულს,

285 რომლის გამოც ღვთაებრივმა სიყვარულმა ყველას თვალში შიში ჩააყენა.

ყოველი მოკვდავი, ღამაზფორმებიან ცისაკენ თვალს რომ მიაპყრობს,
დიდხანს ვერ შესძლებს, რომ უჭერიტოს უკანგადაწეული კისრით
ირგვლივ ვარსკვლავებით მოჭედილ მდუღროთა ფერხულს, მაგრამ
ამწვანებულ მარმარილოებს თვალს რომ ჰკიდებს, სურს, რომ კვლავ

იხილოს

290 და შეიგრძნოს ყვაეილოვან ნაკადულთა მდინარება და ნახოს

ჯეჯილი დაპურებული, ღამაზი ხეებით დაბურული

ტყე და ორად განტოტვილი ზეთისხილის ხე და

ვენახი, ახლადაყვავებული რტოებით და

ციხფერი ნათელი სიმშვიდე, გამეფებული ზღვაზე,

295 რომელსაც მეზღვაურის სველი ნიჩბების მოსმალა არღვევს.

თუ ვინმე ტაძარში ღვთისმოსიშობით ფეხს შედგამს,

აღარ მოუნდება უკან მობრუნდეს წასასვლელად, მოჯადოებული

თვალეებით ყოველ მხრივ კისერს მალიმალ ატრიალებს: ყოველგვარ

სიამაყეს დევნის ღამაზ-ჩაფხუტიანი ტაძრის მშვენიერება;

300 ასეთი მარადის დაცული უნაკლო ტაძარი ააგო

იმპერატორმა უკვდავი ღმერთის შემწვენიელი რჩევით.

ხოლო შენი ღვაწლით მიაღწიე, მეუფე, რომ ქრისტე

ზესთადიდებული მუდამ კეთილმონწყალეა. არ გსურდა აღგემართა

ოლიმპოს სიმაღლიდან მაღალი ოსსა, არც ოსსას ქედთან

305 გადაჭიმული მწვერვალი ქელიონი, ადამიანის ფეხისთვის

მისაწვდომი ღმერთების სამყოფელი ააგე, გარნა შენი

წმინდა ქმედებით მთაზე უფრო მაღალი, იმედის ქმნილება

დაასრულე და არაეინ არის მსურველი უფრო ამადლებულის;

იგი მიელტვის ზეცას, შენ კი კეთილმსახურების

- 310 სწორი ფრთებით ღვთაებრივ აითერში ლივლივებ.
 მაგრამ რას ვაყოვნებ, მხიარული დღესასწაულის დღეს
 რომ ვუგალობო? რა სიტყვას ვკრავნი გარეშე ტაძრის?
 შეკვრბეთ, ტაძარში ღმერთს ვუგალობოთ, ქურუმნო,
 ვედრებით მოეუხმოთ ჩემი სიტყვების მფარველს.
- 315 ახლა იყო, ყურძნის მოსავლის მერე ნამგალი ბლაგვი
 პირით კვლავ წაფხულის ძნის შეკვრას ელოდებოდა და
 სამხრეთის მზე ფრთების კრთომით თხისრქის თევზით ხავეს
 ცივი სამყოფელისაკენ თვალს მიაპყრობდა – ის-ის იყო
 ნაღვლიანი ტოვებდა მშვილდოსნის თანავარსკვლავედს.
- 320 დადგა თუ არა ბრწყინვალე ცისკარი და გაღებულმა უკვდავი
 კვლავადღგენილი ტაძრის ჭიშკარმა დაიბუბუნა,
 ხალხი შიგნით მოიხმო და იმპერატორი. ოდენ მრუმე მიიღია
 ღამე, ყველასთვის განდიდდა ცისკრისეული გამონაშუქი,
 ჭეშმარიტად უკუდგა ღამე, როცა აღმოჩნდა ტაძარი დიდი,
- 325 ღამე მწუხარი მიიღია და ყველას სინანულის ნათელი სხივი მოეფინა.
 შენ შეგფერის, უძლეველო კვერთხმპყრობელო, შეკფერის რომს,
 შეკფერის უკვდავი ღმერთის მომავალი დღესასწაულის დღეს
 შენი ხალხისთვის ტაძრის კარის გაღება.
 შეკფერის ღვთაებრივ დღეს, რადგან მაცხოვარი
- 330 ქრისტეს შობის დღე გვიანლოვდება...
 ღამე წინმავალი უკვე განდევნა ფეხმარღმა ცისკარმა,
 მხიარულების მაუწყებელმა და უკვდავი ღმერთის მაცნემ –
 ნათელი მოჰფინა მარად მღვიძარი ხალხის ხმაურიანი ფერხულით
 ხელას ღვთაებრივი ახალი ტაძრისაკენ, სადაც საიდუმლო ხმით
- 335 კაცები სიცოცხლის მომნიჭებელ ქრისტეს ნეტარებით
 უღადაღებდნენ მოუწყინებელი გალობით.
 მაგრამ ოდენ თალხი აიკეცა ბაღე ციური და ვარდისფერთითება
 ნათელმა მოიბრინა თაღებში, მაშინ ერთად გამოფხიზლდა
 მთელი ხალხი, ყოველი ტახტის მმართველი,
- 340 რათა შეესრულებინათ ძლიერი მეუფის ნება და
 უფალი ქრისტესთვის ხასიხარულო საჩუქარი მიეძღვნათ.
 პირზე კედრებით ღვთისმოსავეურ ჰიმნებს უგალობდნენ –
 სპეტაკი ცვილის ანთებული სანთლებით ხელში.

- მიყვებოდნენ ქურუმს, წმინდა ფერხულს რომ უძღვებოდა,
 345 ქურუმს, გალობის ღირსს, ვინც რომის ტაძრის ღირსად შეიღწეო
 იმპერატორმა. მთელი რომის ფართო ქუჩები და შუკები
 შეივსო. შეკრებილი ღვთაებრივ ეზოში, ხალხი
 ხმაძაღლა სასოებით გალობდა; ეჩვენებოდათ,
 რომ ზეციური უმწიკლო თაღებისაკენ აღგამდნენ ფეხს.
 350 დაძახებით კლიტენი, ღვთაებრივნი ქურუმნი, დაძახებით,
 ფართოდ გამიღეთ ქებისათვის საოცარი ქმნილება.
 მოკმაძღვრეთ კადნიერება სიტყვებს, რათა თქვენთა თვალთა
 წინაშე გადმოეშალო ის, რაც კარიბჭეებთან იწყება.
 აღმოსავლეთით შუაზე გაკეთილი წრის სამმაგი სივრცეა
 355 განფენილი, სიმაღლეში კი კედელთა სწორი ხაზების შემდეგ
 ოთხად კეთილი სფეროს მეოთხედი ნაწილი არის ატყორცნილი
 მსგავსად იმისა, თითქოს სამქიმიან თავს ზემოთ, ზურგის მადლით,
 ფარშევანგის მრავალთვალება ფრთების სქემა გადაშლილიყოს.
 ამგვარ გვირგვინებს ბრძენი კაცები ტექნიკურ სიტყვას –
 360 კონქს – უწოდებენ. ჭეშმარიტად ან ნიჟარასთან მსგავსებისათვის
 უხმობენ მცოდნენი ასე, ან ხელოვნების გამო თვით საღმე აქეთ
 გაგონილი. შუა კონქი შემოსარტყლულია ქურუმთა ტახტებითა
 და მრგვალი საფეხურებით. ამათგან უმდაბლესნი, კიდით
 შეერთებულნი, მიწაზე უერთდებიან მომიჯნავეებს ცენტრის
 365 გარეშემო და, რამდენადაც ზევით მიიწევენ, იმდენად მცირედ-მცირედ
 ფართოვდებიან მანძილის დაშორების გამო, ვიდრე თანდათან მიაღწევენ
 ვერცხლის საყდრებს¹. და მუდამ მზარდი წრით განფენილ გრუხილებს
 შემოაველებენ. შემდეგ იგი ხვდება თაღს, გამაგრებულს ძლიერი
 საძირკვლებით, მისი საფუძველი სწორი ხაზებით არის ამოყვანილი,
 370 ზედა ნაწილი კი მოხვეულად, სქემით არა სფეროს მსგავსი,
 არამედ ორად გაჭრილი ცილინდრისა².
 სვეტების დამართებით ორივე მხარეს ორი სხვა კონქი
 წარმოიჩენილა და დასავლეთისაკენ მიემართებიან.

¹ იგულისხმება მღვდელთმოძღვართა სკამები, რომლებსაც უკირათ ხინორონონა ეწოდებოდა მალაი რიგი.

² სწორი სივრცე *ბიუა*-სი, ზუსტად აფსიდის წინ.

- თითქოს-და გაუშლიათ მოხრილი მკლავები, რომ ამგვარად
 375 მგალობლები თავიანთ სამყოფში აიყვანონ¹.
 მათ სიმსუბუქეს ანიჭებენ ჭრელი ოქროსფერთავებიანი მეწამული
 ფერით გამომჭვირვალ სვეტები, ნახევრადკვეთილი თაღის ირგვლივ,
 წრის ფრიალ ძლიერი სიმძიმის შემკავებულნი, რომლებიც
 ოდესღაც თებეს საბარკულმშვენიერმა² ციცაბობმა
 380 წარმოშვეს ნილოსზე. ხოლო ორივე სვეტს ვერდნობა
 აქეთაც და იქითაც – ორივე მხარეს, ორივე აფსიდის
 ზაფუძველი. შუაზე გაყოფილ თაღის-ფეხებთან კი
 სამმაგი მომცრო კამარული გადაგრიხეს
 დახელოვნებულმა კაცებმა, კამარათა ძირში
 385 სვეტებს შეუდგამთ თავები, შეკრულებს სპილენძით;
 ზეწილნი, ოქროთი დაფარულნი, ისინი ყოველგვარ ზრუნვას გაეწივნენ.
 ხოლო მეწამული სვეტების ზემოთ არის სხვა სვეტები,
 თესალიური ქვის ბრწყინვალე მწკანე ყვაველებიანი.
 იქ ჭკრეტ ქალთათვის განკუთვნილ ლამაზ ზედა სართულებს,
 390 ფორმით მთლიანად იმის მსგავსს, როგორიც ქვემოთ შეიძლება რომ
 დაინახო.
- გარნა სვეტი ბრწყინავს ექვსი, თესალიური, და არა ორი.
 განმაკრთობელია გონება კაცისა, რომელმაც ოდესღაც
 ააგო გაბედულად ორ სვეტზე სამჯერ ორი სვეტი
 და არ შეშინდა ჩაეგდო საფუძველი ცარიელ სივრცეში.
 395 თესალიურ სვეტებს შორის მთელი სივრცე ოსტატმა
 ქვის საყრდენებით გაამაგრა. იქ ქალებს
 შეეძლოთ ჩამოეყრდნოთ ნაჯაფი ხელები და დაესვენათ.
 ამგვარად აღმოსავლეთით თაღებისაკენ თეაღს რომ მიაპყრობ,
 ჭკრეტ დაუსრულებელ საოცრებას. ხოლო ყველაფერზე მაღლა,
 400 ფარულ მრავალკამარათა ზემოთ, ჩნდება სხვა, თითქოსდა
 ჰაერში გაცოცხლებული თაღი³, რომელიც ატანილია
 მაღლა მოხვეულად ვიდრე მწვერვალამდე, რომლის

¹ აღმოსავლეთით მოთავსებული ორი ექვედრა.

² ეს ეპითეტი ზმირად გვხვდება აქველთა დასახსიათებლად ქიპროსთან.

³ აღმოსავლეთის მთიანი თაღი.

- ზურგიდანაც იწყება და არის დამყარებული
 საფუძველი ღეთაებრივი ტაძრის ჩაფხუტისა¹.
- 405 ამგვარად აღმოცენებულა ჰაერში სრულმკერდიანი კონქი,
 მაღლით მხოლოდქმნილი კენტი მწვერვალით, მაშინ როდესაც
 ქვემოთ ის ვერდნობა სამმაგ ნიშანს, და მისი ხუთად გაჭრილი
 ზედაპირის მჭვირვალი მინებით დაფარული ღიობიდან
 იჭრება სინათლის წყარო და მინებს შორის ბრწყინვალე
 410 ნათელი – ვარდისფერხელება ეოსი გამოკრთის . . .

თუ სხვა სანახაობისაკენ თქვენ, ხშირად მიწვეულებს, გაგიწევიათ,
 ეს სანახაობა, შესაძლებელია, რაიმე უმნიშვნელოს გამო
 სამართლიანად განგისჯიათ კიდეც. ახლა კი კარგად ვიცო, რომ
 415 დიდი ტაძრისკენ კვლავ მოხწრაფენი, თქვენ ვველანი
 მოხიბლულნი ხართ სწაღელი სანახაობით, ამიტომ შევეუდგები
 დანარჩენი მნიშვნელოვანი ნაწილის განმარტებას.

ვველაფერი, რაც დასავლეთის მიმართულებით ჩანს, შეესაბამება
 აღმოსავლეთის ფორმებს, მცირე განსხვავებით; შუა ადგილას
 არ შემოუვლის მრგვალი თალი.

- 420 როგორც აღმოსავლეთის ბოლოს²
 განსწავლულნი ქურუმნი იმყოფებიან
 უსაზღვროდ ვერცხლით მბრწყინავ
 ხოლო დასავლეთით დიდი კარიბჭე
 არა ერთი აქვს, არამედ სამმაგი,

- 425 ხოლო კარიბჭეებთან ვრცელი ეზოა მიდგმული;
 იგი ეგებება ფართო კარებით შემოსულებს.
 სიგრძე აქვს ისეთივე, როგორც სიგანე, საოცარი ტაძრის შენობას.
 ამ ადგილს ბერძნები უწოდებენ ნართექსს.
 აქ მთელი ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ აღივლინება
 430 ექო ტკბილხმოვანი გალობისა, მაცხოვარი ქრისტეს ყურთათვის

¹ ე.ი. გუმბათისა.

² 420-425 სტრიქონები ღუნისა დაზიანებულია.

სასურველი. აქ წინასწარმეტყველ დავითის ფსალმუნები იგალობება, ქურუმთა შემდგომ გალობასთან ერთად.

ტკბილია დავით, რომელმაც ღვთაებრივი სიტყვა შეაქო, ნათელი ღირსეული, საიდანაც გალობის ღირსი წილი,

- 435 დედის გარეშე მუცლად-ღებული ღვთაებრივი ძე, ქრისტე, უქორწინო დაბადებით აღმოცენდა: დედობრივი წესით ჩაუსახავი ძე აღორძინდა.

შვიდი ფართო წმინდა ჭიშკარი იღება და ხალხს შიგნით უხმობს გგუფებად. ხოლო მათგან ერთი

- 440 მღებარეობს ნართექსის ვიწრო მხარეს სამხრეთით, მეორე კი ჩრდილოეთ ფრთაზე, სხვა კართა ანჯამის ხმა, როდესაც ტაძრის მეთვალყურე აღებს მათ, გაისმის

დასავლეთის კედელთან, იქ, სადაც დევს მიჯნა ტაძრისა.

რად მიმოვიქცევი? რად მტაცებს სიტყვას სასტიკი ქარიშხალი

- 445 სწორედ ისე, როგორც ზღვაში. ტაძრის შუა ადგილი, განთქმული, სწრაფად ჩავირბინე. კვლავ დაბრუნდი, მგალობელო, რათა საოცრება, ყოვლად განსაკვირველი, იხილო და ყოვლად დაუჯერებელი მოისმინო.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის წრეების, შუაზე გაკვეთილი წრეების და თებეს ორმაგი სვეტის შემდეგ

- 450 მღებარეობს ოთხი კედელი, შეულამაზებელი, წინიდან რომ შეხედავ, გვერდებსა და მყარი სურგის გარშემო ურთიერთსაპირისპიროდ შემოსარტყლულია საყრდენებით; ოთხად გაყოფილები, მყარ, მკვრივად ქვებით გამაგრებულ სამირკველებზე არიან დაყრდნობილნი, იხინი

- 455 ცეცხლში გამოძწვარი თიხის წყალთან შეზავებით და ფზენილის შერევით შეწყობილად შეაწყება ოსტატმა აღმშენებლობითი ხიმარჯვით. მათზე უსაზღვრო კამარათა გრეხილები იყო, მზგავსად ლამაზადმორკაველი მრავალფერა ცისარტყელას თაღისა, ერთნი მიმართულნი იყვნენ დასავლეთის ფრთისაკენ, მეორენი

ჩრდილოეთისაკენ

- 460 იზრებოდნენ, სხვანი – სამხრეთისაკენ და სხვანი სწორად აღმართულან მოწვევარე აღმოსავლეთისაკენ. და თითოეულს შეურყეველი ბაზისი მომდევნო რკალისათვის თანაშეურწყამს ზიარად, აქედანაც და

- იქიდანაც, და საერთო მიჯნაზე შეუჭედავს, ხოლო მიისწრაფის
 თანდათან ღამაზად გრეხილი სვლით ჰაერში მანამ,
- 465 სანამ არ გამოიკვეთება მსგავსისაგან. ამ აფსიდათა
 შორის სივრცე ღამაზი ქმნილებებით არის ხავსე.
 აქ ერთმანეთისაკენ მიიქცევიან ხელოვნების კანონით და გამოაჩენენ
 შიშველ სივრცეს და წარმოდგება სამკუთხედის მსგავსი
 კედელი, დახრილი იმგვარად, რომ უღელმა შეაწყვილოს
- 470 მკლავები ორივე მხრიდან სფეროს რკალით.
 ოთხად კვეთილ ნაწილებად მიმართულნი, ისინი მიიწვევენ ზევით, სანამ
 გამოიწნდება მალლა ზურგის გარეშემო ერთი გვირგვინი წრის.
 ხოლო აფსიდათა შუა ნაწილი, რომელიც აგებულია მრგვალი თაღის
 მსგავსად, ოსტატმა გამოიწვარი აგურებით მტკიცედ შეაკავშირა,
- 475 შენობის ზედა ნაწილის გვირგვინი ქვით შეკრა,
 შეერთებებში დაატანა მსუბუქი ფურცელი ტყვიისა,
 რათა ქვები ერთმანეთს არ შეწებებოდა და
 მძიმეზე მძიმის, ტვირთზე ტვირთის დადებით
 ზურგი არ დამსკდარიყო. ტყვიის დატანებით
- 480 კი ქვის საფუძველი თანდათან შეიკრა.
 ყოველი მხრიდან ღამაზად მომრგვალებულ მთელ ზურგს უკლის გარს
 ქვის გვირგვინი იქ, სადაც აგრეთვე ჩამოდიოდა ძირი
 შუაზე გაჭრილი სფეროსი და იყო თაღები. უკანასკნელი
 გრეხილის წრე ოსტატებმა აფსიდათა ზურგს
- 485 გვირგვინად შემოავლეს. შვერილი მორთულობის ქვეშ
 კიდული ქვები ქმნიან მრგვალ, ვიწრო ჩამკეტ
 ბილიკს, სადაც სინათლისმტარებელი კაცი დაუბრკოლებლად
 უკლის გარს წმინდა შანდლებს და ანთებს.
 გავიძებული მალლით, უკვდავ ცაში, ჩაფხუტი ტაძრისა,
- 490 ყოველი მხრიდან სფეროსებურად მრგვალი, მსგავსად ნათელი
 ცისა, გვირგვინად ადგას შენობის სახურავს. უმწვერვალესი
 თავის ზემოთ კი ქალაქის მფარველი ჯვარი გამოუხაზავს ოსტატს.
 სანახავად ფრიად საკვირველია, გუმბათი, ფართოდ გაშლილი
 ქვემოთ, ზედა ნაწილში თანდათან უფრო შემცირებულად როგორ მიიწვევს;
- 495 ხოლო მახვილ მწვერვალს კი არ ქმნის, არამედ უფრო მეტად მსგავსია
 ცის თაღისა, რომელიც ჰაერში ლივლივებს. აფსიდათა მძიმე თაღებს

შორის¹,

- შუაზე გაკვეთილი ხფეროს საფუძველი გაჭრილია
510 ხუთი თაღოვანი ნათელმდიდარი სარკმლით,
საიდანაც ლამაზდალალებიანი ცისკრის სხივები მოუფინება ტაძარს.
განცვიფრება მიპყრობს, როგორი გეგმა შეადგინა ფართო
ტაძრისთვის ჩვენმა იმპერატორმა. აღმშენებლობითი ღვაწლით მოხილმა
კაცებმა როგორი კეთილადნაგები საფუძველები აღმართეს.
- 515 გამომწვეარი აგურებით ააშენა და შეაკავშირა
აფსიდათა თაღები და შენობის ფართო სახურავი
ფრიად გამოცდილმა კაცმა, მცოდნემ მრავალი ხელოვნებისა,
ტაძრის მაღლადაზიდული სახურავი სულ ხეებისაგან აავგო.
ფინიკიური ლიბანოსის კლდიდან მოზადა,
- 520 არც ალპური ქედების ხშირი ტყისათვის მისუძართავს, არც ალაგისთვის,
სადაც ასირიელი ტყის-მჭრელი ვინმე ან კელტი
ტყით დაბურულ წმინდა ჭალაში მსხვილიფეხა საქონელს დენის.
არც რაიმე ფიჭვზე ან ნაძვზე უფიქრია, რომ იქნებოდა საკმარისი
შენობის გადასახურავად. ორონტის² დაყნის ჭალებიდან ჰქონდა მასხალა,
- 525 პატარას³ ტყიანი ქედებიდან არ ჩამოუტანია კიპაროსის ხეები,
რათა გარეშემოწერელი სახურავი ტაძრისა აეგო. მაგრამ
დიდებულმა მეფემ ჩათვალა, რომ არ იყო შესაფერისად
გრძელი ხეები აშენებისთვის და ქვებით გადახურა მრგვლად.
ამგვარად, ოთხუღლიან აფსიდებს სრულმკერდიანი, მუზარადმშვენიერი
- 530 სახურავი დაადგა – ისეთი სანახაობა იშლებოდა, თითქოს
მოჯადოებული თვალთ მრგვალ ცას შესცქეროდი.
ხოლო აღმოსავლეთით და დასავლეთით აფსიდათა ქვეშ
ვერაფერს ამჩნევ, რადგან მთელი სივრცე უპყრია ჰაერს.
ხოლო ქუხილიანი სამხრეთისაკენ და უწვიმრო ჩრდილოეთის
- 535 მხარისკენ ლამაზდამორკალული თაღის ფულამდე გაშლილია
ძლიერი კედელი, იგი განათებულია ოთხჯერ ორი სარკმლის

¹ 497-508 სტრიქონები დაზიანებულია ღელანში.

² ადგილი ანტიოქიის მახლობლად.

³ ქალაქი ლიკიაში.

უხეი სინათლით. ეს კედელი კი დაფუძნებულია ძირს
ქვის საყრდენზე, მის ქვეშ ხომ ხახხასა მწვანე .

მალაქიტის ფერის ექვს სვეტს

540 უმტკიცესი თვაწი აქვს აგებული (იქ, სადაც მოსჩანან
სკამები ქალებისათვის). ისინი, თავის მხრივ, მიწაზე
დამყარებულ, მტკიცე სვეტისთავეებზე დაბჯენილ ოქროსფერი
თხზულობით მორთულ ოთხ სვეტს ვერდნობიან, თესალიის
ქვის განსაკუთრებული ბრწყინვით მოელვარეებს,

545 რომლებიც ლამაზხიერცხებიანი ტაძრის შუა დარბაზს
გამოჰყოფენ მომიჯნავე, ძალზე გრძელი გალერეისაგან.
არასოდეს მოჭრილა მალასიის ქვეყნის საზღვრებში
ასეთი მაღალმწვერვალიანი, წმინდა ჭალის ყვავილებით
მორთული მშვენიერი სვეტები.

550 ხოლო თვით გალერეის შუაში აღმართა.

კიდევ ოთხი სვეტი მახვილგონიერმა ანთიმოოსმა

ბრძნული განბრტობით განთქმულ ისიდორესთან ერთად;
ორივენი ხომ გარეშემოუწერელი ტაძრის აღმშენებლის,
ფრიად მოღვაწე მეფის რჩევებს იღებდნენ

555 ფარულად. ეს ოთხი სვეტი, მომიჯნავე

სვეტებზე უფრო პატარები, მსგავსი

წარმოშობისანი ჩანან, რადგან მწვანე ფერით ბრწყინავენ.

მათ მწკრივად, ერთიმეორის მიყოლებით კი არ ჩაუყრიათ
ფერხმშვენიერი საფუძელები, არამედ ურთიერთმოპირისპირენი

560 დგანან მიწაზე წყვილ-წყვილად, რომელთა თავზეც

ოთხ გზით წამართ რკალებით მოზღუდულ თაღს

უჭირავს ქალთა დარბაზების ზურგი.

მასთან ახლოს, ჩრდილოეთის ქარის მიმართულებით, არის

შესასვლელი, საიდანაც ხალხი მიეშურება წმინდა ემბაზიხაკენ,

565 კაცთა ცხოვრების განმწმენდი, ცდომათა დამორგუნველი – იგი
სისხლისღვრის ცოდვას ჩამორეცხს სულს.

ამ მშვენიერი ოთხი თესალიური სვეტის შემდეგ,

ორივე მხარეს, როგორც აღმოსავლეთისაკენ; ასევე დასავლეთისაკენ,

ღია გალერეის სიგრძის გაყოლებით, მომხიბლავად აღმართულ

570 კედლებზე გაჭრილი ცილინდრისებური თაღები ლივლივებენ

- ჰაერში და ქმნიან გასასვლელს. ჩრდილო ქარების მიმართულებით
 კი ორმაგი კარები იხსნება.
 ხოლო შესაბამის სამხრეთ ფრთაზე, ბჭეთა პირისპირ,
 ნატიფად ნაკეთი სივრცეები მოსჩანს ღვთის გამოსახულებათა
 575 კიდობნის მსგავსი. აღმოსავლეთისაკენ და დასავლეთისაკენ არის კიდევ
 ორი სხვა სვეტი, ჰამონიისა და ზღვით განბანილი პროკონესის
 ორი სვეტი, მაღალმწვერვალისანი, კარების ახლოს ჩადგმული.
 აღმოსავლეთი მხარისკენ ერთი კარია, მრუმე ღამის საბრძანებლის
 მხრიდან კი
 ორმაგი კარით შემოდიოდა ხალხი.
- 580 სამხრეთით შემოგზვდება გრძელი ღია გალერეა, ყოველმხრივ
 ჩრდილოეთის გალერეის მსგავსი, ხოლო აქვს რაღაც კიდევ წამატებული.
 ამოშენებულია განცალკევებული ადგილი, რომელიც იცავს
 ღმრთივ გვირგვინოსან რომის იმპერატორს დღესასწაულებზე.
 აქ ჩემი კვერთხის მკვრობელი აღსაყდრებულა თავის კუთვნილ ტახტზე
 585 და საიდუმლო წიგნებს მიაპყრობს სმენას.
 ყოველი მნახველი შეამჩნევს, რომ როგორც ზემოთ, ასევე
 ქვედა მხარეს ქალთა გალერეები არის ერთმანეთის მსგავსი;
 ხოლო ის, რომელიც ნართექსის ზემოთ, დასავლეთისაკენ არის
 მიქცეული, არ არის მსგავსი დანარჩენი ორისა.
- 590 უკვდავი ტაძრის დასავლეთი ბოლოსაკენ კი
 შეამჩნევ ეზოს, გარემოზღუდულს ოთხი გალერეით,
 რომელთაგან ერთი ნართექსს უკავშირდება, სხვები კი
 გახსნილნი არიან და მრავალ ბილიკს მიყვავართ მათთან.
 გრძელი ეზოს განთქმულ ცენტრში დგას
 595 ფართო რამ შადრევანი, გამოთლილი იასაური მარარილოსაგან;
 აქედან ბრინჯაოს მიღების საშუალებით მოჩუხჩუხე
 ნაკადი ჰაერში შხეფებად იფრქვევა და
 განკურნავს ყოველგვარი ენებისაგან, როდესაც ხალხი
 ოქროსქიტონიან თვეში¹, ღვთის საიდუმლო დღესასწაულის² დროს,

¹ იანვრის თვე, როდესაც კონსულები თანამდებობაზე ერთი წლით არჩევისას შეიმოსებოდნენ
 ხოლმე თავიანთი სახეიმი ოქროსფერი ქიტონით.

² „საიდუმლო დღესასწაული“ არის ნათლისღება.

- 600 მთელი ღამის განმავლობაში წმინდა წყლით ავსებს ჭურჭელს.
იგი მღალადებელია ღვთის მრავალმხრივი ძლიერებისა; არასოდეს
სმენია ვინმეს, რომ ჭურჭელში ჩამდგარი
წყალი წამხდარიყოს, თუნდაც ჭურჭელი
მრავალჯამეულად იდგეს სახლში ღიად.
- 605 ხოლო გრეხილი ქვის კედელზე ნატიფად ნაქარგი ხელოვნების
ნიმუშები ყოველი მხრიდან გამოკრთიან. ზღვით განბანილმა
პროკონესის კლდემ წარმოშვა ისინი. მშვენიერად თლილ
მარმარილოთა შეხამება მონაქარგს ემსგავსება, რადგან
შეიძლება დაინახო ოთხად და რეად კვეთილ ქვებზე ღამაზი წყობით
- 610 ერთად თავმოყრილი ძარღვები; ამგვარად დაკავშირებული ქვები
ხელოვნების ნიმუშებს ჰგავს. ყველგან უკვდავი
ტაძრის გარეშემო, გვერდითი თაღებისა და
ბოლოში არსებულ თაღთა გაყოლებით, დაინახავთ
მრავალ ღია ეზოს: ასეთი მშვენიერი ნაგებობანი გამოჩნდება
- 615 წმინდა ტაძრის ირგვლივ, როცა მრავალ თვალთა კრთომით
ყოველმხრივ გადმოღვრილი ალიონი განცისკრდება.
მაგრამ ვინ შესძლებს. იუნდაც ჰომეროსის განმქუხარე ბაგეებით
მეტყველი, რომ უგალობოს დიდად განთქმული ტაძრის
მტკიცე კედელთა გარეშემო და ფართოდ გაშლილ იატაკზე
აღმოცნებულ
- 620 მარმარილოთა მღვლოს, სადაც კარისტის მწვანე
ზურგი გაკვეთა სპილენძმა სამკვეთლოს კბილანიანი იარაღით
და დაანაწილა ქვის ფრიგიული მშვენიერი ქედი,
შესახედად ხან ვარდისფერი, სპეტაკ თეთრში შერეული,
ხან ერთდროულად მუქი წითელი და ვერცხლისფერი ყვავილებით
- 625 ნატიფად მოელვარე. აქ მრავლად ბრწყინავს აგრეთვე მეწამული,
წერილ ვარსკვლავებით შუფრქვეული ქვები, რომლებიც მოაქვთ
დატვირთულ მდინარის ხომალდებს ღამაზდელტიან ნილოსზე.
აგრეთვე ჰერკულესის ქვის მწვანედ კრთომას
და უზვადგრეხილი ძარღვებით მოელვარე მამარილოებს,
- 630 ასე მრავლად რომ წარმოშობენ ღრმახეობებიან იახაურ მთათა ქედები.
და ანასებენ თეთრზე სისხლისფერი წითელი მუქი ხაზები, ირიბად
ჩაყოლილნი, მრავლადაა მკრთალი ყვითელი, მეწამული ფერით

- შემოგრაგნილი, ლიდის ღარტაფებიდან. ლიბის მზე
 ოქროს სხივების აალებით ოქროსფერ შაფრანის
 535 ქვათა ელვარებას წარმოშობს მავრისიის მწვერვალის
 ღრმახეობებიან ქედთან ახლოს. სხვა მარმარილო
 მოიპოვება კელტურ ღრმაყინულოვან
 მთებში; მოელვარე შავი ფერისა, რომელსაც
 აქა-იქ რძისფერიც გამოერევა, და ძვირფასი
- 640 მქრქალი ონიქსი, პატიოსანი ქვის ელვარებით მჭვირვალი,
 წარმოშობილი ატრაქსის ვრცელი, ფართოდ გადაჭიმული
 ქვეყნის ველებზე, და არა მაღალქედთან ხეობებში:
 ერთგან თითქმის მწვანე, ზურმუხტს მიმსგავსებული,
 სხვაგან მუქი მწვანე, თითქმის ლურჯი.
- 645 იყო თოვლისფერის მსგავსიც, იქვე შავი ფერის ელვარებით
 გამორჩეული, და ქვის სილამაზე სხვადასხვა ფერთა შერევით
 მიიღწეოდა,
 ვიდრე ფრიად თლილ ხეფისქვათა კრთომას მიაღწეოდა;
 ქვისმკვეთელმა საკუთარი ხელით მოკრიბა ერთად
 წვრილ მარმარილოს კენჭები და გამოსახა კედელთა შორის ფილებზე.
- 650 მწიფე ნაყოფებით დამძიმებული, შეკავშირებული ნაყოფიერების
 რქები,
 წნულები და ფოთლები, რტოებზე ჩამომსხდარი ჩიტები
 ამოკვეთა. ამ სურათს ოქროსკულულებიან ვაზის ლერწამთა ლამაზად
 დახრილი ხვეულებით შემოვლებია გარემომო ვენახი, ვაზის კალამთა
 ირიბი კლერტებით მთხზველი ხვეული ჯაჭვისა.
- 655 მცირედ კი წინგადმოხრილია, რათა ოდნავ დაჩრდილოს
 ნაწნავთა კამარის ხვეული თხზულებით მომიჯნავე ქვა.
 ასეთი აღმკულობით არის გარემომორტყმული ლამაზი ტაძარი.
 ხოლო მაღლა და აზიდულ სვეტებზე, ქვის ტერფის შინაგან მხარეს,
 წინწამოწეულია და განფენილი ტაღლოვანი, მდიდრულად მოხატული
- 660 აკანთის თხზული, წამახვილებული წვერის ბრუნვით შექმნილი,
 მთლიანად ოქროსი, მშვენიერი; იგი გარს უკლის
 მრგვალ მარმარილოს, როგორც მეწამული ფერის რტო, და
 ბრწყინვალე სილამაზით აჯადოებს გულს.
 ხოლო პროკონესის მწვერვალი სიხარულით სთავაზობს თავის ზურგს

- 665 ცხოველ დედოფალს¹, რათა მისი ქვით მოფინოს მთელი იატაკი,
და გამოირჩევა ბოსფორის სპეტაკი თეთრი მარმარილო
მალლით ჩამუქებული, მშვიდად მკრთოში ნათებით,
ჭერი კი ოქროცურვილი სეფისქვით არის მოკირწყლული,
საიდანაც ოქროსფერ სხივთა უხვი ნათელი გამოკრთის.
- 670 კაცთა თვალთათვის შეუძლებელია მისი ცქერა,
თითქოსდა ვინმე გაზაფხულის ეამს ფაეტონის შუადღის
ნათელს უჭვრეტდეს, როცა ყოველი ქედი ოქროსფრადაა აალებული.
ამგვარად, ჩემმა იმპერატორმა მთელი დედამიწის, ბარბაროსთა
და ავსონიის მრავალმხრივ სიმდიდრეს ერთად მოუყარა თავი.
- 675 ვერ უშვებდა, რომ საკმარისი იყო ძვირფასი ქვა პალატებისათვის
უკვდავი ღვთაებრივი ტაძრისა, რადგან მასში ერთში
ჩააქსოვა ზეიადი იმედის სიხარული რომმა.
არც ვერცხლი დაუზოგავს და უხვად გამოიყენა
მოსართავად ტაძრისა. აქ პანგეის ქედმა და სეინიის მწვერვალმა
- 680 გადიხსნეს ძარღვები ვერცხლისა. აქ ჩვენ მთავართაგან
მრავალმა დახსნა საჭურჭლენი.
ზოლო დიდებული ტაძრის მთელი აღმოსავლეთი თაღი,
ადგილი, გამორჩეული უსისხლო მსხვერპლით, გააწყო
არა სპილოს ძელით, არა კვეთილი ქვებით ან ბრინჯაოთი,
- 685 არამედ მთლიანად ვერცხლით განასრულა.
და არა მხოლოდ კედლები, რომლებიც ქურუმს
გამოჰყოფენ მგალობელთა გუნდისაგან,
არის მოფენილი რჩეული ვერცხლის ფილებით, არამედ თვით
სვეტები სრულიად ვერცხლით დაფარულია. შორს ეფინებოდა
- 690 სხივთა კრთომა და იყო ორჯერ ექვსი,
რომლებზედაც საჭრეთელმა დახელოვნებულ ხელში ოსტატური
თანაზომიერებით მრგვალი და მრგვალზე წამახვილებული
ღისკოები გამოკვეთა, რომელთა შორის უკვდავი ღმერთის გამოსახულება
გამოჭედა, რომელმან ჩაუსახავად შეიმოსა კაცობრივი ბუნების ხატი.

¹ ე.ი. ტაძარს. როგორც ვხედავთ, ვგზომ ძველი ეკლესიის, ვითარცა სძლის, სახისმეტყველება და „ძველი აღთქმის“ აღკვორიული თხრობაც სწავლულთა შემდეგ თაობებს შემთხვევით არ დაუსახავთ „ახალი აღთქმის“ აღკვორიული თხრობის საფუძვლად (რედ.).

- 695 ერთგან ფრთამარდი გუნდი ანგელოზების ამოკვეთა წვეილებად,
რომელთაც, მოდრეკილებს, ქედი ძირს დაუხრიათ,
(რადგან არ შეუძლიათ უცქირონ უფლის ნათელს, არც კაცობრივი
სამოსლით შემოსილნი არიან, რამეთუ ღმერთს მიემსგავსებიან,
და განსხვავებულნი, განწმენდილნი არიან ცოდვათაგან).
- 700 სხვაგან კი რკინაზე ამოკვეთა უფლის უპირველესი გზების
მაცნენი¹, რომელთა ხმითაც, სანამ უფალი ხორცს შეიმოსავდა,
იღალადა და გაერცელდა ქრისტეს არსებობის განსაკრთომელი
წინასწარმეტყველება; არც იმათი გამოსახულება დაიფიწყა ოსტატმა,
რომელთაც მიატოვეს მდაბალი შრომა თავიანთი ცხოვრებისა -
- 705 მეთევზეთა კალათები და ბადეები და ამოიღეღვანი - ხოლო
ზეციური მეფის თანმზღებნი², ბრძანებისამებრ,
აღამიანებს გამოიტაცებდნენ და მეთევზეთა ბადის ტყორცნის
წილ უკვდავი ცხოვრების ღამაში ბადენი გაშალეს.
სხვაგან კი ქრისტეს მშობელი გამოსახა ოსტატმა,
- 710 დაუვალი ნათელის წყარო, რომლის მუცელმაც ოდესღაც
შემოქმედი მისი ამოკვეთა წმინდა წილით.
წმინდა ტიხარის ფბღებს შუა, რომლებიც წმინდა ღეთისმსახურთა
ირგვლივ ავლებენ ზღუდეს, გამოსახულება გამოხატა საჭრეთელმა
ერთი, გარნა მრავალმეტყველი: ერთად შეკრებილია და
- 715 შეკრული სახელი დედოფლისა და მეფის³; მსგავსადვე მრგვალი
ფარის ფორმა ამოკვეთა, რომლის საშუალ ადგილას ჯვარი
იხილებოდა. სამი კარის მესვეობით
მთელი ტიხარი იხსნება ქურუმთათვის.
ხოლო თვითიუელ მხარეს მომცრო კარი ამოჭრა მუშაკის ხელმა.
- 720 და ოქროს ყოვლადწმინდა ტრაპეზის ზემოთ
უზარმაზარი ვრცელი კოშკი ჰაერში აღმართულა,
ოთხად გაყოფილი ვერცხლის თაღით აზიდული.
სვეტებს ვერცხლისას ვერდნობა იგი, რომელთა თავზეც

1 წინასწარმეტყველნი.

2 მოციქულები.

3 ე.ი. საკრთიხველის კანკელის მოაჯირის ფილები მართული იყო იუსტინიანეს და თეოდორას მონოთეიზმით.

- ვერცხლის ფეხები დაუფუძნებია ოთხუღლიან თაღს.
- 725 ხოლო თაღების ზემოთ გადაჭიმულია კონუსს შემსგავსებული ფიგურა, მაგრამ არა სრულიად მსგავსი კონუსისა, რამეთუ მოხვეულად არ მიჰყვება ქვემოდანვე წრის ბოლოს არსებულ მრგვალ თაღს, არამედ აღმოაცენებს რეაწახნაგა საფუძველს, უფრო ვრცელი გზიდან მცირედ-მცირედ მახვილ მწვერვალისკენ მიიწევს
- 730 და რვა ვერცხლის განაჟენს წახნაგს; [ნაკეთთა] ერთმანეთთან შეწყობილად შვერთების გრძელი ჯაჭვი იქმნება. ისინი, სამკუთხედს მიმსგავსებულნი, მიჰყვებიან რეაწახნაგა გზის მიმართებას და მოიკრიბებიან მწვერვალის წვერის ერთი ნიშნისაკენ, სადაც კრატერის ხატი გამოაჩინა ოსტატმა.
- 735 კრატერის გაკვეთილ ზედაპირს ფოთლის ფორმა აქვს, შუა ადგილას კი ჩადგმულია ვერცხლისებურად მოელვარე ცის თაღის გამოსახულება. მის ზემოთ მოჩანს დიდებული ჯვარი – მოწყალე იყოს!
- 740 თაღების ზემოთ აკანთის მდიდარნაკეთიანი ხვეული არის შემოვლებული კონუსის უდაბლესი საფუძვლის ძგიდის გარეშემო, სწორად მიმართული ელვარებით მაშუქებული სხივიანი; მსგავსად ფრიად სურნელოვანი კეთილფურცლოვანი მსხლის ნაყოფისა, ძირიდანვე მოშავალი ნათელი მალლით განსაკუთრებით გამოსჩანს. სადაც ერთმანეთს შეენაწვევებიან
- 745 საფუძვლის კიდენი, დამყარებულია ვერცხლის თასები, ხოლო თითოეულ თასზე დგას კანდელი, უნთებელი ხატი ცვილისა, განკუთვნილი უფრო მეტად სილამაზისათვის, ვიდრე სინათლისად. ხოლო ირგვლივ სულ მოელვარე ვერცხლის კრთის ცისკროვნება.
- 750 ვერცხლის სხივის აღუგზნებელი ელვა, და არა ცვილის სანთლის ალი იფრქვევა. ხვეტებს ოქროსას წმინდა ტრაპეზის სრულიად ოქროს ზედაპირი დაყრდნობია, ოქროსავე საძირკვლებზე დგანან ისინი, შემკულნი უხე თვალთა ბრწყინვით.
- 755 მაგრამ საით მატარებს, საით მიემართება სიტყვა ლაგამაწყვეტილი? შეწყდეს კადნიერი ხმა, დუმილი ირჩიოს ბაგემ და ნუ გამოჩნდება ის, რაც არაა კანონით ხალხის თვალთათვის სახილველი.

- თქვენ კი, ქურუმნო, როგორც ამას [წმიდა] კანონი ბრძანებს, სიღონის ნიჟარის მეწამულ ფერში ამოვლებული საფარველი
- 760 განაწინეთ ხელით და დაფარეთ ტრაპეზის ზურგი. ხოლო ვერცხლის ოთხი გვერდის დამართებით გაშალეთ საბურავნი და უსაზღვრო უჩვენეთ ხალხს ოქროს სიუხვე და გონიერი ხელოვანის ქმნულ-კეთილი აღმკულობანი, რომელთაგან ერთი ქრისტეს სახის სიწმინდეს გამოხატავს.
- 765 იგი შექმნა ოსტატი ხელოვანის ხელში არა საჭრეთელმა, არა ნემსმა, განმზადებულმა ქსოვილზე თერძელის გასაველებად, არამედ მრავალფერი ნართის შენაცვლებით ძაფმა მოქარგა, მრავალსახოვანმა ნართმა, რომელიც უცხო ქვეყანაში დაართო აბრეშუმის ჭიამ¹. ვარდისფერხელება ეოსის სხივების ოქროსფეროვანი
- 770 კრთომით ღვთაებრივ სხეულს შემოხვევია სამოსელი. და ტირიოსის მეწამული ნიჟარით მრუმე წითლად შეფერილი ქიტონი მშვენიერი ნართის ქვეშ ფარავს მარჯვენა მხარს. სამოსლის საფარი ეცემა ღამაზად გადმოფენილი გვერდებით, მარცხენა მხარს ფარავს და აშიშვლებს სამოსლისგან
- 775 წინა მხარს და ხელის მტევანს. გეჩვენება, რომ მარჯვენის თითები წაგრძელებულია, რათა განგიცხადოს სიტყვა წარუვალი. მარცხენაში წიგნი უჭირავს ღვთაებრივ კანონთა, წიგნი მაუწყებელი, რომ მხსნელის ნება აღასრულა
- 780 თვით მეუფემ, როცა ფერხი დაადგა მიწას. მთელი სამოსი კი ოქროსფეროვნად ელავს, ხოლო მასზე დახვეწილად ნაქარგი ოქრომკედი არის მრგვლად თხზული, ფორმით საღამურის ან ლერწმის მსგავსი, და ამგვარად შეწყობილად შემტკიცებულა მშვენიერ ქსოვილზე
- 785 უმახვილესი წვერითა და სერესის აბრეშუმის ძაფით. ორთავ მხრით კი დგანან ორნი მოციქულნი უფლისა: პავლე, სრულად ზიარი ღვთაებრივ სიბრძნის, ახოვანი კაცი,

¹ ტექსტში წერია: „პარპროსმა ქიანქვლამ“. პავლე სილენციარიოსის პოემის შექმნის დროს აბრეშუმი ბიზანტიამ შემოიღოდა სპარსეთიდან.

და ციური კარიბჭეების ძლიერი მკვარე¹,
რომელხაც ეპერა ქვეყნისა და ცათა ბორკილები.

790 ერთს უჭირავს წმინდა რჯულის კანონის
წიგნი, მეორეს კი – ოქროს ჯვრიანი კვერთხი.
ორივეს ვერცხლისებრ ეღვარე სამოსზე მშვენიერი ანაფორა
აქვს შემოხვეული. უკვდავი თავების ზემოთ კი ამოზრდილა
ოქროს ტაძარი; და აღიმართებოდა სამშავი რკალი

795 ბრწყინვალე თალისა, დაფუძნებული ზეაზიდულ
ოთხ ოქროს სვეტზე და ოქროცურვილი სამოსლის
ქობაზე ხელოვანმა გამოხატა ურიცხვი საქველმოქმედო
საქმენი ქალაქისდამცველ ყოველთა მეფეთა.
ერთგან კაცი თვალს მოკვრავს ავადმყოფობით გვეშულთა

800 თავშესაფარ სახლებს, ზოგან წმინდა შენობებს, სხვაგან
სასწაულები ჩანან ზეციური ქრისტეის; მადლი წმინდად ემცკრევა საქმეებს.
სხვა სამოსელზე კი შემოგხედება ერთგან ღმერთის მუცლადმღებელი
მარიამის, სხვაგან კი ქრისტე ღმერთის ხელით ერთად თავმოყრილ
მეფეთა კრებული და ყველაფერი ოქროს ძაფის

805 შეხავებით არის მოქარგული ბრწყინვალედ.
ყველაფერი მშვენიერებითაა მოხილი, ყველაფერი აკვირვების
თვალს, რომ უცქერ, მაგრამ, მიმწუხრისას ნათება ტაძრისა
რომ შეაქოს, სიტყვა არ იქნება საკმარისი. უმაღლ აღმთქვამ:
შუალამისეული ფაეტონი ჰფენს ასე შუქს ღვთაებრივ სახლს.

810 ხოლო ჰენმა მეფეებმა გამჭრიახი გონიერებით
სხვადასხვა რიგად რგოლთა დახვევით თხზული
გრძელი თითბერის ჯაჭვი
გადაჭიმეს ქვის შვერილი წარბიდან, რომელზეც
ტაძრის მაღალმწვერვალიანი სახურავის ტერფია დაყრდნობილი.

815 სხვადასხვა წერტილიდან უწყვეტი გრძელი გზით წამოსულნი,
ხვეულები თავს იყრიან მიწაზე, მაგრამ სანამ ძირს მიაღწევდნენ,
მათი თითქოს მოფარფატე გზა შეფონდება და
შეიკრება ფერხულის მსგავსად. თითოეულ ჯაჭვთან
ვერცხლისა პატრიდან წრას მსგავსად ჩამოშვებული

¹ მათე 12, 13.

- 820 ღისკოები შიამაგრა ტაძრის ცენტრალური საზღვრის გარეშემო.
და ამგვარად დაშვებულნი მაღალი გზიდან, ჩაკიდული ხვეულები
ქმნიან წრეს მოკვდავთა თავებს ზემოთ.
ფრიალ გამოცდილმა კაცმა გაკვეთა ყველა [ღისკო] რკინით,
რათა ნათელის მამუქებელი მინისაგან მიეღო სხივები, რაც
- 825 აღამიანთათვის იქნებოდა ღამისხელი ნათელის კიდებული წყარო,
ხოლო არა მარტო ღისკოებიდან უფინებოდა სხივები
ღამით, არამედ ღისკოების მომიჯნავე წრეში
შეამჩნევდი დიდი ჯვრის ურიცხვოვალემა ფიგურას,
რომლის წახსნაგოვან ზურგზე მოთავსებულია მანათობელი
- 830 თახი¹. აი, ამგვარად ჩაბმულია ფერხული
ნათლის ყოველმხრივ მფრქვეველი ღამპრებისა. უმაღლ იტყვი,
რომ დათვის თანაზარსკვლავდისა და დრაკონის თავის ახლოს
შეჰყურებ ცის თაღის მოკაშკაშე ვარსკვლავებს.
ამგვარი ნათელი დგას ტაძარში, მხიარულად მანათობელი
- 835 მიმწუხრის ეამს. შუა, მომცრო წრეში კი შეხედები ბოლო,
ხინათლის მფრქვეველ მრგვალ თაღს. ხოლო შუაგულში
აღმართულია სხვა ღისკო, დიდებულებით მბრწყინავი
ჰაერში; და მსწრაფელ უკუიქცევა წყვედიადი.
მანლობლად ტაძრის გვერდითი ნაუბისა, ხვეტების გასწვრივ ორივე
- 840 მხარეს მხოლოდ მანათობელი ღამპარნი მწკრივში დასხნა [ოსტატმა]
ერთიმეორისაგან
განშორებით. ვრცლად გაშლილა ტაძრის მთელ სიგრძეზე
მიუძარებთან ისინი, ხოლო თითოეულს ზედა დართო ვერცხლის სიმრგვლე,
სრულიად ხაზორის თეფშს მიმსგავსებული, რომლის გულშიც
კეთილად აალებული ზეთის ჭურჭელი დაამაგრა.
- 845 განა ყველას კიდე ერთ სიგრძეზედ არის კვეთილი,
შესტყერი მშვენიერებით აღმართ და დამართ მიქცეულ
საამო ღელვას, რამეთუ სხივები კრთიან ხაფხურებრივად
ჰაერის ბილიკებით მდიდრად თხზული წსულიდან, ამგვარადვე
ბრწყინავს ნათელით მრჩობლ-მწკერვალნიანი ჰიადესი,

¹ ე. ი. ჯვრის ფორმის ჭორკანდელი. „თულები“ გამოხვეული იყო პატარა მინის ნათურის
სასაღებლად. როგორც კმანგო აღნიშნავს, ამგვარი ნათურები ნაოცნია სამხრეთ თურქეთში.

- 850 გამოხატული ტავროსის შუაზე გაკვეთილი შუბლით.
მაგრამ ვინმე შეამჩნევდა ალბათ ვერცხლის ნავეებს, სავაჭროდ
სინათლისმქონე ტვირთს ეზიდებიან ისინი და, დაკიდებულნი,
ზღვის ნაცვლად მშვენივრად განათებულ ჰაერში მიცურავენ,
არც სამხრეთის ქარი ამინებთ და არც გვიან მიმალული ბოორტები.
- 856 ხოლო შენობის საფუძველზე დაინახავ დიდებულ
კვერთხებს, რკინის ორკაპში გამაგალს,
რომელზედაც ნათებათა მწვობრი მიემართება.
აქ ტამრის მეთვალყურის მიერ შეკრულა სწორი წითელი ფერის ძეგლავი.
ერთნი ხანთელნი შემოვლებიან ძირს¹, სადაც დაუმყარებიათ საფუძველი
- 860 ნატიფ სვეტებს, ხოლო მეორენი სვეტისთავთა მალლა არიან —
კელულთა ვრცელ გზებს ჩაყოლილნი.
ქუშმარიტად არ არის უნათლოდ დაშთენილი ხრულმკერდიანი
გვირგვინის ფერხი. შვერილი ქვის გარეშემო მარჯვედ
მომრგვალებულ ლავგარდანზე (წარბზე) ქურუმმა აღაგზნო
- 865 ბრინჯაოს ლატანზე მიმაგრებული ცალნი ლამპარნი.
ვითარცა მეფე ვინმე, მოფარული, თავის ქალწულ ასულს
კისერზე მშვენიერ ოქროში ჩასმულ ლალების ცეცხლებრ მკრთოში
ელვით გამოძბრწეინავ ექლხაბამს შემოავლებს,
ამგვარადვე ჩემმა კვერთხის მპერობელმა მთელი ლავგარდანის ირგვლივ
- 870 გარსშემოწერა ნათელი, რომელიც ყოველი მხრივ გასდევს საფუძველს.
არის აგრეთვე ვერცხლის სვეტებზე, სვეტისთავთა მალლით,
ცეცხლისმტარებლისათვის ვიწრო, მარჯვედ მოსაგლეღვი გზა,
აღზებულნი ელორტებით მანათობელი,
იგი შეიძლება მთაში ნაზარდ ფიჭვის ხეს მივამსგავსოთ
- 875 ან კეთილფურცლოვან კვიპაროსს.
ხოლო ირგვლივ გარემო რბიან წრეებად და მკვეთ და მახვილ
თავიანნი მცირედ-მცირედ ფართოვლებიან, ვიდრე უკანასკნელ
წარბს მიაღწევდნენ, რომელიც ლერძის გარეშემო არის შემოგრაგნილი.
აქ მათზე აღმოცენებულია შუქმანათობელი ყვავილი, ძირის ნაცვლად კი
- 880 ცეცხლისფოთლოვანი ხეების ქვეშ აღმართულა ვერცხლის

¹ აქვე ხელნაწარმის აღწერის ბატკზე დასდებულ მანდალს.

თახები. მსუკენიერი ჭალის შუაში უკედავი ჯვრის
ფორმა, ძვირფასი თევლებით მოოჭვილი, მოკვდავთ ნათელის მომნიჭებელი
ცივლით ატყუვებს.

- ათახგვარი სხვა შუქი, წამოსული თბზული გაჭვებიდან,
885 მარადის მანათობელად ხდის ტაძარს, ვითარცა ციურ სხეულს.
ერთნი გვერდით გაღურებაში აღენიებინან ბრწყინვალეებით, მეორენი ცენტრში,
სხვები აღმოსავლით და დასავლით, სხვანი კი მწვერვალიდან
აფრქვევენ ცეცხლის ნაპერწკლებს და ნათელი ღამე დღესავით იცინის
და თვითონაც ვარდისფერხელეა დღედ გარდაიქმნება.
890 და თუ ვინმე დიდხანს უყურებს განათებულ ხეებს, მათ
გვირგვინთა მწყობრს, დანაღვლიანებულნი ხული დაიღვენს.
ხოლო რომელიც ცეცხლისმფრქვეველ ეპატრიდას ან სხვა ლამპარს
მიპხედავს,

- მარტოდ დანთებულად რომ იწოდება, ან ზეციური ქრისტეს
გონების სიმბოლოს, - იშვებს მხიარულებით.
895 როგორც მაშინ, როცა მოგზაურნი უღრუბლო ზეცის
ყოველი მხრივ გამომკრთალ ვარსკვლავებს ზე აღზედავენ,
ტკბილ დასავლეთს უცქერს ვინმე თუ ტაერონისაკენ მიიპყრობს
გონებას, კუროს თანავარსკვლავედით ტკბება
თუ ორიონით, თუ უწვიმრო დიდი დათვის თანავარსკვლავედს
900 მიიპყრობს თვალს, მრავალი ვარსკვლავით შეფრქვეული ცის
ბილიკები გადაეხსნება და დაიჯერებს, რომ ღამე უცინის.
ამგვარად ხიბლავს ტაძრის ლამაზი სივრცე
ნათლის სხივების კრთომით, მაგრამ
ვეელას სიხარულით აანთებს რომლის

- 905 სულაც შავდრუბლიან მწუხარებას დაუშონებია.
ვეელასთვის ანათებდა წმინდა სხივები ყოველთვის, როცა ან
თვით მეზღვაური მართავდა ზღვების გადამლახავ ხომალდს,
ან დატოვებდა ქარიშხლიანი პონტოს აბობოქრებულ ტალღებს
და მოაბრუნებდა გემს საპირისპირო ნაპირისაკენ,
ღამის მალეული საფრთხეების ღრმა შიშით შეპყრობილი,
910 ან მას შემდეგ, რაც ვეგოსის ზღვიდან ქელესპონტის
წველებში შეიყვანდა ხომალდს ღელვის საპირისპირო მიმართულებით,
დაძაბულად მომლოდინე ძლიერი თავლახსმისა აფრიკიდან,

არა კელიკას, არა კინოსურის საწაღელ სხივს

915 შეკუერებს, რომ იხსნას და ხომალდის საჭე წარმართოს,
არამედ თვით ლუთაებრივი ტაძრის შუქმანათობელ ლამპრებს
შესცქერის, გაბედულ ხომალდთა მეგზურს, და არა მხოლოდ
მის ღამისეულ ნათებას (როგორც პროტევის¹ მწვერვალნი
ფაროსზე, აღმართულნი აფრიკის მიწის სანაპიროზე),

920 არამედ თვით ცხოველი ღმერთის მხსნელი ძალის ჩაუქრობელ სხივს
ჭერებს.

იღვერძელე, კვერთხის მკყრობელი, მრავალეამეულად,
ნათულად დასაველეთისა და აღმოსაველეთისა. შენ გამო, მარადის ქებულო,
ცისკარი შეფონდება და მიმწუხრამაც იცის შენთვის ზრუნვანი.
ნათსადგურნი შენ ღეღამიწის მრავალ ზღვისპირა ქალაქში

925 მოგაგებენ მყუდრო უღელგო ზღვას. ვრცელ ტალღას კი
აოკებენ და ნერევის ღამაზად მორკალულ მკლავთა ქვეშ
აქაფებული ტალღების ხმაურს გაურბიან. და მდინარეთა დინებას
ემორჩილება მძლავრად მსჭეფარე წყალი
და მოგზაურებს მეტად არ ურეკენ გზას.

ვინც უწინ უძღვეველი აზოვნებით მიგდინა სანგარიონის

930 ჩქერის, აწ თლილ ღოდთა ხიდით გადასარტყელულის, მხილველია
ბითეინიის მიწაზე,

ჩვენი ხიტვეების ჯეროვან ზომიერებას არ გაკიცხავს.

ყოველი ესე, ზვედრბედნიერო, ნეტარო, აძლიერებს შენს

935 ხანგრძლივ, ცხოველ წელთა ზრდას. ესე ყოველი
განადიდებს შენს სამეფოს ოკეანის უმეტესად, დასაველეთით
ლიბიასთან და აგრეთვე აღმოსაველეთით წარმატებებისათვის.

ყოველმა ამან

ტირანებს თავი ბევრჯერ მოადრეკინა თვითმკვლელის ხელის განწირული
შეშართვის გამო მანამ, ხანამ იარაღს მოაკვიდებდი ზელს, და მათი

940 თავები განიკაფებოდნენ უკვე მანამ, ხანამ შენ აქვევდი ფერფლად,
სანამ უსამართლო ამბავი მათი მოგხსენდებოდა, და, თუ ოდესმე
შენთვის იგი მცირედ შებრკოლდა, სამართალი ფეხთა ქვეშ შევივროდომებს

¹ პროტევი - მითალოფურა ზღვას მოხუცი, წინასწარმეტყველი ნიქით ღჯიდღებელი, რომელიც ბინადრობდა ვეპოტემსა, ფაროსზე.

- მოწინააღმდეგეებს და გარდაუვალ მრისხანებას
 მალევე აცხრობ და მიმტყვებელ სიმშვიდეს კვლავ
 945 მოიპოვებ და, სანამ სპილენძის ბორკილი ჩაკეტავს
 კაცს შურისმისაგებ ჯაჭვში, მსწრაფლ ჰხსნი კისრიდან
 კლიტებს. ხოლო შენ მოწყვალე თვალს მიაპყრობ
 უწინდელ მოქიშპეებს, შენგან უღელდადგმულთ,
 და სიკვდილის წილ ქამარს ბრწყინვალეს მიუძღვნი
 950 და მოგებული რჩები, იმდენ პირქუშ საფულავის ბორცვს უნდა
 დაეფარა შენი ქვეშევრდომების სხეული. შენი სიმშვიდის გამო
 იმარჯვებ, სამგზის ნეტარო, რკინაზე უფრო მტკიცედ
 შენკენ მოქცეული დატყვევებული სულელები მიგყავს
 შიშიდან შენი სიყვარულისაკენ და რწმენისაკენ მიაქცევ და
 955 მსურველნი არიან, რქა დაუდრიკონ შენს უღელს.
 უწყი, რამდენად უფრო ძლიერია სიყვარული ძალადობაზე,
 უწყი, თუ ვითარ მდლეოზე ძალიან ხშირად ხარი, მწყემსის სალაპურით
 მოთვინიერებული, თავს იწყვეტს კომბალის ხმაზე.
 მარადის შენთა ღვაწლთა წინამბრძოლი იყო
 960 ქრისტე მუფე და მმართველის აღვირით
 მიუდრეკელად უძღვებოდა ძლევაშემოსილ შენს სწრაფვას,
 გიჩვენებდა, ჩაგვიო უნდა მახვილი ბრძოლაში, თუ გუმიშველებინა,
 რომელმან შენ მოგანდო ღმრთეებრივი ქურუმის არსევა,
 რომელიც ადვილად მოიმოღვაწებს სიქველის ოთხულლიან ყველა
 965 მძიმე გზას და რომელმან შეუზავა ზეცის ხმა რომის უწმინდეს ტახტს.
 მაგრამ შენს ჰიმნებს, ძლევაშემოსილობისა
 და ლამაზად მოგებული ბრძოლების ამსახველთ,
 მცირედ გადაუხევევ, რათა მგალობელი შემოვებრუნო ღვთაებრივი
 ქურუმისაკენ, ხოლო რაც შენთვისაა, აგრეთვე მისი ჰიმნიცაა,
 970 მუფევე, გამარჯვება თქვენ შენაცვლებით – ხან ერთს და ხან
 მეორეს – თავზე მშვენიერ გვირგვინს გადგამდათ ფიცხელი
 ღვაწლისთვის და ქალაქის დაცვის ჯაფისთვის, ხოლო რაჟამს,
 კურთხისმპყრობელი, გონების განმაცხოველებელი ბჭობით
 ჩვენი დიდი ტაძრისთვის ამოირჩიე ქურუმი,
 975 მესწულულად ცბიერგონებითანი გშმაკურა ხრიკება დათრგუნე.
 მესწულულად ყოველგვარი განსაცდელი ფიცხელი ძღვევით გამოიარე.

- მეფსეულად ქალაქის დაცვის ღვაწლით დააგვირგვინე გამარჯვება.
 ხოლო შენც, მამაო, მარადის ქებულო,
 მომპყვარ სმენა სასურველი, წინამძღოლო ღვთაებრივი ტაძრისა.
- 980 შენი ბეჭდით არის დაცული ხელმწიფეთა დიდება.
 შენი ღოცვებით ფრთოსანი ნიკე სახელმწიფოს
 დასაცავ უღელში აბამს ტომებს.
 მათ, რომლებიც მტკიცედ დგანან დასაცავად აღმართული ფართით,
 იარაღი მეფის ფეხებთან მოაქვთ, სხვები კი
- 985 ერთად შეკრებილან – ათასი უცხოენოვანი ტომი,
 რათა შენი უდრტვინველობის ნათელი იხილოს.
 გუშინ შავმუხლიანი კაცებით ოვთაებრივი ეზო
 ვიხილე გადაჭედილი. შენი განსაკრთომელი დიდებით
 მოჯადოებულნი, სულსა და ქედს შთაგონებითი მოშურნეობით
- 990 ცისა და მიწის ტახტისკენ ხრიდნენ.
 [ესენი იყვნენ] ტანჯულნი, რომლებმაც თავი შენს ხელს არ დაუმორჩილეს,
 ხელს, განმდევნელს საშინელ ცოდვათა,
 ხელს, უპოვართა განმკითხავს, ხელს მშობლიურს,
 ობოლთათვის ყოველგვარ გარდუვალობასთან შეშარიგებელს,
- 995 რადგან ხალხობიერებს შენ კეთილგონიერებისა და
 ღვთაებრივი შიშის წყალობით ზეციური იმედის წმინდა გზებს უკავშირებ.
 უბრალოა შენთვის მწუხრის ტრაქეზი და წინასწარმეტყველური აზრი,
 უბრალოა შენთვის ძვირფას თვალთა ბრწყინვაც, უბრალოა
 ფერხთა შენთა ნატერფალი, მარტივი სიტყვები გამოკრთიან შენი
 ბაგეებიდან.
- 1000 არასოდეს ადგას ღრუბლიანი ბურუსი წარბებს, არამედ
 ზრუნვით სავსე ხარ და ქრისტეში გამხიარულებულ ხელს ააღორძინებ
 და ტკიბილსა და სახურველს განჰფენ ნათელს.
 ნეტარი ღიმილი სახეზე ღაწვთა დიდებულუებას გამოჰკვეთს.
 ყოველივე ეს ატარებს გულკეთილი ხელის განსხვავებულობის კვალს.
- 1005 ხარ მახვილგონიერი ზასიათით, შეუვალი ბუნების,
 დამკვიდრებული ხარ ურყევად წყნარი უშფოთველობით,
 ყოველგვარ მიწიერ ზრუნვათა მღვლეარებანი დათრგუნე,
 რათა კეთილმსახურების გზები უშფოთველ ხელს განუღო
 და თანამგრძნობი თვალი მიაპყრო ადამიანურ ენებებს.

- 1010 არცერთი მოკვდავი არ დარჩება მიუხაფარად, ვისაც კი შენ იხილავ,
 უმალ წმინდა გონების საგანძურს აღმართავ,
 ლიდიის ოქროთი მდიდარ მთის მდინარეს ჩამოიტოვებ სიუხვით,
 როცა მიუძღვნი ხიმღიდრეს, შენი ხელიდან მდინარესავით გადმოღვრილს.
 ყოველთა, ძველთა, უფრო კი ახალ ღვაწლთა დიდება
- 1015 შეისწავლე და ყოველი ბილიკი უწმინდესი ფეხით მოკვლე
 ღვთაებრივ მდებლობე, ხოლო შენი ზრახვანი
 ქურუმის სასწორის სწორი ხაზოვით არის გაზომილი.
 აქედან უმწიკვლო ზრუნვით მოჯადოებულ მოუსყიდავ გონებას
 არასოდეს განუცდია, რომ ეხილა ღვთაებრივი შიში,
- 1020 და არც წმიდათა გონებას შეუთვისებია ვაჭრობა. არც ბოროტ
 კაცთათვის გიჟენება მიუღწეველი გზა. და თუ საჩუქარს
 მშვიდს ვისმე მიუძღვნი, ამით ხახარულს კგვრი.
 თრგუნავ შენს მძიმე უღელს, როდესაც წმინდ
 გულიდან ნაღველს, როდესაც იმარჯვებ ოქროზე, რადგან უგულვებელყოფ.
- 1025 და გაზელებულ კნებთანს წერთნი, რათა
 წმინდა კანონი უწმინდეს ტამარში ხშირად აღხრულდეს.
 მტკიცედ იდექ, რათა შენი ღოცვით სემი შეფის სკიპტრა
 იყოს გაძლიერებული, ნეტარო, მტკიცედ იდექ, რათა ზღვისპირა რომს
 ცოდვილიანი ცხოვრების ყოველი ღაქა ჩამოსწმინდო.

პავლე სილენციაროსის ეპიგრამები

V,217

ოქროს სახით შეაღწია დანაას სპილენძის პალატებში
ზევსმა¹ და ქალწულს უმწიკვლობის ქამარი შეეხსნა. მე ვუყვარობ, რომ
მითი ამაზე მიგვანიშნებს: „სპილენძით ნაჭედი კედლები
და ბორკილები დაიხსნება ყველაფრის მეუფე ოქროთი“.
ოქრო დაანგრევს ყველა სიმაგრეს, იგი ყველა კლიტეს გახსნის.
ოქრო ქედს უდრეკს ამპარტავან, ზედმეტად გულზეთად ქალწულს.
სწორედ მან დაიმორჩილა სული დანაასი. მეტრევეს ფული
თუ თანა აქვს, შემწეობისათვის ნულა მიაკითხავს პაფიას.²

V,219

მალულად ვიგემოთ, როდოპე, კოცნა-ალურსი,
კვპრისის³ სატროფილო, გაკიცხული ხელობა.
ტყბილია მიმალვა, მოშურნე მცველისგან გაქცევა.
კანონიერზე უფრო ტყბილია აკრძალული ტროფობა.

V,221

სანამდის ვმალოთ მზერა ცეცხლოვანი... ერთურობის ნდომით
ანთებული თვალებით ერთმანეთს სადამდის ვეცქირით?
მორიდებლად მანდვე ნალველი ვინ არის, რომ გვიძლის
მშვიდი ალურსით წყვილად შეერთებას? წამლად გვექცევა
მახვილი ორივეს: მუდამ ხაამო არის ხომ ყოფნა
ჩვენთვის, როგორც ხიცოცხლემი, ისე თვით ხაკედღელშიც ერთად.

¹ ეპიგრამაში გამოყენებულია ცნობილი მითი იმის შესახებ, რომ მამის მიერ ღრმად
მინისქვეშეთში ჩაგვიღ დანაასთან ზევსმა შეაღწია ოქროს წყლის სახით.

² პაფია სილენციაროსის ლეოტეას აფროდიტეს ერთ-ერთი სახელი.

³ აფროდიტეს კულტის მთავარი ცენტრები იყო კონსტანტინოპოლი, კვპრისი და კათაგრა. აქედან
მომდინარეობს აფროდიტეს საკულტო ზღწოდებები: კვპრისი, კათაგრა.

V,226

თვალუბო, ხანამდის იგემებთ ეროსის ნექტარს,
უხადო მშვენებით რაღაქმდის გაბელავი თრობას?
შორიდან ამგვარად ვაღწვეთ გულამდე, ფხიზელი
სინემეში ეუმცვრევ მსხვერპლს მიელიქია კვპრასს.¹
ხოლო თუ მაშინაც მომედება ძლიერი ვნება,
მწარე ცრემლების გახლებით მორქვეველი. ხახველი
ხამართლიანი გაწამებით მუდამ, რადგან თქვენგან
ღვივდება ხომ ყოველთვის, ვაჟმე, ამგვარი ციციხლი.

V,228

მითხარი, ვისთვისღა იხვევ კულულებს, ან რისთვის
იწესრიგებ ხელებს, ფრწხილებს რად იჭრი მრგვლად?
რისთვის რთავ ხამოსს მქწამული ნიფარის ფერად,
თუკი უკან ვეღარ დაიბრუნებ მშვენიერ როლოპეს?
თუაღლებით, რამლებითაც როლოპეს ვერ გხედავ, აღარც
იქროსიყერი ცისკრის ვარსკვლავის ვისურვებ ხილვას.

V,230

იქროსიყერი თიქბიდან ერთი ღვრა გამოიძრო დროსისა,
რამლითაც შემიკრა ხელება, თითქოსღა შუბით დაჭვევქვრულს.
მე ჯერ მხოლოდ გაიქცინა, რადგანაც ვეიქრობდი, სრულიად
აღვივლად დაწველებიდა სახურეული დროსის ბორკილები.
მაგრამ, ვაჟ, რამ გამოხახსნიელად ძალა აღარ მყოფნის და ვვოლდ
უღვე, თითქოსღა ხილვინის ბორკილებით შებოქ აღი ვივო.
და ახლა მე, ხამგზის ტანჯული, თიქბით მისგან შებორკილი ვარ
და, მბრისანქელი ხათიაც წავა, მეც უკან მივევები მუდამ.

¹ შეაღებო ველამქვლე ნებთი მთი ქოიჯთა ზეაღად ქვესქელას ღებრთებ
რამღვლავ მსხვერპლს სქოთადსქი ციხით

V.232

პიძემენესთან ხვევისიას ღუანდროხის, ცენ მქწკვა
 გონება. ღუანდროხის ბაგეს ნაკანებულს, ქანთოძის
 სახე წარსომიდგება ხელში. ვეხვევი ქანთოძის, ხელი
 წესი კი კვლავაც პიძემენესთან დაბრუნებას ითხოვს.
 ხვევისიას ვეკლა თავს მადებრებს. მუდამაც მოვიზიდავ
 და შენაცვლებით ხან ერთს, ხან კიდევ მეორეს წესს ვერხითი
 დაგანელებ, ხომლიდრეს ვაკროვებ კვთერეთას ხელობით.
 ხოლო, ვინც წესს გვკაცხავს, ის თავის ქმარს დანეს ღატავს.

V.234

მე, რომელიც ადრე ვცნობდი პაყიას კანონს და მის
 ხატებებს ხელმწიველში არ ვიკარებდი,
 ვინც უწის არ ვცნობდი კროხის შხამის თხრებს,
 ქელს ვიხრა, კვპრის, ჭადარამურული. მისჯენე
 დომილი, ბრძის პალახზე¹ ახლა მეტად გამარჯვებულა,
 ვიდრე ოდესღაც კესხერსების კამლით.

V.236

ვეიცავ, აქრონში² დახჯილა ტანტალოსის ტანჯვანი
 ხვეის წამებაზე არის უფრო მსუბუქი. შეუშლიდა
 განა რამე, შენი ხილამაზის ნახვისიას, ტუნება
 გაუფრქვნილ ვარდზე უფრო ნაზი შენი ტუნებისათვის
 შეწვერებისა ტანტალოსის, მუდამეამს მგლოვიარეს,

¹ პალახი ავიყ ათენა, ხობრის ღუთება. ჭადარამურული, ხანდახელი დამაინა
 უსარაცხობის მშენიერების ღუთებას ანიჭებს, და არა ხობრის ღუთებას. უსერამისი ეს -
 გმარობაზე მეტად არის მიხეული, რომელიც ჩადიან ჭედაკვბ, რაცა მქელი კესხერადგას
 ბაღდან სუცხობი ოქროს კამლები მოვტაცა.

² აქრონი კესხენლის სამეფოს მდინარე

რადგან შიში ჰქონდა თავზე წამომდგარი კლდისა,¹ მაგრამ არ შეძლო ხომ მყორედ სიკვდილი. მე კი, ცოცხალი, ვიღუვი კნებიით და უღონობით აღსასრულიც დგება.

V,239

მგზნებარე ცეცხლის მინელდა გიზგიზი და აღარ ეწვალაობ მეტად, მაგრამ ცივი და ჩაფერფლილი გველები, პაფია.

სხეულის შემდეგ ძვალსა და ხულს ედება ყოვლის შთამნთქმელი შხამიანი ეროსი, ძლივსლა მფუთქავი, საესე სიმწრით და ნაღველით. ცეცხლიც მსხვერპლთწირვის ჟამს, როს სამსხვერპლოზე ყოველი იწვის, თავადვე ქრება, რაკი საზრდო შემოაკლდება.

V,241

„ბედნიერი იყავ!“ მსურდა დაგმშვიდობებოდი, მაგრამ არ მომიბრუნდა სათქმელად ენა და კვლავ აქა ვარ, რადგან მაშინებს განშორება შენთან, საშინელი და მწარე, როგორც თვით აქერონის ღამე. შენ ხინათლე ხარ დღისა, მაგრამ დღის ნათელი ხომ უტყვია. შენ კი მე საუბრითაც მხიბლავ, იგი სირინოსთა ხმებზე უფრო ტყბილია, მათზეა დამოკიდებული ჩემი გულის ყველა იმედი.

V,244

ხანგრძლივად იცის კოცნა გალატეამ, კისკისით, ნახად – დემომ, დორისი იკბინება. რომელი უფრო აღაგზნებს? კოცნის შეფასებაში ყურები რას გამოადგებიან? მაგრამ ბაგეზე

¹ ტანტალოსი შიში – ერთ-ერთი თქმულების თანახმად, ღმერთებმა ტანტალოსს შემდეგი სასჯელი გადაუნწოტეს: ქვესკნელში ჩააგდეს ისეთადგილას, რომ ყველაფერი, მართალია, უხუად ჰქონდა, მაგრამ მუდმივო შიში ტანჯავდა, რადგან თავზე წამოკიდებული კლდე ადგა, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება ჩამოგრეულიყო და ქვეშ მოკვია.

რაკი შეევიგრძნობ სამგზის მწველ ბაგეთა ნექტარს,
უმაღ ხმას მას მიეცემ. გულო, შენ ნუთუ ორჭოფობ?
ხვეენა-ალერსი ხომ ივემე ნაზი დემოსი,
ნამიან ტურნათა თაფლზე ტკბილი მათი შეხება?
შეჩერდი მათზე! მოუსყიდველი უპყრიათ გვირგვინი.
სხვა სხვისგან დატკბეს, მე კი დემოს ვერ მოეპოვრდები.

V,246

ტკბილია საფოს კოცნა, თეთრ მკლავთა ყელზე ხვეენა.
ტკბილია მისი სხეულის ნაწილი ყოველი.
დაუმორჩილებელი სული კი ფოლადივითაა.
ეროსს ბაგე უპყრია მხოლოდ. სხვა დანარჩენი
ქალწულებრივი აქეს. ამას ვინ აიტანს? ალბათ,
ის მხოლოდ, ვინც ტანტალოსის წყურვილსაც იტანს.¹

V,248

ხელო უმწარესო, შენ როგორ გაბედე კისრის მოგრება,
ან ოქროსფერკულულებიანის ძალით მიმოთარევა
რამ გაგაბედვინა? რატომ არ მოაღბო შენი გულმხეცობა
მუდარის საბრალო სიტყვებმა, ბღუჯამ ჩამოგლეჯილი თმისა?
საყვარლად მიხრილმა კისერმა? აწ ხშირად სულ ტყუილუბრალოდ
შუბლზე ხელებს იცემ, ვეღარ შეეხები კვლავ ხელისგულებით
ძუძუთა კერტებზე. არა, ო, გაფიცებ, ჩემო ქალბატონო,
ამკვარს ნუ მიმზადებ ბედს, მახვილს მე უფრო ადვილად ავიტან.

V,250

სასიამოვნოა, მეგობრებო, ლაისის ღიმილი,
გულს მტაცებს ცრემლთა ფრქვევაც მისი დახრილი თვალებიდან.

¹ კომეროსის „ოდისეას“ მიხედვით, ღმერთებმა ტანტალოსი შემდეგნაირად დასაჯეს: პირამდე წყალში მდგარს მუდმივი წყურვილი ტანჯავდა მაინც, რადგან დაიხრებოდა თუ არა დასალევად, წყალი იმავე წუთს იცლებდა.

წუხელ დაიქ დიდხანს უმისეხოდ ეხრავედა იგი და
ხრიდა თავს ხეშს მხარს დავრდნიობილი. მჭირალი მკოცნიდა და,
კითარცა წყაროდან მომდინარე, მღუღარე ცრემლები
ხეშს შეწებებულ ბაგეებთან წყლებოდნენ. კითხვაზე:
რა მიზეზით აფრქვევ ცრემლებს? მიპასუხა: მემანია,
რომ მისატოვებ, რადგან ყველანი ფიცის გამტყენი ხართ.

V,252

ძვირფასო, განვიძარცვით ხამოსელი, ტანი ტანს ტრფობით
გადავაჭლომ! მიმჯელი სხეულთი ხომოსველ შევეგრძნოთ.
ხეშს შორის ნუ იქნება რამე საყოფრო: ხემირამისის
კელელი¹ მგონია მსუბუქი ქსოვილიც კი შენს ტანზე.
მკერდი მკერდს შევეურთოთ, ტუჩი ტუჩს შევაწებოთ...დანარჩენი
ღუმიღმა დაფაროს. მე მთხულე კარ ბიღწხატვარობის.

V,254

ფიცით დავიფიცე, თუირ-ვირმიზო ქალწული, შენგან შორს ვოფნა
მეთორმეტე დღის, ო ღმერთო, ცისკრამდე, მაგრამ ვერ შევსულ ამის
შესრულება მრავალჭირნახულმა. მეორე დღეს ინათა ოდეს,
ვფიცავ შენს თავს, კარგა ხნის გახული მიწვესა თორმეტი თვე.
მაგრამ ღმერთებს შემავედრე, სქმო კარგო, ნუ ამომკვლიენ
ცრუ ფიცთათვის ხახელის მისაგებ ფიცრის ზედაპირზე.
გული დამიმსვიდე სწორედ ამიტომ შენი აღურხით, რომ არ
მიწიოს მექალბატონო, ნეტარ ღმერთთა და შენმა მათრახმა.

V,255

კუნრე გათანგულებს ძლიერი ტრფობით, ბაგეს
ბაგე ეწებებოდა დიდხანს, ცეცხლი კვიღათ
სივეარულის და არ შექმლოთ დაეცხროთ ვნება.

¹ დღეს უკვე სქმირამისის კელელი გამოგრა ბასილია.

ერთი მზად იყო მკორისთვის მიეცა ხელი,
 და რომ ჩაეკვლიათ ეს სერუელი ურთიერთმტრეების,
 შეეცვლა დაიწვიეს ერთმანეთში ზედა ხამოსის.
 ვაჟი აქილევსს ჩამოჰგავდა, როცა ციხეში
 ლიკონელისთან ქალის კაბით იმღებოდა,¹
 ხილო ქალი, მარმარილოსებრ თქმისზე მომდგარ
 მოკლე ქიტონით შემოსილი, ფეხებს² დაემსგავსა ხახუ-ივრით.
 მერე ეწვიათ ხივარულის გაჟურა ნდომა
 და კვლავ მოძებნეს ბავშვებსა მყის ერთმანეთი.
 უფრო ადვილად დააცალკევებდი ხანგრძლივი
 ერთმანეთში ჩაწნულ ორი ვაზის კლურტს, ვიდრე ამ
 ერთურობის მკლავებით შეკრულ შმაგ შეყვარებულებს.
 ვინც ამ კავშირით ერთდებიან, ძვირფასო ჩემო,
 ხამგზის ნეტარად ითვლებიან, ხამგზის ნეტარად,
 ჩვენ კი შორისშორის ერთურობისგან უნდა ვიწვლიდეთ.

V,256

მკვახე ხიბვეები მომყარა და მწუხრისას კარები
 მომიკეტა ცხვირწინ გაღატყამოუკმეხობა კლავხო
 ხივარულს³ – ეს მოარული თქმა ტყუილი ვიფილა.
 უკმეხობამ მე უფრო მეტად შემყარა ვნება. მიუღ წელს
 არ გაგკარებოდი, ხომ დავიფიცე, ღმერთებო, მაგრამ
 დილითვე პატების სათხოვნელად მოვედი უმალ.

V,258

უფრო მძვინვარია, ფილისა, შენი ნაოქები, ვიდრე
 სინორსზე გველაზე ახალგაზრდული ხახის. და უფრო მეტად

¹ ეპიკურული მათის მიხედვით რაცა ტრას იმა ტყვეს და და კლასისა აწინსწარმეცვლა, რომ აქილევსის გარეშე ტრასი იმის ბრძანება წინაგებას ვერ მოახერხებდა, ხილო თუთა აქილევსი ტრასისთან დაიდუმებდა, თუკისა თუთა ვაჟისგული ქალის ტანაცმელისა გადაცვლა, ენისულ სკაროსზე გადაძალა. ახე იმღებოდა აქილევსი მუქი ლიკონელისთან მანამ, სანამ მოხერხებულმა ოდისევსმა იგი არ ამოიქცო და ტრასი იმისი არ წაიფილა

² ფეხე • აქ ქალღმერთ აცემისას ზღწილდა

ენატრებათ ხელეებს შეხება შენი დამძიმებული ბორცვთა
თავეების, ვიდრე ნორჩი ასაკის მაღალი მკერდის გვიანი
შემოდგომა შენი შენ უფრო გმკვინის, ვიდრე სხვებს გაზაფხული,
შენი ზამთარი ჩემთვის სხვათა ცხელ ზაფხულზე უფრო თბილია.

V,259

შენი თვალები დაბინდულია, სურვილით ფუთქავ,
თითქოსდა ახლა აღეპი ხაწოლიდან, ქარიკლეს,
თმები ჩამოგშლია, ვარდისფერად მკრთომ პირისახეს
სიფერმკრთალე შეჰპარვია და წელშიც მოხრილი ხარ.
თუკი მთელი ღამის ტრფიალსა და აღურსში ჭიდილს
მოჰყვა ეს ყოველი, ეწია ხაწადელს იგი, ვინც
გეხვეოდა, მაგრამ თუკი გახელუბული გწევავდა
შენ ეროსი, ჩემთან ერთად დამწვარიყავი მაინც.

V,260

ბაღით შეიკეცავ შენ თმებს? მომთენთავ ძლიერი ვნება,
რეს¹ ქანდაკებას მახსენებ, კოშკით დაგვირგვინებულს.
თავს არ დაიბურავ? გადმოღვრილი თმებისაგან გული
საგულედან ამოვარდნას ღამობს. უსპეტაკეს რიდეს
შემოიხვევ ზევით აწეულ კულულებზე? მანამდე
არნახული ცეცხლით აგიზგიზდება კვლავ ჩემი გული.
სამი ეს ხატება ქარიტების ტრიადას ჩამოკავებს,
თითოეული მე საკუთარი ცეცხლით აღმაგზნებს.

V,262

ოი, შური გვიშლის ჩვენ ერთმანეთს ტყბილად ვესაუბროთ,
მრავლისმეტყველი თვალებით ერთმანეთს ფარულად შევხედოთ.

¹ რეს-კობელე - ურანოსისა და გას შვილი, კრანოსის მეუღლე ღმერთთა დიდა დედა ქალქთა დამარცხელი, მას ზველებრივ წარმოადგენენ ტახტზე მჯდომულს, როგორც მეუღეს, თავზე კოსმოს გამოსახულებიანი გვირგვინით.

გაოცებულ თვალს არ გვაცილებს აქვე მდგარი ბებერი,
როგორც მრავალთვალემა მწვეფსი ინახოსის ახულის.¹
იდექი, გვიცქირე, ცუდებრად გიხეთქე გული,
ხულში ხომ მაინც ევლარ შეაღწევნ შენი თვალუბი.

V,264

რად ჰგომბ ნაადრევად ჭადარაშერთულ თიმებს, ცრემლებიგან
დახველებულ თვალებს? ყველაფერი ეს შენდამი ლტოლვის შედეგია,
კვალთა თეთრად გათენებული გრძელი დამკების.
სხვაგვარად რად დამკვალავდა ადრეულად ნაოჭები,
კანი დამჭკნარ ყელზე რად ჩამომკვიდებოდა? ტრფობის
რაც უფრო იძლება ციცხლოვანი ყვაელი, მით ფიქრი
მემატება და ჭმუნვით ნაადრევი ხიბურეც მოდის.
მაგრამ შემობრალე, მომმადლე სიზარული და უმაღ
კანიც ეშხს მოიმატებს და თმაც მუქად დაიწვებს კროსმას.

V,266

ცოფიანი ძაღლისგან ერთხელ დაკბენილ კაცს, ამბობენ,
ცხოველის გამოსახულება ელანდებაო წყალში.
მას შემდეგ, რაც შხამიანმა ეროსმა ჩამასო კბილები,
აღბათ, ცოფიანმა, ჩემი ხული სიგიემ შეიპყრო,
შენი სახე მშენიერი მე ზღვაშიაც შელანდება
და მდინარეების მორეეშიც და სასმისებშიც ღვინის.

V,268

მეტად ნურავის შეაშინებს ვნებიანი ისრები,
ხულ გამოცალა კაპარჭი თავხედმა ეროსმა ჩემზე.
ნუკინ შეშინდება ფრთიანი ღმერთის გამოცხადებით

¹ იგულისხმება არგონული მუვის ინახოსის ქალსულია იო, რომელიც ზევსთან სატროეალი კუმირის გამო პერამ ძროხად გადაქცა და მიუნანი შეღმაე მცველი - არგოს პანოუსა, რომელსაც 1000 თვალი ჰქონდა.

მას შემდეგ, რაც მე ქუხლი დამადგა გულზე უღმობელმა,
ფეხი მოიკიდა მქარად, უძრავად ზის, აღარ მიდის
და, წემთან დანევილებულმა, ფრთებიც კი დაიჭრა, მგონი.

V,270

როგორც არ სჭირდება ვარღს გვირგვინი, ისე შენ ხამოსი
და ძვირფასი ქვებისაგან წნული ბადე, ქალბატონო,
მარგალიტზე უკეთესი არის შენი კანის ფერი,
ვერც ოქრო ხეობნის შენი გამლილი თმების ელვარებას.
ცვიხლებრ მკროთომი ხილამაზე აქვს ინდურ საფირონს,
მაგრამ შენს მშვენიებით ბრწვინებას დიდად ჩამორჩება. ნორჩი
შენი ბაგები, თაფლგარეული ზამიერება
მკერდისა აღმოცენებულია პაფიას ქამრისგან.
ამით ფელაფრით ძლეული ვარ მე. ერთადერთი
იმედი თვალებოა. მათში ტკბილი ოცნება მოხჩანს.

V,272

მუძიებს ხელებით ვეტანები, ბაგეზე ბაგეს ვაწებებ
და ვერცხლისფერ ფელზე გადაჭლიბილს გონება ხულ წამრთმეცია,
მაგრამ არ შემოიძლია დავეუფლო ზღვის ქაფისაგან შობილს.
ქალწულს არა ხურს გამიზიაროს ხარეცელი ხრულად.
ჩვენ შორის ერთ წუთს რომ პაფიდა, მეორე წუთს ათუნა ჩნდება,
ამიტომაც მულამეამს ამ ორთა შუა განაწამები ვარ.

V,274

მოუხვეწარმა ეროსმა ჩემი ხატი ერთხელ
შენს ძლეულვარე გულის ფიცარზე ამოტვიფრა, ომ,
აწლა უცაბელად გულიდან ამომიგლე შენ,
რომლის ნათელი ხატება ხულს აწიწევია კვლავ.
ამიტომ შეუთხოვ, ბარბაროსო, ფაეტონს, პადესს,
რომ კრეტელ მსაჯულს აწღონ ხარჩელის აღმვრა შენზე.

V,275

მშვენიერი მენეკრატისი ღრმა ძილს მისცემოდა
 და საუწყოქლების გარეშემო შემოეგრავა ხელი,
 ამიტომ შევბედე, მიეწევი საწოლში, მაგრამ, როგორც
 კი სიყვარულის გზა შეამდე გავლიე ნეტარებით,
 წმინცილი ძილისაგან გამოეფიზლდა და ბროლის ხელებით
 თავიდან მოეღი ბლუჯა თმებისა ჩამომგლიჯა.
 მეღვრად მებრძოდა, მაგრამ გავლიეთ უროხის დანარჩენი ვზაც.
 ბოლოს მან, რომელსაც ცრემლები ახრწობდა, ასე თქვა:
 დაუნდობელი, ხომ მიაღწიე შენსას, რახაც
 ფიცით არა ვამობდი მე ხშირად დიდ ფულზედაც კი.
 ახლა წახველ და უმალვე სხვას ჩაეჩვევი მკერდში,
 რადგან ასეთი ხარო ყველანი, უძლები კვპრისის მონები.

V,279

აგვიანებს კლეოფანტისი, თუმიცა უკვე შანდალში
 შეხამე ხანთელი ჩამოღვეწითილა და იწვევს ქრობას.
 ნეტავ გულის (ვი)ხლიც ხანთელთან ერთად დაიფერვლოს, რომ
 მეტს არ იწვოდეს უძილობით და დიდი მწუხარებით.
 ბევრჯერ დაიფიცა კვთერვა ხალამოს მოვალეო,
 მაგრამ არც ადამიანებს სწავლობს და არცაღა ღმერთებს.

V,281

გუშინ ხალამოს ჰერმონახსამ მე, მოხუღს ნადიმიდან,
 როდესაც მის კარებს გარეშემო გვირგვინით ვამკობდი,
 თავიდან წყალი გადმოძახხა და დამიშალა თმები,
 რომელთა დაწვობას გულმოდგინედ ვიცავდი ხამი დღე-
 კიდევ უფრო მეტად აღვიგზნე წველისგან. უთუოდ თავისი
 მისი ტუჩების მხურვალი (ვი)ხლი იყო დარჩენილი.

V,283

ცრემლებს მაფრქვევდა ნაღვლიანი მტირალი თუანო,
ჩემთან ერთად რომ გაღია მთელი ღამე საწოლში.
მაგრამ რა ოლიმპოსს მიაშურა მწუხრის ვარსკვლავმა,
ყვედრება დაუწყო მოახლოებული რიფრაჟის მაცნეს.
მოკვდავთა მოსაწონი რაა, ხოლო, თუ კინშე ტყვეა
ეროზის, კიმერიის ღამეები¹ სანატრელი აქვს.

V,286

მითხარი, კლეოფანტის, რაოდენი სიხარულია,
როდესაც ძლიერი ვნებით შეპყრობილ წყვილს სიყვარული
თანაბრად ეღება. რა რისხვას, ან შიშს უსაზღვროს, ან რა
სირცხვილს შეუძლია მათი წნულის დარღვევა და მათი
გაყრა. ნაწილ-ნაწილ რომ ლემნოსელის ბადით შემბოჭონ,²
მთლიანად ჰეფესტოს³ ხრიკებით წნულით, საგზლად მყეოფა,
ჩემო ხასურველო, შენს სხეულს თუკი შემოვხვევ
მკლავებს და გამაბრუებს შეხება შენი. მაშინ შე,
დაე, დამინახონ უცხოშ და მახლობელმა, მღვდელმა და
მოგზაურმა და თუნდაც, ქალბატონო, შეუღლეშ ჩემმა.

V,288

მას შემდეგ, ოდეს მალულად ნადიმზე თრობის ეამს
ქარიკლომ თაეისი დამადგა გვირგვინი, ცეცხლი
მდაგავს მწველი. გჰქვობ, გვირგვინში ისეთი რაღაც
იყო, რამაც დაწვა გლაკეცი, კრეონტის ასული.⁴

¹ კიმერიელები -- კიმეროსის მიხედვით („ოდიზე“, II, 14). ზალხი, რომელიც ცხოვრობდა უკლერეს დასაუღესში მუდმივ ღამეში, რაღაც პელიოსი იქ ვერასოდეს აღწევდა.

² მანიმუნგა კიმეროსის „ოდიზეს“ (8,267-366) ეპიხოდზე.

³ ჰეფესტო - ცეცხლისა და მკვლელობის ღმერთი.

⁴ გლაკეცი კრეონტის ქალიშვილია. ის უწოდებდა მისი ცოლად შერიფა. მაგრამ მიტოვებულმა მასმა შეუღლეშ მუდამ შერი ითა. საჭარწინო სანუქრად გაეგზავნა უცნობი ნივთიერებათა გაქურთვადი მოწოდული მოსახლამა, რამაც დაწვა გლაკეცი.

V,290

დედის თვალების ყოველად ფხიზელი მშერა მოადუნა და წყვილი წითლად მოელვარე ვაშლი მომაწოდა მე მშვენიერმა ქალწულმა. წითლად შეღებილ ვაშლში, ალბათ, ვრია ფარული მაგიური ცეცხლი სიყვარულის. ამიტომ შეყვარობილს ამგვარი ცეცხლით ძუძუთა ნაცვლად, ო, ღმერთო, უნიათი ხელებით ვაშლები მიჭირავს.

V,291

თუკი, სასურველო, შენს მკერდზე მიმანიშნებ ამგვარი ხაწუკრით, ბედნიერი ვარ დიდი ხიხარულით, ხოლო, თუ მიმატოვებ, უსამართლოდ მოიქცევი – ძლიერი ცეცხლით რატომ ამანთო, როცა მის ჩაქრობას არ ცდილობ. ტელეფონი ვინც დაჭრა, იმანვე განკურნა,¹ ასე რომ ნუ გაზღები შენ ჩემთვის, ქალწულო, მტერზე უფრო მტრული.

V,293

წერილობითი პასუხი მეგობარ აგათიას მის გზავნილზე²

კანონებს არ ცნობს დაუდგრომელი ეროსი და არც სხვა ვინმე კაცი, მიჯნურთა ხელობას თუ გაუტაცნია.

¹ ტელეფონი აქილევსმა დაქრა შუბით; რადგანაც ბერძნებს უწინასწარმეტყველეს, რომ ტროაში იხინა მხოლოდ ტელეფონის შემკვრებით მიხვდებოდნენ, აგაპენონმა სთხოვა აქილევსს განკურნა იგი და აქილევსმა მარილაც მოართინა ტელეფონი იმ შუბის ნაქლით, რომლითაც დაქრა.

² აგათიამ გაუგზავნა თავის მეგობარ პავლეს ესეგრამა, რომელშიც უხსნის, რომ არ შეუძლია ჩაიღოს დედაქალაქში ჭრისიძოლისიდან (ახლანდელი სკუტარი) და მოინახულოს თავისი საყვარელი ქალი, იმიტომ რომ დაკავებულია სამართლის საქმეებით, რაზეც პავლემ უპასუხა ამ ესეგრამით, სადაც ირონით ახსენებს მეგობარს, რომ სრუტის წყალი არ შეიძლება იყოს შეყვარებულისთვის დამბრკალებელი, რომ შეუძლებელია ემსახურო ეროსდროულად კანონებსა და სიყვარულს. მოისმის ქილიკი იმის გამო, რომ აგათამ უფრო მეტ დროს უთმობს ფიქრს, ვიდრე სიყვარულს. ესეგრამაში გამოყენებულია ჰეროსი და დეანდროსის მითი. შეყვარებული დეანდროსი ყოველდღეუ მთაბობდა ტადლებს, რომ სრუტის მეორე მხარეს თავის შეყვარებულ ჰეროსთან მისულიყო.

კანონისა და სამართლის საქმენი თუკი გაკავებს,
ჩანს, ჯერ არ გაუდგამს ფეხი შენს გულში თავნება ეროსს.
რა სიყვარულია, ოდეს მცირე სრუტის წყლის დანახვას
შეუძლია, რომ დაგაშოროს შენი რწეულის სხეულს;
ლევანდროსმა გვიჩვენა, როგორი ძალა აქვს სიყვარულს,
როცა მთელი ღამე მიცურავდა და ტალღებს ებრძოდა.
შენ კი, მეგობარო, ნაეიცა გაქვს და ნიჩბებიც, მაგრამ
უფრო ხშირად ათენას აკითხავ; კვიპრისს არა სწყალობ.
კანონები პალასს აქვს, ტრფობა პაფიას. ერთდროულად,
თქვი, რომელი კაცი ჰყავთ მსახურად პალასს და პაფიას.

V,300

ამპარტავანი, ქედმაღლურად რომ შეჰყრიდა წარბებს,
ქალიშვილისათვის დაშლილი სათამაშო გამხდარა.
ვინც უწინ ფიქრობდა, რომ ქალწული უნდა მსარჯულო,
თვითონ მოთვინიერებული და სასომიხდილი მიდის.
ის მოტეხილია ზეწნით და თანაგრძნობის ვედრებით,
ქალიშვილის თვალებში კი მამაკაცური რისხვა დგას.
ლომეულო ქალწულო, თუნდ სამართლიანადაც მრისხანებდე,
გიჯობს, რომ დაცხრე, გაიგე, ნემესისი¹ ახლოსაა.

V,301

თუნდ მეროეს² უფრო შორს დამიკარგო შენი კვალი,
ფრთოსანი ეროსი მე ფრთებით წამსვე იქ გადმომიყვანს.
თუნდ შენი ფერის მსგავს ადმოსავლეთში წაჩვიდე, ეოს,³
ფეხით გადმოვლახავ შენამდე უშორეს გზასაკვალს.
ხოლო თუ რაიმე უღრმეს ძღვენს მოგიძღვნი, შემიწყადე,
ქალწულო, ამას შენ თვით ზღვისფერი პაფია მოგიძღვნის,
წყითვის სასურველი შენი სხეულით ძღვეულმა.

¹ ნემესისი შურასისების ქალღმერთი.

² მეროესი ქალაქი ეთიოპიაში, ითვლებოდა აქვეყნის დისკალურად.

³ ეოსი - განთავლის ქალღმერთი.

ხელამაზიხი უწინდელი ამპარტაუნობა უარყო.

VI,54

სიღუნძის ჭრიჭინა უძღვნა ლოკრისელმა ვენომოსმა
ლკორეას¹, გვირგვინისათვის ბრძოლის გასახსენებლად;
მეფორმინგეთა შეჯიბრზე საპაექროდ პართესი წარსდგა.
შაგრამ ის იყო, პლექტრი შეეხო ლოკრისელის სიმს,
ღარი ზედმეტად დაიჭიმა და ღირა აფლარუნდა,
მანაც არ შეწყდა აწვობილი მელოდის წერიალი —
ნაზად მსტვინაევი ჭრიჭინა შემოჯდა კითარის ზემოთ
და კვლავ გაისმა გაწყდომამდე მისული სიმის ელერა.
აქამდე სოფლის ჭალებში გამსტვინაევი ხმების ექო
ღირაზე დაკვრის ჩემუელი მანერით აწკრიალდა.
ამიტომაც მოგიძღვნი, ნეტარო ლეტოს ძე,² ჭრიჭინას,
სიღუნძისაგან ქმნილ მგალობელს, ჩამომჯდარს კითარაზე.

VI,57

ეს შენთვის დაკვიდა ფიჭვის ხეზე არაბმა ტყვეროსმა
ფეხის ხუთბოლოიან ბრჭყალებით საომრად მზადმყოფი,
თავისხლიანი ღომისაგან ერთიანად გაცლილი ტყაევი,
თხისფეხება პანო, და სოფლური ისარიც მოგართუა.
ნახევრად შეჭმულ ისარს შემორჩა კბილების ნაჭდევი,
ჩანს, როგორი მრისხანებით მოუჭიდა ცხოველი მას.
წყლის ფერიები და მათთან ერთად ტყის ნიშფებიც შენთვის უვლიან
ფერხულს, რადგანაც ხშირად შიშის ზარს სცემდათ მათაც ღომი.

VI,64

მრგვალი ტყეია -- მუქი ღურჯი სტრიქონების გამმართავი,

¹ ლკორეა პარნაზის უმაღლესი მწვერვალი, რომლის ძირშიც გაშენებული იყო ქალაქ
აგროსი აპოლონის წოდება.

² ლეტოს ძე აპოლონი.

და ლერწმის წასამახვილებლად – ხალესი ქვა, ღრუბელი და დანა ბრტყელი, ბატის ფრთის კალმის შუაზე გამყოფი, და სახაზავი – სწორი სტრიქონების გამოხავევანად, ჩაღრმავებულ ქვაში დიდი ხნით შენახული მელანი, მოკლე ისრები – კალამთა წვერის მელნისაგან გამწმენდი. – ფილოდემოსმა უძღვნა ჰერმესს¹, რადგანაც უკვე ჟამი დაუდგა და დაუძიდა ქუთუთოები, თვალებიც ეხუჭება.

VI,65

ეს მრგვალი ტყვია, რომელმაც იცის ბილიკთა გაკვალვა წამართ მათი წამმართველი სწორი სახაზავის გასწვრივ, და მახვილი რკინა ლერწამთა გასაწმენდად, და კიდეც სახაზავი არა მრუდი სტრიქონების გახავევანად და ქვა ხორკლიანი, კალმის ხანგრძლივი ხმარებისაგან მისი გაორმაგებული კბილი რომ წაამახვილოს; და ზღვაზე მოხეტიალე ტრიტონის ქვესაგებელი – ღრუბელი, გამახსოვრებელი არასწორი ნაწერის, სამელნეთა ყუთი, მრავალნიშიანი, იქ ინახავდა მარჯვე გადაწერი საჭირო ნივთებს, – ჰერმესს მიუძღვნა კალიმენესმა, რომელმან ხანდაზმულობისა და ხანგრძლივი ჯაფისაგან აკანკალებული ხელები დაასვენა.

VI,66

დაუნამავი ტყვია, სწორი ხაზების გამოშკვეთი, რომელსაც ასოები თანაზომიერად მიჰყვებიან, და სრიალით ხაზის წამმართველი ტყვიის სახაზავი და ქვა-ღორღი ფოროვანი, სწორედ რომ ზღვის ღრუბლის მსგავსი, სამელნე მელნით, მათთან ოდნავ შეფერილი წვერით მშვენიერი ხაწერი კალმები; მლაშე ზღვის ნაშობი ღრუბელი, ზღვის ჭაობებიდან წარმოქმნილი, აგრეთვე

¹ ჰერმესი – აქ აღმოჩენების (მათ შორის დამწერლობის) და გამოყვანების, ხელისაწარმოების ღმერთი.

სილენძის ხელსაწყო, ლურწამის ოსტატურად წამთლელი, —
დაქკალიძენესმა ნეტარად მოდიმარ მუზებს უძღვნა,
მობუცებულობამ დაუსუსტა თვალებიც და ხელიც.

VI,71

ეს შენ გვირველთაგან მოგლეჯილ ფოთლების ურიცხვი
ნაშთი, თრობის ჟამს დამსხვრეულ თასთა ნატეხნი, კულულღო
ხუნნელცბებულ თმათა, მტვერში დაყრილი აღჭურვილობა
ვნებით გახელებულ ანაქსაგორესის. ვველაფერი
ეს შენ გვეკუთვნის, ლაის, აი, ამ კარებთან ვგდო ზომ
ხაწყალი ვმანვილკაცებთან ერთად ზშირად მთელი დამე.
არც ხიტყვა, არც საამო დაპირებანი და არც
იმედის მომგვრელი თაენდური ვაკიცხვა ხმენია.
შენგან დონემიხდილი ტოვებს ზმაურით მოხელის ამ კვალს
და წველის ქალურ მშვენებასა და მიუკარებლობას.

VI,75

ანდროკლოსი ამ ისარს შენ მოგიძღვნის, აპოლონ, ამით
იღბლიანი ნადირობის დროს მრავალი ცხოველი დაჭრა.
და ტყუილუბრალოდ არც არახოდეს ვაუტყვორცნია
მარჯვე მშვილდოსნის ხელს მომართული მშვილდიდან ისარი.
რამდენჯერაც გაიზუზუნებდა ლარი მშვილდისა,
სწორედ იმდენჯერ ჭრიდა მონადირე ფრინველს თუ ცხოველს.
ამისათვის შემოგწირა შენ, ფებოს, ეს ხაჩუქარი,
მთლად ოქროსრგოლებიანი ლიქტიური¹ იარაღი.

VI,81

ხარის ტყავის ფარს, ხხეულის უვნებლად დამფარავს, და შუბს,
საომრად მოხული მტრის შიგნეულთა ზშირად გამფატრავს,

¹ ლიქტონი — ქაღალტი კრატზე კრატელები მშვილდოსნობით განთქმული იყვნენ

და მტკიცე ტყავის ჯაგშანს, გულის რომ აარიდებს მტრის ისარს,
და ჩაფხუტს, ცხენის ფაფართ დამშვენებულს, შემოგწირავს
ლისომახოსი არესს¹, რადგანაც უკვე დაუძღურდა
და იარაღის ასხმის ნაცვლად ხელჯოხი მოიძარჯვა.

VI,82

ხალამური შესწირა მელისკოსმა პანს, ხოლო მან ასე თქვა,
უარაყო რა ძღვენი: „ლერწამმა მტანჯველი ენებით გამახელა“.

VI,84

ზეეს ამ ზედაპირს, ნაგლეჯს ფარისას, რომელიც მარცხენით
მტკიცედ ეკავა, შესწირავს წარჩინებული ნიკაგორასი.
ფარის სხვა დანარჩენი ნაწილი თანაბრად დალეწა
ჭკვბის სეტყვამ და ორღესული მახვილის პირმა, მაგრამ
კიდებდალენილი მაინც ურყევად ეპყრა ხელთ
ნიკაგორას და თავად ნიკაგორაც დაიცვა ფარმა.
ამის მნახველი გაიგებს ომში შედგარ სპარტელთა
ადათს, რომ ყველამ უნდა შეინარჩუნოს ბოლომდე ფარი.²

VI,168

ყურძნის მტევნების გამთელავ, მოუღლეღ ტახს, მრისხანე
ბატონს მაღალღერა ლერწამთა, ხშირად ძირიანად რომ
ამოძირკვავდა ხოლმე ძლიერი ეშკებით ზეებს და
შორს ერეკებოდა მწყემსების ბოხვერა ძაღლებსაც კი,
შეეფეთა, როცა მან მიატოვა ტყის ხიღრმეები,
მდინარის მახლობლად, როგორც კი იქიდან ამოვიდა,
ჯაგარაშლილს შეეფეთა ქსენოფილე, სპილენძის სატვერით მოკლა

¹ არესი — ომის ღმერთი.

² სპარტელი ღელა ომში შიშაულ შვილს უებნებოდა: ან ფარზე, ან ფართით; ე. ი. ან ეკავა ცურად
მოკლდი ბრძოლაში, და ფარზე დაღებული მოკასვენონ, ან გამარჯვებული დაბრუნდიო შენი ფართით.

და გარეული მხეცი მუხასთან კუნძზე მიუბა პანს.

VII,4

აქ პიერიელ ბრძენ მეტყველს, ლუთაებრივ ჰომეროსს
აქვს სახელოვანი სამარე ზღვისპირა კლდესთან;
რომ მცირე კუნძულმა დაიტია დიდი კაცი,
ნუ გიკვირს, სტუმარო, - ამა კუნძულის დობილმა,
ოღესღაც ზღვაზე მოხეტიალე დელოსმაც ხომ
შობით წაიშებულ დედისგან მიიღო ლეტოს ძე.¹

VII,307

ჩემი სახელია... რაში მჭირდება? ჩემი სამშობლო...
ან ეს რისთვის? წარჩინებული გვარის ვარ... მდაბიო რომ ვიყო?
სახელოვანმა დავტოვე ცხოვრება... თუ შერცხვენილმა?
ახლა აქ ვწვევარ... ვინ ვისთვის ლაპარაკობ ნეტა ამას?

VII,560

მართალია, უცხო გფარავს შენ მიწა, ლეონტის,
და დაილუქე დამწუხრებულ მშობლებისგან შორს,
მაინც მრავალმა დააფრქვია შენს საფლავს ცრემლი,
საზარელი უბედურებით დამწუხრებულმა.
მრავალთათვის იყავი მეტად საყვარელი და
მრავალი გთვლიდა შენ შეილაღ და ერთგულ მეგობრად.
ვაჰ, რა შეუბრალებელი გამოდგა მოირა,²
სიყმაწვილე შენი არ დაინდო, უბედურო.

¹ გადმოცემის თანახმად, ჰომეროსი გარდაიცვალა და დასაფლავეს კუნძულ იოსზე. ამისი დობილი არის კუნძული დელოსი. ზევს უყვარდა ლეტო, დაეკუბულმა და განრიხზებულმა პერამ, ზევსის შეუღლებ, არ მისცა ფეხბძიმე ლეტოს ზნულთზე მშობიარობის შესაძლებლობა, ბოლოს ზღვაში ამოიზარდა კუნძული დელოსი, ლეტო იქ გადავიდა და შვა ამირონა და არტემისი. კუნძული დელოსი შეღბივად ზღვაში დახეტიალობდა მანამ, სანამ ამირონმა იგი ორ კუნძულს შორის არ გაამავრა.

² მოირა - ადამიანთა ბედის გამგებელი ღვთაება.

VII,563

დუმსარ, ჰილენძის ქრისეომაღეს, და უტყვი ნიშნებით
 არ განასახიერებ ადრე დაბადებულ მოკვდავთა
 ხახუებს და შენი დუმილი, უნეტარესო, უწინ
 რომ გვსიბლაგდა ასე, ახლა ჩვენ უმძიმეს დარდად გვაწევს.

VII,588

დამოხარისი მოირამ სამუდამო დუმილში ჩაძირა,
 ვაი, დადუმა უმშვენიერესი ბარბიტონი მუხათა,
 დაილუპა გრას. ჭიკის წმინდა საფუძველი. კუნძულო კოს,
 უწინაც ამგვარ დარდი გაწუხებდა იპოკრატეს გამო.

VII,604

უმანკო ქალწულო, საქორწინო ხარეცლის ნაცვლად
 მწუხარე ხელებით მშობლებმა სამარე გაგიმზადეს.
 შენ კი აცვილდა ცხოვრების ცთუნებანი და ტანჯვანი
 ილუთიის,¹ მაგრამ მშობლებს ცრემლის და სიმწარის ღრუბელი
 ადგათ. თორმეტი განუქა მოირამ, მაკედონიე,
 წელი, ფმაწვილო მშვენიერებით, ქცევით ხანიერო.

VII,606

წყნარი, ხახილველად ხაამო, აღსაესე კეთილშობილებით...
 ცოცხალი კი ზრუნავდა, მაგრამ მიატოვა შვილმა მოხუცი,
 სამარე ჰოვა თეოდორესმა, უკეთესი ბედის მოიმედემ,
 ნეტარმა მოღვაწეობისას და ნეტარმა სიკვდილში.

VII,609

ატიკოსმა, მცოდნემ, რომ მოირა გველას მოიტაცებს,

¹ ილუთია - მშობიარობის ღვაწი.

მშვიდი გონებით სიცოცხლეშივე გამთზარა სამარედ.
მუღამუჟამს ღირსებით ქირდაედა სიკვდილის შიშს და, დაე,
გონიერების მისის მზე კელაე ხანგრძლივად უცქერდეს მზეს.

IX,396

როგორღაც გარიერაჟზე ხშულ მტყიცე ბადეში გაეზნენ
ჩხართვი და შაშვი მგალობელი. ყოველმხრივ შემოერტყა
ჩხართვს ბადის წნული, ხოლო შაშვი განმარტოებული
უძალე დაუსხლტა ზღართს. ალბათ მგოხანი ღვთაებრივი
ღირის გამო ბორკილებისაგან განათავისუფლა
ნადირობის ღმერთმა არტემისმა, სამგზის სანატრელმა.

IX,443

გონებაში ფიქრსაც ნუ გაივლებ პაფიაზე, თორემ წამსვე
ისკუპებს და გულში ჩამოგეჭრება შენ ფრთოხანი ეროსი.
შემპარავი, მერყევი აქვს ბუნება და, რა წამს შეეხები,
უმაღ ბოლომდე ჩაგასობს ცეცხლოვანი მწველი ისრის ნესტარს.
აეხორცული ფიქრები გულს ნუ მოგტაცებს: შთამნთქმელი ასოთა,
იფეთქებს ცეცხლი და გონება ვნების აღში დაიფერფლება.

IX,620

ორმაგი აბანოხადში, ზადაც ერთმანეთის გვერდივერდ
იბანებოდნენ ქალები და კაცები

ეროსის სიახლოვე გაიმედებს, მაგრამ ქალებს მაინც ვერ
მისწედები აქ, რადგან ღიღი პაფიას კარები ვიწროა.
მაინც ნეტარებით ხაეხუა გული, რადგან სასიყვარულო
ხაქმეებში ოცნება უფრო ტყბილია, ვიდრე სიყვარული.

IX,651

ბიზანტიონის მაღალი კოშკისადმი

სამივე მხრიდან გადავცქერი მშვენიერ ტალღებს ზღვისას
და ყოველი მხრიდან მიმზერს, სხივოსან ისრებს მესვრის მზე.
ზოლო ეოსი ისეთი სიამით მზვევს ცეცხლოვან-ოქროსფერ
სამოსში, თითქოს აღარც სურდეს დასავალისაკენ მიდრეკა.

IX,658

ზელახლა მოაშორა მეფე იუსტინემ სამკაულს ჭუჭყი
და ამაყად დიდებული სადგომი დიკესი კვლავ ელვარებს.
შენ კი შენი ნაღვაწით, ღომინოს,¹ მჭმუნვარე ღამეს განდევნი
როგორც თემისის სასახლიდან, ისე კაცთა ცხოვრებიდანაც.

IX,663

შავი ზღვა მიწის ნაპირს ეხლება თავისი ტალღებით,
მიწის მწვანე ქედები ირეკლება აქ წყალში. ბრძენი
იყო, ვინც შეუხამა ზღვის მცენარეები ბალნარებს,
ნაიასების ნაკადულები ნერეისთა² ზღვის ტალღებს.

IX,664

შუღლი აქეთ ნერეისთა, ნაიასთა, ადრვასთა³ – ნიმფებს, თუ
ამ კუთხეზე იმათ შორის რომელსა აქვს უფრო მეტი უფლება?
თავად ქარიისი⁴ სჯის, მაგრამ განაჩენი მასაც ვერ გამოაქვს,
რადგან ყველა მათგანისაგან შეითავსა მშვენება ამ მზარემ.

¹ 407 წელს, კონსტანტინეპოლში მომხდარი აჯანყების დროს, ზანძრისაგან დაიწვა მრავალი შენობა, მათ შორის სასამართლოც. ღომინოსმა, იმპერატორ იუსტინიანეს დროს ქალაქი მშობრულად, კვლავ აღადგინა იგი.

²⁻³ ნერეიდები, ნაიასები, ადრვასები – ზღვის, ხმელეთის წყლებისა და ზეთა ნიმფები. ან ქალწული ღვთაებები.

⁴ ქარიისი – სიღამაზის, ხალისის, მზიარული ცხოვრების ღვთაება.

IX,764

არც მრისხანე ნადირთა, არც ზღვის თევზთა და თავად ფრინველების
დასაქურდაც კი არ დაუწნავთ ეს ბაღე ჩვენი, არამედ
მოკვდავთათვის საჭიროებისამებრ მარჯვე ნამუშავევი
ქალაქთა მცველ კედლის გალავანზე უფრო მტკიცედ დაიფარავს
კაცს, ვინც ნასადილევს, შუადღის შემდეგ დაიძინებს
და მოისურვებს, რომ კოლოების კბენას თავი მოარიდოს,
მიანიჭებს უშფოთველად ძილის სიხარულს და თავად ბუზთა
დევნისაგან მოსვენებული მონებიც მადლიერნი მვეოლებიან.

IX,765

საქორწინო სარეცელს ეუველი გარს და როდი ვეშახურები
უშიშარ ფებოს¹ ნადირობისას, არამედ ნაზი პაფიას
ბაღე ვარ. მძინარე კაცს გამჭვირვალე ფარდად ჩამოვეფარები
და იმაშიც არ შევეუსლი ხელს, რომ სუფთა ჰაერით ისუნთქოს.

IX,770

ანიკითია ჩემით ისეველებს თავის ბალახშოსან ბაგეებს,
მე კი საქორწინო შარბათით მის დათრობაზე ვეცნებობ.

IX,782

აქ იკვეთება ნაწილებად ფაეტონის სხივების სრბოლა
და მერე თანაბარ თორმეტ საათად გადანაწილდება.
წყლის მემკვობით განსაზღვრავს ეტლის ქცევას მზისას კაცთა მოდგმა,
მიწიდან ზეციური სიმაღლეებისაკენ მიაპყრობს ფიქრებს.

X,15

აქლავ გაზავჩულის მადლიანი ხალისით შეცვალა

¹ ფებოსი აპილონი.

ჭოლიკონნი დელამიწამ და აამწვანა ირგულიე მდელონი.
 ხის სამაგრებიდან ძირს დაცურებულა უმძიმესი ნავი,
 ინქარის, რომ ხანაპიროდან ზღვის სიღრმეებში შეიჭრას.
 მუზღვურნო, აუშვით აფრები, უშიშრად გამოდით ზღვაში,
 რათა გულმშვიდად გადაცვალოთ სხვა განძზე თქვენი საქონელი,
 ეს მე ვარ მფარველი ჯემთა პრიაპოსი¹ და ვამაყობ, რომ თვით
 თეტისა ტყბილად მასპინძლობდა ოდესღაც მამაჩემ ბრომიოსს².

X,74

ნუ გაგბტაცებს აღზევების ამო დიდება და სიმდიდრე,
 ნუ დაეცემი სულით, ნუ დაგიმონებენ ფუჭი ზრახვანი.
 სხვადასხვაგვარნი ქარნი ქრიან დღენიადღე საწუთროს თავზე
 და ხან აქეთ, ხანაც იქით ატრიალებს ქარიშხალი მას,
 წარუგალია მხოლოდ სათნოება და, თუ მას დაეყრდნობი,
 ნულა შეგაშინებს შენ ცხოვრების ზღვათა ტალღები.

X,76

განცხრომაში როდია ცხოვრების არსი, არამედ იმაში,
 რომ ჯაერი არ შერჩეს გულს — მიზეზი ნაადრევი ჭაღარის;
 გალაღებულ ცხოვრებას მიველტვი, მაგრამ ზომას როდი ვკარგავ,
 რადგან სულს აფორიატებს ოქროს უზომოდ ნდომა და ტრფობა.
 ხშირად ასეც ხდება, სიღარიბეს კი არ დაუჩაგრავს კაცი,
 არამედ სიმდიდრეს, ამიტომ ცოცხალს სიკვდილი ენატრება.
 დაიმანსოვრე ეს სიბრძნე, შენი გულისხმა სწორად წარმართე
 და მუდამ მოიმედე იყავი მხოლოდ და მხოლოდ სიბრძნისა.



¹ პრიაპოსი — აფროდიტესა და ბრომიოსის (ბაცხუსის = დიონისეს) ძე, იყო მინდორთა და ნახორთა ნაყოფიერების ღმერთი, აგრეთვე ითვლებოდა ცხვრისა და თხუბის ფარის, შეცუტყარების, მებაღეობისა და მეუწახეობის, თევზის ქერის მფარველად მასთან მიიჭინდათ პირველად მოწვეული აქვებული სოველგვარი მოსავალი, მოპოვებული ნადავლი.

² დიონისეს თეტისთან ტყუპრობის ეპიზოდი ნახსენება პოპეროსის „ილიადაში“ (6, 136).

XI,60

ლოთებო, დაეუსხათ ღვინო ხუშარა ლიეოსს,¹
ფიალებში ჩაეახრჩოთ მწარე ფიქრთა ნაღველი,
ხოლო შავი ლუკმა, პერსეფონეს ღედა,² დაე,
ხედეს დამაშერალი გლეხკაცის მშიერ კუჭს.
დაკლულ ხართა სისხლიანი ხორცი მტაცებელ
ფრინველთ და სისხლისმსმელ ნადირებს მიუუგდოთ,
თევზთა ფხები, ტუჩებში რომ გვესობა, იმათ
მიეცეთ, ვისაც მზეზე მეტად ჰადესი უყვარს.
ჩვენ კი კეთილსურნელოვანი ღვინო მუდამაც ვიქონიოთ
საჭმლად და სასმელად, სხვაგვარ ამბროსიას არ ვცნობთ.

XVI,57

ეს გახელებული ქურუმი ქალი ბახუსისა არა ბუნებამ,
არამედ არს-კყო თვით ხელოვნებამ და სიგიჟე ქვაში გამოძერწა.

XVI,77

მხოლოდ თვალები ფერწერამ ვერ გამოხატა, სხვა დანარჩენს
მშვენებას – სხივს თმებისას და პირისახის უნაზეს ფერთა, –
თუკი ვინმე შესძლებს სურათზე მზის ელვარება გამოსახოს,
ის გამოსახავს თეოდორასეული მშვენების ელვასაც.³

XVI, 118

მიდიელთა მკვლელმა ხელებმა უსწრაფესად უკუქცეული
ხომალდის გაღუნული კიჩოს თავიდან მტრის ხმლები მოსხიპა.
მამინ შემოეჭდო შენი ფრთა-ხელები ხომალდს, კინეგიროს,

¹ ლიეოსი – ღვინოს წოდება არის და ნიშნავს მხსნელს. ღმერთი, რომელიც ათავისუფლებს
ადამიანების გულს დარდისა და მძიმე საზრუნავისაგან.

² პერსეფონეს ღედა, ღებუტრე. აქ აღნიშნავს პურს.

³ ღვინოვანი თეოდორა – იმპერატორ იუსტინიანეს მეუღლე. ეპიგრამა აღწერს რავენაში
მის მონაიკურ სურათს.

ისე როგორც ღუზა, და შეაკავა მსწრაფლ უკუმსრობოლი გემი.
ზომალდის ძელი მტკიცედ დაიჭირე და იგი ადგილიდან
ვეღარ მიდიოდა, აქემენელები შიშის ზარს მოეცვა.
ბოლოს ვილაც ბარბაროსმა ნაეი გამოგვლიჯა, მაგრამ დარჩა
სამუდამოდ შენი ხელების გამარჯვება მოფსოპიაში.¹

XVI, 277

მხოლოდ შენი ლამაზი გარეგნობა გამოსახა ფერმწერმა.
ნეტავ შეეძლოს მას შენი ტკბილი სიმღერების გამოსახვაც,
რომ არა მარტო თვალები, არამედ იმავე დროს სმენაც დატკბეს
შენი სახის ცქერითა და შენი ღირის კეთილზმოვანებით.

XVI, 278

ფორმინგისა და ეროსის სიმებს ერთნაირად კარგადა ფლობს,
შეუძლია მას გულის ახშიანებაც და კითარისაც.
საცოდავი არის, ვინც სძაგს მას, მაგრამ ვისაც სწყალობს,
თითქოს მეორე ანქიზეა, თითქოს მეორე ადონისია.²
მწირო, შენ გაინტერესებს სახელი მისი და სამშობლო?
სამშობლო მისი ფარიაა,³ სახელად კი მარია ჰქვია.

მუსეოს გრამატიკოსი

მუსეოსი ნონოს პანოპოლელის სკოლის პოეტია. ცხოვრობდა V-VII ს. მისი პოემა „პერო და ლეანდრე“ სრული სახითაა შემორჩენილი. პოემის სიუჟეტი დამუშავებული ჰქონდა ჯერ კიდევ ოვიდიუსს, მას კი, როგორც ფიქრობენ, ხელთ უნდა ჰქონოდა უწინდელი პერიოდის მასალა. პოემის სიუჟეტი ფიგურირებს გერმანულ ხალხურ პოეზიაში,

¹ მოფსოპია - ატიკა. ეპიგრამა ეძღვნება პოეტ ესქილეს მისი გმირობას (მდრ. პეროდოტე VI, 114).

² ანქიზე, ადონისი - აფროდიტეს მიჯნურება.

³ ფარია - ალექსანდრია.

დამუშავებული აქვს ფრ. შილერს („ლორელი“). ჰეროსა და ლეანდრეს სიყვარულის ამბავი გამოძახილს პოულობს ქართულ ხალხურ ბალადაში „თაფარაენელი ჭაბუკი“, რაც, სიმ. ყაუხჩიშვილის აზრით, სიუჟეტის აღმოსავლური კვანძებიდან გაერყელებაზე შეიძლება მიუთითებდეს. მეცნიერი ბრძანებს, რომ პოემის ავტორი ქრისტიანია და კარგად იცნობს ხალხთა წერილს.

ჰეროსა და ლეანდრეს სიყვარულის ამბავი

ლამპარს უმღერე, ზევსის ასულო,
მოწმეს ფარული სიყვარულისა,
და იმ ყმანვილკაცს, ბობოქარ ზღვაში
ღამით სატრფოსკენ რომ მიცურავდა,
და ქორწილს, ღამის ბინდში გახვეულს,
უკვდავ შზეს თვალი რომ არ მოუკრავს;
აბიდოსს, სესტოსს ... ქალწულმა ჰერომ
სადაც ქორწილი გადაიხადა.
ა, მე ახლა თითქოს ლეანდრეს
თვალებით ვხედავ ანთებულ ლამპარს,
ლამპარს, რომელიც ღამის ბურუსში
მას აფროდიტის ნებას ამცნობდა;
ის იყო მაშინ ჰეროს შიკრიკი ...
მათი ფარული ქორწილის მაცნე,
ეროსის ძღვენი შუქმოციმციმე ...
რა კარგს იზამდა მეუფე ცათა
ზევსი, რომ მისთვის ვარსკვლავთა გუნდში
სადმე ადგილი გამოენახა
და მექორწინე ქალ-ვაჟის შემწე,
ტრფობის ლამპარი რომ დაერქმია ...
ის მოუხმობდა ღამის სათვეად
სიყვარულისგან გონდაკარგულებს;
ბევრი იწვალა მაშინ ლამპარმაც,

ის მათ სარეცელს დარაჯად ედგა,
ვიდრემდის მტრულად დაუქროლებდა
და ჩააქრობდა ვერაგი ქარი ...
ზევისის ასულო, შენ შემეწიე,
რომ აღსასრულიც აღვეწერო მათი,
თუ როგორ ჩაქრა ლამპრის ციალი,
როგორ დალუპა ქარმა ლეანდრე.

ერთმანეთისგან სრუტე ჰყოფთ ვრცელი
ზღვისპირა ქალაქთ: სესტოსს, აბიდოსს;
ერთხელ ეროსმა, კაპარტიანმა,
მკვირცხლად მოზიდა თავისი მშვილდი
და სათითაოდ მან იმ ქალაქებს
წვეწამახული ისრები სტყორცნა;
დაჭრა გოგონა და დაჭრა ბიჭი,
გეტყვი, რა ერქვათ ბიჭს და გოგონას:
ქალიშვილს – ჰერო, ხოლო ყმაწვილკაცს
„კობტა ლეანდრეს“ ეძახდა ყველა,
სესტოსში ჰქონდა ჰეროს სახლ-კარი,
აბიდოსელი იყო ლეანდრე,
როგორც ვარსკვლავი ისე შეენოდა
ერთიც, მეორეც მშობლიურ ქალაქს ...
ერთმანეთს ჰგავდნენ ... შენ კი ოდესმე
იმ მხარეს გავლამ თუ მოგიწია,
მონახულე ის კოშკი, სადაც
სესტოსელ ჰეროს ლამპარი ენთო
და ლამპრის შუქით ღამის ბურუსში
ვაქს კოშკისაკენ გზას უნათებდა;
ძველ აბიდოსთან მონახე სრუტე,
სადაც ტალღები დღემდე მოთქვამენ
და ცხარე ცრემლებს ღვრიან ლეანდრეს
სიყვარულის და დალუპვის გამო.
აბიდოსელ ვაქს ასე ძლიერად
ქალწული ჰერო რამ შეაყვარა?..

ან ტრფობის ცეცხლით როგორ აანთო
მან სესტოსელი გოგონას გული?..

კარგი რამ იყო ქალწული ჰერო,
ღვთაებრივ სისხლის ჩამომავალი,
ვით აფროდიტეს ერთგულ ქურუმ-ქალს,
ცოლ-ქმრობის სიტყბო არ განეცადა ...
მამაპაპეულ, ძველისძველ კოშკში
ცხოვრობდა იგი, ზედ ზღვასთან ახლოს,
თითქოს მეორე კიბრიდა იყო ...
თავდაჭერილი და ერთობ მორცხვი —
გართობისათვის, ქალების წრეშიც,
იგი არასდროს არ გარეულა,
არც თანატოლთა მხიარულ გუნდში
გამოჩენილა იგი ოდესმე,
რადგან შიშობდა, შურიან ქალებს
რომ არ დაეწყით მისი გაკილვა;
ასეა ხოლმე: სხვისი მშვენება
ბოროტი შურით აღაქსებს ქალებს ...
ის იჯდა სახლში და დღე და ღამე
ვედრებოდა ქალღმერთ კიბრიდას,
ხან კი ცდილობდა, ეროსისათვის
შესაწირავით მოეღბო გული,
რომ აფროდიტეს ვაჟს, ეროსს, მისთვის
ცხელი ისრები არ დაეშინა,
მაგრამ ამაოდ, ცეცხლოვან ისრებს
ქალწული მაინც კერ გადაურჩა.

იდგა სესტოსში ქალღმერთ კიბრიდას
დიდი, სახალხო დღესასწაული,
ამ დღეს ადონისს და აფროდიტეს
უძღვნიდნენ ხოლმე სესტოსელები,
ყოველი მხრიდან მოიჩქაროდნენ
ამ ნათელი დღის აღსანიშნავად,

ზღვაში მიკარგულ კუნძულთა მცხოვრებით
 თქვენ იქ უთუოდ დაინახავდით,
 სქმონიელნიც ჩამოსულიყვნენ
 და შორეული კვიპროსელებიც,
 ხოლო კიპრიდას ქალაქები კი
 ქალთაგან ხელმითლად დაცარიელდა ...
 ან ხურნიელოვან ღიბანის მთაზე
 ვინ დარჩებოდა მსხვერპლ-შემწირველად?
 ვინც ხადმე ახლომახლო ცხოვრობდა,
 რაღა თქმა უნდა, იქ იყო ყველა,
 ფრიგიელებიც ჩამოსულიყვნენ
 და მეზობელი აბიღოსელებიც,
 ქალთმოყვარული ყმანვეილკაცები
 უკვე გუნდ-გუნდად შეკრებილიყვნენ,
 ისინი მუდამ იქ გაჩნდებიან,
 ხადაც ზეიმის ხმა მოეხმებათ,
 განა იმისთვის, რომ უკვდავ ღმერთებს
 შესწირონ მსხვერპლი შესაწირველი,
 არა, კეკლუცთა თვალიერებით
 უნდათ როგორმე გულის დატკობა ...
 ქალღმერთ კიპრიდას ტამართან იდგა
 ქალწული პერო, ქურუმი ქალი,
 პანანა ხახე, ნაზი ციალით,
 ელფერს კმატებდა მის სიღამაზეს,
 ისე, ვით ღამით ამშვენებს ხოლმე
 ცახ ბადრი მთვარე, ამოსავალი;
 თივლივით სპეტაკ, და ხალუქ დანჯექს
 შექმონიებოდათ წითელი ფერი
 და ორფერ ვარდებს მოგაგონებდათ,
 ასე იტყოდით მნახველი მიხი:
 პეროს მთელ ტანზე, როგორც ბაღჩაში,
 ყველგან ვარდები ამოსულანო,
 ისე ბრწყინავდა მშვენებით ხახე,
 ნაბიჯს ოდნავად თუ გადადგამდა —

ვარდების ღარად გამოკრთებოდნენ
 თუთორ ქიტონს ქვემოთ მისი ფეხები;
 თქვენ ქარიტების ხილვაც შეგუძლიათ,
 გოგონას ირგვლივ რომ დაფრინავდნენ,
 ქარიტი მხოლოდ ხამი არისო ...
 როგორ ცლებოდნენ ჩვენი ძველები:
 მხოლოდ ცალ თვალში, უთვალავ ქარიტს
 დაუნახავდით მომლიძმარ გოგოს,
 დიახ, მართლაც რომ შესაფერისი
 ქურუმი ქალი ჰყავდა კიპრიდას.
 ჰერო თავისი მშვენიერებით
 იმდენად ჯობდა დანარჩენ ქალებს,
 რომ აფროდიტეს ქურუმი ქალი
 თუვადვე ახალ კიპრიდას გავდა;
 ჭკუას კარგავდნენ ყმაწვილკაცები,
 მათში ისეთი არავინ იყო,
 რომ არ ენატრა: ნუჭავ ეს გოგო
 შინ მყავდეს, ჩემი ცოლი იყოსო,
 ჰოდა, იმ კონტადაღნავ ტამართან
 ხადაც არ უნდა გაველო ჰეროს,
 თან დაჰყვებოდა ახალგაზრდების
 ფარული მზერა, გული, გონება ...
 გაკვირვებული მისი მშვენიერებით,
 ერთი ყმაწვილი ასე ამბობდა:
 „მე ამასწინათ ხპარტაში ვიყავ,
 ლაკედემონის ქალაქი ვნახე,
 გსმენიათ ალბათ, ბილამაზეში
 იქ შეჯიბრება რომ იმართება ...
 მაგრამ ასეთი ლამაზი გოგო,
 მერწმუნეთ, არხად არ შეიძვედრია,
 იქნებ, კიპრიდამ ქარიტებს შორის
 გამოარჩია თავის ქურუმიად?..
 დიდი ხანია, რომ ვაკვირდები
 და ვერ გავძეხი მისი ყურებით,

დაე, თუნდ მოკვდე, არ კინაღვლებდი,
ოღონდ შეღირსოს მასთან დაწოლა,
მე ოლიმპოზე უკვდავთა შორის
ღმერთად ყოფნასაც არ ვისურვებდი,
ოღონდ მყოლოდა ჰერო ჩემს სახლში
ჩემს მეუღლედ და თანამეცხედრედ,
მაგრამ, კიპრიდავ, შე შენს ქურუმ ქალს
რომ მივეკარო, თუ არ მაქვს ნება,
მაშინ ერთსა გთხოვ, თანამეცხედრედ
გამომიგზავნე ამგვარი გოგო ...“
ასე თქვა მაშინ ერთმა ყმაწვილმა,
ხოლო მეორე, მისი მშვენიებით
თურმე იმდენად მოხიბლულიყო,
რომ საცოდავი, სულ შეიძალა ...

შენ კი, ლეანდრე, ოჰ, უბედურო,
როდესაც ჰერო პირველად ნახე,
სულ არ ელოდი უჩინარ ისრით
მაგ შენი ნორჩი გულის დაკოდვას,
მაგრამ შენ მაშინ რა უნდა გექნა,
ეროსისაგან იყავ დაჭრილი
და არ გინდოდა უკვე იმ ლამაზ
გოგოს გარეშე ქვეყნად ცხოვრება;
თანდათან, მისი თვალების შუქი
სასიყვარულო ცეცხლს აღვიკვებდა,
გიდუღდა გული, შენს მკერდში მაშინ
ჩაუქრობელი ხანძარი ენთო;
ქალის უმანკო მშვენიერებას
უფრორე ძალუმს კაცთა განგმირვა,
ვიდრეღა ომში, უეცრად ნასროლ,
დაფრთიანებულ, წამახულ ისარს;
გზა არის ქალის თვალების შუქი,
ქალის თვალთაგან ჩამოცურდება
მშვენიერება და ფრენა-ფრენით

მიემართება ვაჟის გულისკენ.
 აღფრთოვანება, შიში, სიმორცხვე,
 ყმანვილს ერთბაშად დაუფლებოდა,
 გაუდიოდა გულს ბაგაბუგი,
 ბუჩხს უბორკავდა სიმორცხვის გრძნობა,
 განცვიფრებული უმხერდა ქალწულს ...
 ბოლოს კი ტრფობამ სიმორცხვეს ხსლია
 და, სიყვარულით გათამამებულს,
 მყის დაუბრუნდა გაბედულება,
 გამოემართა ნელი ნაბიჯით
 და ქალიშვილის პირისპირ დადგა;
 ვერც კი ამჩნევდა თითქოსდა ქალწულს ...
 თუმც მაცდურ მხერვას არ ამორებდა,
 თანაც ჩუმ-ჩუმად, თავის კანტურით,
 ცდილობდა მისი გულის მოკვებას.
 გოგო ყველაფერს მიმხვდარი იყო
 და უჩაროდა, რომ უცნობ ყმანვილს
 მოსწონდა იგი, იღვა თავდაზრით,
 ხმის ამოდებას ვერა ბედავდა
 და ვნებისაგან ანთებულ თვალებს
 ძირს ხრიდა ხოლმე, დამორცხვებული,
 თან იღუმადი მინიშნებებით,
 ისიც ყმანვილკაცს პასუხს აძლევდა ...
 ბოლოს, ნაბიჯი გადადგა გვერდზე ...
 ღუანდრე უკვე ხარობდა გულში:
 რომ ტურფა ასულს ესმოდა მისი,
 რომ მის სიყვარულს ხელი არა ჰკრა ...
 ვიდრე ღუანდრე გულისფანცქალით
 ელოდა მისთვის ხანუკვარ დრო-უამს,
 პერსს თანდათან შუქი დააკლდა
 და გაემართა დახვედუთისკენ,
 ცაზე კესპერმა ამოანათა
 და უხვი ჩრდილი მოჰფინა მიწას;
 გამხიარულდა ღუანდრე მაშინ,

ქალწულს თამამად მოუახლოვდა
 და, როცა ნახა, რომ ღუღამისა
 ღამის ბურუსში გახვეულიყო,
 გოგონას ვარდის მინაგვარ თითებს
 ნაზად დაუწყო ხელის მოჭერა,
 ამოიოხრა ფმანვილმა მძიმედ,
 ქალწული ჯერაც ხმას არ იღებდა,
 და უცებ, თითქოს ბრაზობხო მასზე,
 მყის გამოსტაცა ვარდის თითები,
 და გაახხენდა ვაჟს, ეს გოგონა
 თავს რომ უქნევდა თანხმობის ნიშნად ...
 გახარებულმა, მის ღამაჴს ქიტონს
 მოურიდებლად წააველო ხელი,
 ცდილობდა წმინდა ტამრის ხილრამეში
 რომ შეეყვანა როგორმე გოგო,
 იხიც გამოსყვა, ხელი ნაბიჯით,
 თითქოსდა: რა კქნა, ძალახ მატანო ...
 უცებ შეხერდა და მწარე ხიჭყვით
 მიმართა ფმანვილს, სწორედ იმგვარად,
 როგორც იციან ხოლმე ქალებმა
 უცხო ვაჟების მოგერიება:
 „სტუმარო, ნეტავ რამ გაგაგოქა,
 შე უბედურო, ხად მიგვაკვს ქალი?..
 შენი გზა ნახე, მომწყდი თავიდან,
 წემს კაბახ ხელი გაუმევი საქარა!
 თავხედო, ნუთუ წემი მდიდარი
 მშობლების სულაც არ გეძინია?!
 ნუთუ არ იცი, ქალღმერთ კაპრიდაჴს
 ქურუმ ქალს რომ ჯერ მიეკარები?..
 ქალწულღებრივი წემი ხაწოლი
 მოუწვდომელი არის ყველახთვის ...“
 ემუქრებოდა გოგონა ფმანვილს,
 როგორც სხვევით ხოლმე ქალწულებს ...
 ასმენდა ვაჟი ქალურ მუქარას,

წამოხულის მისკენ ისრების დარად,
 და მან იცოდა: ასეთი რამე
 უკვე თანხმობის ნიშანი იყო ...
 რამეთუ, როცა ქალიშვილები
 უცოლო ვაჟებს ემუქრებიან,
 ეს იმას ნიშნავს, რომ აფროდიტემ
 მათ შეგობრები გამოუგზავნა.
 ხელი მოიხვია ლუანდრემ ჰეროს,
 ნაზ გულისპირზე დაუწყო კოცნა
 და, კნების ისრით მძიმედ დაჭრილმა,
 ამგვარ სიტყვებით მიმართა ქალწულს:
 „ო, ხაფარელო კიპრიდაე ჩემო,
 თავად ათენავ, ათენას შემდეგ!..
 რა უნდა ვითხრა ... მწიერ ქალად
 მე შენ ვერახდროს ველარ მიგიჩნევ,)
 ო, შენი მსგავსი კრონიონ-ზევის
 ქალიშვილები თუ იქნებიან,
 ნეტავი იმ კაცს, ვინც გაგაჩინა,
 იმ ღუდას, ვინაც გშობა ასეთი,
 ნეტარ, იმ საშოს, შენ რომ გატარა ...
 მე შენს წინაშე მაქვს სათხოვარი,
 განგებამ ტოლობის ისრებით დამჭრა,
 შენ ჩემს კვლრებას დაუგდე უფრი:
 თუ ხარ კიპრიდას ქურუმი ქალი,
 მაშინ მის საქმეს უნდა მიხდით,
 ქალღმერთის ნებას რად უურჩები?
 ჩაწვდი ცოლ-ქმრობის იღუშალებას,
 შენნაირ ქალწულს ხულ არ შეკვეყრის
 ქალღმერთ კიპრიდას რომ ემსახუროს,
 რაში სჭირდება მას ქალწულები?..
 ჰოდა, ძვიროფასო, თუ გულით გინდა
 მართლა კიპრიდას საქმე აკეთო
 და ჩაწვდე ტოლობის სიამ-ტყბილობას,
 ამისთვისაა დაქორწინება

და ხარეცელი ... შენ თუკი მართლა
გიყვარს კიპრიდა, მაშინ ეროსის
საამო საქმეც უნდა გიყვარდეს ...
დღეიდან შენი მონა ვიქნები,
თუ კი ისურვებ – თანამეცხედრე,
მე ხომ ეროსმა ჩამიგდო ხელში
სწორედ რომ შენთვის, მან დამჭრა ისრით,
ისე, ვით ერთ დროს, გმირი ჰერაკლე
ჰერმესმა, ოქროს ჩაფხუტიანმა,
იარდანეს ქალს გამოუჭირა
და შინ დაუსვა მოსამსახურედ.
მე მაცდურ ჰერმესს არ შევეუყვრევიარ,
შენთან კიპრიდამ გამომაგზავნა;
გახსოვს თუ არა შენ ატალანტე?
არკადიელი, ნაზი ქალწული,
დიდხანს ჯიუტად რომ გაურბოდა
მელანიონის მხურვალე გრძნობას?
მას ქალწულობის შენახვა სურდა,
მაგრამ კიპრიდას რისხვა იწვინია
და შეუყვარდა მთელი არსებით
ის, ვინაც უწინ სულ არ უყვარდა,
ყური დამიგდე, ჩემო ძვირფასო,
და აფროდიტეს ნუ განარისხებ.“
ასეთი სიტყვით მან ჭირვეული
გოგონას გული მოინადირა ...
თავგზას უბნედა დარცხვენილ ქალწულს
ტროფობის აღმძვრელი მისი სიტყვები,
ხმას არ იღებდა, იდგა თავდახრით
და მიწას თვალებს არ აშორებდა;
ღაწვებს, გარდისფრად აელეარებულთ,
ჩუმად მალაედა ხელისგულებში,
ფეხის წვერებით მიწას ჩიჩქნიდა,
დროდადრო მხრებზე ისვამდა ხელებს
და კობტა კაბის ნაწიბურებზე

თითქოს განყვეტილ ძაფს დაეძებდა;
იცოდა ვაჟმა: ეს ყველაფერი
მისგან თანხმობის ნიშანი იყო;
თუკი ღუმს გოგო, ეს იმას ნიშნავს,
რომ ვაჟთან ხანოლს გაიზიარებს ...
ხოლო ეროისის ტკბილ-მწარე ისრით
გოგონა უკვე დაჭრილი იყო
და ღვივდებოდა მის გულში ნელა
საამო ცვიცხლი სიყვარულისა,
ისე მოხწონდა ქალწულს ყმანვილი,
რომ გასაფრენად მზად იყო თითქოს ...

ვიდრე გოგონა ხმას არ იღებდა
და წამდაუნუნე მირს ხრიდა თვალებს,
ვაქს სიყვარული მოხმალდებოდა,
სახეზე ვნების აღმური ენთო
და მის თოვლივით ქათქათა კისერს
მისჩერებოდა მონუსხულივით,
ასწია თავი გოგონამ ნელა
და ტკბილი სიტყვით მიმართა ყმანვილს
(და ამ დროს სახე დარცხვენით ქალწულს
იხევე ვარდისფრად აუბრიალდა):
„ამგვარ სიტყვებით, შენ, უცხოელო,
აღბათ, ქვახაც კი გადააბრუნებ,
ახე მაცდურად რომ ლაპარაკობ,
მიოხარი ერთი, ვისგან ისწავლე,
ვაიმე, ბედკრულს რა მეშველება,
ვინ მოგიყვანა ჩემს სამშობლოში,
სულ ამაოა შენი სიტყვები,
დაუიქრდი, აბა, სად შეგიძლია
შენ, უცხო, ვისაც აქ არვინ გიცნობს,
მე შემოიყვარო, ცოლად შემირთო.“

კანონიერი დაქორწინებით
 ჩვენ ხომ ვერასდროს დაქორწინდებით,
 კარგად იცოდე, ამას არასდროს
 არ ისურვებენ ჩემი მშობლები,
 მაგრამ თუ გინდა, აქ სტუმრად დარჩე,
 ისე, ვით უცხო, გადამთიელი,
 როგორღა შეძლებ, ჩუმად, მალულად,
 შენ აფროდიტეს რომ ემსახურო?
 ავი უნა აქვთ ადამიანებს ...
 ვთქვათ და — რაღაცას აკეთებ ჩუმად,
 და ყველაფერი ხელ მოკლე ხანში
 იციან ყველა გზაჯვარედინზე ...
 შენს სახელს მაინც წუ დამიძალავ,
 ისიც მითხარი საიდანა ხარ,
 ჩემი სახელი გეცოდინება:
 დიახ, მე თავად ჰერო გახლავარ,
 კოსკში მაქვს ბინა, ირგვლივ ზღვა აკრავს,
 სიმაღლით თითქმის ცას მისწვდენია,
 იქ მარტო ვცხოვრობ, მხოლოდღა ერთი
 მოხამსახურე შემსახურება;
 ზედ გადმოკეურებს ქალაქის კედლებს ...
 იქ ნაპირებზეც ღრმა არის წყალი,
 და მღელვარე ზღვა მეზობლადა მყავს
 ჩემი მრისხანე მშობლების ნებით,
 იქ არ არიან ჩემი ტოლები,
 იქ მხიარული ახალგაზრდების
 ცკკვა-თამაში არ იმართება,
 იქ დღე და ღამე ქარის თარეში,
 ზღვის ყრუ გუგუნის და მღელვარება
 ესმით ჩემს ყურებს მხოლოდ და მხოლოდ“.

თქვა გოგომ ასე, უცხებ თავშალი
 წითელ ლოყებზე ჩამოიფარა
 და ამნაირი სიტყვების გამო

თავისთავს წუძად დაუნყო ტუქვა,
 ხოლო ლეანდრე, ვინც უკვე გულში
 ცეცხლოვან ისრით დაჭრილი იყო,
 ერთხელა ფიქრობდა: ეროსის ომში
 როგორმე უნდა მოეყო ბრძოლა ...
 მაგრამ როდესაც ბრძენი ეროსი
 ვაჟიკაცს მხურვალე ისრით დაკოდავს,
 შემდეგ წელულს მიხას თვითონვე კურნავს,
 და ვიხაც გულში ჩაეხახლება,
 მას ხახარგებლო რჩევახაც აძლევს
 და ეხმარება ხელთამპვრობელი;
 ასე უწამლა მან ლეანდრეხაც,
 ვნების აღმურში გახვეულ ყმაწვილს.
 დაღონებელი უხმენდა ვაჟი ...
 კვლავ მოიმარჯვა მაცდური ხიტყვა:
 „გოგოვ, მე შენი სიყვარულისთვის
 აბიოქრებულ ზღვას გადმოვცურავ,
 თუნდაც რომ წყალი ცეცხლში იწვოდეს,
 არ იკარებდეს არავის ახლოს,
 ვერ შემაკავებს მრისხანე ტალღა,
 შენ ხარუცხლოთან მაინც მოვადწვე,
 დე, აგუგუნდეს ზღვა, როგორც უნდა,
 მე მას არახდროს შევეუშინდები,
 დე, მოივანოს მან ყოველ ღამით
 შენთან ხოველი მეუღლე შენი;
 ო, ჰელესპონტის მღელვარე ნაკადს
 მე გადმოვლახავ, განა შორს ვცხოვრობ:
 აბიღოსია ჩემი ქალაქი,
 შენი ქალაქის მოპირდაპირე ...
 შენ კი ღამპარი უნდა ააწიო
 ჩქისთვის, იმ მაღალ კომკის ქონგურზე,
 რომ ის იქიდან გზას მისათებდეს

მე, შენსკენ მცურავს, უკუნ ღამეში,

გამომაქანებს შენსკენ ეროსი,
დაე, ლამპარი ვარსკვლავად მენტოს ...
და ისე ჩაეა ზღვაში ბოლოტი,
ვერც კი შევაძინე მე იმის ჩასვლას,
ვერც ორიონი ვერ გამოიტაცებს
და ვერც ცის თაღზე შევეტლის სრბოლა,
ოღონდ როგორმე ზღვა გადმოვცურო
და შენს ტკბილ მიწას დაუადგა ვეხი;
მაგრამ, ძვირფასო, ქარებს ერიდე,
სახიფათოა იმათი ქშენა,
მათ რომ ჩააქრონ შენი ლამპარი,
მე უსათუოდ დავიღუქები,
მხოლოდდამხოლოდ ის გადამარჩენს,
ვით წინამძღოლი, შუქმოელვარე;
ახლა კი მართლა თუ გულით გინდა,
რომ შენც იცოდე ჩემი სახელი –
ლუანდრე მქვია, აბიდოსელი,
ვარ მშვენიერი ჰეროს მეუღლე ...

ერთურთს ცოლ-ქმრობის პირობა მისცეს,
დათქვებს, რომ ღამით შეუღლდებიან,
რომ მათი ჩემი ტრფობის ამბავი
ქვეყნად არავის ეცოდინება,
რომ ლამპარიღა იქნება მხოლოდ
მათი შემწე და მეხაიღუმლე,
რომ ერთმა შუქი უნდა აანთოს,
ხოლო მეორე ზღვას გადმოსცურავს
და ღამეს თეთრად გაათენებენ,
არ მოხუჭავენ თვალებს წამითაც ...
ახე დასცილდნენ ერთმანეთს მაშინ,
თუმც განშორება ეძნელებოდათ,
გოგომ შინისკენ გახწია ნელა,
ვაქმა ქონგურებს შეაელო თვალი,
შეთხზულნი, არამედ გამოუთქმელსა და უხილავს წარმოსახავენ მრავალი ხელოვნებით, რაც ვგელასათვის როდია აღვილად ხელმისაწვდომი და რაც მხოლოდ ღვთისმოსავთა და ჭეშმარიტ მოყვარულთათვის გაცხადდება; რამეთუ [ხილული ნიშნები] წმინდა სიმბოლიკაში ყოველსავე ბავშვურ წარმოდგენას შორდებიან და გონების უბრალოებითა და განჭვრეტის ძალით, უნარით აღემატებიან სხვებს მარტივის, ზებუნებრივის ჭეშმარიტ განსაზღვრაში. უნდა ვიცოდეთ, რომ ღვთისმეტყველებითი მოძღვრება ორი სახისაა: ერთი – გამოუთქმელი და საიდუმლო, მეორე – ხილული და უფრო გასაგები. პირველი სიმბოლურია და საიდუმლო ღვთისმსახურებითი, მეორე – ფილოსოფიური და მტკიცებითი, რომელიც აკავშირებს თქმულს გამოუთქმელთან; არწმუნებს და აერთიანებს ნათქვამთა ჭეშმარიტებას; პირველი კი წარმოაჩენს ღვთაებრივს უშუალოდ საიდუმლო მსახურებით. მღვდელმესაიდუმლენი არც ჩვენი და არც სჯულის კანონების მიხედვით არ აღასრულებენ უწმინდეს საიდუმლოებებს ღვთიემშვენიერი სიმბოლოების გარეშე; ვხედავთ, რომ ყოვლად წმინდა ანგელოზებიც ქარავებით ღვთაებრივ [საქმეებს] მისტიკურად წარმოაჩენენ და თავად იესოც ხომ იგავებით ღვთისმეტყველებს, ღვთითქმინილ იღუმალუბებს ტრაპეზის სახეებით გადმოგვკვებს, რამეთუ უხრწნელად უნდა დაეცვა მრავალთაგან არა მარტო წმინდათაწმინდა, არამედ აღამიანთა სიცოცხლეც, რომელიც მის მსგავსად განყოფადთან ერთად განუყოფადიცაა, გაებრწყინებინა ხალხთო [საქმეთა] ცოდნით. ენებათაგან დაცლილი ხელი უნდა მივიღეს ღვთივ სათნო ქმნილებათა მარტოვ და შინაგან ხილვამდე, ვნებით ავსებული კი იკურნებოდეს სხეულებრივი კანონების თანახმად და ამალღეს ღვთაებრიობამდე, უკვე განმტკიცებული სიმბოლური სახეებით შეიცნოს ღვთისმეტყველებითი ჭეშმარიტება, რამეთუ [სიმბოლოები] თავიანთ თავში შეიცავენ ღვთისმეტყველებითი ნათქვამის რაიმე სახეს, გონებითი ჭერუტით ხელმისაწვდომს.

II. ვგელასათვის ხილული ეს ქვეყანა წარმოგვიდგენს ღვთაებრივ უხილავს, – ამბობს პაულ¹ და ჭეშმარიტი სიტყვა. ამიტომაც ღვთისმეტყველნი განიზილავენ ხილულს სახალხოდ და კანონიერად, ხოლო უხილავს – წმინდად და უხრწნელად; ერთს აღამიანურად და საშუალოდ, მეორეს კი არაამქვეყნიურად და სრულყოფილად, ხან უხილავი აღათწესებით და ხანაც ხილული კანონებით, შესაბამისად უპირველეს წმინდა წერილთა,

¹ რომ. 1, 20.

გონებათა და ხელთა. წმინდა წერილი და ყოველი სიტყვა ლიტონი ისტორია როდი უნდა გვეგონოს, ყოველ სიტყვას ცხოველყოფილი სრულქმნა ახასიათებს. ნაცვლად მათი საჯაროდ განქიქებისა, მოწინებთი უნდა ჩავწვდეთ წმინდა სიმბოლოთა ხილრმეს, პატივი ვცუთ ღვთაებრივი წარმოსახვის ნაყოფსა და ანაბეჭდს, გამომოქმელების და ზებუნებრივის ხილულ სახებას. გამოსახვითი სიმბოლოებითა დაფერილი არა მარტო ზეარსული და გონითი ნათელი ¹, არამედ ყველაფერი ღვთაებრივი. რადგან ზეარსულ ღმერთს უწოდებენ ცეცხლს, ხოლო მის გონებაჭერეტიით ნათქვამს - ცეცხლოვანს, გონებაჭერეტიით და გონებაჭერეტიელი ანგულოზები მრავალყოფიანი და ცეცხლოვანი ღვთის ხათნო სახეებით იხატებიან. სხვაგვარად უნდა გავიგოთ ცეცხლის ხატება, როცა მისი საშუალებით გამოისახება ზეგონითი ნათქვამს ღმერთისა და - სხვაგვარად სიტყვა განჭერეტიით გონისა, სხვაგვარად კიდევ ანგულოზთა; პირველში მიზეზი უნდა ვცნათ, მეორეში - არსი, მესამეში - თანაარსი, და საერთოდ ისე, როგორც გვასწავლის განჭერეტი და ბრძნულწიობა. წმინდა სიმბოლოები არ უნდა აუერიოთ, როგორც მოგვხვდება, არამედ გამოუსახოთ მიზეზის, არსის, ძალის, თანამიმდევრობისა და ღირსების შესაბამისად იმ ნიშნებით, რომლებითაც ისინი საჩინო არიან. მოთხოვნის რაიმ არ დაეცილდეთ, დაიწყოებ შენ მიერ წერილში შემოთავაზებული [საკითხების] კვლევას. ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველგვარი საზრდო არის სრულყოფა მათთვის, ვინც იკვებება, რათა შეივსოს საზრდოს ნაკლებობა და სიმწირე. [საზრდო] ნუგეშს სცემს უძლურს, იცავს მის სიცოცხლეს, ფურჩქნის, ცხოველყოფს, მიჰმადლებს მის სიცოცხლეს სიტკბოებას და საერთოდ განაგებს დარდს; უსრულს ანიჭებს სიმზიარულეს და ხისრულეს.

III. კეთილად იგალოებება წმინდა სიტყვანში ზეკეთილი სიბრძნე, რომელმაც დადგა საიდუმლო ფიალა, აღმოაცენა მისი წმინდა სასმელი, სასმელზე უფრო ადრე კი დასდო მკვრივი საზრდო და ხმამაღალი ქადაგებით მოუწოდა მადედრებელთ სიკეთისაკენ. ღვთით ბოძებული საზრდო ორგვარია: ერთი მკვრივი და მუღმივია, მეორე კი ნოტიო და განფენადი. [სიბრძნე] ფიალაში ათავსებს თავისი სიკეთის წინასწარჭერეტას; ფიალა მრგვალია და ღია, იგი სიმბოლოა გაშლილისა და ყველასკენ მიმავლისა, დაუსაბამოსა და დაუსრულებელისა. ამასთანავე, ყველასაღში ბოძებული სიბრძნე თავისსავე

¹ გონითი ნათელი წმინდა სამებას გამოხატავს (მაქსიმე აღმსარებლისა და ვიორგი პეტაქერესის სქოლიოები).

თავში დგახ, რჩება უძრავ იგივეობად, თავისივე გამოუკვლევადი უცვლელად და მტკიცედ: თუთოსი ფიალაჯ ახე დგახ, ასეა ნათქვამი [ხალეთო წერილში]: ხობრძემ ასმენა ხახლი, მოამხალა მკვრივი ხაზრდო, ხახმელი და ფიალა, რათა გაეცხადებინა ხალეთონი ღვთაებმსუქნიერად.¹ ყოვლის დამაგვირგვინებელი გონი არის შიხეხი არსისა და კეთილდღეობისა, ვეკლას წიხამაკალა, ვეკლასი იძება, ვეკლას შიქიჯეს და ვეკლას აღუქაჭყბა; არც ერთისაგან და არცერთით არ შეისისხაზღვრება, არამედ ვეკლასაგან განსიორებელი, თავის თავში მარადიულია, თავისი თავითაა იგივეობა და მარადიულობა. არსი და მდგომარეობაც მუდამ ასეთივე აქვს. არც თავის გარეთ წარსიომეგება და არც არახოდეს ტოვებს თავის ხამყოფელს, უძრავ მყარობას და არსებას, არამედ მიიქვ თავის წინახწარხედვას კეთილმოქმედებით [ა რუელუებს]. ვრცელდება ვეკლასზე და რჩება თავის თავში, მუდამ დგახ და მომარობს, არც დგახ და არც მომარობს, არამედ, რაგორც ამბობენ, განიგებით მოქმედებს უძრავობაში; უძრავობა კი განიგებაში ერთბეჯეხად და ერთბეჯეხად აქვს.

IV. რა არის მკვრივი ხაზრდო და რა არის ნოჭით? კეთილი ხობრძე ხომ აღათი რიანუკის მომინაჭებლად და წინახწარმჭერეჭელად იგალობება. კვინებს, მტკიცე ხაზრდო შეხავებაა ხობრძის მარადიული ხრუელქმნისა და იგივეობისა, რის შედეგადაც მთილება მდგრადი და მღოერი, ერთიანი და განუყოფელი ხალეთო ცოდნა, რომლითაც უხალეთოეხი პავლე, ხობრძის მამულებელი, ჰქმსარტ მკვრივ ხაზრდოს გავლევს, ნოჭითი კი, განიუჩადთან ერთად, ვეკლასაგან მსწრაფეულ მდინარებას, რომელიც უერთა ხიჭრელით, ხობრძელთა და ღაფოეთი მთიუგანის გამოცეხბული რეთის მარტევი და წმინდა ცოდნამდე, მიგაუხად მათივე ხიკეთისა. ამრთვად, ხალეთონი და გონითი ხიჭრეები ემხგავებებიან ცერახა და წყალს, რძეს, რეხინსა და თაფლს, რამეთუ ცხოველმყოფელი მალსხათუკის წყალია, აღერმისინებისათვის რძე, ავღსნებისათვის რეხინი, განწმენისა და უხრწნელებისათვის თაფლი. ამას უხვად ამიჭებს ღვთაებრივი ხობრძე მისკენ მამაკალთ, უწვევტე ხალუკაგის მდინარებით და აღმორეხებით ეს ჰქმსარტე ნადიმთა. ამის გამო უგალობენ მას (დმერთს), ვითარცა ცხოველმყოფელს, სვავთა მკვებაჯს,² ამავარმისინებელს და ხრუელქმნელს. ამ წმინდა ნადიმის განმარტების მანქელეთი, თავად დმერთი, ვეკლა ხიკეთის

¹ იგივე 9.

² ხალეთო მკვრივი (ხობრძეთი ადმრთული) მამსხე აღმარებლის ამრთი, ეს ტერმინი მი მტეი მას მამსხეადის უღა იფეს აღვრკლი (თღ 127).

მიზეზი, მთვრალად იწოდება იმის გამო, რომ ნადიმის სავსეობა ყოველგვარ შეცნობაზე მაღლაა და, უფლის სადარად რომ ეთქვას, ნეტარება ღმერთისა უსრულყოფილესია და გამოუთქმელად უსაზღვრო.

ჩვენთან თრობა, ცუდი გაგებით, არის ღვინით უზომო ავსება და გონებიდან და აზრიდან განკრთობა; ხოლო უკეთესი გაგებით, ღვთაებრივი თრობა გაიაზრება, როგორც შესავსეობა, ყველა სიკეთის უზომო ფლობით გამოწვეული; ამის თანახმად, თრობით გონებიდან გამოსვლა არის ღვთაებრივი სიმაღლისა და ზეშთაგონების გამოსახვა, რაც მიუღწეველია ჩვენი გონებისათვის, ზეშთაგონებითია, გააზრებითია და ზეარსებითი. ღმერთი არის ერთსახე ყველა შესაძლებელი სიკეთისა და მთვრალი, რადგან ზესახევა, ყველა ამით და აღემატება ყველას და ყველაფერს. ამიერიდან სასურველია ამ სახით გავიგოთ წმინდანთა ნადიმები სასუფეველში. როცა ამბობენ, მე-უფე მოვიდა¹, მოუწოდა მათ პურობად და მოემსახურაო, წარმოგვიდგება წმინდანთა განუყოფლობა და ერთსულონება ღვთაებრივი სიკეთით, [წარმოგვიდგება] ეკლესია პირველშობილთა ზეცაში და მართალთა სულები, სრულქმნილნი და აღსავსენი ყოველი სიკეთით. [ნადიმზე] მოწვევაში ვგულისხმობთ მრავალ პრომათაგან დასვენებას, უჭრუნველ ცხოვრებას, მოქალაქეობრივ აღმაფრენას ნათელსა და ცოცხალთა ქვეყანაში, ყველა წმინდა სიტკბოებით აღვსებას. წმინდანები სიხარულით აღივსებიან, რადგან მათი მახარებელი იესოა, რომელიც მოუწოდებს, ემსახურება და ანიჭებს მათ მარადიულ განსვენებას, უნაწილებს და გადმოაფრქვევს სიკეთის სავსეობას.

VI. კარგად ვიცი, შენ ესწრაფვი ზეარსული საღვთო ძილისა და სიფხიზლის გამოცნობას. ასე ვიტყვოდი: საღვთო ძილი არის განკერძოება იმისა, რაც ღმერთში მიუღწეველია და წინასწარი ცოდნისათვის უცნობი. სიფხიზლე კი არის წინასწარი ცოდნა იმისა, თუ როგორ იხსნა ღმერთმა მისი მაკედონელი შვილნი. სხვა ღვთისმეტყველებით სიმბოლოებს შენ თვითონ ჩასწვდი. მე კი ზედმეტად მიმაჩნია ტრიალი ერთისა და იმავეს გარშემო, ან სხვა მოძღვართა სიტყვების გამეორება, რომელთაც უკვე ერწმუნეთ და კარგადაც იცნობთ.

ამ ეპისტოლეთი ვწვევტ თხრობას, დარწმუნებული, რომ მე უფრო მეტი ავიხსენი, ვიდრე შენი წერილით მოითხოვდი. ამას გარდა, გიგზავნი

¹ ლუკ. 12,37.

ჩემს ხალხთისმეტყველო სიმბოლიკას,¹ სადაც იპოვი, რა არის სიბრძნის სახლი, მისი შვიდი სვეტი და მკერივი საზრდო, სამსხვერპლოდ და პურობად განკუთვნილი. რა არის ღვინის შერევა? ან სიმთერალე ღვთის სასმელათ? რაც აქ ვთქვი, [იმ წიგნში] უფრო გულმოდგინედაა გარჩეული. მჯერა, განმარტებული ყველა სიმბოლოთი მისწვდები ხალხთო წერილთა წმინდა მოძღვრებას და ჭეშმარიტებას.

ვენაპი სარდელი

პროკოპი კესარიელის, აკათიას, ევხევი კესარიელისა და მენანდრეს გვერდით ისტორიოგრაფიის წარმოდგენა ვენაპი სარდელის ცუდად მოღწეული „დექსიპეს ისტორიის გაგრძელებით“ სრულიადაც არ არის შემთხვევითი და მრავალმხრივ გამართლებულია. უპირველეს ყოვლისა გამართლებულია იმით, რომ ვენაპი – პიროვნება და ავტორი, როგორც პ. პუნგერი აღნიშნავს, მართლაც „ტიპიური წარმომადგენელია გვიანანტიკური განათლებულობისა“. ხარდაში 345 წ. დაბადებული ვენაპი, მგზნებარე წარმართი, ჯერ იმპერატორ იულიანეს მასწავლებელს და მის მიერვე ლიდის უმაღლეს ქურუმად – კონტიფექსად დანიშნულ ქრიზანთიოსს დაემოწაფა, შემდეგ – 362-367 წწ. ში ათენში ათენელ სოფისტებს შორის ყველაზე განთქმულთან – პროერესიოსთან განაგრძო სწავლა და ელევსინის მისტერიებსაც ეზიარა; სამშობლოში დაბრუნებული, უკვე სოფისტიკის მასწავლებელი, კვლავ ქრიზანთიოსთან ისმენდა „უმაღლეს ფილოსოფიურ მოძღვრებას“ და მასთან ერთად კითხულობდა ნეოპლატონიკოს იამბლიქოსის თხზულებებს. მისით შთაგონებულა, აღწერს იგი თავისი დროის 23 ფილოსოფოსას, სოფისტისა და ექიმის ცხოვრებას, რაც IV საუკუნის ფილოსოფიას ისტორიის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ჩვენითვის. ვენაპი მედიცინამიც კარგადაა განსწავლული, მისი მეგობარია იმ დროისათვის განთქმული ექიმი ორიბასიოსი, რამელიამაც მისი დაჯინებით დაწერა

1 „ხალხთისმეტყველო სიმბოლიკა“ დიანასე არკოპაგელის ერთ-ერთი ნაშრომი იმ შვიდი თხზულებადან, რომელთაც ჭეშმადე არ მოუღწევიათ (Roques, Dionysios Areopagita, Reallexikon für Antike und Christentum, Stuttgart, 1957, III. Col. 1080; Псевдо Дионисий Ареопагит, О божественных именах, пер. Г. Дихалонича, Буенос-Айрес, 1957, предисловие)

სამედიცინო ტრაქტატი ფართოდ გამოყენებული წამლების შესახებ და რომელმაც, თავის მხრივ, ეენაპის ისტორიის დაწერა აიძულა.

ჩვენამდე (კულად მოღწეული, ანტიპრისტიანული განწყობის გამო ეენაპის მიერვე გადამუშავებული, ახალი რედაქცია დექსიმეს ისტორიისა, რომელსაც 14 წიგნისაგან შედგებოდა და 270-404 წწ.-ს მოიცავდა, ფოტიოს პატრიარქის სიტყვებით რომ ვთქვათ, ძირითადად „იულიანეს შესხმას“ წარმოადგენს. ეს, ბუნებრივ ა. განსაზღვრავს მთელი თხზულების ხასიათს, რაც წარმართთა განდიდებასა და ქრისტიანთა დამდაბლებაში გამოიხატება. მკვეთრი ინდივიდუალობა ავტორისა გამოსჭვივის არა მხოლოდ ისტორიული მოვლენებისადმი დამოკიდებულებაში, არამედ ისტორიულ პირთა ხასხების ძერწვაშიც, რისთვისაც, მართალია, სამეფო ჭორებსაც იყენებს, მაგრამ სწორედ ამიტომაც იძლევა ალბათ ასეთ ცოცხალ და ხაინტკერესო ხასხებს თავისი ისტორიის გმირებისას. მკვეთრად ინდივიდუალურია აგრეთვე ეენაპის ენობრივი სტილი, დატვირთული რიტორიკული ფიგურებით, მეტაფორებით, სინტაქსური მოღერნიზმებით. მასში ამაღლებული სტილი ხშირად ერწყმის კონეს.

მაგრამ სიტყვას ნულარ გაეაგრძელებთ, რადგან ეენაპი თვითონ გვაძლევს თავისი პიროვნებისა, განათლებისა, მეთოდისა და მიზნის საუკეთესო დახასიათებას ისტორიის შესავალ ნაწილში, რომლის ამ კრებულში შეტანა აგრეთვე არ არის შემთხვევითი, რადგანაც ავტორისეული თვითშეგნების შესწავლა ისტორიულ თხზულებათა შესავალის მიხედვით დღეს განსაკუთრებით აქტუალურია და ეს სამუშაო ეენაპის მიმართ ჯერ კიდევ ჩასატარებელია.

დექსიმას შემდგომი ისტორია

I წიგნი

შესავალი

ათენელმა დექსიმემ დაწერა ათენში არქონტთა მმართველობის ისტორია იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც იქ არქონტობა დაიწყო და

ამას მიამატა რომაელი ჰიპატოსებიც. [ისე კი] თხზულება საკუთრივ კონ-
 ხულებამდე და არქონტებამდე იწყება. მისი ისტორიის ერთი ძირითადი
 ნიშანია უგულვებელყოფა უძველესისა, რაც პოეტური წარმოშობისაა, და
 მკითხველის ყურადღების მიპყრობა იმისაკენ, რაც სინამდვილეს შეეფერება
 და მეტად დამარწმუნებელია, აგრეთვე ძველთაძველის მომდევნო, ხში-
 რად დადასტურებული მოვლენების შეგროვება და ზუსტი ისტორიისა და
 კუშმარიტი მსჯელობის [მისაღწევად მათი თხზულებაში] ჩართვა. ამრიგად,
 დექსიანე გადაჭრით დგას ასეთ პოზიციაზე და დროს ითვლის, საზღვრავს
 რა მას ოლიმპიადებისა და თითოეულ ოლიმპიადაში არქონტების მიმდევ-
 რობის [მიხედვით]. სილაშაზით აღსავეს კარიბჭე რომ დაუყენა თავის ის-
 ტორიას, გზა განაგრძო და [მისი] შინაგანი ბრწყინვალებაც გამოაჩინა,
 ხოლო ზღაპრული და ძველთაძველი, როგორც გადაგასული და გაფუჭებული
 წაძალი, განზე გადადო და თავის შემთხვევებს მიანდო. როდესაც ეგვიპტის
 ხანაზე მოგვითხრობს და თითოეული [ხალხის] უპირველესი და უძველესი
 ხათავეებისაკენ იკვლევს გზას, წარმოგვიდგენს რა მმართველებსა და ის-
 ტორიის მამებს, ნათელყოფს და თითქმის წყაროებით ადასტურებს, რომ
 მათ მიერ გადმოცემული ყოველი არასარწმუნო ამბავი სხვებისგანაა გა-
 დმოღებული. თვითონ კი ისტორიას მრავალ და საინტერესო მონათხრო-
 ბებისაგან ქმნის და ისინი, შეკუმშული და შემოკლებული, ისე შეაქვს თა-
 ვის თხზულებაში, როგორც სხვადასხვა და სასარგებლო წვრილმანი ნელ-
 საცხებლების ერთ ფარდულში. ყველაფერს, რაც ადამიანთა საზოგა-
 დოებაში ხსენების ღირსია და რასაც ვაქეაცთა სიქველის წყალობით გან-
 საკუთრებული სახელი მოუპოვებია, სწრაფად გადაურბენს და მიმო-
 იხედავს, დაბოლოს, ისტორიას ამთავრებს კლავდიოსით, კლავდიოსის
 მმართველობის პირველი წლით, როცა ამან მეფობა დაიწყო და დაამთავრა
 (რომაელი [მხოლოდ] ერთ წელს მმართველობდა, თუმცა ზოგი მას მეო-
 რესაც მიათვლის). შემდეგ [დექსიანე] აღნუსხავს ამდენ და ამდენ ოლიმპიადას,
 მასში ჰიპატოსებს და არქონტებს და ათასწლეულს ადგენს, თითქოს ეჭვობს,
 რომ შესძლებს ბოლო კი არა, სულ მცირე ხნის შესახებ მკითხველისათვის
 სათქმელის გადაცემას. მე კი, რომელმაც ეს საქმე ჩავიფიქრე, თვითონ დე-
 ქსიანესაგან მაქვს ნასწავლი და გაგონილი, თუ როგორ და რამხელა სა-
 შიშროებას წარმოადგენს ცალკეული წლების მიხედვით ისტორიის წერა
 და მკითხველის წინაშე გამოტყდომა, რომ ეს დროის თვალსაზრისით არ
 არის კუშმარიტი, რომ ერთნი — ასე, მეორენი კი სხვანაირად თვლიდნენ;

საშიშროებას წარმოადგენს თვალნათლივ საკუთარი თავის დადანაშაულება მსგავსად დექსიპესი, [რომელიც ამბობს], რომ წერს რა ისტორიას, იძლევა უმეთაურო საკრებულოს მსგავს მცდარ და წინააღმდეგობებით აღსავსე თხზულებას. კარგად მესმის ბეოტიური ანდაზის [აზრიც]; ასე დაკვრა ავლოსზე არ შეიძლებაო. ამასთან ვმსჯელობდით, რომ ისტორიის აზრი და საუკეთესო მიზანია მოვლენათა აღწერა მათი რაც შეიძლება ნაკლები გადაკეთებით და სწორი აღდგენით. თარიღების ზუსტი აღწერისთვის კი, როგორც თავისი ნებით მოსული დაუპატიებელი მოწმეები, ამაში დახმარებას ვერ გაგიწევენ. [მაგალითად], რას შეჰმატებს ქრონოლოგია სოკრატეს სიბრძნეს ან თემისტოკლეს სიდიადეს? განა მათი კეთილმშვენიერება ზაფხულის გამო იჩენს თავს? განა მათი სიქველეები ფოთლებივით წლის დროთა მიხედვით აღმოცენდებიან და ცვივიან? თითოეული მათგანი ხომ [თავის] მოღვაწეობაში ერთნაირად ჭარბად და მუდმივად ავლენდა და ინახავდა [ყველაფერს], რაც კი საუკეთესო ჰქონდა ბუნებაში და თვისებებში. რა მნიშვნელობა აქვს ისტორიის საბოლოო მიზნისათვის იმის გარკვევასა და ცოდნას, რომ ზაზღვაო ბრძოლაში სალამინთან ბერძნებმა ძაღლის თანავარსკვლავედის ამოხელის დროს გაიმარჯვეს? რა დახმარება გაუწია მკითხველს ისტორიის გამოყენების თვალსაზრისით [იმან], რომ ამა და ამ დღეს დაიბადა დიდი ლირიკოსი ან საუკეთესო ტრაგიკოსი? თუკი ისტორიის საბოლოო მიზანია მოკლე დროში და მცირე ხნის კითხვის შემდეგ [მკითხველმა] მშვენიერ, მრავალ და უცნობ საკითხებში მიიღოს გამოცდილება, წარსული მოვლენების ცოდნით ახალგაზრდა მოხუცად იქცეს და ამრიგად იხსნავს, რას გაექცეს და რა შეიძინოს? ჩემი აზრით, სრულიად საწინააღმდეგოს აკეთებენ ისინი, ვინც ზედმეტისა და არასაჭიროს ჩართვით ისევე აფუჭებენ ისტორიას, როგორც უცხო სუნელი სადილს, და უსიამოვნო სიტყვებით ამახინჯებენ მშვენიერ მონათხრობებს. მაგრამ ალბათ რაიმე ზედმეტის ცოდნაც არაა ხელის შემშლელი განსაკუთრებით იმის გამო, რომ, როგორც დექსიპე ამბობს, ქრონოლოგიური ცნობების ირგვლივ ან ყველა, ან უმრავლესობა ერთმანეთს ეწინააღმდეგება, შორეული და ნათელი მოვლენების შესახებ კი შეთანხმებულნი არიან. იმისთვის, ვისაც ისტორიასთან აქვს კავშირი, ანდა ვისაც ეს კავშირი გაუწყვეტია, ვინაა უფრო ცნობილი ლაკედემონელ ლიკურგზე, რომლის შესახებაც ყველას პირზე აკერია ღვთის მოწმობა, — [ღმერთისა], რომელმაც იგი ღმერთად შერაცხა კანონების შედგენისათვის. ყველა შეთანხმებულია და ერთსულოვანი

[იმაში], რომ იგი იყო, ისევე, როგორც ფიქრობენ, რომ არის შენობა, ბოძი ან სხვა რაიმე ამგვარი, მაგრამ თუ როდის — ამის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებით ავსებენ წიგნებს. თუკი დიდუ ვეღაზე ზუსტი ისტორიკოსებს შორის, ამბობს, რომ იმ დიდი და მრავალჯერ შესხმული ომის განახლების საბაბი და მიზეზი მოდიოდა დღეების თარიღზე მომხდარი უთანხობებიდან, რომელიც [ბერძნებში] ქალაქების აღების თარიღის გამო წარმოიშვა. და თვითონაც არ შეუძლია ნათლად და ზუსტად იმის გარკვევა, ვინ უფრო სწორია. მაგრამ ამ დღეებს როცა ეხება, ნათელყოფს და უჩვენებს, რომ ქრონოლოგიით დაინტერესება და მისთვის ყურადღების მიქცევა უსარგებლოა და არასაჭირო.

ამგვარ და კიდევ ბევრ სხვა რამეს ვფიქრობ და ეწყვეტ ჩემთვის და ქრონოლოგიით დაინტერესებულთ და მასზე მათუშავეთ ვარსმუნებ, რომ სათისა და დღის [აღნუსხვის] სიზუსტე მდიდართა საქმის მწარმოებლებსა და ანგარიშის მცოდნეებს შეჰფერით და, ვფიცავ ზევსს, კიდევ იმათ, ვინც ცას პირდაფენილი [შესცქერის] და რაცხვებს ჩახჯლომია. თვითონ კი წინასწარ ეუცხადებ მკითხველს: ჩემს თავში დარწმუნებულმა, რომ შემიძლია ავღწერო წარსული და ახლანდელი მოვლენები, როცა ამ საქმეს ხელი მოვკიდე, როგორც არასაჭირო, უარეყავი თხრობა წლისა და დღის მიხედვით და [ჩავთვალე], რომ უფრო სწორი იქნებოდა აღმენუსხა დრო, რომელიც მეფობით იქნებოდა განსაზღვრული. ამრიგად, გაიგებენ, რომ ესა თუ ის მოვლენა ამა თუ იმ მეფის [მმართველობისას] მოხდა, ხოლო წლისა და დღის გასარკვევად სხვა დაშვრეს ამაოდ. ჩემს თავში ასე დარწმუნებული, იმ ხალხს დაყოლილი ვწერ, რომლებიც განსწავლულობით ჩვენში გამორჩეულნი არიან და რომლებმაც დამარწმუნეს, გვერდი არამეულო დემილით იმ საზოგადო საქმეებისათვის, ჩვენს დროში რომ ხდება, აგრეთვე ჩვენზე ადრე რომ ხდებოდა დექსიპეს ისტორიის შემდეგ, მაგრამ არც თხრობაში და არც ისტორიულ თხზულებაში არ არის აღწერილი. ეს იყო ჩემი და მათი საერთო შრომა და გადაწყვეტივით, რომ [ამ შრომაში] ვეღაფერი დაუკავშირდეს იულიანეს, რომელიც ჩვენს დროში მეფობდა და რომელსაც ვეღლა, როგორც ღვთაებას, ეთაყვანებოდა.

II წიგნის შესავალი

... ამიერიდან [ჩემი] თხრობა იმისაკენ იქნება მიმართული, ვისკენაც თავიდან იყო. აუცილებელია შევჩუქდეთ საქმეებზე, როგორც იმაზე, რაც [ჩვენი] ტრფობის საგანია. მაგრამ, ზევსსა ვფიცავ, იმიტომ კი არა, რომ ნანახი და ნაცნობია (რადგანაც ამის დამწერი მისი მეფობის დროს ბავშვი იყო), არამედ იმიტომ, რომ ყველა ადამიანის საერთო გრძნობა და შეთანხმებული აზრი მის შესახებ არის რაღაც საოცარი და ურყევი რამ, რაც მისი სიყვარულისკენ [გვიბიძგებს]. როგორ შეიძლება გაეჩუქდეთ იმის შესახებ, რის შესახებაც არასოდეს არავინ არ გაჩუქებულა? როგორ არ ითქვას ის, რაც იმათაც კი პირზე ეკერათ, ვინც მსჯელობაში გაუწაფავი იყო და ვისთვისაც ეს ტყბილ და უძვირფასეს დროისტარებას წარმოადგენდა?...

მე 10 ფრაგმენტი

თუღიანე ხელქვეითებს და მოწინააღმდეგეებს ასწავლიდა, თუ რა სიქველესით უნდა ხელმწიფობდეს ჭეშმარიტი ხელმწიფე და რომ ხისამაც, ძალა და ხელების სიმძლავრე მხოლოდ ისეთ მტერთანაა საჭირო, წინააღმდეგობას რომ გიწევს. სამართლიანობა ძლიერებასთან ერთად, როგორც წყარო სიქველეებისა, ისეთ მტერსაც კი ამარცხებს და იმორჩილებს, რომელიც იმჯერად მის წინაშე არა დგას. შთაბგონებდა რა ამ სიქველეებს ყველა [თავის] ხელქვეითს და თესდა რა [მათში] ფილოსოფიის თესვებს, რომაელებს კვარცხლბეგიდან მოუწოდებდა, რომ უსამართლოდ არ მოქცეოდნენ ხალიების [გვარის] არცერთ [წარმომადგენელს] და არ გაეცამტავერებინათ და გაემარცხათ მშობლიური ქვეყანა. მშობლიურ [ქვეყანად] კიო, - ამტყიცებდა, ის უნდა ჩაითვალოს, რასაც უბრძოლველად და შრომის გარეშე ფლობ. მოწინააღმდეგის [ქვეყანად] აუცილებელია იმის უნდა ჩაითვალოს, რასაც მოწინააღმდეგეები ფლობენ, [შენს] საკუთრად კი ის, რაც იმათია, ვინც ეს ქვეყანა დათმო.

თუღიანე ჩვეულებისამებრ იმებს კი არ იწევბდა, არამედ გამარჯვებებს.

V საუკუნის საისტორიო მწერლობის წარმომადგენელია, უფრო ზუსტად, საისტორიო მწერლობის იმ სახისა, რომელსაც სიმ.ყაუხჩიშვილი „ისტორიის“ სახელწოდებით გამოკვოფს „საეკლესიო ისტორიისა“ და „ქრონოგრაფიის“ გვერდით. ოლიმპიოდორე „სარწმუნოებით ელნია“, როგორც თავისი ეპოქის მოღვაწე, ანტიკური ისტორიოგრაფიის ტრადიციებს იცავს, განაგრძობს ევნაპი სარდელის „ისტორიას“ და ფრიად საინტერესოდ აღწერს 407-425 წლების ამბებს. ოლიმპიოდორე თებელის თხზულება შემონახულია ფოტიოსის „მირიობიბლიონში“; ასე რომ ამ (ოლიმპიოდორეს) „ისტორიის“ მთხრობელი ფოტიოსია.

გასულ საუკუნეში ს.დესტუნისმა რუსულად თარგმნა ოლიმპიოდორეს „ისტორია“ (იხ. Византийские историки, пер. С.Дестуниса, дополненный примечаниями Г.Дестуниса, СПб., 1981, გვ. 179-216); ხოლო ჩვენს დროში ე.ჩ. სკრეინსკაიამ გამოაქვეყნა თავისი თარგმანი, რომელსაც დაურთო შენიშვნები და გამოკვლევა (ВВ, VIII, 1956, გვ. 223-276). ეფიქრობთ, ს.დესტუნისის თარგმანი ღუდანთან უფრო ახლოს დგას (ხოლო, რამდენადაც ბერძნული წყარო დაზუსტებულია, მოსახსენელია პირობითობა სხვადასხვა ღუდანზე მუშაობისა). ე.ჩ.სკრეინსკაიას თარგმანში არაერთი მცირე თუ დიდი უზუსტობა ვნახეთ. ვსარგებლობდით ლათინური თარგმანითაც, რომელიც ახლავს ბერძნულ ტექსტს (Corpus scriptorum Historiae Byzantinae, Bonnae, 1829). ჩვენი შენიშვნები (უნდა ითქვას, საკმაოდ ძუნწნი) მეტწილად ასახავენ წაკითხვათა სხვადასხვაობას. Feci, quod potui.

წაკითხულ იქნა ოლიმპიოდორეს 22 ისტორიული წიგნი. იწყება რომის მეფის პონორიოსის მეშვიდე კიპატოსობიდან¹ და თეოდოსიოსის მეორე კიპატოსობიდან, ხოლო გრძელდება [თხრობა] იმ დრომდე, როდესაც ვალენტინიანოსი, პლაკიდიასა და კონსტანტიოსის ძე, რომის მეფედ აღიარებულ იქნა. ეს აღმწერელი თებელია, წარმოშობით ეგვიპტის თებედან;

¹ *πρωτῆς* გულისხმობს კონსულს.

როგორც თვითონ ამბობს, ხელობით მწერალია, ხარწმუნოებით ელინი. ნათელი მეტყველება აქვს, მაგრამ გაუმახვილებელი და მდორე, მიდრეკილი საყოველთაოდ გამიზნულ სიტყვათა ნაკადისაკენ. ამრიგად, წიგნი არ არის ღირსი, რომ თხზულებად იწოდებოდეს. ავტორსაც ასევე ესმოდა, რომ მოაშხადა არა თხზულება, არამედ თხზულების მასალა, რომლითაც აპირებდა თხრობას. ასე უსახური და გაუნაღსავე ეჩვენებოდა მასაც წიგნის ხასიათი. დიალაც, [ნაწარმოები] არავითარი მხატვრული ხაზით არ არის დამშვენებული. თუ იგი რამით უბრალოებას უახლოვდება, [ეს სიკეთეც] ძნელად მიხახვედრია, რადგან ფრიალდი უბრალოებითაც კი გახამალებული, მასაც (უბრალოებასაც) შორდება და მთლიანად უღიმღაო [სტილს] ექვემდებარება. თუმცა ამას თავად ისტორიის მასალას უწოდებს, წიგნებადაც კყოფს და შესავლებით შემკობასაც ცდილობს; თანაც ისტორიას უძღვნის თეოდოხოსს, რომელიც ჰონორიოსის და პლაკიდიას ძმისწულად ითვლებოდა და ძე იყო არკადიოსისა.

ამრიგად, მოგვითხრობს სტელიქონის შესახებ, თუ როგორი უფლებით შეიმოსა, როდესაც ყრმათა – არკადიოსის და ჰონორიოსის – მეურვედ დააყენა მათმა მამამ თეოდოხოსი დიდმა, და როგორ შეეუღლა კანონიერი ქორწინებით ხერენას, რომელსაც იგი თეოდოხოსისა და უახლოვა და გაურიგა. [მოგვითხრობს], რომ ამის შემდეგ სტელიქონმა თავისი ქალიშვილი თერმანტია მეფე ჰონორიოსს ცოლად შერთო; [მოგვითხრობს], თუ როგორ იქნა აყვანილი ძალაუფლების უფრო მაღალ საფეხურზე, რომ ბევრჯერ გამართა ბრძოლა რომაელებისათვის სხვადასხვა ხალხის წინააღმდეგ; რომ ოლიმპიოსი, რომელიც თავად დაუშინაურა მეფეს, მკვლელის მწიკლოვანი და არაადამიანური მოწადინებით მოაკვდინა.

[მოგვითხრობს], რომ გუთების ტომის მთავარი ალარიქოსი, რომელიც სტელიქონმა მიიხმო ჰონორიოსისათვის ილირიკონის დასაცავად (ხოლო ეს სამეფო მას რგებოდა მამის – თეოდოხოსისაგან), ეს ალარიქოსი სტელიქონის მკვლელობის გამო, რაკი დანაპირებს ვერ იღებს, ალყას არტყამს და ანადგურებს რომს. იქიდან აურაცხელი საფასე წაიღო და ჰონორიოსის დაჰ პლაკიდია, რომში მყოფი, დაატყვევა.

რომის დაპყრობამდე ერთი რომში განთქმულ პირთაგანი (ატალოსი იყო მიხი ხახელი), იმ დროს ვპარქოსად წოდებული, მეფედ აღიარა. ეს მოხდა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო და იმიტომაც, რომ ხაროსი, თავად გუთი, რომელსაც მცირე ჯგუფი ებარა (ორას-სამას კაცამდე აღწევ-

და ამათი რიცხვი), ხოლო გმირი იყო და ბრძოლებში უძველესი, ეს [ხაროსი], აღარიქოსი რომ მტრად უყურებდა, რომაელებმა დაიძველებეს და აღარიქოსი შეურიგებელ მტრად გაიხადეს.

[მოგვითხრობს], რომ რომის ალყის დროს სახლეულნი ერთმანეთს ჭამდნენ; რომ სტელიქონის სიცოცხლეში აღარიქოსმა ირმოცი კენტინარია მიზღი მიიღო ლაშქრობის დასაწყებად; რომ სტელიქონის სიკვდილის შესდეგ დაახრჩეს სერნაც, მისი მეუღლე, რომელსაც თვლიდნენ აღარიქოსის რომზე ლაშქრობის მიზეზად; უფრო ადრე კი, [ოღონდ აგრეთვე] სტელიქონის სიკვდილის შემდეგ, [მოკლულ იქნა] ამათი ძე ვეპტროსი.

[მოგვითხრობს], რომ კონორიოსის დროს სახელ „ბუკელარიოსს“ ატარებდნენ არა მხოლოდ რომაელი ჯარისკაცები, არამედ აგრეთვე ზოგნი გუთთაგანნი. ასევე ფედერაციის [მომხრებად] იწოდებოდნენ მრავალნი უწესრიგონი და აღრეულნი.

[მოგვითხრობს], რომ ოლიმპიოსი, სტელიქონის მიმართ ბოროტის-მზრახველი და დამლუპველი, ოფიცროსთა მაგისტროსი¹ გახდა; შემდეგ ჩამოგდებულ იქნა მთავრობიდან, მერე კვალად აღზევებული და კვალად ჩამოგდებული. ბოლოს კონსტანციოსის ნებით, [კონსტანციოსის], პლაკიდა რომ ჰყავდა ცოლად, კეტებით ნაგვემი დაიღუპა, ხოლო ჯერ ყურები მოჰკვეთეს. სამართალმა უღირსი საქმეების მოქმედი საბოლოოდ არ გაუშვა დაუსჯელი.

როდოგაისოსთან ერთად გუთების მოთავეები ოპტიმატოსებად იწოდებოდნენ. ისინი, ვისი რიცხვიც თორმეტათასს აღწევდა, სტელიქონმა დაამარცხა, და როდოგაისოსი მოკავშირედ გაიხადა, როდესაც სხეული აღარიქოსი აღესრულა, მისი ცოლის ძმა ადაულფოსი დადგა ხანაცვლოდ.

მწერალი ამბობს, რომ გამხმარ პურს ბუკელატონი ეწოდება, და დასკინის ჯარისკაცთა სახელთმოღვაშობას, თითქოს ამის (ბუკელატონის) მიხედვით ბუკელარიონებად იწოდებოდნენ.

კონსტანტინე ტირანად რომ აღზევდა, ელჩები გაუგზავნა კონორიოსს და მოახსენა თავის გასამართლებლად, რომ ჯარისკაცებისაგან იძულებული შეიქმნა ემთავრა, ითხოვა პატიება და მეფობის პატივის ზიარება. მეფემ შექმნილი მძიმე ვითარების გამო შეიწყნარა მეფობის ზიარების [თხოვნა], ხოლო ბრეტანიამ კონსტანტინემ მიადღწია აღიარებას, იქაურ ჯარისკაცთა

¹ ლათინური თარგმანით: officiorum magistrum factum. იხ. ვ. ჩ. სკრეინსკაის შენ. 38.

ამბოხის წყალობით ამ ძალაუფლებას მიმისხვეულმა, *ბრეტანიში უკრ კოდვე მანამდე*, ხანამ ჰონორიოსი შექმნილად გასდებოდა პასპარისი, *ბრეტანელ* მოლაშქრეთა შეთქმულება აღიძრა და თვითმპყრობელად იქნა აღიარებული ვინმე მარკოზი. როდესაც ეს უკანასკნელი მათვე მოკლეს, გრატაციოსი დააყენეს მის ადგილზე. ამან ოთხ თვეში იხე მოაბეზრა მათ თავი, რომ მოკლეს; მაშინ კონსტანტინე თვითმპყრობელის ხაზვლით შეიშოხა. მან იუსტინოსი და ნეობიგასტესი მხედარსმთავრებად დააწინაურა და, დატოვებრა ბრეტანია, თავისიანებთან ერთად გაემართა *ფრეჯთ წოდებულ ბონონიაში*, რომელიც გალიელთა საზღვარზე მდებარე პირველი ზღვისპირა ქალაქი იყო. ხანამ იქ იდგა, გალების და აქვიტანების მთელი ლაშქარი გადამხიზა, დაიპყრო გალატიის ყველა ნაწილი აღკებამდე, რომლებიც იტალიასა და გალატიას შორის [მდებარეობენ]. ამას ორი შეიღი ჰყავდა: კონსტანტინე და იულიანოსი. მათგან კონსტანტი კუისრად ხელდადსხმულ-ყო, რაბიუნებდღლის შემდეგ კი იულიანოსიც წარჩინებული გახდა.

ატალოსმა თავის მეფობაში ჰონორიოსის წინააღმდეგ ილაშქრა რავენას. მასთან, როგორც მეფესთან, თითქოს ჰონორიოს მეფისაგან იგზავნება იობიანოსი, ეპარქოსი და პატრიციოსი,¹ ვალები, ორთავე ძალთა სტრატეგოსი, კვესტორი პოტამიოსი და იულიანოსი, მწიგნობართა პრიმიკერიოსი. მათ განუცხადეს ატალოსს, რომ გამოგზავნილი არიან ჰონორიოსისაგან მეფის თანამოსაყდრეობის თაობაზე. მან (ატალოსმა) იუარა, მაგრამ შეჰპირდა, რომ ჰონორიოსი უვნებელი იქნებოდა, თუ იცხოვრებდა კუნძულზე ან სხვა რომელიმე ადგილას, სადაც ინებებდა იობიანოსი. გახარებულმა იობიანოსმა პასუხად მოსთხოვა, სხეულის ერთ-ერთი ასო მოეკვეთა მეფე ჰონორიოსისათვის,² რაზედაც ატალოსმა შეურაცხველი იობიანოსი, რადგან არ არსებობდა არავითარი წესი დაესახიჩრებინათ მეფე, რომელიც ნებაყოფლობით აიღებდა ხელს მეფობაზე. მაგრამ იობიანოსი ხშირად მოციქულობდა, თუმცა ვერაფერი გააწყო და დარჩა ატალოსთან. ატალოსის პატრიციოსად სახელდებული. ხოლო რავენაში ძალაუფლება გადავიდა მესაწოდლე ევსებიოსის ხელში, რომელიც კარგა ხნის შენდვდ აღობიქოსის ძალმომრეობის გამოისობით და ხალხის მოთხოვნის თანახმად

¹ ლათინური თარგმანით -- praefectus atquo patricius.

² ლათინური და რუსული თარგმანების თანახმად, აქ ლაპარაკი შესაძლებად ჰაუგის კრია ნაწილის ზამოქრაზე ან დარბევაზე.

თვით მეფის თვალწინ კეტებით იქნა მოკვდინებული. კარგა ხანი გავიდა, მაგრამ ატალღისი არ დაემორჩილა აღარიქოსს, მეტადრე იობიანოსის დაჟინებული თხოვნით, — [იობიანოსისა], რომელმაც უარი თქვა პონორიოსის მოციქულობაზე, დაკარგა საპეფო ძალაუფლება, დარჩა აღარიქოსთან და ცხოვრობდა როგორც კერძო პირი. შემდეგ იმეფა, ჩამოაგდეს, მას მერე მიდის რავენაში და, მარჯვენა ხელის თითებმოკვეთილი, ექსორია-ქმნილია.

ცოტა ხნის შემდეგ აღობიქოსი, რომელმაც შური იძია მესხაწოლე ვესებიოსზე და მოაკვდინა, მეფის ნებით მის (მეფის) თვალწინ მოკვდინებულ იქნა. ტირანმა კონსტანტინემ აღობიქოსის სიკვდილი შეიტყო და, რავენაში მიმავალი პონორიოსთან მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის, შეშინებული უკან მობრუნდა.

რეგიონი ბრეტისი დედაქალაქია, საიდანაც, როგორც მემატიანე ამბობს, აღარიქოსს სურდა სიცილიაში გადახულიყო, მაგრამ შეაჩერეს, სახელდობრ, სამისხოდ აღმართულმა ქანდაკებამ, ამბობს [მემატიანე], და აბრკოლა გადახვლა. ხოლო [ქანდაკება], თქმულების თანახმად, მიძღვნილი იყო ძველი [სალოცავებისადმი] ეტნას ცეცხლისაგან განსარიღებლად და ბარბაროსების ზღვით გადმოსვლის დასაბრკოლებლად. ერთ ფეხს დაუშრეტელი ცეცხლი სწვდებოდა, მეორეს დაუწყვეტელი წყალი. მისი განადგურების შემდეგ სიცილიამ ზარალი განიცადა ეტნას ცეცხლისაგან და ბარბაროსებისაგან. ქანდაკება დაამხო ასკლეპიოსმა, რომელიც სიცილიაში კონსტანტინოსის და პლაკიდიას ხაცხოვარის გამგებლად იდგა.

ტირანი კონსტანტინე და ძე მისი კონსტანტი, რომელიც პირველად კეისრად, ხოლო შემდეგ მეფედ ხელთდასხმულ იქნა, დამარცხდნენ და გაიქცნენ. მაშინ მხედართმთავარმა გერონტიოსმა, რომელიც სიხარულით დაუზავდა ბარბაროსებს, ძე თვისი მაქსიმოსი, ღომესტიკოსის ხარისხის მქონე, მეფედ აღიარა. შემდეგ დევნიდა კონსტანტის, მოაწყო მისი [მკვლელობა] და ფეხდაფეხ მისდევდა და აოცებდა მამასაც — კონსტანტინეს. ამახობაში კონსტანტი და უღფილასი პონორიოსისაგან კონსტანტინესთან იგზავნებიან. მიადგნენ არელატოსს, სადაც იმყოფებოდა კონსტანტინე თავის ძესთან იულიანოსთან ერთად, და აღუვა შემოარტყეს. მაშინ კონსტანტინე გაიქცა სალოცავში, პრესბიტერად ხელთდასხმული; მას მისცეს ხსნას ფიცი. მოაღწევებს ქალაქის ჭიშკარი განეხსნათ და კონსტანტინე ძესთან ერთად იგზავნება პონორიოსთან. ამ უკანასკნელს კი აუად ახსოვდა, რაც შეამთხვია მის ძმისწულებს კონსტანტინემ, მათმა მკვლელმა, ბრძანა რავენიდან

30 მილის მანძილზე, ფიცის მოუხედავად, მოეკვდინებინათ ისინი. გერონტიოსი გაიქცა, რადგან უახლოვდებოდნენ ულფილა და კონსტანტი. შეპყრობილი იმის გამო, რომ მკაცრად განაგებდა საკუთარ ლაშქარს, სწორედ მათხავე ნებას დაეჭკმლებარა. სახლი გადაუსწევს. იგი თავგამოღებით ებრძოდა წინააღმდეგობებს და ერთი თანამებრძოლი ჰყავდა, ტომით ალანი, მის მონად შერაცხული. ბოლოს ალანი და ცოლი მოაკვდინა, რადგან მათ ასე ხურდათ, და თავიც დააკლა. ხოლო მაქსიმოსმა, ძემ [მისმა], ეს რომ შეიტყო, გაიქცა მოკავშირე ბარბაროსებთან.

იობინოსი მუნდიაკონში, მეორე გერმანიის [ქალაქში], ალანი გოარის მოწადინებით, მასთან გინტიარიოსისა, რომელიც ბურგუნდიელთა ტომის მეთაურს (ფილარქოსს) წარმოადგენდა, ტირანად იქნა აღიარებული. ატალოსმა მასთან წახელის საჭიროებაში დაარწმუნა ადაულფოსი და გაემგზავრა კიდევაც დიდი ამალით. იობინოსი წუხდა ადაულფოსის გვერდით ყოფნის გამო და მინიშნებით საყვედურობდა ატალოსს, რომელმაც ურჩია წამოსვლა. ხაროსსაც იობინოსთან ყოფნა ერჩია, მაგრამ ადაულფოსმა ეს რომ შეიტყო, ათი ათასი მოლაშქრე დაახვედრა, საწინააღმდეგოდ აღმდგარი, [მაშინ როდესაც] ხაროსს ახლდა თერამეტი თუ ოცი კაცი. როდესაც მან საგმირო და საკვირველი საქმეებით თავი გამოიჩინა, ძლივს ჩაამწყვდიეს ტომრებში, შემდეგ მოაკვდინეს. ხაროსი განუდგა კონსორიოსს, რადგან მოაკვდინა ვალერიდოსი, რომელიც იყო მისი დომესტიკოსი; მეფისგან მკვლეულობაზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა და არც მკვლეულობის საქმე არ აღმრულა.

ცალკე მოთხრობილია დონატოსზე და პუნებზე და მათი მკვლეობის ჯომარდ მშვილდოსნობაზე და იმაზე, რომ შემატანიემ¹ იმოციქულა მათთან და დონატოსთან. [შემატანიე] აზვიადებს თავის ხეტიაელს ზღვაზე, [აზვიადებს] საფრთხეს და იმას, თუ როგორ მოტყუედა ფიცით დონატოსი, აუზაკურად მოეკვდინებელი; რომ ქარატონი, პირველი მეფეთაგანი, მკვლელობის გამო რისხვით აღიძრა და რომ შემდგომ მეფეურა ძველნათ გული მოუღბა და დაწყენარდა. ამით სრულდება ისტორიის პირველი ათი წიგნი.

მეორე [ათწიგნედი] იწყება ასე: იობინოსმა, ადაულფოსის ნების საწინააღმდეგოდ, მეფედ ხელთდაასხა საკუთარ ძმას სებასტიანოსს და ადა-

¹ რუსულ თარგმანებში სწერია ოლიმპიოდორე.

ულფოს მტრად მოეკიდა. ადაულფოსი უგზავნის ჰონორიოსს მოციქულებს, ჰპირდება ტირანთა თაგებს და დაზავებას. როდესაც (მოციქულები) უკან მობრუნდნენ, ფიცით იშუამდგომლეს და სებასტიანოსის თავე მეფეს გაეგზავნა. ადაულფოსისაგან აღფაშქვორტყმული იობინოსი ჩაბარდა და ისიც გაგზავნილ იქნა მეფესთან, რომელიც განუსაზღვრელი ძალაუფლების მპყრობელმა დარდანოს ეპარქოსმა მოაკვდინა¹. ორი თავე ძელებზე ჩამოაცვეს კართაგენს გარეთ, სადაც კონსტანტინეს და იულიანოსს მოკვეთეს თაგები ადრე, აგრეთვე მაქსიმოსს და ვეგენიოსს, რომლებმაც თეოდოსიოს დიდის დროს ძალაუფლება ხელთ იგდეს და ასე აღესრულნენ.

ადაულფოსს სთხოვდნენ პლაკიდიას, მეტადრე დაბეჯითებით [სთხოვდა] კონსტანტიოსი, რომელმაც შემდეგ მასზე იქორწინა კილევაც, მაგრამ, რადგან არ შეასრულეს ის, რასაც ადაულფოსს ჰპირდებოდნენ, და განსაკუთრებით პურის გაგზავნის პირობის შეუსრულებლობის გამო, არც [პლაკიდა] დაუბრუნა და ზავის დარღვევა და ბრძოლის დაწყებაც იზრახა.

ადაულფოსს რომ სთხოვდნენ პლაკიდიას, სანაცვლოდ ითხოვდა შეპირებულ პურს. რადგან დაპირებულის მიცემა არ შეეძლოთ, ხოლო მით უფრო დაპირებას არ იშლიდნენ, თუ მიიღებდნენ პლაკიდიას, ბარბაროსი მსგავსადვე აძლევდა პასუხს და, მოადგა რა ეგრეთწოდებულ ქალაქ მასალიას, იმედოვნებდა, რომ ამ უკანასკნელს მზაკვრობით აიღებდა. აქ დაიჭრა უწარჩინებულები ბონიფაციოსის ნატყორცნი [ისრით], ძლივს გაექცა სიკვდილს და საკუთარი კარვებისაგან უკან დაიხიზა მას შემდეგ, რაც დატოვა კეთილი განწყობით ქალაქი, ბონიფაციოსის მადიდებელი.

ადაულფოსს სურდა, ექორწინა პლაკიდაზე და, რადგან კონსტანტიოსი პლაკიდიას სთხოვდა, უფრო მძიმე პირობებს უყენებდა, რათა მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში მტკიცე საფუძველი შეექმნა მის შესანარჩუნებლად.

კონსტანტიოსი, ძველად დისიგნატოსი², კიატოსად მიდის რაკენაში.

1 „რომელიც“ (თ) უშუალოდ მოსდევს „მეფეს“ (*τω βασιλει*). მაგრამ, როგორც ჩანს, ისტორიული სიზარტულე ლათინური და რუსული თარგმანების მხარეზეა: დარდანოსმა მოაკვდინა იობინოსი.

2 დისიგნატოსს ხარისხამორთმულის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, მით უფრო, რომ ლათინურად ითარგმნება *designatus*, ხოლო ლესტუნისის განმარტებით, ეს ის პიროვნებაა, რომელიც დანიშნულია თანამდებობაზე, მაგრამ ჯერ არ შესდგომია საქმეს. თითქოს პირველი მოსაზრებისაგან იხრება ე. წ. სკრიფინკაია, როდესაც წერს: уже деизигнированный.

მასთან ერთად კონსტანტინეპოლში ჰიპატოსობს კონსტანტი. ოქროს შე-
საბამისი [რაოდენობა] და ჰიპატოსობისათვის. საკმარისი სახსრები მო-
იძვებოდაო მამულში ჰერაკლიანოსისა, რომელიც მოკლულ იქნა იმის
გამო, რომ განიზრახა, ხელთ ეგდო სამეფო ძალაუფლება. იმდენი ვერ მო-
იძვევს, რამდენზედაც იმედოვნებდნენ, რადგან ოქროს ოც კენტინარიონამდეც
არ იპოვებოდა. მისი (ჰერაკლიანოსის) უძრავი ქონების [ფასი] ორი ათას
ლიტრამდე აღწევდა, ხოლო მთელი ეს სახსრები კონსტანტიოსმა პონორი-
ოსისაგან ერთი თხოვნით მიიღო. გამოსვლების დროს კონსტანტიოსი მო-
დულული და პირქუში იყო, დიდთვალეობა და გრძელკისერა, თავგანიერი. ამ-
ხედრებული, მთელს კისერზე ეკვროდა თავის ცხენს და აქეთ-იქით ცერად
იფურებოდა. როგორც ვეულასათვის ნათელია, ასე ამბობენ: „სამე ღირსი
ქკინდა სამეფო ძალაუფლებისა“. ინახად მჯდომი და მონადიმე ხასიათოვნო
და საზრიანი იყო. ხშირად ეპაქერებოდა მსახიობებს, რომლებაც თამაშობდნენ
ტრაპეზის წინ.

ადაულფოსმა კანდიდიანოსის დაქინებული თხოვნით და რჩევით
იქორწინა პლაკიდიასზე იანერის თვეში ქალაქ ნარბონოსში ვინმე ინგენიოსის,
ქალაქის თავის, სახლში. იქ, რომაულად მოწყობილ საქორწინო პალატში,
მეფურად შემოსილი, თავში იჯდა პლაკიდა, მასთანვე იჯდა ადაულფოსი,
რომელსაც ქლანიდი და საერთოდ რომაული სამოსი ემოსა. სხვა საქორწინო
ძღვენთან ერთად ადაულფოსმა უბოძა [პლაკიდას] ორმოცდაათი პირ-
მშვენიერი ჭაბუკი, შემოსილი აბრეშუმით; თითოეულს ხელთ ეპყრა ორი
ძალიან დიდი ლანგარი, ერთი ოქროთი იყო ხავსე, მეორე – პატიოსანი
თვლებით, უკეთ, ფასდაუდებელი იყო [ეს თვლები], რომლებიც გუთებისაგან
რომის დარბევის დროს წამოეღოთ, როგორც ნამარცხი. შემდეგ ითქვა ეპი-
თალამიები. პირველმა წარმოთქვა ატალოსმა, შემდეგ რუსტიკიოსმა და
ფრიბადიოსმა და იყო ქორწილი, სადაც თავს იქცევდნენ და ხარობდნენ
ერთად ბარბაროსები და რომაელები.

მას შემდეგ, რაც გუთებმა აღფა შემოარტყეს რომს და [შემდგომ] იგი
ისევ აღდგენილ იქნა, რომის ეპარქოსმა¹ ალბინოსმა დაწერა, რომ ხალ-
ხისათვის არ იყო საკმარისი ბოძებული წილი, რადგან ქალაქის მოსახ-
ლეობამ იმატა; ისიც დასძინა, ერთ დღეში შობილთა რიცხვი თოთხმეტი

¹ *επαρχος*. ს. ლესტენისის და ე. სკრეინისკაის რუსულ თარგმანებში ჩანს ტექსტიდან გადახვევა.

ათასი იყო. როდესაც პლაკიდიამ ადაულფოსს დაუბადა ყრმა, რომელსაც სახელად დასდევს თეოდოსიოსი, [მამას] უფრო მეტად უხაროდა რომაელებთან მეგობრობა. ხოლო იმის გამო, რომ კონსტანტიოსს ჰყავდა [ე.წ.] მოყვარე მტრები¹, მიზი (კონსტანტიოსის) და პლაკიდიას სწრაფვა უქმი აღმოჩნდა. ყრმის აღსრულების შემდეგ დიდი გოდება ჰქონდათ მასზე; ჩასვეწეს ვერცხლის ღარნაკში და დაუღეს ბარკლონის წინ რომელიღაც ეგვიპტურში, შემდეგ მოკვდინებულ იქნა ადაულფოსიც, როდესაც ჩვეულებისამებრ თავის ცხენებს ხდარაჯობდა ქალტა-სადგომში. მოაკვდინა იგი ერთმა შინაურმა გუთთაგანმა, სახელად ლუბიოსმა, რომელსაც ძველი მტრობა ჰქონდა და შესაფერის დროს უცდიდა; ხოლო უწინ იყო ამისი მბრძანებელი, გუთების ბედის განმგებელი; იგი შეიპყრო ადაულფოსმა, ხოლო ამ უკანასკნელისაგანვე შეპყრობილი დუბიოსი ადაულფოსმა თავის სახლუელს შეეერთა. მან კი, სამაგიეროს უხდიდა რა პირველ მბრძანებელს, მეორე მოაკვდინა. ადაულფოსი რომ კვდებოდა, უბრძანა საკუთარ ძმას, დაებრუნებინა პლაკიდა² და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, შეენარჩუნებინათ თავიანთი მეგობრობა რომაელებთან. ხაროსის ძმა სინგერიქოსი უფრო მეტად გულმოდგინებით და მემკვიდრეობით ან დამონაწიფებით და ადათით ხდება მოძღვარი³. მან დახრიცა ფაწვილები, რომლებმაც მიადწიეს, ადაულფოსს ჰყოლოდნენ პირველი ცოლისაგან, ძალით გამოისტაცა რა ისინი უპიკაოს სიგესაროსს მკლავებიდან, და ბრძანა ღედოფალი პლაკიდა ადაულფოსის განსარისხებლად⁴ ფეხით წამძღვარებოდა ცხენს დანარჩენ ტყვეებთან ერთად. და გაცილება ქალაქიდან მეთორმეტე სექტამდე ხდებოდა. [სინგერიქოსი] მეთაურობდა შვიდ დღეს, შემდგომ მოკვდინებულ იქნა, ხოლო გუთების წინამძღოლად ვალიახი დადგა⁵.

როგორც მემატინე ამბობს, ვინმე წარჩინებულთაგანის ვალერიოსისგან მსმენია ბარბაროსთა დასაბრკოლებლად აგებული ვერცხლის ქანდაკებების შესახებ.

¹ დედანში წერია: *avertantibus*. ლათინურ თარგმანში – *repugnantibus*. რუსულ თარგმანში ს.დესტუნისთან და ვ.სკრვინსკაისთან, ჩვენი ვარაუდით, შეცდომა უნდა იყოს.
² რუსულ თარგმანში ს.დესტუნისთან საკმაოდ უხეში აზრობრივი შეცდომა უნდა იყოს.
³ რუსულ თარგმანში აქაც შეცდომა ჩანს ს.დესტუნისაიანც და ვ.სკრვინსკაისაიანც.
⁴ ან მასხრად ასაგებებლად. დედანში წერია *in ierip*.
⁵ დედანში ქვეითი გვარის ფორმა *καθημεται*. ს.დესტუნის თარგმნის „*МОНАХИ*“ ვ.სკრვინსკაის უწერია „*СНА*“.

[მქმატციანის] ცნობით, კონსტანტინოს კუისრის ხანაში, როცა თრაკიაში მთავრობდა ვალერიოზი, უწყებულ იქნა, თითქოს აღმოჩნდა განძი. ვალერიოზი მივიდა იმ ადგილას და მოხახლეუთაგან შეიტყო, რომ ეს წმინდა ადგილი იყო და ძველი საიდუმლო ადათ-წესების მიხედვით აქ საღვთო ქანდაკებები იგებოდა; შემდეგ ეს გადასცა კეისარს და მიიღო ნებართვის სიგელი, რომ წამოეღო განძი, რის შესახებაც აუწყა. გათხრილ იქნა რა ის ადგილი, აღმოჩნდა მთლად ვერცხლისაგან ნაქანდაკები. სამი ძეგლი, მღებარე ბარბაროსული წესით: ორივე ზედი უკან ჰქონდათ წადებული, შემოსილი იყვნენ ბარბაროსულად მორთული სამოსელით, თმა არ ჰქონდათ გარდა: ტრეხული, თავები დაეხარათ ჩრდილოეთის მხარეს, ესე იგი ბარბაროსთა ქუცნიბავენ. როდესაც ქანდაკებები ამოიღეს, მალე, რამდენიმე დღის შემდეგ, გუთების პირველმა ტომმა მოიღო თრაკია გადათქერა. მოსალოდნელი იყო ცოტა ხნის შემდეგ კუნებს და სარმატებსაც დაერბიათ ილირიკონი და თრაკია; ხოლო ამ თრაკიის და ილირიკონის შუაში მღებარეობდა საიდუმლო ადათის შესახრულებელი საწმინდარი, ქანდაკებათა რიცხვა სამი კი ყველა ბარბაროსული ტომის კრუღვისაგან იყო დანიშნული.

მქმატციანე გადმოგვცემს ზღვით თავისი მოგზაურობის შესახებ, რომ ბერი გაჭირვება გადაიტანა; ათენში გაღმობდა, მისი გულმოდგინებით და მოწადინებით სოფისტების ტანტზე ავიდა ლეონტიოზი, რომელსაც ეს არ სურდა. მოვეითხრობს სქოლასტიკოზის მანტიანზე, თითქოს ათენში მისი ტარება ყველასთვის იკრძალებოდა, უფრო მეტად კი უცხოელისათვის, თუ სოფისტია შეხედულებით არ ეკუთვნოდა და ოდითგან მომდინარე სოფისტურ ადათებს არ შეესაბამებოდა ამ პატნივის მიეება. სოფისტური ადათი კი ასეთი იყო. პირველად მიიყვანდნენ სახალხო აბანოში ახალ მოსულ დიდსაც და პატარასაც. ზოგ მათგანს ახაკის შესაფერისად უკვე დასდგომოდა საპატრიო მანტიის ტარების ყაში. მათ აყენებდნენ შუაში წამყვანი სწავლულნი. შერე ერთნი წინ გარბოდნენ და [სხვებს] აბრკოლებდნენ, მეორენი კი ხელს ჰკრავდნენ და აფერხებდნენ და [ასე] ყველანი აბრკოლებდნენ და იძახდნენ: „შეჩერდი, შეჩერდი, არ კბანს“.

ბიძგის მიმცემებს ეტყობოდათ, რომ უთუოდ ასპარეზობაზე და-ზესთავებისათვის [ჩადიოდნენ ამას] წამყვანი¹ სწავლულის პატრესაცემად,

¹ ღდასი პინარსობრედ ყოვლად გამართლებული „წამყვანის“ ნაცვლდ სწერას „წაცრალი“: *καταγωγαιου*. ლათინურ თარგმანში მვესატყვასება „*ducere*“-ს. ღესტუნისთან „*приводимого*“, ესკრვანსკაასთან „*приведенного*“.

დადი ხნის დკომის შემდეგ (ბოლო იდგა უწინ და [მისი ხსენება] ზემოთქმულმა ჩვეულებრივმა სიტყვამ მოიტანა) [წამყვანი სწავლული] შეჰყავდათ აბანოში და განიბანებოდა. მერე შეიმოსებოდა და ღებულობდა [ხოფისტის] მანტიის ტარების უფლებას; ამის შემდეგ მანტიით ხაზეიმოდ გამოდიოდა აბანოდან, პატივიმეგობელი და დიდებით მოსილი; ბოლო ცხადლივ გაურკვეველია თანხები, რომლებსაც იგი მიუზღავდა [სიბრძნისმეტყველების] სკოლათა წინამძღოლებს, წოდებულთ აკროპიტესებად.

[მემატჩანის გადმოცემით], ვანდალები ვუთებს ტრულოებს უწოდებენ იმის გამო, რომ [წინათ] ისინი (გუთები), შიმშილით დატანჯულები, პურის ფქვილს ტრულის-საწყაოთი ყიდულობდნენ ვანდალებისაგან თათო ოქროდ: ტრულა კი მესამედს სექსტარიუსსაც არ უდრიდა.

როგორც [მემატჩანე მოგვითხრობს], როცა ვანდალებმა ილაშქრეს ესპანეთზე და რომაელებმა ცინე-სიმაგრეებს შეაფარეს თავი, ისეთი შიმშილობა განიცადეს, რომ იძულებული იქნენ ერთმანეთი დაეჭამათ. და იყო ქალი, ოთხი შვილის დედა, რომელმაც ვეღლა შეჭამა, თან თითოეულის [შეჭმისას] იმიზეზებდა, [რომ საჭირო იყო] დარჩენილთა ხაზრდელად და გადასარჩენად, ხანამ ყველას შემჭმული ხალხმა ქვებით არ ჩაქოდა.

[მემატჩანე მოგვითხრობს], რომ ვეპლუტიოსი, მაგისტროსის მოხელე¹, იგზავნება ვალიასთან, რომელიც გუთების ტომის მთავრად იწოდებოდა; მანანი იყო სამშვიდობოდ ნაკურთხი სელსუკრულების² დადება და პლაკიდიას დაბრუნება. იგი (ვალა) მზად ხედება მიიღოს [ამ მისიით] და, უგზავნის რა მას სამოცი მირიადით [აწყულ] ფქვილს, იხსნის პლაკიდიას და უბრუნებს ვეპლუტიოსს პონორიოსის – პლაკიდიას საკუთარი მძისთვის.

[მემატჩანე მოგვითხრობს], რომ ათენში აღიმძრა საკითხი წიგნების დაწებების შესახებ, რათა დაინტერესებულთათვის ესწავლებინათ წებოს ზომა; მაშინ ფილტატიოსმა, მემატჩანის მეგობარმა, ალლოიანმა და განსწავლულმა სიტყვიერებაში, ეს აუხსნა. ამრიგად გამორჩეული, აღწევს

¹ ღელანში წერია *magistratus*, რომლის ასეთ განმარტებას ვაძლევს ღესტუნისი: *magistratus, agens in rebus, officialis magistri officiorum*; офцвр. подчиненный магистру оффициев, принадлежащий к дворцовой поте, страже (Дис. G. Gr.)

² ღელანში წერია *თაობას; თაობაჲ-ს პირველი მნიშვნელობა „სიწმინდის მცვენი“ (რედ.) ბილი ნიშნავს აგრეთვე „ზეს“.*

იმას, რომ მოქალაქენი კერძს აღუმართავენ¹.

როგორც [შემატრიანე მოგვითხრობს], აღმწერული ბევრს რასმე პარადოქსულს ამბობს ოაზისის შესახებ, აგრეთვე მისი [პაერის] კეთილად შეზავებულობის შესახებ; [ამბობს], რომ ეგრეთწოდებული „პირად-პირადად გვეშუქნი“ არა თუ არ ხახლობენ იქ, არამედ სხვა კუთხეებიდან მოსულნიც იკურნებიან ამ ხენისაგან პაერის კეთილად შეზავებულობის წყალობით. [გვიამბობს] უამრავ იქაურ [სამკურნალო] ქვიშაზე, აგრეთვე იმის შესახებ, თითქოს ჭებს იხრიან ორასი და სამასი [წყრთის ხილრმეზე]; არის [შემთხვევა], როცა თხრიან ხუთასი წყრთის ხილრმეზედაც და [წყალი] ნაკადად ამოხუთქავს ვიწროდ ამონათხარი ჭიდან; იქიდან მონაცვლეობით ამომხაპველი მიწის მუშაკნი, რომელთათვისაც საქმე საერთო გახდა, საკუთარ საყანებს რწყავენ. ხეები სულ იღებენ ნაყოფს. [იქაური] ხორბალი ყველა სხვა ადგილას მოყვანილს სჯობს და თოვლზე უფრო თეთრია და არის [დრო], როდესაც წელიწადში ორჯერ ითესება ქერი, ხოლო ფეტვს მუდამ სამჯერ [თესავენ]. თავთავიანთ მამულს [მიწის მუშაკნი] ზაფხულობით რწყავენ ყოველ სამ დღეში, ზამთრობით – ყოველ ექვს დღეში, ხოლო ამ გზით კარგი მოსავალი მოდის. [აქ] ღრუბლები არახოდეს შეერილან [ცაზე]. [შემატრიანე გვიამბობს] აქ შექმნილა საათზე. გვიამბობს, რომ [ოაზისი] კუნძული იყო ძველად და ზმელეთს შეუერთდა, რომ ამ [ოაზისს] უწოდებს ჰეროდოტე ნეტართა კუნძულებს, ჰეროდოროსი კი, ორფეგის და მუსეოსის შემატრიანე, ფეაკთა ქვეყნად უწიობს. იმის დასტურად, რომ [ოაზისი] კუნძული იყო, [წინამდებარე მატრიანის ავტორს] მოაქვს, ჯერ-ერთი, ის, რომ არსებობს ზღვაში მოპოვებული თიხის ფირფიტები და ხამანწყის ნიჟარები, დაკრული ღოღებზე მთებისა, რომლებიც თებანისიდან ოაზისამდე უნდა ყოფილიყვნენ გადაჭიმული; მეორე [სახუთად კი ის მოაქვს], რომ [აქ] მუდამ ბევრი ქვიშა ყრია, სამი ოაზისის ასაკებად [სამყოფი]. თავად [მატრიანის ავტორი] ამბობს, რომ სამი ოაზისია, [მათგან] ორი დიდია, ერთი – გარეთ, მეორე – შიგნით, ერთმანეთის პირდაპირ მდებარენი; შუალედი განიზომება ასი სვეტის დაშორების მანძილით. არის აგრეთვე სხვა, მესამე, მცირე [ოაზისი], დიდი მანძილით დაშორებული იმ ორისაგან. უწინ კუნძულის არსებობაში დასარწმუნებლად [შემატრიანე]

¹ ს. დესტენისი შენიშნავს (შენა. 48), რომ არ უნდა გავევიკრიდეს მატრიანური ძალის მძაფრი მონოლის პირობებში ძველის აგება თითქოს მცირე მნიშვნელობის სამსახურასათვის, რამდენადაც ეს დაკავშირებულია ძველი ზღნაწერების უკეთ შენახვის შესაძლებლობასთან.

ამბობს შემდეგსაც: ხშირად ჩნდებიან ფრინველები, რომლებიც [ნისკარტით] ენადებიან თვეზს ან თვეზის ნარჩენებს. აქედან მისახვედრია, რომ ძალიან შორს არ იყო ზღვა. ხოლო [შემატიანის] ცნობით, კომეროსს ამ [ოაზისთან] მიმდებარე თებაისიდან მოჰყავს თავისი გვარი.

[შემატიანე გადმოგვცემს], რომ ჰონორიოს კეისრის მეთერთმეტე პიპატოსობაში, როცა მასთან ერთად კონსტანტიოსი მეორედ გახდა პიპატოსი, მან იქორწინა პლაკიდიასზე; ეს უკანასკნელი დიდხანს უარს ამბობდა ქორწინებაზე, რამაც გამოიწვია კონსტანტიოსის რისხვა პლაკიდიას მსახურებზე, ბოლოს, პიპატოსად [მეორედ] აღზევების დღეს, კეისარმა და ძმამ ჰონორიოსმა, მოჰკიდა რა ხელი პლაკიდიას, ქალის უნებურად კონსტანტიოსს გადასცა ხელში. ქორწილმა უბრწყინვალესად ჩაიარა. შემდეგ ბავშვიც ეყოლებათ, რომელსაც ჰონორიას არქემეენ და კიდევ მეორე, რომელსაც სახელად დასდევს ვალენტინიანოსი. იგი უწარჩინებულესი გახდა ჰონორიოსის სიცოცხლეში, რადგან პლაკიდიამ ძალა დაატანა ძმას. ხოლო კეისრის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ტირანი იოანე ჩამოაგდეს, [ვალენტინიანოსი] რომის კეისრადაც ჩანს. კონსტანტიოსი თანამოსაუდრე გახდება ჰონორიოსისა, რომლისგანაც ხელთდასხმული იყო, ოღონდ თითქმის [ხელთდამსხმელის] ნების საწინააღმდეგოდ. პლაკიდიას ხელთდასხმულია ავეუსტად საკუთარი ძმისა და საკუთარი ქმრის მიერ. შემდეგ თეოდოსიოსს, რომელიც ჰონორიოსის ძმისწული იყო და სამეფოს აღმოსაველეთი მხარე ეპყრა, ეუწყება კონსტანტიოსის კეისრად გამოცხადება, რასაც იგი (თეოდოსიოსი) არ აღიარებს. კონსტანტიოსი ავად გახდა და ნანობდა მეფობას, [იმას], რომ აღარ ჰქონდა უწინდებურად, სადაც და როგორც მოინებებდა, თავისუფლად წასვლა-მოსვლის საშუალება და რომ მას როგორც მეფეს აღარ შეჰფეროდა გართობა ძველი ჩვეულებისამებრ. ერთი სიტყვით, შვიდი თვე იმეფა; როგორც სიზმარში ჩაესმა: „ეკვხი ხომ შესრულდა, იწყებარ მეშვიდე“. აღესრულა ფილტვების სისუსტით და მასთან ერთად დამთავრდა რისხვა აღმოსაველეთში და მტკივნეული ხწრაფვა [სამაგიეროს გადახდისა], რომ მისი მეფედ გამოცხადება არ ცნეს.

[შემატიანე მოგვითხრობს], რომ აღესრულა რა ვალიოსი, ტომის მთავარი¹, ძალაუფლება მიიღო თევდორიქოსმა.

¹ დედანი წერია: *ფასარქოს*, ლათინურ თარგმანში – *principe Gothorum*, ს. ლესტენის თარგმანში *князя готского*. ეჩსკრეინსკაისთან *предводителем*. ბიზანტიურ-ქართული ლოკუმენტირებული ლექსიკონის მასალებში *ს. V. ფასარქოს* იკითხება: ნათესავთ მთავარი, ტომთა მთავარი, ტომთ უხუცესი...

[მოკვითხრობს], რომ აღმწერელმა ბევრ [განსაცდელს] გაუძლო ზღვაზე და ძლივს გადარჩა. იქვე გვიამბობს სახწაულს რომელიღაც ვარსკვლავზე, რომელიც ჩამოემხო ხომალდის ანძაზე, ისე რომ მათ (მგზავრებს) ჩაძირვა ელოდათ. ამ მოვლენას მეზღვაურები „ურანიას“¹ უწოდებენ. გვიამბობს თუთიყუშზე, რომელიც ოცი წელიწადი თან ჰყავდა და [რომელიც] კაცთა ნამოქმედარიდან თითქმის არაფერს ტოვებდა მიუბამავად: ცუკვავდა, მღეროდა, ხახელს ეძახდა და სხვა მსგავსს საქმეს იქმოდა.

როგორც შემატიანე ამბობს, როდესაც იგი თებეში და სიენეში იმყოფებოდა ისტორიის დასაწერად, ტალმისელი ბარბაროსების, ანუ ბლემების ტომთა მთავრებს და წინასწარმეტყველებს მასთან შესვედრის სურვილი ჰქონდათ; ხოლო მათ ამოდრავებდათ ხმები, რომლებიც მასზე (შემატიანეზე) დადიოდა. [ასე] ამბობს, მიმიყვანესო თალმისამდე, რათა იმ ადგილების ისტორიაც მომეთხრო, რომლებიც ფილუდან ზუთი დღის ხაველით იყვნენ დაშორებული, [მიმიყვანესო] ქალაქამდე, რომელსაც პრიმა ეწოდება და რომელიც ძველად თებაისის პირველი ქალაქი იყო ბარბაროსების ადგილსამყოფელიდან [ათვლით]. ამის გამო რომეების მხრიდან რომაული სახელი დაურქვა – პრიმა, ანუ პირველი, ეხლაც ასე ეწოდება, თუმცა დიდი ხანია დასახლებულია ბარბაროსებით სხვა ოთხ ქალაქთან ერთად; [ესენია]: ფინიკონი, ქირისი, თაპისი, ტალმისი. ამ ადგილებში, გვაუწყებს [შემატიანე], სმარაგდის ქვაც მოიპოვება და ამ [ხაბადოებიდან] ეგვიპტელ მყოფებს უზვად ჰქონდათ სმარაგდი. ბარბაროსთა წინასწარმეტყველნი მიწვევდნენო, ამბობს, მათ (ხაბადოების) დასათვალიერებლად, მაგრამ ეს შეუძლებელი იყოო კვისრის ბრძანების გარეშე.

[შემატიანე გადმოგვცემს] საკვირველ ამბებს ვინმე ლიბანიოსზე, რომელიც წარმოშობით აზიელი იყო და პონორიოსის და კონსტანტიოსის კვისრობის ხანაში რაკენას ჩავიდა. იგი ფრიად დახელოვნებული ყოფილა ხაიდუმლო ღვთისმსახურებაში და შესძლებია და შეჰპირებია კიდევაც, რომ ბარბაროსების წინააღმდეგ იმოქმედებდა მძიმედ შეიარაღებული ლაშქრის გარეშე. შემდეგ მან, [შემატიანის] სიტყვით, დაასაბუთა ეს დაპირება და მისი ამბავი ისე გაერცყა, რომ დედოფალმა პლაკიდიამაც გაიგო; მამისი ხაიდუმლო ღვთისმსახური მოკვდინებულ იქნა, რადგან პლაკიდიამ,

1 უნინ ამ მოვლენას თურმე „ასტორი და პოდლეჰი“ ერქვა. იხ. დესტენისის ვრცელი სქოლიო 53.

[შემატიანიხავე] ხტვეით, კონსტანტიოსს ქორწინების დარღვევით ემუქრებოდა, თუ ცოცხალი დარჩებოდა ლიბანიოსი, კაცი მაცდური და ურწმუნო.

[შემატიანე გადმოგვცემს], რომ კონსტანტიოსი, იღირიელი რომ იყო ტომით, დაკიის ქალაქ ნაიხოსიდან, და თეოდოსიოს დიდის დროიდან ბევრ ომში მიიღო მონაწილეობა, ბოლოს სამეფო ძალაუფლებითაც შეიშინა, როგორც ითქვა; საერთოდ, ქტის ღირსი იყო და საცხოვრებელის [მოხვეჭაზე] მალე იდგა, სანამ პლაკიდიასთან იქორწინებდა. მაგრამ, რაც მისი მეუღლე გახდა, ქონების სიყვარულმა აიტაცა. მისი სიკვდილის შემდეგ რავენაში ყოველი მხრიდან მოდიოდა საჩივრები კონსტანტიოსზე იმათგან, ვის მიმართაც უსამართლობა ჩაედინა ქონებას [მომხვეჭელობის] გამო; თუმცა კონორიოსის სიმჩატე, ამბობს [შემატიანე], და პლაკიდიას შინაურული მიდგომა მისადმი უქმს ხდიდა [მომჩივანთა] მოთხოვნებს და სამართლის ძალას.

როგორც [შემატიანე გადმოგვცემს], კონორიოსს ისეთი განწყობა ჰქონოდა საკუთარი დისადმი (რის გამოც დის ქმარი კონსტანტიოსი გარდაიცვალა¹), რომ მათმა უზომო სიყვარულმა და გამუდმებულმა კოცნამ ტუნებში ბევრს სამარცხვინო აზრი შეუქმნა მათზე (და-ძმანზე). ხოლო შემდეგ მათ შორის ასეთივე [ძალის] მტრობა წარმოიშვა, რაც მოიწადინეს სპადუსამ და ელპიდიამ (გამზრდელი რომ იყო პლაკიდიასი), რომელთაც შეტად ენდობოდა; მათივე თანამოსაქმე იყო ლეონტი, [პლაკიდიას] კურატორი². ასე რომ [ზემოაღნიშნული მტრობის გამო] რავენაში სშირად ხდებოდა ამბოხება, (ხოლო პლაკიდიას მხარეზედაც რჩებოდა ბარბაროსთა სიმრავლე ადაუღფოსთან კავშირისა და კონსტანტიოსის მეუღლეობის მიზეზით) და [ამბოხებას] თანსდევდა მოწინააღმდეგეთა ზოცვა-ჟლეტა. ბოლოს აგრერიგად აღძრული მტრობისა და სიმულვილით შეცვლილი უწინდელი მეგობრობის გამო პლაკიდიამ, ძლეული ძმისაგან, თავის საკუთარ შვილებთან ერთად იდევნება ბიზანტიონში. მხოლოდ ბონიფაციოსი ინარჩუნებდა ერთგულებას მისადმი და აფრიკიდან, რომელსაც [თავად] მთავრობდა, უგზავნიდა საცხოვრებელს, როგორც შეეძლო, და სხვა სამსახურიც ეწადა. შემდეგ ყველა ღონეს ხმარობდა, რათა მას (პლაკიდიას) სამეფო ძალაუფლება

¹ სლესტენისის და ენსკრეინსკაის რუსულ თარგმანებში ეს წინადადება ისეა აწყობილი, რომ კონსტანტიოსის სიკვდილის მიზანი არ ჩანს. ლექსში პირდაპირ წერია: *ex qua... vita decessit*. იქ ამისილ ლათინურ თარგმანში იკითხება: *ex qua... vita decessit*.

² კურატორი, ლატებს განმარტებით, მოურავს უნდა ნიშნავდეს. იხ. ლესტენისის შენ. 56.

დაებრუნებინა.

[მემატჩიანე გადმოგვცემს], რომ წყალმანკით შეპყრობილი ჰონორიოსი სუტქემბრის კალენდებამდე ექვსი დღით ადრე აღესრულება და აქოსაველეთში იგზავნება კვისრის სიკვდილის მუწვევები გუჯრები. ამასობაში, ეს [გუჯრები] რომ იგზავნებოდა, ვინმე იოანე გახდა თვითმპყრობელი (ტირანი). მისი მეფედ გამოცხადების ცერემონიალზე თითქოს ვინმეს წინასწარ გამოეტანოს დასკვნა: „ვარდება, ვერ დგება“. ხალხს კი ნათქვამი გაუსწორებია და ღაღადებდა თურმე: „ღგას, არ ვარდება“.

[მემატჩიანე გადმოგვცემს], რომ ბონიფაციოსი იყო მამაცი და ხშირად იმარჯვებდა ბარბაროსთა სიმრავლეზე, ხან მცირე [ლაშქრით] გამოდიოდა, ხან უფრო დიდით, ხანაც მარტოდ შორიკინალი. მარტივად რომ ეთქვათ, ვგვლა საშუალებით იხსნა აფრიკა სხვადასხვა ბარბაროსული ტომების სიმრავლისაგან. ამასთან [ბონიფაციოსი] იყო სამართლიანობის მოყვარული და ქონების [მომხვეჭელობაზე] მადლა იღგა. მან ასეთი რამეც მოიმოქმედა. ვინმე მიწის მუშაკს ჰყავდა ყვავილობის ასაკით გაფოფინებული ცოლი და ვიღაც თანამებრძოლი ბარბაროსისაგან სიმვა დაითმინა. ჩივის [ეს კაცი] ბონიფაციოსთან თავის შეურაცხყოფაზე. ბონიფაციოსმაც გამოჰკითხა მანძილი იმ ადგილამდე და სახელი მინდერისა, სადაც მრუშობა იქნა ჩადენილი. მერე გაუშვა მთხოვნელი და უბრძანა, კვლავ მისულიყო მასთან მეორე დღეს; ხოლო საღამოს ვგვლასგან მალულად იმ ადგილისაკენ გაეშურა, რომელიც სამოცდაათი სტადიონით იყო დაშორებული, ნახა ბარბაროსი, მძინარე მრუშ დიაცთან, მოკკეთა კაცს თავი და იმავე ღამეს უკან დაბრუნდა. როდესაც დილით ბრძანების თანახმად მივიდა [მომჩივანი], მისცა მას ბარბაროსის თავი და ჩაეძია, იცნო თუ არა. ქმარი, მომხდარი ამბებით თავზარდაცემული და გახევებული, ძლივსღა იცნობს, სამართლიანობისათვის დიდ მადლობას უხდის [ბონიფაციოსს] და სიხარულით გაეცლება [იქაურობას].

როგორც [მემატჩიანე] ამბობს, რომის თითოეულ დიდ სახლს შიგნით ჰქონდა ვველაფერი, რაც ზომიერად ნაშენ ქალაქს არ შეეძლო ჰქონოდა: ჰიპოდრომი, მოედნები, ტაძრები, შადრევნები და ნაირ-ნაირი აბანოები. ამის გამო აღმწერელსაც აღმოხდება:

„ყოველი სახლი სიმაგრეა, ხოლო ქალაქი

თვით იმარხავს სიმაგრეს ურიცხვს“.

იყო აგრეთვე ძალიან დიდი სახალხო აბანოები. ეგრეთწოდებულ ანტონიანთ მობანავეთათვის გამზადებული ჰქონდათ ათას ექვსასი ხავარძელი,

თლილი მარმარილოსაგან, ხოლო დიოკლეტიანთ [აბანოში] — თითქმის ორმაგი. ამონ გეომეტრიზაგან გაზომილი კედელი, რომელიც გარს ერტყა რომს, ოცდაერთი მილის მანძილზე იყო გადაჭიმული იმ დროისათვის, როცა გუთები პირველად დაეცნენ ქალაქს...

[შემატებულად გამოგვეყვას], რომ რომაელთა ბევრი სახლი თავისი საცხოვრებელიდან ყოველწლიურად იღებდა შემოსავალს; [ეს იყო] ორმოცი კონტინარი ოქრო, გარდა ზორ.ბღისა, ღვინისა და ვეჯლა სხვა სახის [შემოსავლისა], რომელიც მოგებულ იქროს მესამედს მიადევნებდა, რომ გაეიდგულიყო. რომის პირველ [მოქალაქეთა, ასე წარმართებულთა] სახლების შემდეგ მეორე [საფეხურზე მდგომი] სახლების შემოსავალი იყო ათი-ათხუთმეტი კონტინარი. ითანეს ტირანობის ხანაში ბრობოსმა, ოლიმპარის ძემ, შესარულა თავისი მოვალეობა პრეტორისა და დახარჯა თორმეტი კონტინარი ოქრო. ხოლო რომის აღებამდე ოცი კონტინარი იყო გასავალი მწერალ სიმაქსისა, რომელსაც წარმინებულთა საკრებულოში ხამუალო აღგილი ეკავა, ის კი სიმაქსისა ასრულებდა პრეტორის მოვალეობას. ერთმა მდიდართაგანმა მაქსიმემ თავისი შეიღის პრეტორობის ხანაში ორმოცი კონტინარი გაანიავა. შვიდი დღე გრძელდებოდა პრეტორების დღესასწაული.

[შემატებულად გამოგვეყვას], თითქოს მწერალს ეთქვას, რომ ოდისევსი დაეხეტებოდა არა სიცილიაში, არამედ იტალიის განაპირა მხარეს და პალესში ჩამავალი გზა იწყებოდა ოკეანესთან, სწორედ იქ, სადაც ბევრი იხეტიადა. [მწერალი] თანაც მრავალი საშუალებით ცდილობს, ეს დაამტკიცოს. ჩვენც ასე ვეწყვით ბევრი სხვა [მწერლისაგანაც], ამაში მას რომ ეთანხმებთან.

[შემატებულად გამოგვეყვას], რომ თეოდოსიოსი პლაკიდას შეიღებთან ერთად გზავნის კონსტანტინეპოლიდან ტირანთან¹ და კვლავ ღებულობს ქალი ავეუსტას ხარისხს, ვალენტიანიანოსი კი — უწარმინებულესისას. მათთან ერთად იგზავნება ლაშქარი, ორთავ ძალთა მხედართმთავარი არდაბურიოსი, მისი შვილი ასპარი და მესამე — კანდიდიანოსი. თესალონიკში თეოდოსიოსისაგან გაგზავნილი იყო პედონი, მოხელეთა მაგისტროსი², რომელმაც თესალონიკშივე შემოსა ზუთი წლის ვალენტინიანოსი კეისრის სამსახურით. რადესაც პლაკიდას ამღლა შეეცადა [იტალიაში], არდაბურიოსი

¹ თარგმანისა უხუცა მკვლელთა იკოსებთა ტირანის წინააღმდეგ.

² ლათინურად Praefectus officiorum. ამ ხარისხის მსამ ქველთაობისათვის. ეს სკრებიკაოს

შეიპყრეს ტირანის მოლაშქრეებმა და გაგზავნეს მასთან (ტირანთან), რომელთანაც არდაბურიოსმა მეგობრული კავშირი დაამყარა. ხოლო ძე მისი პლაკიდიასთან ერთად უსასობამ და მწუხარებამ მოიცვა. კანდიდიანოსმა მრავალი ქალაქი აიღო და ბრწყინვალე სახელი მოიპოვა; წუხილს განაქარვებდა და ხალხს იკრებდა¹. მერე ტირან იოანეს მოაკვდინებენ და პლაკიდა ფრმა კვისართან ერთად შედის რავენაში. მაგისტროსმა და პატრიკიოსმა პელიონმა აიღო რომი და, ყველამ თავი რომ მოიყარა იქ, სამეფო პორფირით შემოსა შეიდი წლის ვალენტინიანოსი. ეს იყო ისტორიის საგანი.

პროკოპი კესარიელი

პროკოპი კესარიელი წარმოშობით პალესტინის კესარიიდან იყო. დაიბადა იგი დაახლოებით 490-507 წწ. შორის, არისტოკრატიულ ოჯახში და სწავლა-განათლებაც შეხაფერაისი მიიღო. ახალგაზრდა პროკოპი იურიდიული მრწველის სახით ახლდა ბიზანტიის არმიის სარდალს – ველი-სარიოსს – სპარსეთისა და აფრიკის საომარ ექსპედიციებში². ამრიგად, იგი თვითმხილველი იყო იმ ფაქტებისა, რომლებიც მის შრომებშია თავმოყრილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი არცთუ იშვიათად იფნებდა იმ ცნობებსაც, რომლებიც მას ეგზავნებოდა სამხედრო შტაბებიდან და ქვეყნის შორეული კუთხეებიდან. ხშირად ეს იყო ლიტერატურული წყაროები, რომლებიც თავის მხრივ დაზუსტებას მოითხოვდა. მაგრამ პროკოპი კესარიელი რჩება VI საუკუნის დიდ ისტორიკოსად, რომელმაც აგათია სქოლასტიკოსსა და იოანე ლიდესთან ერთად ისტორიას შემოუნახა ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ხანა – იუსტინიანეს ეპოქა. მეორე მხრივ, პროკოპი კესარიელის თხზულებები, როგორც სიმ.ყაუხნიშვილი აღნიშნავს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა VI საუკუნის საქართველოს ისტორიისათვისაც; ისინი ხომ ფრიად ძვირფას ცნობებს შეიცავენ შავიზღვისპირეთის ტომებისა და ციხე-სიმაგრეთა შესახებ, ჩვენს თვალწინ აცოცნლებენ ლაზიკის სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების ამსახველ სურათს ბიზანტია-ირანის გამწვავებული კონფლიქტის ფონზე.

¹ დღევანში უნდა იყოს *επιχειρησεις*.

² Suidas Lexicon, ed. A. Adler, Lipsiae, 1933, VIII.

პროკოპი კესარიელს ეკუთვნის სამი შრომა: *Πολεμικα* – ომების ისტორია, *Περι κτισμάτων* – შენობათა შესახებ და *Ανεκδοτα*, ანუ საიდუმლო ისტორია¹. პირველი ორი თხზულება ოფიციალურ ისტორიას წარმოადგენს, რომელიც იმპერატორის სურვილითა და შეკვეთით უნდა იყოს შესრულებული. სულ სხვა ხასიათისაა „ანეკდოტა“, რომელიც, როგორც ჩანს, ოფიციალური შრომების პარაფელურად, არაღებულად შეუსრულებია ავტორს². ნაწარმოებში გაკრიტიკებულია იმპერატორ იუსტინიანეს და მისი მუუღლის, თეოდორას, მმართველობა; ძხილებულია სასახლის კარის სამეცო ინტრიგები და მეფის მოხელეთა ბორცებანი. ფრანგი ისტორიკოსი შ. დილი შენიშნავს, რომ ეს ნაწარმოები დაწერილია არა მკლნით, არამედ ნაღველით. იუსტინიანეს მეფობის კრიტიკას პროკოპი სხვა თხზულებებშიც საკმაოდ იძლევა, ოღონდ შეფარვით, ზოგჯერ გადაშტეტული ქება-დიდებათ, რაც ირონიამს გადაღის (ტრაქტატი „შენობათა შესახებ“).

თხზულება „შენობათა შესახებ“ აღწერილობითს, ანუ ეკვრახისის უანრს მიეკუთვნება და მოიცავს იმპერიის სატახტო ქალაქსა და მის პერიფერიებში ნაშენ საეკლესიო, სამოქალაქო და სამხედრო ნაგებობათა ვრცელ, დაწერილებითს ნუსხას. „ანეკდოტასაგან“ განსხვავებით, ტრაქტატში განდიდებალია იუსტინიანეს მეფობა, უზომო ქება-დიდებათაა მოხსენიებული მისი აღმშენებლობითი მოღვაწეობა, რომლის მიღმა ფარული ირონია იგრძნობა. ეს სახობო ტონით დაწერილი ნაწარმოები პროკოპის აღზევების საფუძველი უნდა გამზდარიყო, რადგან ცხოვრების ბოლო წლებში იგი ქალაქის პრეფექტის თანამდებობას ასრულებდა და მინიჭებული პქონია *illustris* ტიტულიც.

„შენობათა“ ტრაქტატი შედგება ექვსი წიგნისაგან და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კულტურის ზილულ ძეგლებსა და არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად, ეს წერილობითი ძეგლი წარმოდგენას გვიქმნის VI ს. კონსტანტინეპოლისა და ბიზანტიის მთელი რაგი ქალაქების არქიტექტურაზე კრებულში წარმოდგენილი ნაწვევტი ათა-ხოციას ტამრის შესახებ ტამრის კლასიკურ აღწერილობადაა მინიქული.

¹ „ანეკდოტა“ 1623წ. აღმოაჩინა ნ. აღუანსა ვაქსანის საბლიოთეკაში და მამინვე მთავრო მკვლვართა ურადება. პირველ ხანში თხზულებას ავტორის საკონხი სადავო შეუქმნა მასში წარმოდგენილი, სრულად განსხვავებული პილიტატიკური მხედრმხედვლების გამო.

² Ш. Динь, Юстиниан и византийская цивилизация в VI в., С 116., 1908, გვ. 6-9; ხიმუხბშიმული, გეორგიე, ტ. 2, გვ. 40.

პროკოპი კესარიელის ძირითად შრომად *Πολεμικα* ითვლება. იგი შედგება რვა წიგნისაგან და მოიცავს გუთებთან, სპარსელებთან და კანდალებთან ბრძოლის ამბებს. ომების წიგნში ავტორი არ შემოიფარგლება მხოლოდ ხაომარ მოქმედებათა აღწერით. ძველ ბერძენ ისტორიოგრაფთა მსგავსად იგი საბნტურესოდ მოგვითხრობს ამა თუ იმ ქვეყნისა და მის მცხოვრებთა შესახებ, გვანვლდის პოლიტიკურ-ეკონომიკური, გეოგრაფიული და ტრავოგრაფიული ხასიათის მრავალ ცნობას. ამ მხრთვ ომების წიგნი „შენიბათა“ ტრაქტატთან ერთად ერთგვარ უთნო-გეოგრაფიულ ენციკლოპედიას წარმოადგენს.

ნიკას აჯანყება

(თავი XXIV)

(1) ამ დროს ბიზანტიაში მოულოდნელად იფეთქა სახალხო აჯანყებამ, რომელიც ისე გაიზარდა, რომ მოლოდინის გადააჭარბა, და ამგვარად დიდი უხედურება მოუტანა ხალხს და სენატს. (2) თითოეულ ქალაქში მოსახლეობა ძველიდანვე ვენეტებად (ღურჯუბად) და პრასინებად (მწვანეებად) იყო გაყოფილი. არცთუ დიდი ხნის წინ, აი, იმ სახელისა და ადგილისათვის¹, რომელსაც მაყურებელი იკავებს, დაიწვეს ფულის ფლანგვა; რის ღირსნიც არიან, [ის დაიმხაზურეს], თავსაც შურაცხყოფენ სასტიკად და სამარცხენო სიკვდილით აღესრულებიან. (3) ერთმანეთს მტრებივით უბრძვიან და არც კი იციან, რის გამო იგდებენ თავს საფრთხეში. ეჭვს გარეშეა, რომ თუკი დამარცხდებიან ამ ბრძოლაში, ელით საპერობილუ, დასჯა, და ბოლოს – სიკვდილი. (4) მათ შორის განჩილ დავას მისწვიც არა აქვს და გრძელდება დაუსრულებლად. ამ სხვადასხვა ფერის გამო მშებს შორისაც კი განხეთქილებაა, უღირსად უპერობიან ნათესაობას, ღირსებას, მეგობრობას. (5) მათ არც ღმერთი აფიქრებთ, არც ადამიანთა სამოქმედარი, გარდა გამარჯვებისა. არც ის აწუნებთ, რომ ღმერთის წინაშე სცილდაკენ, რომ კანონებს და სამოქალაქო სამართალს აგინებენ თვითონაც და მათი მოწინააღმდეგენიც. რაც

¹ იგულისხმება საპოდრომზე გამართული წარმოდგენები და მათ სანახაუდ მოსული მაყურებელი.

არ უნდა უჭირდეთ, საკუთარიან სამშობლოს გამარჯვება კი არ აღარდებთ, უმთავრესად მიაჩნიათ, რომ თავისიანების საქმე უნდა იყოს კარგად. თავისიანებს ისინი თანამოაზრეებს უწოდებენ. (6) ამ ცოდვაში ქალებიც არიან გარეული, ისინი არა მარტო თავიანთი ქმრების მიმდევრები არიან, არამედ შუერიგებულნიც მტრების მიმართ, თუმცა სანახაობებზე არ დადიან და ამგვარი გაღიზიანების საფუძველი არც უნდა ჰქონდეთ. მე არ ვიცი, სხვა რა შეიძლება ეწოდოს ამას, თუ არა სულის დაავადება. აი, რა სდება თითოეული ქალაქის მოსახლეობაში.

(7) იმ დროს ბიზანტიაში დემოსის ხელისუფლებამ რამდენიმე მემბროსეს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მაშინ ორივე მხარემ მოილაპარაკა და შეთანხმდნენ გაეთავისუფლებინათ შეპყრობილნი; გატყეხეს ციხე და ვველა, ვინც კი იყო დაჭერილი ამბოხისა თუ სხვა დანაშაულისათვის, გაათავისუფლეს. (8) ქალაქის ხელისუფალნი უამბოდ ამოხოცეს. ისინიც კი, ვინც უდანაშაულონი იყვნენ, მოპირდაპირე მატერიკზე გარბოდნენ. ქალაქი ცეცხლის ალში გაეხვია, თითქოს მტრები შემოესივნენო. (9) ცეცხლმა შთანთქა სოფიას ტაძარი, ზეჟსიპეს აბანოები და სამეფო სასახლე, პროპილეებიდან ეგრეთწოდებულ არესის სახლამდე, მასთან ერთად დიდი გაღერებები, მოედნისაკენ მიმართულნი, რომლებიც კონსტანტინესად იწოდებიან, აგრეთვე კეთილშობილ მოქალაქეთა სახლები და დიდძალი ქონება. (10) მეფე და მისი თანამეცხედრე, სენატის რამდენიმე წევრთან ერთად, პალატოუმში ჩაიკეტნენ და მიჩუმდნენ. ხალხი ერთმანეთს გადასცემდა პირობით ნიშანს „ნიკა“ (გამარჯვება), რის გამოც აჯანყებასაც დღემდე ამ სახელით მოიხსენიებენ.

(11) იმ დროს სასახლის კარზე ეპარქოსი¹ იყო იოანე კაპადოკიელი, ზოლო სამეფო მრჩეველი ანუ კვესტორი, როგორც მას უწოდებენ რომაელები—ტრიბუნთანე, წარმოშობით კამფილიელი. (12) ამ ორიდან იოანე უსწავლელი და უეციი იყო. გრამატიკოსისაგან სხვა ვერაფერი ესწავლა, გარდა წერილის წერისა, და იმასაც ძნელად აუდიოდა, მაგრამ ბუნებრივი ნიჭით აღმატებოდა ყველას, ვისაც კი ვიცნობდი. (13) საკმაოდ კარგად იცოდა; რის გაკეთება იყო საჭირო, და სიძნელეთა გადალახვას ყოველთვის ახერხებდა. ადამიანთა შორის ყველაზე ბოროტი იყო და თავის ბუნებრივ

¹ ეპარქოსი — პრეტორიის პრეფექტი (იხ. Десятиис. გვ.125).

ნიჭსაც ბოროტებას ახმარდა. მას არ აწუხებდა სირცხვილი არც ღმერთისა და არც კაცთა წინაშე. პატრიუმოფყარობით შეყვრობილმა, ბევრი ადამიანი დაღუპა და მრავალი ქალაქი გააყვრანა. (14) ძალიან მოკლე ხანში დიდი სიძლიერე დააგროვა, თუმცა კი მის ლოთობას საზღვარი არ ჰქონდა. საუზმემდე ასწრებდა ქვეშევრდომთა ქონების ძარცვას, შემდეგ თვრებოდა და ხორციელი გარყვნილი საქმეებით იყო დაკავებული. (15) თავის შტაკაებას ვერაფერში ახერხებდა, საჭმელსაც კი პირღებინებამდე მიირთმევდა. ფულის მოსაპარად მუდამ მზად იყო და უფრო მეტად კი მისი დახარჯვა და გაფლანგვა ეხერხებოდა. აი, ასეთი იყო ეს იოანე.

(16) ტრიბუნთან ბუნებით [ნიჭიერი კაცი] იყო, განათლების მწვერვალი დაეყვრო და არაეის ჩამოუყვარდებოდა თანამედროვეთაგან. მომხვეჭელობით სატანურად გატაცებული, მუდამ მზად იყო სამართალი გაეყვიდა. ყოველდღიურად კანონებს ან თავიდან [ბოლომდე] ანადგურებდა, ან [ახლად] წერდა და მათ მთხოვნელთა სურვილისამებრ ჰყიდდა.

(17) ხანამ ღემოხი ფერთა სახელების გამო ერთმანეთს ედაკებოდა, არაეინ იყო სიტყვის მთქმელი ამ ცოდვილებზე. მაგრამ როცა მოილაპარაკეს, რაზეც ადრეც მოგახსენებდით, და აჯანყება მოაწვევს, უკვე აშკარად ადანაშაულებდნენ [იოანეს და ტრიბუნთანეს] და ეძებდნენ მოსაკლავად მთელს ქალაქში. მეფემ მოინდომა ხალხის გულის მოგება და ორივენი მაშინვე გაათავისუფლა თანამედებობიდან. (18) სასახლის ეპარქოსად დააყენა ფოკა, პატრიკიოსი, კაცი მეტად ღირსეული და სიმართლის დამცველი. კესტორის თანამედებობა კი უბოძა ბასილიდისს, ყოვლად ღირსეულ კაცს, რომელიც პატრიკიოსებს შორის ცნობილი იყო თავისი თვინიერებით. (19) [აჯანყება] არ დამცხრალა, პირიქით, უფრო გაიზარდა. აჯანყების მეხუთე დღეს იუსტინიანე მეფემ უბრძანა პიპატოოსს და პომპიუსს, ყოფილი მეფის ანასტასის დისშვილებს, საჩქაროდ წასულიყვნენ სახლში (შესადლოა, ეჭვი ჰქონდა — ცუდს ზომ არ განიზრახავენ ჩემს მიმართო), ანდა ბედისწერამ წამოიყვანა ისინი აქეთ. (20) შიშობდნენ, რომ ხალხი აიძულებდა მათ, მეფობა მიეღოთ, — როგორც მონდა კიდევ, ამიტომ განაცხადეს, რომ ასეთი საფრთხის დროს არასწორი იქნებოდა თავიანთი მეფის დატოვება. (21) იუსტინიანე მეფემ ეს რომ მოისმინა, კიდევ უფრო განუმტკიცდა ეჭვი და მაშინვე უბრძანა მათ, სასწრაფოდ გასცლოდნენ. ისინიც წაივდნენ სახლში და, რადგან უკვე ღამე იყო, დაწვნენ დასაძინებლად.

(22) მეორე დღეს, მზის ამოხელისას, ხალხში ხმა გავრცელდა, თი-

თქოს ორივენი გამოავადეს პალატიუმის სამყოფელიდან. მთელი ხალხი მისცვივდა მათ, მეფედ გამოაცხადეს კიპატიოსი და წაიყვანეს მოედნისაკენ, რათა [სახელმწიფო] საქმეები გადაეხარებინათ მისთვის.

(23) კიპატიოსის ცოლი, მარია, ცნობილი თავისი ღირსებითა და უდიდესი კეთილგონიერებით, იჭურდა ქმარს და არ უშვებდა, ხმაშაღლა გაჰყვიროდა, რომ ხალხს მისი ქმარი ხასიკედილოდ მიჰყავს, და გარშემო-ყოფთ, ყველას საშველად უხმობდა. (24) მაგრამ [ხალხმა] რაღი შეისმინა მარიას თხოვნა, მასაც აღარ შეუძლო ქმრის დაკავება და ხალხმა კიპატიოსი, მისი სურვილის ხაწინააღმდეგოდ, მიიყვანა კონსტანტინეს მოედანზე და სთხოვა, მიეღო მეფობა¹. რადგან არ ჰქონდათ არც ღიადემა და არც სხვა სამეფო რეგალიები, თავი ოქროს ძეწკვით შეუმკეს და რომაელთა მეფედ გამოაცხადეს. (25) შეიკრიბნენ საბჭოს [წევრები], რომლებიც სამეფო კარის გარეთ დარჩენილიყვნენ, მრავალმათგანს აზრად ჰქონდა თავდასხმა პალატიუმზე. (26) ორივენი, საბჭოს წევრი, გამოვიდა და თქვა: „რომაელთა ვაჟკაცნი, ახლანდელი საქმე ბრძოლით გადაწყდება, და არა სხვაგვარად. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ომი და სამეფო ხელისუფლება აღამიანებისათვის უპირველესია. (27) ასეა, დიდი საქმეების დაგვიარგვინება მოკლე დროში სურთ, მაგრამ გონიერი რჩევითა და ფიზიკური შრომით აღამიანები ახერხებენ ამის შესრულებას მხოლოდ დიდი ხნის განმავლობაში. (28) თუ ჩვენ ახლა ხაომრად წავალთ, ჩვენს საქმეებს ორღესულის პირზე დავაფრებით, ყველაფერი უმაღლ გადაწყდება და, რაც ამას მოჰყვება, იმის მიხედვით ღმერთს ან მადლობას შევწირავთ, ან პატიებას ვთხოვთ, (29) რადგან საქმის სისწრაფე დამოკიდებულია ბედის ძალაზე. თუ ჩვენ შედარებით ნელა ვიმოქმედებთ, თუსტინიანეს პალატიუმში შევიპყრობთ; თუ მცა ეს რამი გამოგვადგება. თუ მეფეს გაქვეყნის სამეფობას მიჯჯმთ, ის სიხარულით დაგვთანხმდება წახვლაზე. (30) ძალაუფლება, რომელიც განწირულია დასაღუპავად, ყოველდღიურად კარგავს თავის ძლიერებას. ხომ გვაქვს სხვა სასახლეებიც, როგორცაა პლაკილიანას და ელენესი, ხაიდანაც [ახალ] მეფეს შეუძლია, ომიც აწარმოოს და სხვა საქმეებაც მიხედოს საუკეთესოდ“.

(31) ორივენიმაც თქვა. სხვები კი, როგორც წვეულებრივ ხდება ხელ-მე საკრებულოში, [აყაყანდნენ], მოითხოვდნენ მაშინვე საქმის დაწყებას. ამ აზრობა იყო კიპატიოსიც, [როგორც ჩანს], უნდა დადუქულიყო; უბრძანა

¹ ზაქარია, 189,9.

პიპოდრომისაკენ წაუყვანათ. ზოგიერთები იმასაც ამბობდნენ, რომ იქით, [პიპოდრომისაკენ], იმიტომ წავიდა, მეფის ერთგული იყო.

(32) ამ დროს მეფესთანაც კრება იყო [მოწვეული]. [ბჭობდნენ], რა ხეობდა: დარჩენილიყვნენ აქ, თუ ზომალდებით გაქცეულიყვნენ. ორივე მხარის სასარგებლოდ ბევრი ითქვა. (33) ბოლოს დედოფალმა თეოდორამ ბრძანა: ვფიქრობ, ქალი არ უნდა მამაცობდეს ვაჟკაცთა შორის. [ვხედავ], უმწიფარი ყმაწვილების მსგავსად, მათ ვერ გადაუნჯვტათ, როგორ მოიქცნენ. (34) ამ უდიდესი ხაფრთხის ქაშის ის უნდა ეიღონოთ, რაც უმჯობესია. (35) სემის აზრით, გაქცევა ახლა უსარგებლოა, თუმცა ხსნას კი მოგვიტანს. ადამიანისათვის, რომელიც კი ამ ქვეყნად მოხულა, სიკვდილი გარდაუვალია; გვირგვინოსანისათვის კი ღვთაებრივობაა აუტანელი. (36) ნუმეც მომშორებია ეს მეწამული სამოსელი და ნუმეც მიცოცხლია იმ დღემდე, როცა შემხვედრნი მე, როგორც ქალბატონს, არ მომესალმებიან. თუ თავის გადარჩენა გსურს, მეფევე, ეს საქმე ძნელი არაა. (37) ფული ბლომად გაქვს, აგერ ზღვა და აგერ ხომალდები. კარგად დაფიქრდი, გადარჩენილი ხომ არ ამჯობინებდი, სიკვდილი უფრო მეტი სიამოვნებით მიგელო, ვიდრე ხსნა. მე მომწონს ძველი ნათქვამი: „მეფობა მშვენიერი ხუდარაა“¹. (38) ეხა თქვა დედოფალმა და სიმამაცე ვეღას გადაედო. მისი სიმტკიცით აღესილებმა საბჭოზე გადაწყვიტეს, როგორც შეეძლოთ, თავი დაეკვით, თუკი მოწინააღმდეგეები შემოესეოდნენ. (39) ჯარისკაცებს, რომლებიც სასახლის ეზოში ივნენ გამწესებულნი, არც მეფის მიმხრობა სურდათ, არც აშკარად საქმეში მონაწილეობის მიღება. დროს უცვდიდნენ, რა მოხდებოდა. (40) მეფე მთელ თავის იმედებს ველისხარიოსსა და მუნდოსზე ამყარებდა, რომელთაგან პირველი – ველისხარიოსი² ახლახან დაბრუნებულიყო მიდიის ომიდან და თან ახლდა დორიფორების (მუბოსინების) და ფაროსნების (პიპასპისტების) ძლიერი და ღირსეული რაზმი, გამოსწორებული ომებსა და საფრთხეებში. (41) მუნდოსი კი, რომელიც ილირიის სტრატეგოსად იყო გამწესებული, ბედად ბიზანტიაში იმყოფებოდა ბარბაროს ერუდების რაზმით, რადაცა საქმისათვის გამოძახებული. (42) ამასობაში პიპატოისი გამოცხადდა პიპოდრომზე, მაშინვე ავიდა სამეფოდ დაკანონებულ ადგილზე და დაჯდა ტახტზე, ხაიდანაც მეფე თვალუქრის აღუწებდა ხელსე ცხენისხანთა და გიმნასტია შეჯიბრს. (43) მუნდოსი გა

¹ მრდ. Isocr. VI, 45. ტარანა მსქესიერა ხუდარაა – Dioc. XIV, 8.

² Theoph. I, 184, 29.

მოეძარტა სასახლიდან, გაიარა ჭიშკარი, სადაც კოხლიასია, რომელიც ამგვარად იწოდება წრიული ფორმის გამო. (44) ველისხარიოსი დაიმტკიცა პირდაპირ ჰიპოთიოსისა და სამეფო ტახტისაკენ; როგორც კი მიიღწია მახლობელ შენობას, სადაც ძველთაგანვე იდგა ჯარისკაცთა რაზმი, დაუწყო მათ ყვირილი და უბრძანა, სასწრაფოდ გაეღოთ კარები, რათა ტირანამდე¹ მიეღწია. (45) ჯარისკაცებს კი გადაწვევტილი ჰქონდათ, არაუფრო მიმხრობოდნენ, სანამ რომელიმე [მხარე] ამკარა გამარჯვებას არ მოიპოვებდა. ამიტომ თავი იხე მოაჩვენეს, ვითომ არაფერი ესმოდათ. (46) უკან დაბრუნებულმა ველისხარიოსმა შეეფეს მტკიცება დაუწყო, თქვენი საქმე წაგებულაო. (47) მას ხომ ის ჯარისკაცებიც კი გადაუდგნენ, რომელთაც პალატიუმის დაცვა ევალებოდათ. მაშინ შეუწმუხა უბრძანა [ველისხარიოსს], წახულიყო ვერთოწოდებული ხალკისა და პროპილეებისაკენ. (48) ძლივსძლივობით, დიდი წვალუბის შემდეგ, ნანგრევებისა და ნახევრად გადამწვარი ალაგების გავლით [ველისხარიოსმა] მიიღწია საჯინიბომდე. (49) აქ მან პორტიკთან, რომელიც სამეფო ტახტის მარჯვნივ არის, ჩააფენა ვენეტები, [თუთონ კი] ვადაწვევტა ჰიპოთიოსისაკენ წახვლა. აქ მდებარეობდა პატარა ჭიშკარი, რომელიც ჩაკეტილი იყო და შიგნიდან ჰიპოთიოსის ჯარისკაცები იცავდნენ. [ველისხარიოსს] უშინოდა, რომ ამ ვიწრო გასასვლელში მას თავს დაესხმოდა ხალხი, რაზმთანიერთად გაანადგურებდა და შემდეგ მეფეს შეეწირთლებოდა. (50) [ველისხარიოსმა] გადაწვევტა, უმჯობესია - ხალხს დავესხა თავსო, რომელიც ურიცხვი ბრბოს სახით იდგა პიპოდრომზე და საკმაოდ უწესრიგოდაც. მან იმისებლა ხმალი და უბრძანა თავის ჯარისკაცებს მიიქოლოდნენ. ყვრილით შეკარდა ხალხის შუაგულში. (51) დაურაზმავმა ხალხმა როდესაც დაინახა, რომ ყოველი მხრიდან აღყაშქორტყმული იყო დიდი სიმამაცითა და გავწრთნილობით ცნობილი ჯარისკაცებით, რომლებიც ველებს დაუნდობლად უსწორდებოდნენ, გაქცევა არჩია. (52) სამისნელი ყვრილი გაისმა. მუნდოსი იქვე ახლოს იმყოფებოდა, უნდოდა მოინაწილეობის მიღება, მაგრამ ვერ გაერკვია, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს მისვდა, ველისხარიოსი უკვე მოქმედებდა, შეიჭრა პიპოდრომზე ნეკრას შესახელელით. (53) ორივე მხრიდან აღყაშქორტყმული შეამბოხენი გაანადგურეს. გამარჯვება სრული იყო. დაიღუპა უამრავი ხალხი. ფიქრობენ, რომ მათი რიცხვი ოცდაათი ათას

¹ ნაგელისბეკვა. ჰიპოთიოსი.

კაცს აღემატებოდა. იუსტინიანეს დისწულებმა, ბორაიდემ და იუსტოსმა, რომელთაც წინააღმდეგობას უკვე ველარავინ უწევდა, ტახტიდან ჩამოაგდეს ჰიპატიოსი და მეფეს მიჰგვარეს კომპიეუსთან ერთად. (54) მეფემ უბრძანა, ისინი ბნელ საპყრობილეში ჩაეყარათ. (55) კომპიეუსი ტირიდა და მეფეს საწყალობლად ევეჭრებოდა; მას ხომ ჯერ ცხოვრების სიმწარე არ ეგემა. ჰიპატიოსი ამჰყიდებდა (არცხვენიდა) მას და ეუბნებოდა, რომ ისინი უდანაშაულოდ იღუპებიან; (56) თავიდანვე ხომ ისინი ხალხის ძალმომრეობის გამო ჩაცვიდნენ ამ ყოფაში და ჰიპოდროშეც არ მოხულან მეფის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებით. მეორე დღეს ჯარისკაცების მიერ მოკვდინებული ბორაიდეს და კომპიეუსის გვამები ზღვაში გადაყარეს. (57) მეფემ აღწერა მათი ქონება და იმ სენატორებისაც, რომლებიც შეამბოხეთა მხარეს აღმოჩნდნენ. (58) თუმცა გარკვეული დროის შემდეგ მეფემ ყველას დაკარუნა ჩამორთმეული ქონება და ღირსება, ასევე ჰიპატიოსისა და კომპიეუსის შვილებსაც. ასეთი იყო აჯანყების ბოლო ბიზანტიაში.

ომი გუთებთან

წიგნი I¹

1. ასეთი იყო რომაელთა საქმეების ვითარება ლიბიაში. ანლა კი გადავალ გუთებთან ომის აღწერაზე, თანაც თავდაპირველად იმის მიხრიაბაზე, თუ რა ხდებოდა გუთებთან და იტალიელებთან ამ ომამდე. იმავე დროის, როდესაც ბიზანტიონში ზენონი მეფობდა, დასავლეთში ხელისუფლება ეყრა ავეუსტოსს, რომელსაც რომაელნი მოფერებით უწოდებდნენ (როგორც ბავშვს) სახელს ავეუსტულოსს, რადგან სრულიად ჭაბუკმა მიიღო მეფეობა². მანამდე მართავდა მამამისი ორესტე, უჭკვიანესი კაცი. ცოტა ხნით ადრე რომაელებმა მოკაეშირებლად მიიღეს სკირები, ალანები და სხვა გუთური ტომები, რომელთაც ამასობაში აღარიქოსისა და ატილასაგან³ მოიხსილათ

¹ პროკოპის საერთო თხზულების („პოლიმიკის“) V წიგნი.

² აღმოსავლეთ რომის იმპერიის იმპერატორი ზენონი (474-491) და დასავლეთ რომის იმპერიის უკანასკნელი იმპერატორი რომულუს ავეუსტულოსი (475-476).

³ აღარიქოსი – ვესტ (დასავლეთ) გუთების მეფე იმპერიის სამხაზურში შესული ატილა – ქუნების ბელადი.

იმის გადატანა, რის შესახებაც ჩემს წინა წიგნებშია მოთხრობილი. და რამდენადაც ბარბაროსნი იმხანად მომძლავრდნენ, იმდენადვე რომაელთა სამხედრო ძლიერება დაკნინდა და მოკავშირეობის ასატანი სახელის ქვეშ იხინი განიცდიდნენ მკაცრ ტირანიას ამ მოხული ხალხებისაგან. თავი რომ დაეანებოთ იმას, როგორ სძალავდნენ ისინი რომაელების ბევრ სხვა რაიმეს, მათი სურვილის წინააღმდეგ, ამ ტომებშია მოთხოვნი, რათა რომაელებს მათთვის იტალიის მთელი მიწაწყალი გაენაწილებინათ. მათ ირესტესიან მოითხოვეს, რომ ამ მიწებიდან მისცემოდეთ ერთი შესაძლებელი, ხოლო რა დაინახეს, რომ იგი არ ამჟღავნებს რაიმე სურვილს. მათ ამ საქმეს დაუთმოს, დაუყოვნებლივ მოკლეს იგი. მათ წრეში იყო ვინმე, ხალხად იცნობოდა, აკრე, მეფის ერთი მცველთაგანი; იგი დათანხმდა, აესრულებინა მათთვის, რასაც მოითხოვდნენ, თუკი მას ხელისუფლების ხათავეში ჩააყენებდნენ. იგლო რა ამ გზით ერთპიროვნული ხელისუფლება, მან არავითარი ხიანი არ მიიყენა მეფეს და მისცა მას საშუალება ეცხოვრა როგორც კერძო პირს. გადასცა რა ბარბაროსებს მიწების შესაძლებელი, მან ამით მტკიცედ გაიერთიანა იხინი და მიტაცებული ხელისუფლება განიმტკიცა ათი წლით.

დაახლოებით იმავე ხანებში გუთები, რომლებიც მეფის ნებართვით თრაკიაში განსახლდნენ, იარაღით ხელში გამოვიდნენ რომაელთა წინააღმდეგ თქვენი რიგით. ეს იყო პატრიკიონი, რომელმაც ბიზანტიონში მიიღო კონსულის წოდება. მეფე ზენონმა, რომელიც კარგად იცნობდა ხელსაყრელ ვითარებებს, დაარწმუნა თვედრიქე, წასულიყო იტალიაში, შებრძოლებოდა ოდოაკრეს და მოეპოვებინა თავისთვისაც და გუთებისთვისაც ძალაუფლება დასავლეთზე¹. ხომ უფრო საპატიოა, ეუბნებოდა იგი, — მისთვის, ვინც სენატორის მაღალ წოდებას ატარებს, დაამარცხო ხელისუფლების მიმტაცებელი, ჩაუდგეს ხათავეში რომაელებსა და იტალიელებს, ვიდრე ჩაუბას ესოდენ მძიმე ომში მეფის (ე.ი. ზენონის) წინააღმდეგ. თვედრიქე დიდად გაახარა ამ წინადადებად და იგი იტალიისკენ დაიძრა; მას თან გაჰყვნენ მთელი გუთები, რომელთაც ურმებზე დასვეს ბავშვები და ქალები. დატვირთეს მთელი დოვლათი, რის წაღებაც შეეძლოთ. როდესაც ისინი უშუალოდ იონიის ყურესთან მოვიდნენ, დარწმუნდნენ, რომ ხომალდების გარეშე მხოლოდ ნაპირზე ვერ გადავიდოდნენ. მაშინ ისინი გაემართნენ საპირ-ნაპირ, აპირებდნენ რა ყურისთვის შემოეელოთ; განაგრძობდნენ რა

¹ იგულისხმება დასავლეთ რომის იმპერია.

სეულას, გადაიარეს ტავლანტიების და აქ მოსახლე სხვა ტომების მიწაწყალი. მათ წინააღმდეგ გამოემართა ოდოაკრე თავისი ჯარით. მრავალ ბრძოლაში დამარცხებულნი, ესენი თავის ბელადთან (ოდოაკრესთან) ერთად ჩაიკეტნენ რავენასა და სხვა ყველაზე მეტად გამაგრებულ ადგილებში. გუთებმა ალყა შეისარტყეს ამ სიმაგრეებს და თანდათან აიღეს ყველა მათგანი, როგორც ეს საამისოდ ხელისაყრელი საშუალება მიეცათ; მაგრამ ციხე-სიმაგრე კაისენა¹, რომელიც რავენსიდან ხამახი სტალიონის დაშორებით მდებარეობდა, და თვით რავენა, სადაც ოდოაკრე იმყოფებოდა, ვერა და ვერ აიღეს, ვერც დასებებზე დაიყოლიეს, ვერც ძალით იგდეს ხელთ...

როდესაც დაიწყო მესამე წელი, რაც თევდერიქს მეთაურობით გუთები რავენის ალყად იდგნენ, გუთები დაიქანტნენ ამ უნაყოფო ღვაწლით, ხოლო ოდოაკრესთან იყოფნი იტანჯებოდნენ აუცილებელი სურსათის ნაკლებობით; მათ რავენის ეპისკოპოსის შუამავლობით ხელშეკრულდა დადეს, რომლითაც თევდერიქ და ოდოაკრე იცხოვრებდნენ რავენაში და კვნებოდნენ სრულიად ქრისიანობის უწყებებში. და რაღაც დროის მანძილზე ისინი ამ მეთანხმებას იცავდნენ, მაგრამ შემდეგ, როგორც ამბობენ, თევდერიქმ გაიგო, რომ ოდოაკრე მის წინააღმდეგ ბრძოლას რასმე იზრახავს, მოატყუა იგი ნაკიმზე და მოკლა, ხოლო ბარბაროსთაგან ისინი, ვინც ადრე მას მტრობდა და ამჟამადაც გადარწა, თავის მხარეს გადმოიბირა და ამ გზით მიიღო ერთ-ერთი სრულყოფილი ხელისუფლება გუთებსა და იტალიელებზე. მან არ მოიხურვა რომელითა მკვების არც ხელისუფლების ნაშენების, არც წოდების მიღება და ცალკეც მხოლოდ რეგის (Rex) სახელით იწოდებოდა (როგორც ბარბაროსები ხელუფლებრივ თავიანთ ბელადებს უწოდებენ). თავის ქვეშევრდომებს იგი მტკიცე ხელთ მართავდა და მორჩილებაში ჰყავდა, როგორც შევეყრება მკვლეს. იგი განსაკუთრებით ზრუნავდა მართლმსაჯულებასა და სამართლიანობაზე და განუხრკელად აღჰკნებდა თვალს კანონების აღსრულებას; და ღიადა თავისი ქვეყანა მკაცრულ ბრძაროსთა ხელყოფისაგან, რითაც კომსახურა უძაღდეს. ბედი არძანისა და ქველისა, თვით იგი არ ავიწროვებდა და არ ჩაგრავდა თვის ქვეშევრდომთ, ხოლო თუ სხვა ვანმე მოიხურებდა ამის გაკეთებას, არ აძლევდა საშუალებას; ერთადერთი, რაც მან დაუძვა, იყო ის, რომ მიწები, რომლებიც ოდოაკრემ თავის მოძიხრებს და-

¹ მტკიცე ქალაქი ცოხლიურ ვალიში, რავენიდან 55 კმ-ის დაშორებით; დღესაც ატარებს სახელს ცენა.

ურიგა; ამანაც თავის გუთებს გაუნაწილა. სახელი თევდერიქეს ტირანის ჰქონდა, რადგან ხელისუფლება მიიტაცა, მაგრამ საქმით ნამდვილი მეფე იყო, არაფრით ნაკლები ვველაზე სახელ-მოხვეტილ მეფეებზე. ვისაც ეს წოდება იმთავითვე ჰქონდა; გუთებისა და იტალიელთა მისდამი სიყვარული უძლიერესი იყო, არა ისეთი, როგორც ჩვეულებრივ სუფევს ხოლმე ადამიანთა შორის. სხვები, ვინც მმართველობის სათავეში დგას, ხომ ხან ერთთა, ხან მეორეთა მხარეს იხრებიან, ამიტომ არსებული ხელისუფლება მოსწონთ მათ, ვისაც იგი იშვამიერად თავისი დადგენილებებით ახიამოვნებს, ხოლო იწვევს უკმაყოფილებას, თუკი ეს დადგენილებები მათ სურვილებს ეწინააღმდეგება. იგი მოკვდა ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკისა¹, მრისხანე ვველა მტრისათვის და დატოვა ქვეშევრდომთა შორის ღრმა სინანული. ხოლო მოკვდა იგი შემდეგნაირად:

სიმაქოსი და ბოეციოსი – ორივე წარმოსობით იყვნენ ძველი ევპატრიდული გვარიდან², რომის სენატში პირველთაგანნი და კონსულთა წოდების მქონენი. ორივე ფილოსოფიით იყო გატაცებული და არაეიზე ნაკლებად გამოიჩინოდნენ საქართველოში; მრავალთ თავის თანამოქალაქეთაგან და უცხოელთაგანაც შეუმსუბუქეს გაჭირვება თავისი სიმდიდრის წყალობით, რისაც დაიმსახურეს დიდი პატივისცემა, მაგრამ უკეთურ ადამიანთა შურიც. ამათ დასმენას დაუჯერა თევდერიქემ და ორივე სიკვდილით დასაჯა, რადგან მათ თითქოს სახელმწიფო გადატრიალება ჰქონდათ განზრახული, ხოლო ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოართვა. როდესაც იგი რამდენიმე დღის მერე ხადილობდა, მსახურთ წინ დაუდგეს რაღაც დიდი ზომის თევზის თავი. თევდერიქეს მოეჩვენა, რომ ესაა სიკვდილით დასჯილი სიმაქოსის თავი. რადგან ქვედა ტუჩი კბილებით იყო მოკვნიკტილი, ხოლო თვალები მრისხანედ და მკაცრად იმზირებოდნენ, ეს თავი მოეჩვენა მუქარით აღსავსედ. ამგვარი შემამძრწუნებელი სასწაულით შეშინებულს, მას სიცივე დაეუფლა, სასწრაფოდ გავიდა თავის სამყოფელში და მიწვა სარეცელზე, თან ბრძანა, დაეხურათ მისთვის მრავალი ტანსაცმელი, და ცდილობდა დამშვიდებულიყო. შემდგომ უამბო ვოველივე,

¹ თევდერიქე მოკვდა 526 წ.

² პროკოპი ხმარობს ბერძნულ ტერმინებს: ევპატრიდული გვარები რომში პატრიციანული გვარებია; რომის სენატს პროკოპი ბუღეს (უზუცესთა საბჭოს) უწოდებს, კონსულებს – პიატრუსებს (წინამძღვრებს).

რაც გადახდა, თავის მკურნალს ელპიდიონს და მწარედ ჰკოფებდა სიმაქოსისა და ბოეციოსის მიმართ თავისი მცდარი და უსამართლო დამოკიდებულების გამო. მოინანია რა ეს თავისი საქციელი, მწუხარებით გულდამძიმებული, იგი მოკვდა ცოტა ხნის მერე. მან პირველად და უკანასკნელად ჩაიდინა ეს დანაშაული თავის ქვეშევრდომთა მიმართ: გამოიტანა იმ ორი კაცის მიმართ თავისი გადაწყვეტილება ისე, რომ არ გამოუძიებია ეს საქმე მთელი გულმოდგინებით, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებდა.

2. მისი სიკვდილის შემდეგ მეფობა გადავიდა ატლარაიქზე, რომელიც იყო თევდერიქეს ქალიშვილის შვილი. იგი რვა წლისა იყო და დედამისი ამაღლასუნთე ზრდიდა, მამამისი ცოცხალი აღარ იყო. ცოტა ხნის მერე ბიზანტიონში მეფედ გახდა იუსტინიანე. ამაღლასუნთეს, შვილის მზრუნველს, ხელისუფლება ეპყრა და გამოირჩეოდა ყველასაგან გონიერებითა და სამართლიანობით, ამასთან ამქლავებდა ნამდვილ მამაკაცურ ჭკუას. სანამ იგი იდგა ხელისუფლების სათავეში, არცერთი რომაელი არ ყოფილა ფიზიკურად დასჯილი და არც ქონება ჩამოურთმევიათ ვინმესთვის; ამასთანავე გუთებსაც, რომლებსაც თავიანთი სიფიცხისა და თავშეუკაცებლობის გავლენით სურდათ, რომაელებს უსამართლოდ მოქცეოდნენ, იგი ამის უფლებას არ აძლევდა და სიმაქოსისა და ბოეციოსის შვილებს ჩამორთმეული ქონებაც დაუბრუნა. ამაღლასუნთეს უნდოდა, რომ მისი ვაჟი რომაელთა შორის უპირველესთ დასგავსებოდა, და უკვე მაშინ აიბულებდა, მასწავლებლთან ევლო და განათლება მიეღო. გუთთა შორის მან აირჩია სამი უხუცესი, რომელთაც იცნობდა, როგორც ყველაზე ჭკვიან და ღირსეულ პირთ, და უბრძანა მათ მუდმივად ყოფილიყვნენ ატლარაიქესთან. ყოველივე ეს არ მოსწონდათ გუთებს, რადგან სურდათ, უსამართლოდ მოპყრობოდნენ ქვეშევრდომებს და ატლარაიქეს ემართა ბარბაროსული წესების მიხედვით. ერთხელ დედამ წაიყვანა ვაჟი თავის საძილე ოთახში და რაღაც დანაშაულისათვის განკეკლა. ის ცრემლების ღვრით მივიდა მამაკაცთა სატრაპეზოში და, როდესაც იქ მყოფმა გუთებმა იგი ამ ყოფაში დაინახეს, საშინლად განრისხდნენ და დაიწყეს ამაღლასუნთეს ლანძღვა, რადგან, მათი სიტყვით, მას სურს, თავის შვილს სიცოცხლე მოუსწრაფოს, სხვაზე გათხოვდეს და ამასთან ერთად თვით იმბრძანებლოს გუთებზე და იტალიელებზეც.

[შემდეგ პროკოპი მოგვითხრობს, რომ უკმაყოფილო გუთებმა მოსთხოვეს ამაღლასუნთეს, შეეცვალა ვაჟიშვილის აღზრდის გზა, რის შედეგადაც ატლარაიქემ თავი დაანება სწავლას, ხელი მიჰყო უკეთურ ცხოვრებას და

დედასაც აღარ ჰმორჩილებდა. წარჩინებულ გუთთა ერთმა ჯგუფმა სცადა ამაღლასუნთეს დამხობა, მაგრამ მან მოახერხა ხელისუფლების შენარჩუნება].

3. გუთებს შორის იყო ერთი კაცი, სახელად თევდატე. ვაჟი ამაღლასუნთესი, თევდერიქეს ღისა; მან, უკვე ასაკოვანმა, იცოდა ლათინური ენა და დაუფლებული იყო პლატონის ფილოსოფიას, მაგრამ არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა სამხედრო საქმეში. უნებისყოფა კაცს, მას განუზომელი მომხვეჭელობა ახასიათებდა. ამ თევდატეს ეკუთვნოდა ტუსკების მხარეში¹ მიწების უდიდესი ნაწილი, მაგრამ იგი ყველა ღონეს ხმარობდა, ამ მხარის მიწების დანარჩენი ნაწილიც ეგდო ხელთ; მეზობლის ყოლა თევდატესთვის თავისებური უბედურება იყო. ამაღლასუნთე ყოველმხრივ ზღუდავდა მის ასეთ ზრახვებს, რის გამოც მისი სამუდამო სიძულელი დაიმსახურა; იგი ვერ იტანდა ამაღლასუნთეს და აი, მან გადაწყვიტა გადაეცა ტუსკების მხარე საგამგებლოდ იუსტინიანესთვის, რათა ხანაცკლოდ მიეღო დიდძალი ფული, ამას გარდა, სენატორის წოდება, და დარჩენილი ნაწილი ცხოვრებისა გაეტარებინა ბიზანტიონში. როდესაც თევდატეს ასეთი გეგმა დაებადა, სწორედ იმ დროს რომის არქიეპისკოპოსთან ბიზანტიონიდან ჩამოვიდნენ ელჩები — კიპატოსი, ეფესის ეპისკოპოსი და დემეტრიოსი მაკედონიის ფილიპებიდან — იმ დებულებათა დასადგენად, რომელთა ირგვლივ ქრისტიანები ერთმანეთს ეკამათებოდნენ, რადგან ერთი, ურყევი აზრი არ ჰქონდათ. თუმცა მე ამ აზრთა სხვადასხვაობის შესახებ ყველაფერი კარგად ვიცი, ყველაზე ნაკლებად მსურს მათ შესახებ საუბარი. ვფიქრობ, ერთგვარი უაზრობაა — არკვიო ღვთის ბუნების არსი. მე მიმაჩნია, რომ ადამიანისათვის მიუწვდომელია გაიგოს ისიც კი, რაც თვით ადამიანს ეხება, მით უფრო, გაერკვს იმაში, რაც ღვთის ბუნებას შეეხება. დაე, მქონდეს უფლება, ისე, რომ არავინ დამადანაშაულოს, დუმილით აუუარო ყოველივე ამას გვერდი, ერთადერთი რწმენით, რომ არ ვიჩენ ურწმუნობას ყოველივე იმის მიმართ, რასაც ყველა თაყვანს სცემს და რაც ყველას სჯერა. მე პირადად სხვას ვერაფერს ვიტყვი ღვთის შესახებ, გარდა იმისა, რომ იგი არის ყოველად კეთილი და ყოველივე ხელთ უპყრია თავისი ძლიერებით. დაე, ყოველმა კაცმა, სასულიერო მაც და საერო მაც, ილაპარაკოს ამ საგანზე ისე, როგორც ეს ესმის. საიდუმლოდ შეხედა რა ელჩებს, თევდატემ დაავალა მათ, შეეტყობინებინათ

¹ ტუსკების მხარე, იგივე ტოსკანა, ძველი ეტრურია.

ოესტინიანესთვის ის გეგმა, რომელიც მას ჩაესახა, და გაანდო მათ ყოველივე რაც ახლახანს მოვეყვი.

[ატლარიქე განუკურნებელი სენით დაავადდა და ამალასუნთე, რომელსაც ეშინია გუთების მხრიდან ძალადობისა, საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებს ოესტინიანესთან, სენატორ ალექსანდრეს მემვეობით – იმპერატორისათვის მთელ იტალიაზე ხელისუფლების გადაცემის შესახებ.

4. ატლარიქეს სიკვდილის შემდეგ ამალასუნთე მოუხმობს თევდატეს, თევდერიქეს ერთადერთ დარჩენილ ნათესავს, მას გადასცემს სამეფო ხელისუფლებას იმ პირობით, რომ, როგორც დედოფალს, მას დარჩება რეალური ძალაუფლება. თევდატე დაარღვევს პირობას, შეიპყრობს ამალასუნთეს და საპყრობილეში მოაკვლევინებს მას. იტალიაში ჩამოსული ოესტინიანეს ელჩი პეტრე, შეიტყობს რა ამ ბოროტმოქმედების შესახებ, თევდატეს იმპერატორის სახელით ომს გამოუცხადებს].

5. ამ დროს უდიდესი სახელით სარგებლობდა ველისარიოსი გელიმეროსსა და ვანდალებზე გამარჯვების გამო. შეიტყო რა იმის შესახებ, რაც თავს დაატყდა ამალასუნთეს, მეფე [ოესტინიანემ] დაუყოვნებლივ გადაწყვიტა, დაეწყო ომი. ეს იყო მისი მეფობის მეცხრე წელი¹. მუნდოსს, ილირიაში [მყოფი ჯარების] სარდალს, მან უბრძანა, დაძრულიყო დაღმაციაზე², რომელიც გუთების ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა, და ეცადა აეღო სალონა (მუნდოსი წარმოამკვლობით ბარბაროსი იყო, მაგრამ უაღრესად ერთგული მეფის საქმისა და დიდად დახელოვნებული სამხედრო საქმეში). ველისარიოსი კი ფლოტთან ერთად გაგზავნა და მისცა სტრატოტოტაგან და ფედერატოტაგან ოთხი ათასი, ზოლო ისავრთაგან დაახლოებით სამი ათასი³. მეთაურები იყვნენ სახელგანთქმულნი კონსტანტინე და ბესა თრაკიელი და პერანი მიდიის მეზობელი იბერიიდან, წარმოშობით იბერთა სამეფო სახლიდან; ეს უკვე კარგა ხნის წინ მოვიდა რომაელებთან როგორც ლტოლვილი – სპარსელთადმი სიძულვილის გამო⁴. ცხენოსან ჯარს სარდლობდნენ ვალენტინე, მაგნუსი და ინოკენტიოსი, ქვეითს კი პეროდინე, პავლე, დემეტრე და ურ-

¹ ე.ი. 536 წელი.

² ილირია და დაღმაცია იტალიის ძველი პროვინციებია.

³ სტრატოტები ველისხმობს რეგულარულ სამხედრო ძალას, ფედერატები – მოკავშირეთაგან გამოყვანილ ჯარს.

⁴ „სპარსელებთან ომში“ პროკოპი ასახელებს ამ პერანს, როგორც ვაჟს იბერიის მეფის გურგენისა, რომელიც აუჯანყდა სპარსელებს და ოჯახთან ერთად თავშესაფარი ჰპოვა ბიზანტიაში.

სიციინოსი, ისაკრების მეთაური იყო ენესი. მოკავშირეებად მიჰყვებოდნენ ორასი ჰუნი და სამასი მაკრი. ყველა ამათი მთავარსარდალი იყო ველისარიოსი, რომელსაც თან ჰყავდა მრავალი შუბისა და ფარის მტკირთველი და გამოცდილი მეომარი. გაჰყვა მას აგრეთვე მისი ცოლის ანტონინას ვაჟი პირველი ქმრისგან ფოტიოსი; იგი ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო და ხახვს წვერის პირველი ღინღლი უმშვენიებდა, მაგრამ გამოირჩეოდა შესანიშნავი გონიერებითა და უფრო დიდი ფიზიკური ძალით, ვიდრე ეს მის ასაკს შეეფერებოდა. მეფემ ველისარიოსს მისცა მითითება, მოჩვენებით ისე ემოქმედა, თითქოს მიემართებოდა კართაგენში, ხოლო, როცა სიცილიაში მივიდოდა, გადამჯდარიყო იქ რაიმე საბაბით და ეცადა, დაეპყრო კუნძული; თუ შესაძლებელი იქნებოდა დიდი ჯაფის გარეშე მისი დამორჩილება, დაეპყრო და ხელიდან აღარ გაეშვა, ხოლო, თუ რაიმე გართულება შეხვდებოდა, სასწრაფოდ გაეცურა ლიბიაში, რომ არაეის შეეჭრო ამგვარი გეგმის შესახებ.

[იმპერატორმა იუსტინიანემ გუთუბთან საბრძოლველად კავშირი შეკრა ფრანკთა მეფეებთან].

ამასობაში მუნდოსი მასთან მყოფ ჯართან ერთად მივიდა დაღმაციაში, შეებრძოლა მის წინააღმდეგ გამოსულ გუთებს, დაამარცხა ისინი პირისპირ ბრძოლაში და ხალონაც აღებულ იქნა. ხოლო ველისარიოსმა გადასცურა სიცილიაში და აიღო კატანა; აქედან დაიძრა, ადვილად აიღო სირაკუზა და სხვა ქალაქები, რომლებიც ნებაყოფლობით ჩაბარდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ გუთები, რომელნიც პანორმს იცავდნენ. ისინი დაენდნენ რა მის კედლებს (ეს ადგილი კარგად იყო გამაგრებული), უარს ამბობდნენ დამორჩილებაზე და მოითხოვდნენ, რომ ველისარიოსს დაუყოვნებლივ წაეყვანა აქედან ჯარი. ველისარიოსი ხედება რა, რომ ხმელეთიდან ამ სიმაგრეებს ვერ აიღებს, უბრძანებს ფლოტს, შევიდეს ნავთსადგურში, რომელიც უშუალოდ გალავნამდე აღწევს. სიმაგრის გარეთ განლაგებული ნავთსადგური სრულიად უკაცრიელი იყო. როცა ხომალდებმა აქ ღუზა ჩაუშვეს, აღმოჩნდა, რომ მათი ანძები სიმაგრის ქონგურებზე მაღალია. და აი, ველისარიოსმა გააესო ყველა ხომალდის ნაკები ისრით და ანძების წვერებზე დააკიდვინა. დაუძლეველმა შიშმა მოიცვა გუთები, როდესაც მათ ზევიდან დააყარეს ისრები, და დაუყოვნებლივ ნებაყოფლობით ჩააბარეს პანორმი. ამ დროიდან მეფეს უკვე ეპყრა მთელი ძალაუფლება სიცილიაზე და შეეძლო, მისთვის გადასახადი დაეკისრებინა. ძნელია აღწერა, როგორ მოხერხებულად განახორციელა ყოველივე ეს საქმე ველისარიოსმა. ჯერ

კიდევ ვანდალებზე გამარჯვებისთვის მიიღო მან კონსულის წოდება და ჯერ ისევ ამ წოდებას ატარებდა, როცა დაიმორჩილა მთელი სიცილია. თავისი კონსულობის ბოლო დღეს საზეიმოდ შევიდა იგი სირაკუზაში, სადაც მხურვალედ ესალმებოდნენ ჯარები და სიცილიელები, ის კი ყველას ოქროს ფულს უყრიდა. ეს მოიძოქმედა მან წინასწარი მოფიქრების გარეშე, უბრალოდ ერთმანეთს შემთხვევით დაემთხვა ორი ბედნიერი გარემოება: სწორედ იმ დღეს, როცა მან კვლავ მოუპოვა რომაელებს მთელი ეს კუნძული, იგი შევიდა სირაკუზაში, და არა ბიზანტიონში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე; აქ, სიცილიაში, მას დაუმთავრდა კონსულობის ვადა და დარჩა კონსულარად. აი, რა წარმატება ხვდა წილად კვლისარიოსს.

[ამასობაში იუსტინიანეს ელჩმა იტალიაში პეტრემ დაშინებით და დიდი ომის მუქარით აიძულა თვედატე უარი ეთქვა მეფობაზე, მთელი იტალია იუსტინიანეს კუთვნილებად ელიარებინა და დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ მისთვის სასახლისა და მემკვიდრეობითი მამულის გამოყოფით].

7. იმ დროს, როდესაც მეფე იუსტინიანე ამგვარად მოქმედებდა და მისი ელჩები გაიგზავნენ იტალიაში, გუთები აზინარიოსის, გრიპას და სხვათა მეთაურობით დიდი ლაშქრით მოვიდნენ დაღმაციაში. როდესაც ისინი ახლოს მივიდნენ სალონასთან, მათ შეხვდა მუნდოსის ვაჟი მავრიკიოსი, რომელიც მცირე რაზმით გამოსულიყო არა ბრძოლისათვის, არამედ დასაზვერავად. და მაინც მოხდა ძლიერი შეტაკება, რომელშიაც გუთთაგან დაეცნენ პირველთაგანნი და ყველაზე გაბედულნი, რომელთაგან კი თითქმის ყველანი თავის მეთაურთან მავრიკიოსთან ერთად. როდესაც ამის შესახებ შეიტყო მუნდოსმა, იგი, ღრმად შეშრული ამ უბედურებით და შეპყრობილი ძლიერი მრისხანებით, მაშინვე დაიძრა მტრის წინააღმდეგ ყოველგვარი წესრიგის გარეშე. მოხდა მწვავე ბრძოლა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ რომაელებმა მოიპოვეს კადმეიასთან გამარჯვების მსგავსი გამარჯვება. მტერთაგან ბევრი დაეცა, სხვები კი აშკარად გაიტყნენ, მაგრამ მუნდოსი, რომელიც ჰკლავდა და სდევნიდა ყველას, ვისაც კი მოიხელთებდა, სრულიად ვერ ახერხებდა თავის შეკავებას იმ მწუხარების გამო, რომელიც შვილის დაღუპვამ მოკვარა; თავადაც დაეცა, ვილაც გაქცეულის მიერ სასიკვდილოდ დაკოდილი; ამის გამო შეწყდა დევნა და ორივე ჯარი თავთავის ადგილს დაუბრუნდა... სალონაში არ შევიდა არცერთი მტრის ჯარი. რომაელები, რომლებიც სრულიად უმეთაუროდ დარჩნენ, შინ დაბრუნდნენ, ხოლო გუთებმა, რომელთაც არ დარჩათ არცერთი ყველაზე გაბედული მეომარი, მი-

შით შეპყრობილებმა, დაიკავეს ამ მხარეში გამაგრებული ციხეები; ისინი არ ენდნენ სალონას გალავანს, მით უფრო, რომ აქ მცხოვრები რომაელები მათ მიმართ ხულაც არ იყვნენ მეგობრულად განწყობილნი.

როდესაც თევდატემ შეიტყო ამის შესახებ, ამასობაში მასთან ჩასული ელჩების მიმართ ქედმაღლობა დაიწყო. თავისი ბუნებით მას ჰქონდა მზაკვრობისაკენ მიდრეკილება, არასოდეს არ გააჩნდა მტკიცე სიტყვა ან მტკიცე გადაწყვეტილება და ყოველთვის მოცემულ ვითარებას მიჰყავდა იგი ან უსაზღვრო შიშამდე ან გადაჭარბებულ თავხედობამდე, თუნდაც მოცემულ ვითარებას შესაფერისი საბაბი არ მიეცა. ეხლაც, გაიგო რა მუნდოსისა და მავრიკიოსის დაღუპვა, იგი ზედმეტად აღფრთოვანდა, სრულიად შეუფერებლად იმის მიმართ, რაც მოხდა, და შესაძლებლად ჩათვალა, სასაცილოდ აეგდო მასთან ჩასული ელჩები. როცა ერთხელ პეტრემ საყვედური უთხრა იმის გამო, რომ არ იცავდა მეფესთან დადებულ ხელშეკრულებას, თევდატემ გამოიძახა ორივე ელჩი და საჯაროდ უთხრა შემდეგი: „წმინდათა-წმინდად და დიდად საპატიოდ ითვლება ყველა ხალხში ელჩის წოდება, მაგრამ ამ საპატიო წოდებას ელჩები ინარჩუნებენ მხოლოდ მანამ, სანამ ისინი თავისი წესიერი ქცევით იცავენ ელჩის წოდების ღირსებას. მაგრამ საერთო-საკაცობრიო კანონების მიხედვით სრულიად კანონიერია ელჩის მოკვლა, თუ იგი მხილებულია ხელმწიფის წინააღმდეგ ბოროტმოქმედებაში, ან თუ ის ავიდა სხვისი ცოლის სარეცელზე“. ასეთი სიტყვები თევდატემ ისროლა პეტრეს მიმართ არა რომელიმე ქალთან ურთიერთობის გამო, არამედ უნდოდა ეჩვენებინა, რომ სრულიად ბუნებრივად შეიძლება წარმოიქმნას ბრალდებები, რომლებიც ელჩს სიკვდილით დასჯამდე მიიყვანენ.

[ელჩებმა საკადრისი პასუხი გასცეს, მოაგონეს თევდატეს იუსტინიანესთან დადებული პირობა და გადასცეს მას იუსტინიანეს წერილები თვით თევდატესა და წარჩინებულ გუთებისადმი, რომლებშიც იმპერატორი მოუწოდებდა ორივე მხარისათვის სასარგებლო კავშირისაკენ]. წაიკითხა რა ეს წერილები, თევდატემ გადაწყვიტა, არ შეესრულებინა არაფერი, რაც მან შეფე იუსტინიანეს აღუთქვა, და ელჩები მკაცრ პატიმრობაში აიყვანა.

შეფე იუსტინიანემ შეიტყო რა ყველა ამის შესახებ და იმის თაობაზეც, რაც დაღმაციაში მოხდა, გაგზავნა ილირიაში კონსტანტინანე, სამეფო საჯინიბოთა გამგებელი, და უბრძანა იქ ჯარის შეკრება და ხალონას ხელში ჩაგდება. ველისარიოსს კი უბრძანეს, რამდენადაც შესაძლებელია, სწრაფად წაეიდეს იტალიაში და იმოქმედოს გუთების როგორც მტრების წინააღმდეგ.

კონსტანტინე ჩავიდა ეპიდამნში და შეჩერდა იქ რამდენიმე ხანს, რადგან ჯარს აგროვებდა. ამასობაში გუთების სხვა ჯარი გრიპას მეთაურობით მოვიდა დალმაციაში და დაიკავა სალონა. კონსტანტინემ დაამთავრა საუკეთესოდ თავისი საქმეები, დატოვა მთელი ფლოტით ეპიდამნი და მივიდა ეპიდავრში — ქალაქში, რომელიც იონიის ყურეში შესულათვის მარჯვნივ მდებარეობს. აქ იმყოფებოდა ის ხალხი, რომელიც გრიპამ გაგზავნა მზვერავებად. როდესაც მათ იხილეს კონსტანტინეს ფლოტი და ქვეითი ჯარი, მოეჩვენათ, რომ მთელი ზღვა და ხმელეთი დაფარულია მეომრებით; გრიპასთან მისულნი, ისინი არწმუნებდნენ, რომ კონსტანტინეს მოჰყავს მირიადების განუზომელი რაოდენობა. გრიპა მოიცვა დიდმა შიშმა და მიიჩნია, რომ უგუნურება იქნება მოძაველ ძალებთან ღია ბრძოლაში შეხვედრა, ამასთან ყველაზე ნაკლებად სურდა, სამყოფო ჯარებით ყოფილიყო ალყაშემორტყმული, მით უფრო, რომ ეს ჯარი ესოდენ ძლიერი იყო ზღვაზე. განსაკუთრებით აშინებდა მას სალონას სიმაგრეები, რადგან მათი დიდი ნაწილი ნანგრევებად ქცეულიყო და აქაურ მცხოვრებთა დამოკიდებულება გუთებისადმი მეტად საეჭვო იყო. ამიტომ იგი გადის ქალაქიდან თავის ჯართან ერთად და შესაძლებელი სიჩქარით ბანაკს დასცემს ველზე, რომელიც სალონასა და ქალაქსკარდონას შორისაა გაშლილი, ეპიდავრიდან გამოსული კონსტანტინე მთელი ფლოტით მიადგა ლისინას, რომელიც ყურეში მდებარეობს. აქედან იგი თავის კაცებს გზავნის, რათა გამოარკვიონ, რა მდგომარეობაშია გრიპას საქმეებზე და მოახსენონ. შეიტყო რა მათგან ყველაფერი, იგი სწრაფად გაემართა სალონასკენ. როცა ის ქალაქთან ახლოს მივიდა, გადასვა ჯარი ხმელეთზე და მშვიდად იმყოფებოდა იქ. ამის შემდეგ აარჩია ჯარიდან ხუთასი კაცი, ხათავეში ჩაუყენა მათ სიფილა, ერთი თავის მხლებელთაგანი, და უბრძანა დაეკავებინათ ვიწრობები და ვიწრო გასასვლელი; მოწინააღმდეგენი, როგორც მან შეიტყო, ქალაქის მისადგომებთან იყვნენ განლაგებულნი. სიფილა ასეც მოიქცა. მეორე დღეს კონსტანტინე და მთელი მისი ჯარი ხმელეთითა და ზღვით შევიდა სალონაში და ხომალდებმა ღუზა ჩაუშვეს ნავთსადგურში. კონსტანტინე უპირველეს ყოვლისა ზრუნვას იწვევს სალონას სიმაგრეებზე, ხასწრაფოდ აღადგენს იმ კედლებს, რომლებიც ნანგრევებად იყო ქცეული. რაც შეეხება გრიპასა და გუთების ლაშქარს, რომაელთა მიერ სალონას დაკავების მეშვიდე დღეს აიყარნენ ბანაკიდან და წავიდნენ რავენაში. ამრიგად, კონსტანტინე აღმოჩნდა მთელი დალმაციის და ლიბურნიის მფლობელი და თავისკენ მიიმხრო ყველა გუთი, რომელიც

ამ ადგილებში ცხოვრობდა. ასე მიდიოდა ამ დროს საქმეები დაღმაციაში. დამთავრდა ზამთარი და მასთან ერთად მიიღია პროკოპის მიერ აღწერილი ომის პირველი წელიც.

„ხაიდუმლო ისტორია“

I. ტომით რომაელებს რაც აქამდე ბრძოლებში თავს გადახდათ, მე ისე აღწერე, როგორც ძალა შეძენდა; საქმეთა მსვლელობას მოხერხებულად უუკავშირებდი დროსა და ადგილს. მაგრამ ამიერიდან ჩემს თხრობას სხვა გზით წარვმართავ. ახლა უკვე დაწერილებით აღწერე ყველაფერს, (2) რაც რომაელთა მმართველობის დროს ხდებოდა. ჩემ მიერ სიმაართლის დამალვის მიზეზი ის იყო, რომ ამ საქმის ჩამდენი ადამიანები ისევე ცოცხლები იყვნენ და გარემოება მოითხოვდა ასე მეწერა. ვერ დავეძალებოდი გარშემო მყოფ მრავალ მეთვალყურეს და ვერც ხაზარულ სიკვდილს დაველწვედი თავს, რადგან ჩემს დასაცავად არც ახლობლებს და არც ნათესავებს არ აღმოაჩნდებოდათ სიმამაცე. (3) სწორედ ამის გამო იძულებული ვიყავი ჩემს წინა თხზულებებში მრავალი რამ დამეფარა. ამ მოთხრობაში კი უნდა აეხსნა იმის მიზეზები, რაზედაც აქამდე ვდუმდი, რაც უწინ არ გაეამჟღავნე.

(4) შეეუდგე თუ არა ეუსტინიანეს და თეოდორას განვლილი ცხოვრების აღწერის მეტად რთულსა და მძიმე საქმეს, მზად ვარ მომხდარი ამბების ჩამოთვლაზე ხელი ავიღო, რადგანაც ჩემი ახლანდელი ნაამბობი შთამომავალთ არც სანდოდ მოეჩვენებათ და არც სარწმუნოდ. გარდა ამისა, დიდი დრო რომ გაივლის, ძველი ამბების მსმენელი თავისებურად გაიაზრებს გაგონილს და ვეშობო, მითების შემთხვევლად და ტრაგედიების დამდგმელად არ მიმიჩნის. (5) მიუხედავად ამისა, გამბედაობა მყოფნის ამ მძიმე საქმეს შეეუდგე, რადგან ჩემს მოთხრობას მრავალი მოწმე ჰყავს, თავისი დროის ამბავთა მცოდნე, და მომსწრენი მომავალი თაობის ადამიანებისთვისაც სანდონი იქნებიან.

(6) მაგრამ მაინც ხშირად სხვა აზრიც შემოიპყრობდა ხოლმე და დიდი ხნის მანძილზე მანვალებდა. ვფიქრობდი, რომ მომავალი თაობებისათვის უსარგებლო იქნებოდა ყოველივე, რადგან უმჯობესად მიმანდა, მომავალში არ სცოდნოდით დაწერილებით ეს სამარცხეინო საქმენი. ამასთან, ტირანებიც მოსმენილის მიმართ ცუდად განეწყობოდნენ. (7) ცნობილია, რომ ძლიერთა

უმრავლესობა უგუნურების გამო წინამორბედთაგან უფრო ადვილად ითვისებს ცუდს, წინაპართა შეცდომებს იოლად და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე იმეორებს. (8) მაგრამ ამ ამბების აღწერა შემდეგ მე მაინც გადავწყვიტე, რათა მომდევნო მმართველთათვის ამკარა ყოფილიყო, რომ ვერც ისინი დააღწევენ თავს გახსმართლებას ჩადენილი ცოდვებისათვის, მსგავსად იმ ადამიანებისა, რომელთაც უკვე მიეზღოთ სამაგიერო. ამის შემდეგ კი, რომ შევა ისტორიაში მათი საქმიანობა და ცხოვრების წესი, მომავალი ტირანები უფრო ფრთხილნი იქნებიან უკანონობის ქმნაში. (9) თუ არა იმდროინდელ მწერალთაგან დატოვებული ძეგლები, აბა ვის ეცოდინებოდა მომდევნო თაობათა შორის სემირამისის თავაშუებული ცხოვრება ან ხარღანაჰალისა და ნერონის ხუმტურები. გარდა ამისა, ვინც იგივე უნდა განიცადოს ტირანთაგან, თუ ასეთია მისი ბედი, განა უმჯობესი არ იქნება, თავად ჰქონდეს მოსმენილი ყველაფერი. (10) უიღბლოებს ზომ სჩვევიათ თავი ინუგეშონ, რომ არა მხოლოდ მათ შეუმთხვავთ ის უბედურება. სწორედ ამის გამო პირველად ველისარიოსის მიერ ჩადენილი სამარცხვინო საქმეებით და სახიფათო თევზადახველებით დაეინწყებ, შემდეგ კი თავიდან ბოლომდე გამოვასამკარავებ იუსტინიანესა და თეოდორას გარეყვნილებას.

(11) ველისარიოსს ჰყავდა ცოლი, სახელად ანტონინა, იგი მე ადრეც მოვიხსენიე. მისი მამა-პაპა მეუჩინიბეები იყვნენ, ბიზანტიონსა და თესალონიკეში მსახურობდნენ. დედა კი ერთი იმათგანი იყო, თეატრში რომ გამოდიოდნენ და სიძვით ირჩენდნენ თავს. (12) თვითონ ანტონინაც თავდაპირველად ავზორცულ ცხოვრებას მისდევდა, მისნობაც წინაპართაგან კარგად შეესწავლა და ამ საქმეში დაბელოვებული ყველაფერს აკეთებდა, რასაც მოისურვებდა. ჯერ დაინიშნა და შემდეგ კი ველისარიოსის ცოლიც გახდა, უკვე მრავალშვილიანი დედა. (13) იმთავითვე მოღალატე ცოლი იყო. გულმოდგინედ მალავდა ხოლმე თავის ოინებს, მაგრამ უმალავდა არა ახლობლებს (ოჯახის წევრებისა კი არ ეშინოდა სამარცხვინო ... ის გამო, რომელსაც ჩაიდენდა; ქმარიც მრავალი მჩხიბაობით ჰყავდა შეკრული), არამედ მხოლოდ დედოფალს, რომლისგანაც იგი რაღაცაში იყო ეჭვმიტანილი. მართლაც, ძალზე განრისხებული იყო მასზე თეოდორა და კბილებს იღესავდა. (14) მაგრამ შემდეგ, როცა ანტონინამ საჭარო მომენტში დედოფალს ხელი გაუმართა, ამით მისი კეთილგანწყობაც მოიპოვა. ჯერ სილბერიოსი მოკლა, რა გზით, ამას ქვემოთ მოგახსენებთ; შემდეგ, როგორც უკვე ვიამბეთ, იოვანე კაპადოკიელს მოუღო ბოლო. ამის მერე კი ანტონინას

გაუქრა შიში და უკვე აღარაფერს მალავდა, ყოველმხრივ ხცოდავდა და არავისი ერიდებოდა.

(15) ველისარიოსის სახლში ერთი თრაკიელი ჭაბუკი ცხოვრობდა, სახელად თეოდოსიოსი, წინაპართაგან მიღებული რწმენის თანახმად ევნომიელად წოდებული. (16) ერთხელ, როცა ველისარიოსმა ლიბიაში ზღვით გამგზავრება გადაწყვიტა, მან თეოდოსიოსი წმინდა ნათლისღებით მონათლა და, რაკი ნათლია გახდა, იშვილა კიდევ იგი ცოლიან შეთანხმებით და ველა ქრისტიანული წესის დაცვით. წმინდა აღთქმის მიხედვით, ანტონინამ თეოდოსიოსი ჯერ შვილივით შეიყვარა, დიდი მონდომებით ზრუნავდა მასზე და გვერდიდან არ იშორებდა, (17) მაგრამ მოგზაურობის დროს გახელებით შეუყვარდა და დაუოკებელი ვნებებით აღვხილმა განაგლო ღვთის შიშიცა და ყოველგვარი სირცხვილიც კაცთა წინაშე. პირველად იგი მალულად ხელჯორა თეოდოსიოსს, ბოლოს კი ახლობლებს და მსახურებსაც აღარ ერიდებოდა. (18) იგი, ვნებებით შეპყრობილი და გახელებული, ამკარად სიყვარულისთვის ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ხედავდა და ველისარიოსს, რომელმაც მათ კართაგენში დანაშაულის დროს მიუსწრო, თავი მოატყუებინა. (19) როცა ველისარიოსმა იხინი მიწისქვეშა სარდაფში იპოვა, განრისხდა, ანტონინა კი არ დაიბნა და უშიშრად უთხრა: აქ ჭაბუკთან ერთად ძვირფასი ნადავლის გადასამალად მოვედი, რათა ბასილევსმა ვერაფერი შეიტყოსო. (20) ასე მოხერხებულად მოისაზრა ანტონინამ ხათქმელი, ველისარიოსმა კი, თუმცა დაინახა, რომ თეოდოსიოსს შეხსნილი ჰქონდა ქაშარი, რომელიც ფართო შარვალს უმაგრებდა, არ შეიმჩნია და მათ საშუალება მისცა, რაც შეიძლება მარჯვედ მოეცუებინათ იგი, რადგან ქალის სიყვარული იძულებულს ხდიდა ეს არჩევანი გაეკეთებინა. (21) ანტონინას ავხორცობა დღითიდღე იზრდებოდა და საზიზღარ სახეს იძენდა. ამ საქმეთა თვითმხილველნიც ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. როცა ველისარიოსმა სიცილია დაიპყრო, სირაკუსში ერთმა მხეველმა, სახელად მაკედონიამ, ბატონს სასტიკი ფიცი ჩამოართო, რომ ქალბატონთან მას არასდროს გაამხელდა, და ყოველივე უაშბო. ორი ყრმა მონა მოწმედ მოუყვანა, იხინი საძინებელ ოთახში ემსახურებოდნენ ქალბატონს. (22) შეიტყო რა ეს ამბავი, ველისარიოსმა თავისი ამალიდან რამდენიმე ერთგული კაცი შეარჩია და თეოდოსიოსის მოკვლა უბრძანა. თეოდოსიოსს კი წინასწარ შეატყობინეს ყოველივე და ახიც ეფეზოსაკენ გაიქცა. (23) მხელბელთა უმრავლესობამ იცოდა, რომ ველისარიოსს ერთობ ცვალებადი ხასიათი ჰქონდა, და დედაკაცის გულის მოგებას უფრო

ცდილობდნენ, ვიდრე მისი ქმრის ერთგულებას. სწორედ ამიტომ მაშინვე გაუქმლავნეს ანტონინას მათთვის მინდობილი საიდუმლო საქმე. (24) კონსტანტინე კი, რომელიც ხედავდა, როგორ იტანჯებოდა ველისარიოსი იმის გამო, რაც მოხდა, თანაუგრძნობდა მას. ერთხელ უთხრა: „მე უმაღ ქალს მოვკლავდი, ვიდრე ჭაბუკს“. (25) როცა ანტონინამ ეს ნათქვამიც შეიტყო, ძალზე განრისხდა მასზე, მაგრამ არაფერი გაუმხილა, რომ სიძულვილი მის მიმართ მტრობის ფაშს გაემჟღავნებინა. (26) ღრიანკალის ნიშანზე იყო დაბადებული, სჩვეოდა ბოლმის გულში ტარება. ცოტა დრო რომ გაეიდა, რაღაც შელოცვებით და აღერხით ქმარი დაარწმუნა, რომ მის მიმართ წაყენებული ბრალდება არასამართლიანი იყო და ველისარიოსმაც უყოფმანოდ უკან იხმო თეოდოსიოსი, ხოლო მაკედონია და ყრმა ბიჭები შეუღლეს გადააბარა. (27) ანტონინამ, როგორც ამბობენ, მათ ყველას პირველყოვლისა ენები დასჭრა, შემდეგ ნაკუნ-ნაკუნ ააჩეხინა, ტომრებში ჩააყრევინა და უშიშრად ზღვას მისცა. ამ უწმინდურ საქმეში ერთმა მსახურმა გაუმართა ხელი, სახელად ეგგენიოსმა, რომელმაც უწინ ყოვლად საზარლად მოკლა სილბერიოსი. (28) მცირე ხნის შემდეგ ცოლის ჩაგონებით ველისარიოსმა კონსტანტინესაც მოუღო ბოლო. სწორედ ამ დროს მოხდა პრესიდიასა და მისი ხმლების ამბავი, რაზედაც წინა თხზულებებში ვიამბეთ¹. (29) ველისარიოსს კონსტანტინეს გადარჩენა ეწადა, მაგრამ ანტონინამ არ მოისჯნა, ხანამ იმ სიტყვებისთვის სამაგიერო არ მიუზღო, თუ როგორ, სწორედ ეჩლახან მოგახსენეთ. (30) ამის გამო ველისარიოსმა ბასილევსისა და მრავალი სახელოვანი რომაელის ზიზლი დაიმსახურა.

(31) ეს ამბავი ასე წარიმართა: თეოდოსიოსმა უარი განაცხადა იტალიაში დაბრუნებაზე, სადაც იმხანად ველისარიოსი და ანტონინა იყოფებოდნენ, ვიდრე ფოტიოსს არ დაითხოვდნენ. (32) თავად ფოტიოსი, ბუნებით გულდრძო, ყოველთვის მზად იყო მტრობისთვის, თუ ვინმე მასზე გაველქნიანი აღმოჩნდებოდა, თუმცა თეოდოსიოსის მიმართ სამართლიანად აჩრჩობდა ბოლმა. ის შეილი იყო, მაგრამ მის სიტყვას ანტონინა არაფრად აგლებდა, თეოდოსიოსს კი უდიდესი გავლენა ჰქონდა და დიდძალი სიმდიდრე მოიპოვა. (33) ამბობენ, რომ კართაგენისა და რავენის სასახლეებიდან ასი კუნტინარი გაიტაცა. მხოლოდ თეოდოსიოსს ჰქონდა უფლება ეწარმოებინა იქაური საქმეები. (34) როგორც კი ანტონინამ თეოდოსიოსის გადაწვევტილება

¹ იხ. პრაქსია კესარიელა, ომი ვუთხბან, წ. VI (II), თ. 8.

შეიტყო, ახლა შეიღოს დაუგო მახე. ვერაგული სიკვდილისთვისაც კი გაიმეტა. მანამდე არ მოისვენა, სანამ მიზანს არ მიაღწია. ფოტიოსმა დედის ზრციებს ვეღარ გაუძლო და ბიზანტიონში გაემგზავრა. თეოდოსიოსი კი მასთან იტალიაში ჩამოვიდა. (35) მოყირჭებული სასიყვარულო დროსტარებით და ქმრის სიბრძნევით გაბეზრებული, ანტონინა მცირე ხნის შემდეგ ორივე მამაკაცის თანხლებით ბიზანტიონში გაემგზავრა. (36) იქ კი თეოდოსიოსს ამ ურთიერთობისა შეეშინდა და გუნება-განწყობა შეეცვალა. იგი მიხვდა, რომ სიახლოვის დაფარვა უკვე შეუძლებელი იყო. ქალს კნებების დაოცება აღარ შეეძლო და ჯარჯ ამ ურთიერთობას მაღაუდა. დაუფარავად ცხოვრობდა მასთან და არც იმას უკადრისობდა, რომ მისთვის მრუში ეწოდებინათ. (37) ამიტომ დაბრუნდა თეოდოსიოსი ეფესოში, წესიხამებრ აღაცხვედა და ბერად შედგა. (38) მაშინ კი სულ გადაიარა ანტონინა, თაღხა ჩაიცვა და ჩვეულებრივ ცხოვრების წესი სამგლოვიაროდ შეცვალა. შინიდან არ გამოდიოდა და გამუდმებით ტიროდა, თანაგრძნობას მოითხოვდა ქმრისგან და მოსთქვამდა, თუ რა ძვირფასი, ერთგული, მამებელი, მოყვარული და ძლიერი ადამიანი დაკარგა, ქმარი კი თანადედა. (39) ბოლოს ისიც აიძულა, მასთან ერთად ეგლოვა. მოსთქვამდა ეს უბედურიც და თეოდოსიოსს უკან მოუხმობდა. (40) შემდეგ სასახლეში წავიდა, მეფეს და დედოფალს თხოვნით მიმართა, იძულებით დაებრუნებინათ იგი, ვინც შეუცვლელი იყო მისი ოჯახისათვის ახლაც და მომავალშიც. (41) მაგრამ თეოდოსიოსმა გადაჭრით უარი განაცხადა დაბრუნებაზე, მიზეზად უტყუარი საბაბი მოიღო, რომ შეურყეველი იყო ბერთა ცხოვრების წესი. (42) თეოდოსიოსი ცრუობდა, კვლისხარიოხი სასწრაფოდ უნდა წახულიყო ბიზანტიონიდან, ის კი ფარულად ჩაეიდოდა ანტონინასთან და ასეც მოხდა.

II. ამასობაში კვლისხარიოხი ფოტიოსთან ერთად ხოსროს წინააღმდეგ სალაშქროდ გაემგზავრა. ანტონინა კი დარჩა; ალრე, ჩვეულებრივ სხვაგვარად იქცეოდა ხოლმე. (2) ლაშქრობისას მუდამ თან დაჰყვებოდა ქმარს, მარტოდ არასოდეს ტოვებდა, რომ მისი ზიბლისგან განთავისუფლებული გონს არ მოსულიყო და მისგან თავი არ დაეძვრინა. (3) ხოლო თეოდოსიოსი მასთან თავისუფლად რომ ჩახულიყო, გადაწყვიტა ყველანაირად შეეშალა ხელი ფოტიოსისთვის და (4) ამიტომ კვლისხარიოხის ზოგიერთი თანამგზავრი დაარწმუნა, ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში დაეცინათ და შეურაცხყოფა მიეყენებინათ მისთვის. თავად კი თითქმის ყოველდღე წერილს სწერდა კვლისხარიოსს, გაუთავებლად ცილს სწამებდა და აღიზიანებდა შეიღოს. (5)

ამის გამო ყმაწვილი იძულებული შეიქმნა, დედის წინააღმდეგ ემოქმედა და იგი ქმართან დაეუბნებინა. როცა ერთხელ ვიღაც კაცი ჩამოვიდა ბიზანტიონიდან და ამბავი ჩამოიტანა, თეოდოსიოსი ფარულად იმყოფება ანტონინასთან და იქ დიდ დროსტარებაში არისო, ფოტიოსმა იგი დაუყოვნებლივ ველისარიოსს მიჰგვარა და ნაამბობი ყოველი სიტყვა თავისი ყურით მოასმენინა. (6) ველისარიოსმა ეს რომ შეიტყო, საშინელი რისხვით აღიძრა, ფოტიოსს ფერხთით ჩაუვარდა და შეევედრა, შური ' ა მისი ესოდენი დამცირებისთვის, რომელსაც იგი არ იმსახურებდა: „ო, საყვარელო შეილო ჩემო, – ეუბნებოდა იგი, – არავენ იცოდა, ვინ იყო მამაშენი, ძუძუთა ბავშვი იყავი, როცა მან თავისი დღენი გალია და წუთისოფელს დაემშვიდობა. ღარიბი იყო და არაფერი დაგრჩენია მისგან. (7) მე აღვზარდე, შენმა მამინაცვალმა, ახლა იმხელა ხარ, რომ შეგიძლია დამიცვა ამ უსამართლობისგან, მით უმეტეს, ჩემი წყალობით მიაღწიე უმადლეს პატრიარქს და იმდენი ქონება მოიპოვე, შეგიძლია მამად, დედად და ყველა ნათესავად მე გამომაცხადო. კაცურო კაცო, სამართალი ქმენ. (8) აღმიანები ერთმანეთს სიყვარულს საქმით უმტკიცებენ და არა ნათესაობით. (9) ახლა შენი დრო დადგა, შენ უნდა დამეხმარო. ოჯახის დანგრევასთან ერთად დიდ სიმდიდრესაც კვარგავ, დედაშენმა საშინლად შეირცხვინა ხალხში თავი. (10) ამასთან, იმაზეც იფიქრე, რომ ცოლების ცოდვები მარტო ქმრებს კი არ უტეხს სახელს, არამედ უმეტესად შეილებსაც ეღებათ ჩირქად; რადგან ბუნების ძალით შეილები მშობლებს ჰგვანან, ისინი მთელი ცხოვრება დაატარებენ ამ შერცხვენილ სახელს. (11) ყოველივე ამის მიუხედავად, მე მაინც მიყვარს ჩემი ცოლი, შურისძიება რომ შევძლო ჩემი ოჯახის დამატყვეარზე, ანტონინას არაფერს დაუშვავებდი, მაგრამ, თუ თეოდოსიოსი დაუსჯელი დარჩება, მაშინ პასუხს კერაფერზე ვაგებ“.

(12) ფოტიოსმა მოისმინა ეს სიტყვები და ყველანაირი დახმარება აღუთქვა, შიშობდა კი – რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდა, რადგან ველისარიოსი სუსტი ნებისყოფის გამო ცოლის წინაშე უმწეო იყო. ამასთანავე მაკედონიას უბედურებაც მას თვალწინ ედგა. (13) სწორედ ამიტომ მტკიცე ქრისტიანული ფიცი დადეს, რომ არასდროს მიატოვებდნენ ერთურთს, სიკვდილის ფასდაც რომ დასჯდომოდათ. (14) ამ საქმის დაუყოვნებლივ შესრულება მათ ნაჩქარევი ეჩვენათ. მხოლოდ როცა ანტონინა ბიზანტიონიდან მათთან წამოვიდოდა, თეოდოსიოსი კი ეფესოში დაბრუნდებოდა, სწორედ მაშინ იქნებოდა დროული ფოტიოსის ეფესოში ჩასვლა, სწორედ

მაშინ იგდებდა ხელთ იგი გაუჭირვებლად თედოსიოსს და მოუღ მის ქონებას. (15) და ისინი ჯარით სპარსეთის ქვეყანაში შეიჭრნენ, ბიზანტიონში კი იოანე კაპადოციელს ის ამბავი შეემთხვა, რაზედაც ადრე მოგახსენეთ¹. (16) მაშინ მხოლოდ შიშის გამო ვარჩიე დუმილი, ანტონინამ უბრალოდ კი არ მოატყუა იოანე და მისი ქალიშვილი, არამედ ქრისტიანებში მიღებული თასგვარი ფიცით შეჰფიცა და დაარწმუნა, რომ მათ წინააღმდეგ გულში ავი ზრახვა არ ედო. (17) ეს რომ აღასრულა, მეტად დარწმუნდა დედოფლის მეგობრობაში, თავისი მოწინააღმდეგეების შიში აღარ აქონდა, თედოსიოსი ჭეფსოში გაამგზავრა, თვითონ კი აღმოსავლეთისაკენ დაიძრა. (18) ველისარიოსმა ის იფო სისავრანონის ციხე-სიმაგრე დაიპყრო, შეატყობინეს, ანტონინა გვიახლოვდება, ამის გამო მან ყველაფერზე ხელი აიღო და ჯარს უკან დახევა უბრძანა. (19) ბანაკში სხვა ამბავიც მოხდა, რაც ადრეც მაქვს მოთხრობილი² და რამაც უბიძგა ველისარიოსს უკან დაეხია, ანტონინას ჩამოსვლამ კი, რაღა თქმა უნდა, უფრო დააჩქარა ეს ამბავი. (20) მაგრამ, როგორც ამ წიგნის დასაწყისში აღვნიშნე, ამ მოქმედებათა ველა მიზეზის აღრუსხვა მაშინ ძალზე საშიშად მიმაჩნდა. (21) რომაელები აღანაშაულებდნენ ველისარიოსს, რომ ოჯახური საქმეები სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ინტერესებზე წინ დააყენა. (22) მართლაც, მას, ცოლზე განრისხებულს, იმთავითვე სურდა შორს ყოფილიყო რომის სახელმწიფო საზღვრებიდან; როგორც კი გაიგებდა, ანტონინა ბიზანტიონიდან გამოემგზავრაო, იგი მაშინვე უკან დაბრუნდებოდა, თედოსიოსს შეიპყრობდა და მასზე შურს იძიებდა. (23) ამიტომ ველისარიოსმა არეიას და მის თანამებრძოლებს მდინარე ტიგრისის გადაღაზვა უბრძანა, ისინი კი ისე მოიტყვნენ, ხათქელადაც არ ღირს: შინისაკენ იქციეს პირი. ხოლო თვითონ ისიც ეძნელებოდა, ერთ დღემდე სავალი გზა რომ ამორებდა რომის სახელმწიფო საზღვრებს. (24) სისავრანონის ციხე-სიმაგრემდე ტვირთმსუბუქი მოგზაურისთვის, ქალაქ ნისიბინის გავლით, რომის სახელმწიფო საზღვრებიდან ერთ დღეზე ცოტა მეტი სავალია. (25) ველისარიოსს თავიდანვე ჯარიანად რომ გადაეღაზა ტიგრისი, შეეძლო ასირია გაეძარცვა და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მისულიყო ქალაქ კტეზიფონამდე. ამგვარად იგი გადაარჩენდა როგორც ანტიოქელ, ასევე ტყვედ ჩაგვარდნილ მრავალ სხვა რომაელს, რომლებიც იქ

¹ პროკოპი კესარიელი, ომი სპარსელებთან, წ. 1, თ. 25.

² იქვე, წ. II, თ. 19.

იმყოფებოდნენ, და სამშობლოში უენებლად დააბრუნებდა. კელისარიოხს უდიდეს დანაშაულად ეთვლება ისიც, რომ ზოსრო კოლხეთიდან იხე დაბრუნდა შინ, ჩიფათსაც არ გადაყრია.

„შენობათა შესახებ“

თ. I ანა - სოფიას ტაძრის მშენებლობა

(20) ოდესღაც ბიზანტიონში ვერაგი და უგუნირი ადამიანები იუსტი-
ნიანე მეფეს წინ აღუდგნენ და მოაწყვეს აჯანყება, რომელსაც ეწოდა „ნიკა“
და რომელიც დანერვილებით აღწერე ჩემს წიგნებში „ომების შესახებ“¹.
(21) ამით მათ დაამტკიცეს, რომ არა მარტო მეფეზე აღმართეს უკანონოდ
იარაღი, არამედ ღმერთზეც გაბედეს გადაეწვათ ქრისტიანული ეკლესია
(ბიზანტიელები მას სიბრძნის ტაძარს, აია-სოფიას² უწოდებენ, უფლის შე-
საყერის სახელს). ღმერთმა ინება, რომ ეს ბოროტება მომხდარიყო. ალბათ
განჭკვრიტა, თუ რა სილაპაზით აღდგებოდა ტაძარი მომაკალში. (22)
მართლაც, ეს ეკლესია, დაფერულილი და მტვრადქცეული, იუსტინიანე მე-
ფემ მცირე ხანში აღადგინა. კინშეს რომ ეკითხა ქრისტიანთათვის, სურდათ
თუ არა, რომ ეკლესია დანგრეულიყო და ამგვარად აღედგინათ, ვფიქრობ,
ისინი უყოფმანოდ მოისურვებდნენ იმ სახით ენახათ, როგორც ეხლა აქვს.
(23) მეფემ ძალღონისა და ქონების დაუზოგაუად იწყო შენება, ქვეყნის ყვე-
ლა კუთხიდან მოიწვია ხელოსნები. (24) [მათ შორის იყო] ანთიმიოს ტრა-
ლელი, მექანიკის სიბრძნის საუკეთესო მცოდნე არა მარტო თანამედროვეთა
შორის, არამედ წინაპართაგანაც კი. მან მეფის შემწეობით შეადგინა განა-
წესი მშენებელთათვის და მოაშადა წინასწარ საჭირო ნიშნები. მასთან
ერთად მუშაოდა მეორე არქიტექტორი, სახელად ისიდორე, წარმოშობით
მილეტელი, კარგი მცოდნე და იუსტინიანე მეფის ღირსეული თანაშემწე.
(25) ღვთის წყალობა მეფისადმი ამასიც ჩანს, გამოჩნდა ხალხი, რომელსაც
უნდა განეხორციელებინა მისი ჩანაყიქრი. (26) მეფის გონებამჭკვრეტელობა
ხომ აღტაცების ღირსია, რადგან ამდენი ხალხში მან ამოიჩნია საჭირო საქ-

¹ De bello Persico, I, 24.

² Theoph. I, 181, 28; Mal. 474, 18; Cedren. I, 647, 13; Chron. Paschal. 621, 21; Zonar. III, 272; Niceph. Call. XVIII, 10.

მის გასაკეთებლად უფრო შესაფერისნი. (27) ეს ტაძარი საოცარ სანახაობას ქმნის¹.

მაყურებლისათვის ზებუნებრივია, მსმენელისათვის სრულიად დაუჯერებელი. ცამდე აღმართულა და, ვითარცა ხომალდი ზღვის ტალღებზე, ისე გამოირჩევა სხვა ნაგებობათაგან. ამშვენებს ქალაქს, მისი ნაწილია და იქიდან მთელი ქალაქის დანახვა შეიძლება როგორც ხელისგულზე. (28) მიხი სიგრძე-სიგანე ისე ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, ვერ იტყვი, გრძელიაო ან ფართო. (29) ენით უთქმელი სილამაზით, მორთულობის ბრწყინვალეებითა და საზომთა ჰარმონიით გამოირჩევა. არაფერია მასში ზედმეტი ან ნაკლები. თავისი შემაღვენილი ნაწილებით ის უფრო ჰარმონიულია, ვიდრე მოსალოდნელი იყო ასეთი უზარმაზარი ნაგებობისაგან, რომელიც მუდამ საესეა მზით და სინათლით. (30) შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს მზე გარედან კი არ ასხივოსნებდეს, არამედ შიგნიდან იფრქვეოდეს სინათლე — ისეთი ნათელია დაეანებული ტაძარში. (31) ტაძრის წინა მხარე (ესაა აღმოსავლეთის ნაწილი, წმინდათაწმინდა, სადაც საიდუმლო ღვთისმსახურება სრულდება) შემდეგი სახითაა აშენებული. (32) ნაგებობა მიემართება მიწიდან არა სწორხაზოვნად, არამედ გვერდითი კედლებიდან მცირე გადახრით თითქოს უკან იწევს, შუა წელში რკალივით მოხრილი, ნახევარწრედ, რომელსაც ამ საქმის მცოდნენი ნახევარცილინდრულს უწოდებენ, ციკაოდ მიიწევს ზემოთ. (33) შენობის სახურავი გადაწყვეტილია, როგორც სფეროს მეოთხედი; მის თავზე გაწოლილია მეორე, უფრო მძლავრი ნაგებობა, მსგავსი ნახევარმთვარისა, საოცარი სილამაზის მქონე და ამასთან შიშის მომგვრელი ასეთი უჩვეულო შეერთების გამო. (34) ასე გგონია, მტკიცე საყრდენს კი არ უქიზავს, არამედ ცაში გამოკიდულა, მრევლისათვის არცთუ უსაფრთხოოდ. საოცარი სიმტკიცითა და საიმედოდ კია აგებული. (35) შენობის ორივე მხარეს ერთიმეორის მიყოლებით საძირკვლიდანვე ამომართულან სვეტები არა სწორხაზოვნად, არამედ, როგორც ქორაში, ერთმანეთის საპირისპიროდ და ქმნიან ნახევარცილინდრს, მაღლიდან კი მათზე ეშვება ნახევარმთვარისებრი ნაგებობა. (36) აღმოსავლეთის მხარეს აღმართულია კედელი ტაძარში შესასვლელი კარიბჭით, რომლის ორივე მხარეს ნახევარწრიულად განლაგებულია სვეტები. მათზეც ისევე, როგორც ზემოთ ვთქვი, ვყრდნობა ნაგებობა. (37) ტაძრის შუაში ამოზიდულა ადამიანის

¹ Euag. IV, 31; Cedr. I, 650, 12; Marc. Comit. ad a. 537. (5).

ხელით შექმნილი ოთხი პოსტამენტი, რომელსაც სტერეობატებს¹ უწოდებენ. ორი მათგანი ჩრდილოეთისაკენაა მიმართული, ორი – სამხრეთისაკენ; ზედმიწევნით ერთიერთმსგავსნი, შუაში ოთხ-ოთხი ხეცებით, ერთმანეთის პირისპირ დგანან. (38) ეს პოსტამენტები გამოთლილია ქვის უზარმაზარი ღოდებისაკან; ბრწყინვალედ დამუშავებულნი და ქვისმთელელთა საოცარი ხელოვნებით ერთმანეთს მორგებულნი, მთის ციცაბო ფერდობებს მოგვაგონებენ. (39) მათზე ოთხივე კუთხიდან გაწოლილა თალები², რომელთა თითო ბოლო უერთდება ამ პოსტამენტებს, თითო კი უსასრულო სივრცისაკენ მიიწევს. (40) ამ თალებიდან ორი – აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, თითქმის პაერშია გამოკიდებული, დანარჩენებს კი ქვემოთ აქვთ რაღაც ნაგებობა, რომელსაც მომცრო სვეტებით ვერდნობან. (41) მათ ზემოთ წრიული, გაზნეილი ნაგებობაა, საიდანაც იჭრება ცისკრის პირველი სხივები. (42) ეფიქრობ, ეს განგება მოწყობილი – ნაგებობა მთლიანად ისეა აწეული მიწიდან, რომ ტოვებს მცირე სივრცეს, რათა ის ადგილი, რომლითაც გამოვიყო შენობას, საკმაოდ ატარებდეს მზის სინათლეს. (43) ყოველივე ამის გადმოცემა, ჩემი აზრით, ენაბრგვნილი კაციხათვის საზრუნავია.) თაღთა შეერწყმა ოთკუთხედის სახით ასრულებს მოელ ნაგებობას და თავის მხრივ ოთხ სამკუთხედს მოიცავს. (44) თვითეული სამკუთხედის ძირი ვერდნობა თაღის ურთიერთშედულების [ადგილს] და ქვემოთ წარმოქმნის მახვილ კუთხეს. შემდეგ მიემართება ზემოთ, ფართოვდება შუა წელში და მთავრდება რკალით, რომელიც, აქედან წამოსული, სხვა კუთხეებს ქმნის. (45) ამ წრიულ ნაგებობას ვერდნობა უზარმაზარი ხეფრული გუმბათი, რომელიც საოცრად ამშვენებს მას. (46) ასე გგონია, რომ იგი მტკიცე საყრდენზე კი არ დგას (ნაგებობის სიმსუბუქის გამო), არამედ ოქროს სფერო³ გადმოკიდულა ციდან და ფარავს ამ ადგილს. (47) ყველაფერი ეს, არამიწიერი ხელოვნებით შედგება მთლიანი, მხოლოდ უახლოესს ვერდნობა და ქმნილებას ერთიან პარმონიას ანიჭებს. მნახველს უჭირს დატყობს რომელიმეს მომეტებული მზერით, ყოველი ნაკვთი იტაცებს თავალს და ადვილად გადაავლებინებს ერთიან

¹ სტერეობატი (πρῶτοι) – ფუნდამენტი, საძირკველი, ანტიკური შენობის ან სვეტარის ძირი, ცოკლი, რომელიც ზმირად საფუძურებად არის დაყოფილი.

² თაღი (αψίς) – აფსიდი, წრიული ან მრავალწახნაგოვანი მოხაზულობის წველებრივ შერეული კმარით გადახურული მოცულობა. ტარის აფსიდში მოთავსებულია საკრთხველას ნაწილი.

³ ზოგერთ გამოცემაში იკითხება „ოქროს ჯაჭვი“ χρυσός // σφαιρα.

მეორეზე. (48) მზერის შველა ისე სწრაფად ხდება, მაყურებელს უძნელდება გარჩევა, ამ სილამაზიდან რა უფრო მეტი აღტაცების ღირსია. (49) და თუნდაც ყოველივე დიდი ჟურაღლებით დაათვალიერო და წარბებიც აზიდო, მაინც კერ ჩაწვდები მთელი ხელოვნების არსს. აქედან მუდამ დათრგუნვილნი გამოდიან იმ შეუცნობელის გამო, რასაც ხედავენ, მაგრამ კმარა ამაზე.

(50) იუსტინიანე მეფემ არქიტექტორებთან, ანთიმოისსა და ისიდორესთან, ერთად მრავალი ხერხით აღმართა ეს დიდებული ტაძარი, ცამდის ნაგები მკვიდრად და საიმედოდ. ჩემი აზრით, ყველა იმ [ხერხის] ცოდნა წარმოუდგენელია, სიტყვით გადმოცემა – შეუძლებელი. ახლა კი ერთ რამეს გვიამბობთ, რაც მათი შემოქმედების სილიადესა და ხელოვნებაზე მიუთითებს. მაშ ასე, (51) პოსტამენტები, რაზეც ცოტა ზემოთ გვექონდა საუბარი, შენობის დანარჩენი ნაწილების მსგავსად კი არ იყო აგებული, არამედ განსხვავებულად. (52) ქვის ფენა, ოთკუთხელებად დაწყობილი, ბუნებით მტკიცე და გამოკეთილი ნამუშეარი გარდასულია, თუ პოსტამენტის ზედა მხარეს იკაკებს, სწორკუთხელების სახითაა წარმოდგენილი, თუ შუა ადგილს – კვადრატების სახით. (53) ურთმანეთთან ეს ფენებს დაკავშირებული არიან არა კირხსნარით, არამედ ე.წ. აზბესტით; ეს არაა ასფალტი, ბაბილონური სემირამიდას სიამავე, – არაფერი ამის მსგავსი, არამედ არის ტყვია, თინასავით გამლღვლი, რომელიც მთლიანად აესებს შუაში არსებულ სიკარიელეს და მტკიცედ და ქარმონოლად აღუღაბებს ქვებს ერთმანეთთან. (54) ახლა კი ტაძრის დანარჩენი ნაწილების შესახებ გვიამბობთ: ბაჯალლო ოქროთი მოოჭვილი მთელი ჭერი სილამაზისა და დიდებულების განსახიერებაა, ქვათა მანათობელი ციალი ძლევეამოსილია ოქროს [ბრწყინვალეობით]. (55) ორივე მხრიდან მოემართება გალერეები,¹ რომლებიც ტაძრისაგან არავითარი ნაგებობით არ არიან გამოყოფილი, არამედ უფრო მეტ სივრცეს ანიჭებენ მას. სიგრძეში ისინი ტაძარს ბოლომდე გასდევენ, სიმაღლეში კი ჩამორჩებიან. (56) მათთვისაც ჭერი გუმბათია, სამკაული კი-ოქრო. ერთი მათგანი მამაკაცების სამლოცველოს წარმოადგენს, მეორე კი სადედოს. (57) ისინი ერთმანეთისაგან არაფრით არ განიჩრჩევიან და ეს იგივეობა და მსგავსება ტაძარს [თავისებურ] სილამაზეს მატებს. (58) ვის და-

¹ გალერეა (σολα) – 1. ანტიკური საბერძნეთის საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს კედლის გასწვრივ ერთ ან ორ რიგად განლაგებულ გადახურულ სვეტნარს; 2. კარიბჭე ნართქვის სვეტებთან, გვერდია, კმაროსანი ნაგებობა – ტაძრის მთავარი შესასვლელი ან გარემოსავლელი.

ლუქს აღწეროს სადღღოს ზედა ხართულების სილამაზე, [სილამაზე] მრავალრიცხოვანი გაღერებისა და შიდა პერისტოლებისა,¹ რომლებიც ტაძარს გარს ავლია? (59) ვინ აღნუსხოს ტაძრის მომრთველი სვეტების ან ქვების მშვენიება, თითქოს ყვაილებით მოჩითულ ფერადოვან მღვდლოს რომ ქმნიან? (60) მართლაც, საოცარია ეს ფერები, ალაგ მქნამული, ალაგ ზურ-მუნტიისფერი, ხან მოწისფერი დაკრავს, ხან თეთრად ელავს. ზოგი მათგანი კონტრასტული ფერებით იმგვარად ქარგავს, თითქოს თავად ბუნება ყოფილყო მისი მხატვარი. (61) ყოველთვის, როცა კი მლოცველი შედის ტაძარში, უმალვე ხედება, რომ ადამიანური ძალით ან ხელოვნებით კი არა, ღვთის განგებით აღსრულდა ეს საქმე. ღმერთისკენ მღვდლოვარე გონება ჰაერში დალივლივებს და [მლოცველს] თავი სადღაც შორს კი არ ჰგონია, არამედ იქ, სადაც ყველაზე უკეთესად მიაჩნია. (62) ასე ემართება არა მხოლოდ პირველად მხილველს, არამედ ყველას მსგავსი აზრი უჩნდება დათვალეირებისას იმთავითვე. (63) არავის არასოდეს მოსჭარბებია მისი ცქერა, ტაძარში მოსული ადამიანები ტბებიან ნანახით, გარეთ გამოსულნი საუბარში ადიდებენ მას. (64) შეუძლებელია დანვრილებით მოყოლა ტაძრის განძეულის შესახებ, კერცხლის [ნივთებსა] და ძვირფას ქვებზე, რომლებიც იუსტინიანე მეფემ ტაძარს შესწირა. მკითხველი მარტო ამითაც დარწმუნდება, თუ ვიტყვი, რომ (65) ტაძრის ის ადგილი, რომელიც მხოლოდ მღვდელმსახურთათვისაა განკუთვნილი და რომელსაც საკურთხეველს უწოდებენ, 40000 ლიტრ ვერცხლის მოიცავს. (66) აი ყველაფერი კონსტანტინე-პოლის ტაძრის შესახებ, რომელსაც დიდი უწოდეს; ალექსანდრე იუსტინიანე მეფის წყალობით. ამ პატარა წიგნში, შეიძლება ითქვას, ხანჯუნებელი თითით აღვსუსხე, რაც კი ღირსი იყო თხრობისა.

მენანდრე პროტიკტორი

VI საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრე წარმომავლობით იყო კონსტანტინეპოლის ღარიბი მოქალაქის ოჯახიდან. მამამისს, თვითონ გაუნათლებელს, მოუხერხებია, თავისი ორი ვაჟისთვის

¹ პერისტოლი (*peristolis*) — ხეცნაირი გარშემოწებული შიდა ეზო ან მოედანი; თვით სვეტნარი, რომელიც გარს უვლას ასეთ მოედანს ან ეზოს.

იურიდიული განათლება მიეცა, მაგრამ მენანდრემ არ ისურვა ცხოვრებაში გამოეყენებინა თავისი სპეციალობა. ამის ნაცვლად გართობას მიეძალა და მთელ დროს ჰიპოდრომსა და პანტომიმების წარმოდგენებზე ატარებდა. როგორც ჩანს, რაღაც პერიოდში საიმპერატორო კარზე მსახურობდა გვარდიის ქვეგანაყოფის მეთაურად, ანუ პროტიკტორად; აქედან წარმოსდგა მისი ზედწოდებაც. გაღარიბებული მენანდრე ბოლოს გადაწყვეტს, ხელი მოაკიდოს ისტორიკოსობას, რაც, მისი აზრით, ტახტზე ახლად ასული იმპერატორის მავრიკიოსის (582–602) მხრიდან მისთვის წყალობას უზრუნველყოფს. იგი მიზნად ისახავს გაგრძელოს აგათია სქოლასტიკოსის „ისტორია“ იქიდან, სადაც უკანასკნელი შეჩერდა, ე.ი. 558 წლიდან. მენანდრეს საისტორიო თხზულება შეიცავს 558–582 წლების ამბებს, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ ნაწვევების სახითაა მოღწეული. ხელ შენახულია 77 ფრაგმენტი, რომელთაგან 15 სვლას ლექსიკონშია მოყვანილი, დანარჩენი — კონსტანტინე პორფიროგენეტის კრებულებში.

მენანდრეს „ისტორია“ საკმაოდ ძვირფასი წყაროა, რამდენადაც ავტორს შესაძლებლობა ჰქონდა, გამოეყენებინა ოფიციალური დიპლომატიური და სამხედრო დოკუმენტები. იყენებს იგი დიპლომატთა მოთხრობებსაც. მენანდრე მეტად ფრთხილი ისტორიკოსია, ამიტომ ერთნაირად ხოტბას ახეამს ყველა იმპერატორს, რომელთა შესახებაც წერს, მაგრამ ამასთან მას აქვს გარკვეული პრინციპებიც: იგი მოწინააღმდეგეა ტირანიის, განადიდებს სრომას, უაყოფს უსაქმურობას და მომხვეჭელობას; ომის მოწინააღმდეგე და მშვიდობის მომხრეა. მსგავსად პროკოპიასა და აგათიასი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბედობას, ძალზე მაღლა აყენებს ადამიანის გონებას. მენანდრე, ცხადია, ქრისტიანია, მაგრამ არ გამოირჩევა დიდი აღმსარებლობით, ზედმეტად მიანია რელიგიური კამათი და შემრიგებლურია სხვა რელიგიათა მიმართ. მენანდრეს თხზულებაში განსაკუთრებით ძვირფასი ცნობებია თურქული და ხლაური ტომების შესახებ.

„ისტორია“

ფრ. I. მამაჩემი ვეფრატასი წარმოშობით ბიზანტიონიდან იყო. მას არ მიუღია სწავლა-განათლება. პეროდოტემ, ჩემმა ძმამ, ხელი მოაკიდა სამართლის შესწავლას, მაგრამ მერე თავი ანება ამ დარგს. რაც შემეხება

მე, საჭიროდ ჩავთვალე, შევხსნავლა სამართალმცოდნეობა და დამხსრულებინა კიდევ სწავლა, და მე შევასრულე ეს, რამდენადაც მოვახერხე, მაგრამ არაფრით გამომიყენებია სამართალმცოდნის წოდება. არასასიამოვნო იყო სასამართლო საქმეების განხილვაში მონაწილეობა, ხშირი სიარული სამეფო სტოაში და ჩემი მჭევრმეტყველების გამო სხვათა საზრუნავის ჩემს თავზე აღება. და აი, უარყვავი რა მნიშვნელოვანი საქმენი და ავირჩიე რა ყველაზე უარესნი, მე დავეზებებოდი უსაქმოდ. მომეწონა სხვადასხვა ფერთა ირგვლივ ატყობილი ხმაური და ლელვა¹, ცხენთა მარულა, პანტომიმური ციკლები, საჭიდაო ასპარეზზედაც კი კვარჯიშობდი და იქამდეც მივედი, რომ უგუნურმა მთელი ტანსაცმელი განვიძარცვე და მასთან ერთად მოვიშორე გონიერება და ყოველივე, რაც ცხოვრების სამკაულს წარმოადგენს. მას მერე, რაც მეფის ძალაუფლება მიიღო მავრიკიოსმა – ხელმწიფემ, ქვეშევრდომებზე შზრუნველმა და ამასთან მუშების მოყვარულმა, რომელიც სიამოვნებით უსმენდა პოეტურ ნაწარმოებებსაც და ისტორიულ თხზულებათა კითხვასაც და ამ საქმეში მთელ ღამეებსაც ათენებდა, მან დაიწყო საკუთარი მაგალითით სხვათა წახალისება და საჩუქრებით ყველაზე ზანტი გონების ხალხის ამოქმედება. ამ დროს მე მთლიანად ჩაფლული ვიყავი უსაქმურ ცხოვრებაში; გული შეთანადრებოდა, რომ სახარებლოს არას ვაკეთებდი, და დავიწყე ყიქრი იმაზე, რომ არ უნდა დავეზებებოდე უშიზნოდ. ამრიგად, რათა უქმად აღარ მყვიალა, შევეუდექი ამ თხზულების წერას და დავიწყე ისტორია აგათიას გარდაცვალებიდან².

ფრ. 2. ჩემი მიზანი იყო, მომეტანა სარგებლობა არა იმდენად თხრობის მოხდენილობით, რამდენადაც თვით საქმეთა სწორი აღწერით; ან როგორ უნდა მიმედნია განათლების ისეთი დონისათვის, რომ გავმზადრიყვ ნამდვილი ისტორიკოსი, როცა ცხოვრება გავატარე უზრუნველად და არეულ-დარეულად.³

ფრ. 3. როდესაც მიდიელებმა კოლხთა სადავოდ ქცეული მიწა-

¹ იულისხმებს სხვადასხვა „საცარკო პარტების“, პოლიტიკურ დაჯგუფებათა ურთიერთბრძოლა კონსტანტინეოპოლში მოავარი დაჯგუფებები იყო „მწვანეთა“ და „ციხვეართა“.

² ფრავენტი შესულია ხელდას ლექსიკონში (იხ. *Μεταίχμιος*); აქ უზუსტობაა: მენანდრემ ისტორიის თხრობა განაგრძო იმ დროიდან, რაზეც აგათიამ გარდაცვალების გამო შეწყვიტა, ე. ი. 558 წ.-დან; აგათია გარდაიცვალა 532 წ.

³ ფრავენტმა შენახულია კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში „ბრძნული აზრების შესახებ“ (*De sententia*, 353); მენანდრეს დანარჩენი ფრავენტები შესულია იმავე კონსტანტინეს თხზულებაში „ელჩობათა შესახებ“ (*De legationibus*).

წყალი დაიკავეს, რათა კოლხები თავიანთ ქვეშევრდომებად გაეხადათ, დიდი ხნის განმავლობაში ამდენი ბრძოლითაც ვერაფერს გახდნენ, არამედ ლაზიკის დიდი ნაწილი და ქალაქი ფაზისი, ხადაც, ამბობენ, აიეტის სამეფო ადგილსამყოფელი იყო, მაინც რომაელებს უყვრათ. ბოლოს რომაელებმა და სპარსელებმა გადაწყვიტეს, რაც ხელთ აქონდათ, არაფერი არ დაეთმოთ ერთმანეთისთვის, არც ციხე-სიმაგრეები, არც სხვა რამ ადგილები, არამედ შეენარჩუნებინათ, ვიდრე საბოლოოდ არ მოხდებოდა სადავო საკითხების გარჩევა. ასეც გადაწყვიტეს; დადებულ იქნა დროებითი ზავი, რომელიც იმედს იძლეოდა, რომ უახლოეს ხანებში დაიდება სრულყოფილი ზავი. ამის შემდგომ ეს დიდი სახელმწიფოება მშვიდობიანად ცხოვრობდნენ.

როდესაც ეს ყოველივე ასეთ მდგომარეობაში იყო, ხოლო ჰუნები ზავერგანის მეთაურობით ხადაც შორს იყვნენ უკუგდებულნი რომაელთა ხაზღვრებიდან, იუსტინიანე, ვარაუდობდა რა, რომ კუტრიგურები კვლავ მოვლენ თრაკიის ასაოხრებლად, არ ასვენებდა უტიგურების ბელადს სანდილზოსს ხშირი ელჩობებით და სხვა საშუალებებით, აქეზებდა რა მას, რადაც უნდა დასჯდომოდა, ეომა ზავერგანის წინააღმდეგ. თხოვნას მეფემ დააირებაც მიუმატა, რომ გადასცემს სანდილზოსს იმ გასამრჯელოს, რომელიც დაუნიშნა რომის ხელისუფლებამ ზავერგანს, ოღონდ კი სანდილზოსმა სძლიოს კუტრიგურებს. სანდილზოსი, მართალია, მოწადინებული იყო, რომაელებთან მეგობრული ურთიერთობა შეენარჩუნებინა, მაინც ასე სწერდა მეფეს: „უწესობა იქნებოდა და თანაც უკანონობა, ჩვენ რომ მთლიანად გავწყვიტოთ ჩვენი თანამებრძოლები, რომლებიც არა მარტო ჩვენსავე ენაზე ლაპარაკობენ, ჩვენგან ცხოვრების წესს მისდევენ, ჩვენგან ტანსაცმელს ატარებენ, არამედ ჩვენი ნათესავნიც არიან, თუმიცა სხვა ბელადებს ექვემდებარებიან. მიუხედავად ამისა (როგორც მოითხოვს მეფე იუსტინიანე), მე წავართმევ კუტრიგურებს ცხენებს და დავისაკუთრობ მათ, რათა ვერ გამოიყენონ და ვერ შესძლონ რომაელთა ენება.¹

ფრ. 4. [ავარების შესახებ]. ხანგრძლივი ზეგიალის შემდეგ მოვიდნენ იხინი ალანებთან და ემუდარებოდნენ ალანთა წინამძღოლს ხაროხის, რომ მისი მშვეობით გასცნობოდნენ რომაელებს; ხაროხიმაც აცნობა ამის შესა-

¹ აქ აღწერილ მოვლენათა წინამორბედი ამბები აღწერილი აქვს ავითა სქოლასტიკოსს სათანადო ადგილებში. აქ აღწერილი ურთიერთობა სპარსელებთან და ჰუნებთან ხდება იუსტინიანეს მეუბობის 32-ე წელს, ე. ი. 558 წ.

ხებ იუსტინეს, გერმანეს ძეს¹, რომელიც იმ დროს ლაზიკაში მყოფ ჯარს წინამძღოლობდა, ხოლო იუსტინემ ავარების თხოვნა აცნობა იუსტინიანე მეფეს. მეფემ სტრატეგოსს (იუსტინეს) დაავალა, გამოეგზავნა ბიზანტიონში ამ ტომის ელჩები, ავარების პირველ ელჩად არჩეულ იქნა კინამე, სახელად კანდინხე. წარუდგა რა მბრძანებელს, მან უთხრა: „შენთან მოვიდა ყველაზე ძლიერი და ყველაზე მამაცი ხალხი; ავართა ტომი დაუძლეველია; მას ძალუძს ადვილად უკუაგდოს და გაანადგუროს მტერი. ამიტომ შენთვის სახარებლო იქნება, მოკავშირეებად გაიხადო ავარები და შეიძინო მათი სახით საიმედო დამცველები; მაგრამ იხინი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებიან რომაელთა სამეფოს მეგობრები, თუ შენგან მდიდრულ საჩუქრებს და ფულს მიიღებენ ყოველწლიურად და დასახლებული იქნებიან ნოყიერ მიწებზე“. აი ეს განუცხადა თვითმპყრობელს კანდინხემ. მაგრამ მეფის სხეულის სიმართლე აღარ იყო ისეთი, მეფე აღარ გახლდათ ყვაილობის ასაკში, როგორც იმ ქამს, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, მან დაატყვევა ვანდალი გელიმერი და გუთი უიტრგინი. ის უკვე მოხუცი იყო და იმდროინდელი სიმტკიცე და მებრძოლური შემართება გადაეცა სიმშვიდისაკენ მდიდრეილებად. ამიტომაც მან გადაწყვიტა, უკუეგდო ბარბაროსული მოძალება სხვა ხერხით, და არა ომით. იგი სძლედა ავარებს და გაწყვეტდა მათ ბოლომდე არა ომის საშუალებით, არამედ წინდახედულების წყალობით, თვით მისი სიცოცხლე რომ არ შეწყვეტილიყო გარდაუკალი სიკვდილით: მალე იგი გარდაიცვალა. რადგან არ შეეძლო, ძალით გასწორებოდა ავარებს, იუსტინიანე სხვა გზას დაადგა².

ფრ. 5. მეფემ სიტყვა წარმოსთქვა საკრებულოში. ხალხთო სათათბირომ³ ხოტბა შეასხა მეფეს გამჭრიახობისათვის. მალე ავარებს გაუგზავნეს საჩუქრად ოქროთი შემკული ძეწკები და სარეცლები, აბრეშუმის სამოსი და მრავალი სხვა ნივთი, რომელთაც შეეძლოთ დაეცხროთ ქედმაღლობით ავსებული გულები. ამასთან, მათთან ელჩად გაიგზავნა ვალენტინე, მებრძლე მეფისა⁴. მას ებრძანა, ეს ტომი გაეხადა რომაელთა მოკავშირედ და აეშუ-

¹ იყო იუსტინიანეს ძის შვილის შვილი, 557 წ. ვახტაგარს პარონიციის ჯარების ხარდალი (magister militum per Armeniam).

² იუსტინიანეს მოქმედების შესახებ ავართა წინააღმდეგ მოთხოვნილი აქვს აკათიას.

³ უნდა იგულისხმებოდეს სენატო.

⁴ ახალი თანამდებობა ბიზანტიაში ცნობილი არაა, ეს გულისხმობს მენანდრე, ძნელი სათქმელია.

ლებინა, ემოქმედა რომაელთა მტრების წინააღმდეგ. ასეთი ზომები, ჩემის აზრით, მეფის მიერ ძლიერ გონივრულად იყო მოფიქრებული, რადგან გაიმარჯვებდნენ ავარები თუ დამარცხდებოდნენ, ორივე შემთხვევაში ეს სასარგებლო იქნებოდა რომაელებისთვის. როდესაც ვალენტინე ავარებთან მივიდა, გადასცა საჩუქრები და უთხრა, რაც მეფემ დააბარა, ისინი ჯერ უიგურებს შეებრძოლნენ, შემდეგ ზალებს, ჰუნთა ტომს, ხოლო საბირები გაანადგურეს¹.

ფრ. 6. ანტების ბელადები სასოწარკვეთილებამდე იყვნენ მიყვანილნი და ყოველგვარი იმედი ჰქონდათ დაკარგული, რადგან მათ მიწებს ავარები ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ². მტრის თავდასხმებით დაჩაგრულეობა, ავარებთან ელჩად გაგზავნეს მეძამირი, ილარიძის ძე და ძმა კელაგასტისა, სთხოვდნენ რა ავარებს, ნება დაერთოთ თანამეტომეთაგან ზოგიერთი ტყვის გამოსყიდვისა. ელჩი მეძამირი, ყბელი და ტრაბახა კაცი, ავარებთან ჩასვლისას მიმართავს მათ ქედმაღლური და თავზედური სიტყვებით. მაშინ კოტრაგივე, რომელიც ავარებთან ნათესაობით იყო დაკავშირებული და ანტების მიმართ ყველაზე უარყოფით რჩევებს იძლეოდა, გაიგონებს რა, რომ მეძამირი უფრო ქედმაღლურად ლაპარაკობს, ვიდრე ელჩს შეშვების, მიმართავს ხაკანს: „ეს ადამიანი დიდი გავლენით სარგებლობს ანტებს შორის და შეუძლია წარმატებით იმოქმედოს მათ წინააღმდეგ, ვინც თუნდაც მცირედ მტრულადაა მისდამი განწყობილი. უნდა მოკლულ იქნას და შემდეგ ყოველგვარი შიშის გარეშე დავეხნათ ანტების მიწაწყალს.“ ავარებმა, რომლებიც ერწმუნნენ კოტრაგივეს სიტყვებს, უარი თქვეს ელჩის პატივისცემაზე და მოკლეს მეძამირი. მას შემდეგ წინანდელზე ძლიერად ანადგურებდნენ ავარები ანტების მიწაწყალს, არ წყვეტდნენ მის ძარცვას და მცხოვრებთა ტყვევანს.

ფრ. 15. ელადა ნადგურდებოდა სკლავინების მიერ და ყოველი მხრიდან მას უბედურება ემოქმედებოდა. ტიბერიოსს³ ძალა არ შესწევდა მტრის ერთ ნაწილსაც კი გასწორებოდა, მით უფრო ყველას ერთად. რადგან მას არ შეეძლო სკლავინების წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა, (ის ხომ აღმოსავლეთში

¹ ელა ესენი ჰუნების თურქული ტომებია.

² ანტები პროკოპის მიხედვით სლავური ტომია.

³ იველისხმება ბიზანტიის იმპერატორი 578--582 წლებში ტიბერიოს კონსტანტინე; მის დროს ბიზანტიას აღმოსავლეთიდან ირანი უტყვს ჩრდილოეთიდან ბალკანეთში სლავები იჭრებან და მისი გადმოღმა ავარები არიან ჩამოშხდარი.

რომელთა მიერ წარმოებულ ომში იყო ჩაბმული,) ტიბერიოსმა ელჩობა გაგზავნა ავარების წინამძღოლ ბაიანთან, რომელიც ამ დროს სულაც არ იყო რომაელთადმი მტრულად განწყობილი; პირიქით, ჯერ კიდევ ტიბერიოსის ტახტზე ასვლისას სურდა, ჩვენი სახელმწიფოსგან მიეღო რაიმე სარგებელი. ამრიგად, ტიბერიოსმა დაიყოლია ბაიანი, სკლავინების წინააღმდეგ დაეწყო ომი. რათა ისინი, ანადგურებდნენ რა, რომაულ ოლქებს, საკუთარ უბედურებათა ზემოქმედებით, აღმდგარიყვნენ თავიანთი მშობლიური მიწის დასაცავად და მისთვის შველის სურვილით შეშვებოდნენ რომაული მიწის აოხრებას. შეხვდა რა კეისრის გამოგზავნილ ელჩობას, ბაიანმა არ თქვა უარი მის მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე. ამის შედეგად პეონიაში გაიგზავნა იოანე, რომლის მმართველობას დაექვემდებარა კუნძულები და ილირიის ქალაქები. მივიდა რა პეონიაში, მან ეგრეთ წოდებული გრძელი გემებით გადაიყვანა რომაულ ოლქებში ბაიანი და ავარების ლაშქარი. ამბობენ, რომაელთა მიწაწყალზე გადაყვანილ იქნა დაახლოებით სამოცი ათასი ცხენოსანი, ჯავშანში ჩამჯდარი. გადაიყვანა რა იქიდან ილირიაზე, იოანე მივიდა სკიითურ ოლქში, ახლა უკვე გადაიყვანა ავარები ისტროსზე¹ ხომალდებით, რომელთაც შვემლოთ წინაც და უკანაც მოძრაობა. როგორც კი ავარები ისტროსის მეორე ნაპირზე გადავიდნენ, დაუყოვნებლივ დაიწყეს სკლავინთა სოფლების გადაწვა, აოხრება და მათი მინდვრების გაუდაბურება. იქაურ ბარბაროსთაგან ვერაინ გაბედა მათთან შებრძოლება, ყველანი დაბურულ, ხშირ ტყეს შეეფარნენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ავართა გალაშქრება სკლავინთა წინააღმდეგ არ იყო გამოწვეული მარტო კეისრის ელჩობით ან ბაიანის სურვილით – გამოემქლავნებინა კეისრისათვის მადლიერების გრძნობა მის მიმართ კეთილი დამოკიდებულებისათვის. ეს მოქმედება თვით ბაიანის სკლავინებისადმი მტრობისგან მომდინარეობდა. საქმე ისაა, რომ ცოტა ხნით ადრე ავარების ბელადმა გაუგზავნა დავრენტონის და სკლავინთა უმთავრეს წინამძღოლებს ელჩობა და მოხთხოვა, დამორჩილებოდნენ ავარებს და მათთვის ხარკის გადახდა ეკისრათ. დავრენტა² და სკლავინთა წინამძღოლებმა უპასუხეს: „არის კი დაბადებული და თბება კი მზის სხივებით ადამიანი, ვინც შესძლებს ჩვენი ძალის დამორჩილებას?

¹ ისტროსი – შდ. ღუნაი.

² აქ ორ მუხობულ წინადადებაში სახელი განსხვავებული ფორმით წერია; რომელია მათგან ზუსტი, ძნელი სათქვლია.

ჩვენ შერეულნი ვართ, რომ სხვა კი არ ფლობს ჩვენს მიწაწყალს, არამედ ჩვენ ვფლობთ სხვისას. და ამაში ვართ დარწმუნებულნი მანამ, ხანამ ამ ქვეყნად იარსებებს ომი და მახვილი“. ასეთი თავზედური პასუხი გაცეს სკლავინებმა; არანაკლებ ქედმაღლურად ლაპარაკობდნენ ავარებიც. ამას მოჰყვა ლანძღვა და ურთიერთშურაცხყოფა და, როგორცეს სჩვევიათ ბარბაროსებს, მკაცრი და მაღალფარდოვანი გრძნობებით ისინი აღრმავებდნენ განხეთქილებას. სკლავინებმა კერ შესძლეს თავისი შრისხანების დაოკება და დახოცეს ავართა ელჩები. ბაიანმა ამ საქციელის შესახებ ხვებათაგან შეიტყო. ამდენად მას კარგა ხანია ჰქონდა მიზეზი — სკლავინებზე ეწივლა, მათდამი იდუმალი სიძულვილი ეტარებინა გულში და თანაც გამწვრალი ყოფილიყო, რადგან არ დაემორჩილნენ მას და უდიდესი შურაცხყოფაც მიაყენეს. ამავე დროს მას სურდა, მაღლობა გადაეხადა კეისრისთვის და, ამას გარდა, იგი ფიქრობდა, რომ სკლავინების მხარე ფუფლით უჩვი უნდა ყოფილიყო, რადგან ძველსაგანვე სკლავინები ძარცვავდნენ რომაელებს... მათი (ე. ი. სკლავინების) ქვეყანა კი არ ყოფილა სხვა ხალხის მიერ აოხრებული¹.

თეოფილაკტი სიმოკატა

კრებულში წარმოდგენილი „ისოფლიო ისტორიის“ შესავალიდან და „ისტორიის“ ერთი წიგნიდან ცხადად ჩანს, რომ თეოფილაკტი სიმოკატას აქვს „ისტორიის“ დღევანდელი გაგებისაგან პრინციპულად განსხვავებული შეხედულება. დიდი პოეზიაც მისთვის ისტორიაა; იგი არ ეთანხმება არისტოტელეს საკითხის იმგვარად დახმამში, რომელი რომელს უნდა დაუჩესთავდეს — ისტორია პოეზიას, თუ პირიქით. თეოფილაკტეს შეხედულებას ათასწლეულებში გადგმული ღონიერი ძირები აწვდიან საზრფელს: პოეტური ფორმა ეძლეოდა არა მხოლოდ მატიაწეებს, არამედ უძველეს სამართლის ძეგლებს, მეფეთა განჩინებებს და სხვ.

თეოფილაკტი სიმოკატა ირაკლი კეისრის ხანის მოღვაწეა და თავისი ნაისტორიო თხზულებით მენანდრე პროტიკტორის „ისტორიას“ განაგრძობს. მისი ცნობები საქართველოს შესახებ გამოცემულია სიმ. ყაუხჩიშვილის

¹ ნაწყობი ეხება 578 წლის ამბებს.

„გეორგიკის“ მეოთხე ტომში. თეოფილაკტე სხვა დარგის შრომებითაც არის ცნობილი. მისი „ისტორია“ კი მინეუღია ასახული ეპოქის ძვირფას წყაროდ.

„მხოვლიო ისტორიის“ შესავალი

აღამიანი უნდა დაამშვენოს არა მხოლოდ იმ სიკეთემ, რომელიც მისთვის ბუნებას უბოძებია, არამედ იმ საკუთარმა შენაძენმაც, რომელიც მას თავად მოუპოვებია¹. მას აქვს სიტყვის ნიჭი – განსაკვიფრებელი და ღვთაებრივი რამ განძი. სიტყვის მეშვეობით ისწავლა მან ღვთის მოშიშობა და თაყვანისცემა, საკუთარი ბუნებრივი თვისებების დანახვა ისე, ვით სარკეში, და შეიცნო დამოწაფების საკუთარი წესი.

სიტყვის წყალობით თავიანთ თავსაც ანიშნებენ ადამიანები, გარემო ქვეყნიერებიდან [მიღებულ მინიშნებასაც] გონებაში ამუშავენ და ყოველივე ამის საშუალებით ხსნიან შესაქმის ორგეებს. ამან ბევრი სიკეთე მოუტანა ადამიანებს. გონებაა ადამიანის ბუნების საუკეთესო თანამდგომი. თუკი ბუნებას რამ გამოჩნა, გონებამ უკეთ დაასრულა: მზერისთვის სამკაულები მოიგონა, გემოვნებისთვის – სიამოვნებანი, ასანთებად ზოგი წილი განაძლიერა, ზოგი მოამდოურა, სმენისთვის მუსიკაბა შექმნა, ზოლო გამოძახილის [ცნობის] მოგვეური ხელოვანებით სული მოხიბლა და გასაგონად მიიზიდა.

განა ამას არ მოწმობს ბრძენი ოსტატი? – ზოგი რომ მატყლის ძაფისაგან უნაზეს ქიტონს ქსოვს, ზოგი მიწისმუშებისთვის ხისაგან ერქვანს ამზადებს, მეზღვაურისთვის – ნიჩაბს, მკომრისათვის კი ფარსა და შუბს – ომში საფრთხისაგან თავდასაცავად. ხოლო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი – ისტორია – მრავალმხრივ საინტერესო თხრობით ატკობს სმენას და აღზრდის სულს. სულისათვის არაფერია უფრო მომხიბლველი, ვიდრე ისტორია.

ამას დაადასტურებს ჰომეროსის პოემის ის რაფხოდია, სადაც მეფე ალკინოეს კარზე პატივით მიიღეს ლაერტის შვილი, რომელიც ზღვის ტალღებს გამოერეფათ; დიდძალი ხალხით იყო გარშემორტყმული ოდისეესი.

გემის დაღუქვის გამო გამომწველებული და ღონემიხდილი მისი სხეული

¹ აღბათ ქრისტესგან ნაბოძები ტალანტის დამარხვა მინიშნული (რედ.)

დიდებული ტანსაცმლით შემოსეს და მეფესთან საერთო ტრაპეზის პატივი დასდეს. მას, უცხოის, სიტყვის თავისუფლება მისცეს, რათა უშიშრად მოყოლა თავისი თავგადასავალი.

ფეაკები მისი მონათხრობით იმდენად მოიხიბლნენ, რომ დალევა დაეწყო და ნადიმც სანახაობად გადაიქცა. ყურს უგდებდნენ და თვალს არ აცილებდნენ, მოთხრობის სიგრძე სრულებითაც არ აწუხებდათ.

მონათხრობში ბევრი რამ სანაღვლეელი იყო. ოდისევსი გარშემო მყოფთ უაპობდა იმ საშინელ განსაცდელზე, რომელიც მას გამოველო. ისინი მოუკლებელი ინტერესით უსმენდნენ და ტყებოდნენ საკვირველი ამბებით.

აქედან ჩანს, რომ, როგორც პოეტები უპირველესად სახელგანთქმული არიან აღზრდა-განათლებლით, იყვრობენ თავგადასავალითა მოყვარულადამიანთა სულს და მუდამ გაგებისა და შესწავლის სურვილით არიან ანთებული, ქმნიან საარაკო თავგადასავლებს, შემკულს გამოსახვისა და გადმოცემის თავისებური სტილით, ამ გამოინაგონებს რითმით და მეტრით აწვობენ, თითქოსდა ჯადოსნური რამ ნაქარგობით ამშვენებენ და ამით ხიბლავენ, იმგვარივე ძალა აქვს ხულთა შესაიდუმლოებობას, რის გამოც მესაიდუმლოენი აგრეთვე ღვთისმეტყველებად იწოდებიან, თითქოს ღმერთები მათგან გამოვლინდებიან და მათი ენით უცხადებენ ადამიანებს თავის მდგომარეობას: სამამაცო საქმეებსაც და მარცხსაც.

ამრიგად, ყველასათვის ნათელია, რომ ისტორია ყოველი სულდგმულის საერთო მოძღვარია, რომელიც გვასწავლის, რა დაევტოვოთ უფურადღებოდ, რომ ხასარგებლო არაფერი გამოგვიჩეს. ისტორიის სამუალებით შეიძლება ვნახოთ, თუ როგორ ხდებიან სტრატეგიისები უჭკვიანესნი, როგორ დააწვობენ თავიანთ ძალებს, რომ რიგიანად ჩასაფრებულებმა -- მოატყუონ მტერი.

ჯერ-ერთი, სხვათა თავგადასავლებს რომ გვიამბობს, ჩვენ თვითონაც უფრო წინდახედულებს გვხდის, სხვათა დამარცხების შესახებ რომ მოგვითხრობს, ამით დანარჩენებს სწორ გზაზე აყენებს. მეორეც, წარმატებების აღწერით გვასწავლის, თუ როგორ ავმაღლდეთ სულ მცირე სიმაღლიდან უმაღლეს სიჭკველემდე.

მოხუცისათვის ის წინამძღვარია და საყრდენი, ხოლო ახალგაზრდისათვის უმშვენიერესი და უბრძნესი მოძღვარი, თავისი დიდი გამოცდილების მიხედვით ბევრად მეტ ახალს გადმოსცემს ახალგაზრდას, ვიდრე ის (ახალგაზრდა) დროთა ვითარებაში შეისწავლიდა.

მას მიემართავ თვისონაც, თუმცაღა ჩემი ეს წამოწვევა აღუმატება იმას, რაც მე შემიძლია. გამოხატვის ხერხები ფრიად უბრალო მაჭებს, აზრი — უძლური, სიტყვათა წყობა უღამაზოა და შესიტყვებაშიც არა ვარ დახელოვნებული. თუკი რამე სასიამოვნოდ მოეჩვენება ვინმეს, ეს ბედნიერი შემთხვევის წყალობაა, და არა უნარის და ცოდნის შედეგი.

VIII წიგნი

I.

1. ამ დროს სპარსეთის მეფე ხოსრო მშვიდობის დარღვევას შეეცადა. ამის მიზეზი ბარბაროსის თვალში შემდეგი იყო. არაბიაში მრავალი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, რომლებსაც ხალხი ჩვეულებრივ სარკინოზებს უწოდებს.

2. ამ ტომთაგან ზოგიერთმა რომაელებთან შეკრა კავშირი. ერთი ნაწილი, რომელიც სპარსეთში მშვიდობიანობის დროს დაქვედრდა, თავს დაესხა და გაძარცვა ბაბილონის მხარე. ასე რომ ხოსრო დიდ გასაჭირში იყო.

3. თვითმპყრობელმა მავრიკიოსმა სპარსეთში ელჩად გაგზავნა გაორვი, რომელიც ადრე აღმოსავლეთის ქალაქებში გადასახადების აკრეფას ზედამხედველობდა; რომაელები მას პრეტორიუმის უფროსს (პრეფექტს) უწოდებდნენ.

4. ხოსრო მწარედ განიცდიდა მომხდარ ამბავს, რისთვისაც მკაცრად მოეპყრო ელჩს და აიძულა იგი, დიდი ხნით დარჩენილიყო ბარბაროსთა ქვეყანაში. გიორგიმ, ასე უდიერად მიღებულმა, სპარსეთში კარგა ხანი დაჰყო, ვიდრე მეფის სასახლეში შეღწევას ეღირსებოდა.

5. ვინაიდან ხოსროს საქმეები არეული იყო, გასაგებია, რომ ბარბაროსი ორჭოფობდა, იყო თუ არა სახურველი ჯვრჯვრობით რომაელებთან ომის გაჩაღება. და ასეთ დროს ბაბილონის მეფემ სასახლეში მიიწვია ვიორგი.

6. მაშინ ვიორგიმ სელსაყრელი დროით ისარგებლა და შეეცადა ბარბაროსის დარწმუნებას იმაში, რომ მას არ უნდა დაერღვია მშვიდობა [რომაელებთან]. ამგვარად, „ნებისით თუ უნებლიედ“, როგორც პოეტები ამ ბოიბენ, ხოსრომ მშვიდობა შეინარჩუნა.

7. ელჩმა ყოველივე ეს შეეყვანა დაწერილებით გადასცა. მაგრამ ამ ნათქვამმა მას ავი დასახრული მოუტანა. თვითმპყრობელთან საუბრისას ვიორგიმ ასე ააგო ხიტყვა: „სატრაპებით გარშემორტყმულმა სპარსთა მეფემ ასე ბრძანა, ომის შეწყვეტის ნებას ერთაყო ელჩისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად“.

8. მეფემ რომ მოისმინა, განრისხდა და ეს ფრაზა ფრიად სახიფათო შეიქმნა გიორგინთვის. ასეა, როცა წინადადება გაუსაზრავად არის შედგენილი, მან შეიძლება დიდი უსიამოვნება მოუტანოს წარმომთქმელს.

9. დაეუბრუნდეთ ისევ ევროპის ამბებს: იმ დროს, როცა ზაკანი, დაზავების შემდეგ შინ მიმავალი, გზად ისტროსზე გადავიდა, რომაელთა ძალებმა, რომლებიც თრაკიაში იმყოფებოდნენ, ელჩები გაუგზავნეს თვითმპყრობელ მავრიკიოსს და ბრალი დასდეს სტრატეგოს კომენტოლოსს ღალატში.

10. ამის გამო სამეფო ქალაქში დიდ მღელვარებას ქქონდა ადგილი. თვითმპყრობელმა კომენტოლოსს სამედიატორო სასამართლო დაუნიშნა. როდესაც ეს სასამართლო პროცესი შედგა, კომენტოლოსისადმი წაყენებული ბრალდებები მეფის მხარდაჭერის წყალობით არ დადასტურდა და კომენტოლოსი კვლავ სტრატეგოსი გახდა.

11. როგორც კი გაზაფხული დადგა, ის ქალაქიდან გავიდა და, რადგანაც რომაელები სინანულით შეურიგდნენ სტრატეგოსს, კომენტოლოსმა კვლავ თავი მოუყარა ჰოპლიტებს, მდინარე ისტროსს ჩაუყვა და სინგიდონში პრისკეს შეუერთდა.

II.

1. მეოთხე დღეს ჯარები შეკრიბეს და იმ დღიდან, რაც მათ წინაშე საჯაროდ გამოვიდა პრისკე, აჯარებსა და რომაელებს შორის მშვიდობიანობის ხანა გათავდა. თვითმპყრობელმა მავრიკიოსმა სტრატეგოსებს სამეფო წერილით უბრძანა, რომ სამშვიდობო ხელშეკრულება გაუქმებინათ.

2. ამგვარად, როცა ნათელი გახდა, რომ მშვიდობა დაირღვა, რომაელები ვიშნაკიონისკენ გაემართნენ (ეს კუნძული მდებარეობს მდინარე ისტროსთან), სადაც კომენტოლოსმა თავი მოიკავადმყოფა.

3. როდესაც რომაელები ხმელეთზე გადავიდნენ, ზაკანმა შეიტყო

რომეღელთა ბანაკის გადაადგილების ამბავი. ამიტომ ბარბაროსმა შეკრიბა თავისი ძალები და რომეღელთა ქვეყანა დაარბია, თავის ოთხ ვაჟიშვილს კი ჯარების ნაწილი გადასცა და დაავალა ისტროსზე გადასასვლელი ხიდის დაცვა ყველა მხრიდან.

4. და აი, როცა ბარბაროსის შვილები ისტროსზე გადასასვლელს იცავენენ, რომეღლებმა შეკრეს ტივები და მდინარე გადმოცურეს. მდინარის ნაპირას გაჩაღებულ ბრძოლაში რომეღლებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს.

5. კომენტოლოსი პრისკესთან ერთად ვიშინაკიონში იდგა, მას არ სურდა ომის გაჩაღება და ამის გადათქმა არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა. მან საეჟიპო დანით ხელზე ძარღვები გადაიჭრა, ბევრი სისხლი დაკარგა და ამის გამო თუ იმის გამო, რომ მშისპარა იყო, ბრძოლისუუნაროდ შეიარაცხა.

6. როდესაც რომეღლები ისტროსზე გადავიდნენ და იქ გამაგრდნენ, პრისკე კუნძულს მაინც არ ტოვებდა: მას არ სურდა კომენტოლოსის გარეშე ჩაბმულიყო გადამწყვეტ ბრძოლაში. რადგანაც რომეღლები უმეთაუროდ დარჩნენ, ბარბაროსებმა მათ ბანაკს ყველა მხრიდან ალყა შემოარტყეს.

7. რომეღლებმა სტრატეგოსებთან ვიშინაკიონში ელჩები გაგზავნეს და მათ თავიანთი საშიში მდგომარეობის შესახებ შეატყობინეს. ვინაიდან ბარბაროსთა შეტევა ძალიან ძლიერი იყო, მიუხედავად იმისა, რომ პრისკეს კომენტოლოსის გარეშე საბრძოლო მოქმედების დაწყება არ სურდა, იგი დაარწმუნეს, რომ დაეტოვებინა კომენტოლოსი და შექმნილი საფრთხისაგან როგორმე თვითონ დაეღწია თავი.

8. ამგვარად, მან დატოვა ვიშინაკიონი და რომეღელთა ბანაკში გამოცხადდა. მეორე დღეს, მისი ბრძანებით, ხომალდებმა ისტროსის ნაპირები დატოვეს და ვიშინაკიონში გადავიდნენ.

9. პრისკეს ეშინოდა, თუ ეს ნაგები მდინარის ნაპირზე იქნებოდა განლაგებული, რომეღლები ერთბაშად არ გადასულიყვნენ კუნძულზე, რის შედეგადაც შეიძლებოდა მათი ძალები დაქსაქსულიყვნენ და დაუძლურებულიყვნენ, ხოლო მათი სიმაგრე მცველთა გარეშე დარჩენილიყო.

10. რადგანაც ბარბაროსები ომისკენ მიისწრაფოდნენ, მეოთხე დღეს, გამთენიისას, პრისკემ რომეღლებს შეიარაღება უბრძანა. შეძლებისდაგვარად თავისი ჯარი სამ ფალანგად დააწყო და მტრის პირველი თავდასხმა მიიღო.

11. რადგანაც საბრძოლო მშვილდ-ისრები არ ჰქონდათ, რომეღლები მოწინააღმდეგეს შუბებით შეებრძოლნენ. ავარებმა 15 რაზმად განალაგეს

თავისი შეიარაღებული ძალები, ხოლო, რადგანაც რომაელებს საკუთარი ბანაკის სიმტკიცისა ეშინოდათ და ამით უსაფრთხოების თაღარიგს იჭერდნენ, ერთად მოიყარეს თავი და განემზადნენ ოთხივე მხრიდან ბრძოლის მისაღებად.

12. როცა მზე ჩავიდა, გათავლა ომიც და ძლევის სახსნორი რომაელებისკენ გადაისარა; თუკი რომაელთაგან სამასი [კაცი] დაიღუპა, ავართაგან ოთხი ათასი დაეცა. დაღამდა თუ არა, რომაელები ბანაკში დაბრუნდნენ.

ზანდუკი

წინათქმა	3
„კვირიკეს და ივლიტას წამება“	
წინახიტყვა და თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	4
„კვირიკეს და ივლიტას გალობანი“ XI ს. იადგარიდან გამოსაცემად მოამზადა ლიანა კვირიკაშვილმა	20
გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია და წერილები †	
წინახიტყვა და თარგმანი ქეთევან ბუზარაშვილისა	24
სვინესიოს კვირეხელის ხაგალობლები †	
წინახიტყვა და თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	44
რომანოს მელოდოსის „იუდას გამცემლობა“ †	
წინახიტყვა და თარგმანი ნინო ბარამიძე-სულაქველიძისა ...	68
გიორგი პისიდელის „ირაკლიადა“ †	
წინახიტყვა და თარგმანი ნანა მირაშვილისა	84
ურგოლ ნოსელის „ეპისტოლე სქოლასტიკოს ადელფოსისაჲსი“	
წინახიტყვა და თარგმანი დავი ნადიბაიძისა და შაია ნასუკრიშვილისა	89
პავლე სილენციარიოსის „ეფერახისი წმინდა სოფიას ტაძრისა“ და ეპიგრაფები	
წინახიტყვა და თარგმანი ოღლა ბერიძისა	93
მუხეუბ გრამატიკოსის „პეროხა და ლუანდრეს სიყვარულის ამბავი“ †	
წინახიტყვა და თარგმანი ელგუჯა გელენავასი	154
თეოდორიტე კვირელის „ქებაჲ ქებათაჲ“ - ს განმარტება	
წინახიტყვა და თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა	176
პროკლე დიადონოსის „პლატონური თეოლოგია“ †	
წინახიტყვა და თარგმანი ანა ხარანაშვილისა	182
დსუკლო დიონისე არქედაკელოს IX წერილი ტიტე მღვდელს მთაწერისადმი	
წინახიტყვა და თარგმანი ჯუღიუტა შიშიაშვილისა	194
კენანი ხარლეულის „დექხასკის სემდგომსი ისტორია“	
წინახიტყვა და თარგმანი ანა ხარანაშვილისა	208

ოლიმპიოდორე თებელის "ისტორია"	
წინასიტყვა და თარგმანი ლეილა წერეთლისა	208
პრეცეპტი კესარიელი	
წინასიტყვა ჯულიეტა შოშიაშვილისა	225
„ნიკას აჯანყება“.	
თარგმანი ჯულიეტა შოშიაშვილისა	227
„ომი გუთებთან“.	
თარგმანი ნოდარ ლომოურისა	233
„საიდუმლო ისტორია“.	
თარგმანი ნია ეფრემიძისა	244
„შენობათა შესახებ“.	
თარგმანი ჯულიეტა შოშიაშვილისა	251
მენანდრე პროტიკტორის „ისტორია“	
წინასიტყვა და თარგმანი ნოდარ ლომოურისა	255
თეოფილაკტე სიმოკატას „მსოფლიო ისტორიის“ შესავალი	
წინასიტყვა და თარგმანი ზაირა ყოლბაიასი	262
ზანდუკი	269

